კვირის პალიტრა

# გზა

N13

60 თე

ჟურნალი ჟურნალში მალე!



## ორმხრივი შოკი

რით მოხიბლა ანრი ჯოხაძემ ლაიმა ვაიკულე

მოხვდება თუ არა „იურმალა 2007"-ზე ანრი ჯოხაძე

## რეალური ისტორია



„სიცოცხლემისჯილს" პატიმარი „უფასო გაკვეთილს" უტარებს



ვინ არიან ლევან ჯავახიშვილის „მხეცები"

და რატომ შეხვდა ის თათია გიორგობიანს...

## ¡ ძალადობა ! როდემდე?







შეიარაღებული და „დაბოლილი" თაობა თუ მოდას აყოლილი „დედიკოს ბიჭები"...

## 40 წლის ქალი, შვილის მეგობარს, 25 წლის ბიჭს შეუყვარდა




საბა SABA

კანდელაკის ქ.65 0160 თბილისი, საქართველო. (+995 32) 38 44 54 www.saba.ge E.mail: sabaco@caucasus.net

№13 (355)
29 მარტი –
4 აპრილი, 2007 წ.
ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები
„წყალში ვდგავართ, ცეცხლი გვიკიდია“
ანუ კომუნიზმით ნატოში?! 3
■ ფაქტი და კომენტარი
ყველაზე მტკივნეული, ამაღელვებელი და სასიამოვნო
ანუ ძაღლი ყეფს — ქარავანი მიდის 4
■ დაიჯესტი
ლერწმის გომბეშო ავსტრალიას
წალეკვით ემუქრება... 6
■ აქცენტი
მონოლოგი შიშთან 8
■ ერუდიტი
რამ დააბნია ცნობილი
ერუდიტი გიორგი მოსიძე? 10
■ კრიმინალი
„საქმის მასალები გრიფით — „საიდუმლოა“
— ახსნელები ბრალდების მხარე 12
■ სცენა
გურამ დოჩანაშვილი თეატრში მოვიდა 14
■ გულშემატკივარი
„ვიცოდი, რომ ჯალათები ზაზასგან მაინც
მიიღებდნენ აღიარებით ჩვენებას“... 16
■ რეალური
„სიცოცხლემისჯილი“ 17
■ მეტამორფოზები
თაკო ჩხეიძის სილამაზის 2 საიდუმლო
რეცეპტი და მამაკაცი, რომლის
გემოვნებასაც ის ბოლომდე ენდობა 20
■ ღიმილი
ჩაშლილი კინოდებიუტი, მამის თაყვანისმცემელი
პოეტი ქალი და დაუდევარი ბებია 23
■ პლუს-მინუსი
„დაბოლილი“, ჩაჩაჩული, შეიარაღებული
თაობა თუ მოდას აყოლილები 24
■ თემა
რატომ იძალა მოზარდებში ძალადობამ 27
■ გზავნილები
სიყვარულმა ასაკი არ იცის 30



— როგორ, ნიკას შინ არ გამოუშვებთ? — იკითხა დამ.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, მკვლელობის ყველა გზა ნიკასთან მიდის. ეს არის სამი ადამიანიდან ერთადერთი, ვინც ცოცხალი გადარჩა. წარმოიდგინეთ, მეტყევის ქოხში 3 ადამიანია, იქიდან 2 მკვდარია და ერთი ცოცხალი. ვინ მოკლა ის ორი? რა თქმა უნდა, მესამემ. ეს ხომ ძალიან მარტივია.

— არა, ჩემი ძმა ამას არ იზამდა. მან იარაღის ხმარებაც არ იცის.

17

## რა მპატიებათ ცნობილ პოლიტიკოსთა შვილებს...



ამქვეყნად ცნობილ ადამიანთა შვილებზე უფრო პრობლემური ბავშვები უბრალოდ, არ არსებობენ და საკუთარი მშობლების ძალაუფლებისადმი ესოდენი ლტოლვის მთავარი მსხვერპლის როლშიც თავადვე გამოდიან.

49

## „ამდენ „დაზაგრულ“ ხალხში სითეთრე უფრო ეფექტურია“...



„მე-11 კლასში ვიყავი, როცა სოლარიუმის რეკლამა ვნახე და გადავირიე. სასწრაფოდ გავიგე, სად უნდა მივსულიყავი, გავრუჯულიყავი (მაშინ სოლარიუმი ახალი ხილი იყო) და 15 წუთში ისეთი „ზაგარი“ მქონდა, რომ“...

20

## „დაბოლილი“, ჩაჩაჩული, შეიარაღებული თაობა თუ მოდას აყოლილები...



„დავიწყოთ იმით, რომ დღეს დანა ჩანთაში ყველას აქვს, იმიტომ, რომ ეს მოდაშია. სხვათა შორის, ბევრ გოგონასაც უდევს ჩანთაში დანა“.

24

## ლერწმის გომბეშო ავსტრალიას წალეკვით ემუქრება...



ქვეყანას „გოლიათი“, თანაც შხამიანი გომბეშოები მოედვნენ და წალეკვით ემუქრებიან! არ გაგეცინოთ — მკვლევართა შეშფოთება მართლაც, საფუძვლიანია — ლაპარაკია არა ჩვეულებრივ, არამედ ე.წ. ლერწმის გომბეშო — აგაზე, რომლის წონა 2 კგ-ს აღწევს და შხამით სავსე პარკუჭს დაატარებს ზურგით.

6

M K

■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ქალთა სახუმარო რეიტინგი 34
✓ ხილის ლიქიორი 34
✓ კალმარისა და კომბოსტოს სალათა 34
■ შეჩერებული წამი
ფოტო, რომელმაც მარინა კახიანის ბედნიერი ცხოვრების ეპიზოდი დააფიქსირა 35
■ ჟურნალისტის როლში
ვინ არიან ლევან ჯავახიშვილის „მხეცები“ და რისთვის აგროვებს ენერგიას თათია გიორგობიანი 36
■ ჯანმრთელობა
✓ ყაბზობა გაქვთ? დაიცავით დიეტა! 38
✓ კვერცხის ნაჭუჭი საუზმედ 39
✓ ტკივილი კუდუსუნის მიდამოში 39
■ ტაიმ-აუტი 40
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. ნოკაუტი (გაგრძელება) 42
■ თინეიჯერული პონტები
რისი ეშინია „ეშმაკის მაშხალას“, რომელსაც ბოსი არასდროს ჰყოლია 46
■ ელიტა
რა ევატიებათ ცნობილ პოლიტიკოსთა შვილებს 49
■ ანტიდეპრესანტი 50
■ ვარსკვლავები
✓ უმა თურმანი კვლავ თავისუფალია 52
✓ გვინეტს წონა დაუწუნეს 52
✓ შეთქმულება მერილინ მონროს წინააღმდეგ 53
✓ ვინ არის ყველაზე ლამაზი ფეხების პატრონი? 53
■ ჩვენი აფხაზეთი
„ერთმანეთზე ხელის აღმართვის სირცხვილიც ერთად უნდა ჩამოვირეცხოთ“... 54
■ მღვდელმსახურები
იარაღი, რომლითაც კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ეკლესიის მტრებს ებრძოდა 56
■ ფავორიტები
„ჩელსის“ ვარსკვლავი, რომლის ყველაზე დიდი ქომაგი ბაბუამისია 58
■ კრიმინალური ნოველა
ჰიჩკოკის კოლექციიდან.
რობერტ არტური. გვიშველეთ! 60
■ სასიძო
„ჰიპნოზისთვალებიანო, შენს კოცნას მაბრალიანო!..“ 66
■ ბომონდური მოზაიკა
ანრი ჯოხაძის „იუმორესკით“ მოხიბლული ლაიმა ვაიკულე... 68
■ ავტო 70
■ ჰოროსკოპი 71
■ მესიჯომანია 72
■ ტესტი 78
■ სკანვორდი 79
■ კალეიდოსკოპი 80


გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე


მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com


## რატომ იქაღა მოზარდებში ძალადობამ

„გვირჩევნია, ყველაფერი სხვას გადავაბრალოთ და „ხელები დავიბანოთ“. ჩვენს შვილებს თუ აღსაზრდელებს მეტ დროს რომ ვუთმობდეთ, ალბათ, ყველაფერი უკეთ იქნებოდა. რატომ არ უნდა შევამოწმო საკუთარი შვილი, თუ გამიჩნდა ეჭვი, რომ მას ჯიბეში დანა ან სულაც, სიგარეტი უდევს?“



27

## ვინ არის ყველაზე ლამაზი ფეხების პატრონი?



რაც შეეხება ახალ გამოკითხვას, ყველაზე ლამაზი ფეხების მქონეთა პირველ ათეულში კელი ბრუკის გარდა შევიდნენ: მოდელი კეიტ მოსი, მომღერალი ბეიონს ნოულზი, მსახიობი კამერონ დიასი.

53

## მამის თაყვანისმცემელი პოეტი ქალი

„სპექტაკლების შემდეგ ჩვენთან მოაქვს ყვავილები, წერილები, სასმელები, მოხარშული დედალი ან შემწვარი წიწილა. რამდენჯერმე კონვერტით ფული დატოვა. ძალიან უცნაური ქალია“.



23




— რაო, კაცო, რა მოგახსენეს ასეთი? — ჰკითხა მან ქმარს და თავისთვის კი გაიფიქრა: „ისევ ჩაისველა, რა მეშველება? დაიჭერენ და დაიჭირონ!“

თითქოს ქმარიც ფიქრს მიუხვდაო:

— მე ალბათ, დამიჭერენ... — თქვა და ცოლს უაზრო თვალებით მიაჩერდა.

— არა უშავს, კაცმა ყველაფერი უნდა ნახოს — ციხეც, ომიც, მშვიდობაც...

არ ვიცი, წაკითხული ჰქონდა თუ არა ნორა ქადაგიძეს ჰემინგუეის რომანები, ერთი კია, რომ მისი აზრი გაიმეორა. მაგრამ ჰემინგუეის აზრი მის ქმარს საშინლად არ მოეწონა და ისეთი და იმდენი სისულელე „მოხია“...

42

M K

# „წყალში ვდგავართ, ცეცხლი გვიკიდია"
## ანუ კომუნიზმით – ნატოში?!



ბიოლოგიურად, ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობისთვის სამი რამაა აუცილებელი: წყალი, ჰაერი და მზე. იმ ცოცხალ არსებებს, რომლებსაც ქართველები გვქვია, ბუნებაში ჰაერიც კარგი გვაქვს, მზეც — უხვი და წყალიც — თავზე სასხმელად, მაგრამ მაინც უკმაყოფილოები ვართ და ამ უკმაყოფილებას რატომღაც, მთავრობის მიმართ გამოვხატავთ. მოკლედ, ვერა და ვერ შევიგნეთ, რომ არსებობა თუ გინდა, უნდა გადაიხადო, ძმაო!..



ჰაერისა და მზის გადასახადს არ გახდევინებენ და ახლა, წყალიც უფასოდ გინდა?! უფასოდ რა, იაფად გინდა?! იაფად რა, რასაც მოიხმარ, მარტო იმის გადახდა გინდა?! ეგრე სად არის, ძმაო?! დაგვექცევა ეკონომიკა და ვედარაფერი გვიშველის. აბა, წარმოიდგინეთ, ინდივიდუალური მრიცხველი რომ დაგიყენონ, მაქსიმალურ ეკონომიას გააკეთებ, რომ ცოტა ან არაფერიც არ გადაიხადო: დაბანითაც, იშვიათად ან საერთოდ არ დაიბან; სხვებიც მოგბაძავენ და ჭუჭყიან ქვეყანას, ვინ მიგვიღებს ნატოში?! ახლა, საერთო მრიცხველი რომ გვქონება მთელ კორპუსს, იფიქრებ, სხვები დახარჯავენ და მაინც ჩემი გადასახდელი გახდებაო და ბარემ შენც ბევრს დახარჯავ: კიდეც იბანავებ, სარეცხსაც გარეცხავ, იატაკსაც მოწმენდ სველი ტილოთი, შენც სუფთად იქნები, ქვეყანაც და ბიუჯეტშიც ფული შევა. ხედავთ, რა გენიალურად გათვალა მთავრობამ?!

ჩვენ კი დაგვიღია პირი და გავიძახით, არ გვინდა ეს მრიცხველები, ტარიფი დავაწესოთ და ყველა ჩვენ-ჩვენს წილს გადავიხდით-თქო... რა სისულელეა! ყველამ თუ მარტო თავისი გადაიხადა და მეტი არაფერი, მთავრობისას ვინღა გადაიხდის?! დაუბანელი მთავრობა გვაკლია კიდევ. ანდა, კანცელარიაშიც რომ მრიცხველი დავაყენოთ, ყველა მინისტრმა თანაბრად გადაიხადოს, სირცხვილი არ იქნება? დავიჯერო, არველაძე და ბენდუქიძე თანაბარი რაოდენობის წყალს მოიხმარენ?

ჩვენ — უბრალო ხალხი, სხვა საქმე ვართ: დახარჯვითაც ბევრი წყალი უნდა დავხარჯოთ და გადახდითაც ბევრი უნდა გადავიხადოთ. მთელი სახელმწიფო აპარატი ამაზე მუშაობს. ჯერ მარტო, რაც რეკლამები გადის ტელევიზორში: ათასნაირი სარეცხი ფხვნილი, „ნებისმიერი ლაქა რომ ამოჰყავს". სინამდვილეში კი, მათგან მხოლოდ ერთია (ან — არც ერთი) ხარისხიანი. ჰოდა, სანამ იმას მიაგნებ, ერთი ოცჯერ მაინც ხომ უნდა გარეცხო?! ე.ი. წყალიც მეტი დაგეხარჯება... გნებავთ, მედიკამენტები ავიღოთ: რამდენი დასახელების წამალია, სურდოს რომ მოგაშორებს და გრიპისგან განგკურნავს. იყიდი, დალევ — არაფერი; მეორეს დალევ — არაფერი; შენც არ ნებდები და სულ ახალ-ახალს ყიდულობ, სანამ ის გრიპი თუ ვირუსი თავისით არ მოგშორდება. ახლა, კაცი ინდაური ხომ არ ხარ, სიმინდის კაკლებივით, მშრალად რომ ყლაპო ეს აბები, წყალი ხომ უნდა დააყოლო?! ჰოდა, გარბის მრიცხველი...

ასე მივეჩვევით ეკონომიას: დასაბანად, წვიმას დაველოდებით. მით უმეტეს, რომ წვიმის წყალი თმას არბილებს, ძირებს კვებავს და მტვრიანი, ყვითელი წვიმის სიხშირესაც თუ გავითვალისწინებთ, საოცარ ფერსა და ბზინვარებასაც აძლევს თმას. სარეცხსაც წვიმის წყალში გავრეცხავთ ან, მთლად უკეთესი — საერთოდ არ დავიღლით თავს რეცხვის პროცესით — პირდაპირ მშრალ ტანსაცმელს გავფენთ და წვიმა რომ მოვა, თვითონ გარეცხავს.

ბოლოს, ველური ჯუნგლების ყველაზე რაინდული კანონიც გავრცელდება XX საუკუნის ქართველებზე: ეზოში წვიმის გუბე რომ დადგება და დაიწმინდება, ყველანი ჩავალთ და მოვხვრეპთ. თანაც, როგორც ცხოველთა სამყაროშია, ლომი შველთან ერთად რომ სვამს და არ ერჩის, ისე მოვიქცევით ჩვენც: სამტროდ გადაკიდებული მეზობლები ერთმანეთს წყურვილის მოკვლას ვაცლით, შევრიგდებით კიდეც და სადარბაზოში მონატრებული მშვიდობაც დაისადგურებს.

ის კი არა და, მზისა და ჰაერის საერთო მრიცხველებიც დაგვიყენონ. მართალია, ჩვენი კორპუსების წყალობით, მზეც კი არათანაბრად გვანათებს და გვათბობს, მაგრამ არა უშავს. მერე რა, რომ მე ჩრდილოეთის მხარის ბინაში ვცხოვრობ და მეზობელს ტელეფონზე ვეკითხები — გათენდა თუ არა-მეთქი? როცა მასთან აგვისტოა, ჩემთან მხოლოდ აპრილი დგება და ნესტიან კედლებზე ენძელები ამოდის, მაგრამ თუ ეს უშველის ჩვენს ქვეყანას და მთავრობას, თანახმა ვარ, მზის გადასახადიც თანაბრად გადავიხადოთ...

***P.S.** წყლის ინკასატორი ეუბნება აბონენტს:*

*— თქვენი კორპუსის თითოეულმა ოჯახმა 12-12 ლარი უნდა გადაიხადოს.*

*— რატომ, ბატონო, მარტოხელა მოხუცმა და ჩემმა ზედა მეზობელმა თანაბრად გადავიხადოთ?! იმას მთელი დღე მოშვებული აქვს ონკანი და სულ ჩამომირეცხა კედლები.*

*— მით უმეტეს, ქალბატონო: იმ ზედა მეზობლის წყალიც თქვენთან ჩამოსულა და რომ არა ეს ახალი კანონი, თქვენ უფრო მეტის გადახდა მოგიწევდათ...*

*პროვოკატორი*

**ალბათ, არავინ შეგვედავება იმაში, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ყველაზე აქტუალური, მოზარდების თემა გახლდათ. თუმცა, მაინც გადავწყვიტეთ, გაგვეგო ცნობილი და რიგითი ადამიანების შეხედულებები კვირის მნიშვნელოვან მოვლენებზე. თავდაპირველად რამდენიმე პოლიტიკოსს, ხოლო მოგვიანებით, ქუჩაში შემხვედრ გამვლელებს მხოლოდ ორი კითხვით მივმართეთ: დაასახელეთ განვლილი კვირის 2 მოვლენა — ის, რომელმაც ყველაზე მეტად აღგაშფოთათ და ის, რომელმაც გაგახარათ...**

# ყველაზე მტკივნეული, ამაღელვებელი და სასიამოვნო ანუ ძაღლი ყეფს — ქარავანი მიდის

*ნათია ქივიძე*







**გოგა ხაინდრავა:**

— არ მომწონს ის ფაქტი, რომ ხელისუფლებისა და სასამართლოს მხრიდან თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლა ხორციელდება. ამას წინათ, ისევ გააგდეს ჟურნალისტი სასამართლო დარბაზიდან, არაფრის გამო. გული მწყდება, ასე რომ ხდება. გაუთავებელი ძალადობაა ჩვენს ქვეყანაში... კარგი ის მოხდა, რომ ორშაბათს, ქაშუეთის ეკლესიაში შვიდგზის ზეთისცხებას დავესწარი. რა ვიცი, იქნებ, ამით რაიმე მეშველოს...

**მამუკა არეშიძე:**

— როგორც კონფლიქტოლოგს, ძალიან მომეწონა და მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტის განცხადება ცხინვალის რეგიონში ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ... გარდა ამისა, როგორც იქნა ჩამოასვენეს ჩვენი პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ნეშტი. მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის, ის კოლხურ კოშკში დაასვენეს თუ სადმე სხვაგან, ასეთ ნიუანსებს ვერ ჩავუღრმავდები, რადგან დედით გამსახურდია ვარ, ზვიადის შორეული ნათესავი (მიუხედავად იმისა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს, მე ოპოზიციაში ვიყავი) და არ მაქვს ამის უფლება... რაც შეეხება კვირის უსიამოვნო მოვლენას, გიორგი ზერეკიძის გარშემო ატეხილი ამბავი არ მომწონს. საქმე ისაა, რომ ხელისუფლებას არ უნდა, შავი და თეთრი გაარჩიოს ერთმანეთისგან. ცხადია, ზერეკიძე დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს კიდეც, თუმცა, 7 წელი ამისთვის მეტისმეტია. მაგრამ ჩვენი ხელისუფლება და სასამართლო ძალზე ჯიუტია, არაფრის დათმობა არ სურს...

**ბესო ჯუღელი:**

— ამ კვირის არაჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ ის, რომ საქართველოს მხარემ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი შეიტანა და რუსეთს მორალური ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა. ამ შემთხვევაში, ქართველები ძალიან კარგად მოიქცნენ. თუმცა, ჩემთვის ამაღელვებელი მოვლენაც რუსეთს უკავშირდება. ძალიან მეწყინა, როცა შევიტყვე, რომ რუსეთი არ ჩერდება და სამხრეთ ოსეთში კიდევ ერთი შეტევა განახორციელა, რის შედეგადაც ორი ქართველი პოლიციელი დაიღუპა. ეს ფაქტია ყველაზე მტკივნეული და ამაღელვებელი.

---



**მარინა გამრეკელაშვილი,** *ბუღალტერი, 49 წლის:*

— ყველაზე მეტად გიორგი ზერეკიძის სასამართლო პროცესმა ამაღელვა. ქართულ მხატვრულ ფილმში — „კეთილი ადამიანები“ — რომ ამბობენ, როგორც ამ სოფლიდან ქალაქი არ აშენდება, ისე ამისგან კაცი არ დადგებაო, ისეა მაგისი საქმე ამწუთას, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, ზერეკიძე მომავალში როგორ ადამიანად ჩამოყალიბდება?!. რამდენი ავაზაკი ბავშვი გვინახავს, რომელიც შემდგომ გამოსწორებულა. რატომ ვუსპობთ ამ ბავშვს მომავალს?.. ასევე, არ მომეწონა, ამავე სასამართლოზე „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი, ჯაბა ჯიშკარიანი რომ დააკავეს. ძაღლი ყეფს — ქარავანი მიდისო — ჩვენზეა ნათქვამი. არავინ არავის აქცევს ყურადღებას, სხვის ტკივილს ყურად არავინ იღებს... ძალიან მომეწონა ინგა გრიგოლიას გადაცემა, სადაც რეზო ესაძემ მიიღო მონაწილეობა. ვისიამოვნე მისი ყურებით...

**თამუნა სვანიძე,** *23 წლის:*

— ყველაზე მეტად გამაოცა და დამაინტერესა გადაცემა „დროების“ ერთ-ერთმა სიუჟეტმა: რომელიღაც ქვეყანაში ქალი, რომელიც კისერზე ყველაზე მეტ რგოლს ჩამოიცვამს, ტომში თურმე, ყველაზე ლამაზ მანდილოსნად მიიჩნევა. ერთმა ქალმა 26 რგოლი გაიკეთა, რამაც სიმართლე გითხრათ, გამაოგნა... რაც შეეხება სიხარულს, ამ კვირაში ძალიან გამიხარდა, რომ „თავისუფალ თეატრში“ ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლი — „ძმები“ ვნახე. აღფრთოვანებული ვარ. განსაკუთრებით, მსახიობი აპოლონ კუბლაშვილი მომეწონა და ბოლო რამდენიმე დღეა, სულ ამ სპექტაკლზე ვლაპარაკობ. ყველაზე ცუდი ფაქტი კი ის იყო, ზერეკიძეს 7 წელი რომ მიუსაჯეს. მართალია, ამბობენ: ცუდი ბავშვიაო, მაგრამ ამ ასაკის ბავშვის ამდენი წლით ციხეში გამოკეტვა, არა მგონია, მართებული იყოს. მას ხელს უწყობენ იმაში, რომ უფრო ცუდ ადამიანად ჩამოყალიბდეს.

**ლია კილაძე,** *ფილოლოგი, 30 წლის:*

— ყველაზე კარგი ფაქტი ის იყო, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ ძვირად ღირებული და ხარისხიანი პროთეზები გადასცა საქართველოში მცხოვრებ ყველა ინვალიდს. ჩვენი მოსახლეობა საკმაოდ გაჭირვებულია, პროთეზი კი, საკმაოდ ძვირი ღირს. მათი უფასოდ გადაცემა ბევრ ადამიანს გაახარებს და მისცემს იმის საშუალებას, რომ დამოუკიდებლად იმოძრაოს ქუჩაში, გადაადგილდეს და ა.შ. რაც შეეხება გულისტკენას, ძალიან მეწყინა ბატონი თენგიზ სუხიშვილის გარდაცვალება. ის იყო ქართული ნაციონალური ბალეტის ლეგენდა. იმედი მაქვს, მისი შვილები — ილიკო და ნინო ისევე კარგად უხელმძღვანელებენ ანსამბლს, როგორც ამას ბატონი თენგიზი აკეთებდა.

**გია გელზახიანი,** *ეკონომისტი, 30 წლის:*

— ძალიან გამიხარდა, მარჯვენასაჭიანი მანქანები რომ აღარ აკრძალეს, რადგან საჭის გადაადგილება საკმაოდ ძვირი ჯდე-

ბა. საერთოდ, მძღოლმა თუ მანქანის მართვა იცის, საჭე რომელ მხარესაც არ უნდა ჰქონდეს, სხვებს საფრთხეს არ შეუქმნის... არ მომწონს ის, რომ ბავშვებს შორის ასეთი ინციდენტები ხდება, ერთმანეთს სასიკვდილოდ იმეტებენ. მეც ორი შვილის მამა ვარ: პატარა ბიჭი მეზრდება, ქალიშვილი კი უკვე სკოლაში დადის და მეშინია, რადგან არ ვიცი, რამდენად უსაფრთხოა იქაური სიტუაცია. ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, რომ გოგონების საპირფარეშოში ბიჭები ხშირად შედიან. როგორც ჩანს, სიგარეტის მოსაწევად. ქუჩებში კამერების დაყენების ნაცვლად, ისინი სკოლაში რომ დააყენონ, არ სჯობია? სამეურვეო საბჭოს უპირველესი მიზანი ბავშვების აღზრდა უნდა იყოს. გარდა ამისა, წყლის საერთო მრიცხველის დაყენება არ მომწონს. რატომ გადაწყვიტეს ასე? იქნებ, მე მთელი კვირა არ ვარ შინ და რატომ უნდა გადავიხადო ჩემი მეზობლების მიერ გამოყენებული წყლის საფასური?

**ლიკა კიკნაძე,** *9 წლის:*

— არ მომეწონა, ბავშვები ასე რომ იმეტებენ ერთმანეთს და კლავენ. ჩვენს სკოლაშიც დაჭრა ერთმა ბიჭმა ვიღაცა. ჩემი კლასელები ასე არ ჩხუბობენ ხოლმე, მაგრამ ამას წინათ მასწავლებელს სიტყვა შეუბრუნეს და ის ბავშვები სკოლიდან გარიცხეს. ასე რომ იქცევიან, არ მომწონს. კარგი კი ის იყო, რომ დედამ ოპერაში წამიყვანა, „გედების ტბა“ ვნახეთ და ძალიან მომეწონა. მინდა, რომ მეც ბალერინა გამოვიდე და ამ სპექტაკლში ვიცეკვო. ■

# „სამთავრობო „კარუსელის" დატრიალება სააკაშვილს არც ამჯერად მოუტანს კარგ შედეგს"



**გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე ნიკა გვარამიას დანიშვნამ ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებში რამდენიმე ვერსიის გავრცელება გამოიწვია. ზოგი მათგანი მიიჩნევს, რომ ეს, მთავრობაში მოსალოდნელ საკადრო გადაადგილებებს უკავშირდება და ბატონი ნიკა მალე ზურაბ ადეიშვილს შეცვლის, ზოგის აზრით კი, გვარამია პროკურატურის სპიკერის ფუნქციას იკისრებს და ამ დაწესებულებაში გიგა ბოკერიას ინტერესებს გაატარებს. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის, მამუკა კაციტაძის აზრით, ბოკერიას გენპროკურატურაშიც და მთელ საქართველოშიც თავისი ინტერესები უკვე გატარებული აქვს და ვერც ნიკა გვარამია წარმოუდგენია ბოკერიას ყურმოჭრილი მონის როლში...**

*ხათუნა ბახტურიძე*

— **ბატონო მამუკა, თქვენი ვერსიით, რით არის მოტივირებული ამ თანამდებობაზე ნიკა გვარამიას დანიშვნა?**

— პროკურატურაში უკანასკნელ პერიოდში უკიდურესად ჩაკეტილი სისტემა ჩამოყალიბდა, სადაც ძალიან ბევრი პრობლემური საკითხი დაგროვდა. მათი გამოაშკარავება საზოგადოებაში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს, იმიტომ, რომ სერიოზულ კანონდარღვევებს აქვს ადგილი. ერთ მშვენიერ დღეს ეს დამალული ინფორმაცია აუცილებლად გადმოინთხევა და მერწმუნეთ, ამასთან დაკავშირებული სკანდალი აუცილებლად დაჩრდილავს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობას. თუ დღეს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში კრიტიკის ობიექტები შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები გახდნენ, ხვალ პროკურატურის წარმომადგენლებზე გაკეთდება აქცენტი, რაც ცენტრალური ხელისუფლებისთვის, განსაკუთრებით კი, სააკაშვილისთვის სერიოზული პრობლემა გახდება. ამ ყველაფრის გამო, ორი შესაძლო ვარიანტია მოსალოდნელი. პირველი: გვარამია დარჩება, როგორც გენერალური პროკურორის მოადგილე და როგორც მეტნაკლებად საჯარო პოლიტიკოსი, იქნება სპიკერ-პროკურორი; ის უფრო მეტად იკონტაქტებს საზოგადოებასთან და შეეცდება, რომ ტაბუდადებული სისტემა საჯაროდ აქციოს (ფასადის გაგებით). გვარამია იქნება თვალი, ყური და ენა გენპროკურატურაში. მოკლედ, ამის მცდელობა იქნება. მაგრამ მგონია, რომ მეორე ვარიანტი უფროა მოსალოდნელი, კერძოდ — მოადგილეობა ეს არის დროებითი და იგი მზადდება გენპროკურორის თანამდებობისთვის, რომელიც არა მხოლოდ ფასადს, არამედ შინაარსაც შეუცვლის ამ სისტემას. ამის საშუალება ნადვილად ექნება, იმიტომ, რომ ის სააკაშვილის კარზე დიდი ნდობით სარგებლობს.

— **თქვენი ვარაუდით, ადეიშვილს რას უპირებენ?**

— ოქრუაშვილივით არ გააგდებენ, რაღაც ადგილს უეჭველად გამოუძებნიან და ეს იქნება მინიმუმ, იუსტიციის მინისტრობა. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ სააკაშვილი აგრძელებს „ჩახარშვით“ პოლიტიკას. არა მგონია, რომ ეს „კარუსელი“ გენპროკურატურაში ნიკა გვარამიას გამწესებით დამთავრდეს. ვფიქრობ, რომ რამდენიმე მინისტრს გააგდებენ.

— **რომელ მინისტრებს გულისხმობთ?**

— ჭიპაშვილს, ბეჟუაშვილს, კეზერაშვილს და ქავთარაძეს. ეს რამდენიმე მინისტრი უკვე მზადა, არასამთავრობო „კარუსელზე“ დასაჯდომად.

— **თუ გვარამიას გენპროკურორად დანიშვნა უნდათ, რატომ პირდაპირ არ ნიშნავენ?**

— მართლაც, შეიძლებოდა, რომ ის ახლავე დაენიშნათ ამ თანამდებობაზე. მაგრამ ჯერ ერთი, გენპროკურატურა არის სპეციფიკური სისტემა, რომელსაც შეჩვევა სჭირდება და ამის გაკეთება მოადგილის სტატუსით უფრო მოსახერხებელია. მეორე: გენპროკურორად გვარამიას დანიშვნის შემთხვევაში, ადეიშვილი უნდა გადაიყვანონ იუსტიციის მინისტრად, იუსტიციის მინისტრის მყისიერი შეცვლა კი არ შეიძლება, რადგან მან ევროპის სასამართლოში რუსეთის საწინააღმდეგო სარჩელი უნდა წარადგინოს. სამთავრობო „კარუსელის“ დატრიალება სააკაშვილს არც ამჯერად მოუტანს დადებით შედეგს. პროკურატურაში კი ამბობენ, რომ ნიკა გვარამიას სახით, კარგი შენაძენი მიიღეს, მაგრამ პარლამენტში უმრავლესობას, ნორმალურად მოაზროვნე და მოლაპარაკე აღარავინ დარჩა. ერთადერთი, ვისაც მთელი მმართველი პარტია ეყრდნობა, გიგა ბოკერიაა. პარლამენტში მისი არყოფნის დროს, მე ვიქნები ერთ-ერთი მხარდამჭერი იმისა, რომ უმრავლესობის წარმომადგენლებმა რაც შეიძლება მეტი ილაპარაკონ...

— **რატომ?**

— მეტ სისულელეს იტყვიან. ■




სტომატოლოგიურ კლინიკებში
ქართველ სტომატოლოგებთან ერთად მოღვაწეობს
უცხოელი სპეციალისტი ა. მაკარატი
კბილის აღდგენა და რესტავრაციის ჩამოტანილი მასალებით:
1. CHARMAFIL-ის უნივერსალური შუქით ბჟენები (პლომბები)
2. პროთეზები მზადდება ევროპული სტანდარტებით და მეთოდებით. კბილის დაბჟენა (დაპლომბვა) 10 ლარიდან.
3. სიახლე!
ევროპის უახლესი მოდა - ბრილიანტის თვლების მიმაგრება კბილზე.

პროთეზირება: ერთი ჯგა - 80 ლარი და მის ზემოთ
კონსულტაცია უფასოა
პაციენტების მიღება მხოლოდ წინასწარი ჩაწერის შემდეგ
ტელ.: (822) 45 03 75; 877 41 58 54; 893 27 37 81

# ლერწმის გომბეშო ავსტრალიას წალეკვით ემუქრება...



**ავსტრალიელმა მეცნიერებმა განგაშის ზარს ჩამოჰკრეს: ქვეყანას „გოლიათი", თანაც შხამიანი გომბეშოები მოედვნენ და წალეკვით ემუქრებიან! არ გაგეცინოთ — მკვლევართა შეშფოთება მართლაც, საფუძვლიანია — ლაპარაკია არა ჩვეულებრივ, არამედ ე.წ. ლერწმის გომბეშო — აგაზე, რომლის წონაც 2 კგ-ს აღწევს და შხამით სავსე პარკუჭს დაატარებს ზურგით, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ეკოსისტემებს. რაც მთავარია, მან ათწლეულების მანძილზე მუტაცია განიცადა: ფეხები დაუგრძელდა და ამის წყალობით, ხუთჯერ(!) გაეზარდა მოძრაობის სისწრაფე, რაც საკვების ძებნისას დიდ ტერიტორიაზე მის მოდებას იწვევს.**

ყველაფერი კი — არც მეტი, არც ნაკლები — 70 წლის წინ დაიწყო, როცა ავსტრალიაში ამერიკის კონტინენტიდან გომბეშოს ეს სახეობა — აგა (cane toad) — საგანგებოდ, შაქრის ლერწმის პლანტაციებში გავრცელებულ მავნებლებთან საბრძოლველად ჩაიყვანეს. მაგრამ ადგილობრივი ფერმერები მალე მიხვდნენ, რომ აგა სიკეთეს არ მოუტანდა: გომბეშოებს თვალში არ მოუვიდათ მავნებლები და მწერების სულ სხვა სახეობებით დაინტერესდნენ. უფრო მეტიც — ახალ კონტინენტზე მათი უჩვეულოდ სწრაფად გამრავლება დაფიქსირდა, ხოლო ცოტა ხანში, ადგილობრივი ეკოსისტემისთვის სოლიდური ზიანის მიყენებაც იწყეს.

აგა ძალზე შხამიანია და როცა ადგილობრივი ცხოველები (მათ შორის, გველები, მსხვილი ხვლიკები, ძაღლი დინგო) მას საკვებად იყენებენ, იწამლებიან და იღუპებიან, ზოგიერთი მათგანი — სულ რაღაც 15 წუთშიც კი.

ლერწმის გომბეშო პირველად, 30-იანი წლების მეორე ნახევარში, ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კვინსლენდის ტერიტორიაზე ჩაიყვანეს. 1978 წელს, მათ ახალი სამხრეთ უელსი „დაიპყრეს", ხოლო 5-6 წლის შემდეგ, კონტინენტის ჩრდილოეთი ტერიტორიის საზღვრებიც გადალახეს და მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთს მოედვნენ.

ბოლო წლებში, გომბეშოების ექსპანსია განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა. მეცნიერთა შეშფოთების საფუძველს ის წარმოადგენს, რომ ამ პოპულაციის ახალ მხარეში გავრცელებული სახეობა გაცილებით გრძელი ფეხებით გამოირჩევა, ვიდრე მისი ძველ „სამშობლოში" მცხოვრები „თანამოძმე". ბრიტანელმა პროფესორმა შაინმა, რომელიც ამ სფეროში ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად მიიჩნევა, ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა: „საოცარია, როგორ ახერხებენ ეს არსებები ასე სწრაფად გადაადგილებას! კილომეტრს კილომეტრზე, თვალის დახამხამებაში ფარავენ!.." შაინის ავსტრალიელი კოლეგები, სიდნეის უნივერსიტეტის მეცნიერები კი, საზოგადოებას საკუთარი კვლევის შედეგებს უზიარებენ: მათ დაადგინეს, რომ XX საუკუნის 30-50-იან წლებში, ლერწმის გომბეშო წელიწადში საშუალოდ, 10 კმ-ს გადიოდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი 50-მდე გაზარდა. მკვლევრები ამასთანავე დასძენენ, რომ ამჟამად, შხამიანი გომბეშოები ავსტრალიის 1 მლნ კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე არიან მოდებული.

სპეციალური საშუალებების გამოყენებით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აგას „ჯარის" ავანგარდში მოქცეული გომბეშოები ერთ ღამეში 1,8 კმ მანძილის დაფარვას ახერხებენ, რაც უკუდო ამფიბიისთვის უპრეცედენტო სიჩქარეა. ეს უპირველესად, იმის შედე-



გია, რომ მათ საკმაოდ დაუგრძელდათ ფეხები. სწორედ ასეთი, გრძელფეხა ეგზემპლარები იკავებენ ახალ ტერიტორიებს, რისი წყალობითაც, თავიანთ „მოძმე" კონკურენტებს საკვების მოძებნისას ჯაბნიან და ახალ-ახალ ტერიტორიებს იპყრობენ. ამასთანავე, „ფრონტის წინა ხაზზე" გაჭრილი გომბეშოები, აქტიური შეჯვარების შედეგად, გრძელი ფეხების გენის მომავალ თაობებში განმტკიცებასაც უზრუნველყოფენ. ასეთი სახეობების კვალდაკვალ, ჩვეულებრივი ეგზემპლარები მოძრაობენ და თანდათან ისინიც გარდაიქმნებიან. ეს კი შხამიანი გომბეშოების ახალ-ახალი, გრძელფეხება, სწრაფმავალი თაობების გაჩენას ნიშნავს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკვლევართა აზრით, გომბეშო აგას ექსპანსია კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს, თუკი ხელისუფლებამ გადაუდებლად არ მიიღო გადამჭრელი ზომები. ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 65


## გთავაზობთ წონაში დაკლების მარტივ და ეფექტურ მეთოდს




- ✔ წონაში დაკლება შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე თვეში 6-12კგ.
- ✔ წონაში მომატება თვეში 4-6კგ.
- ✔ მულტივიტამინები მოზრდილებისათვის სიმაღლეში ზრდა-განვითარებისთვის შედეგები გარანტირებულია.




ნუ გადადებთ დაიწყეთ ახლავე

☎ 893-34-34-59; 61-00-14; 94-18-29 იკითხეთ ქ-ნი ლია


XX საუკუნის
მთავარი
საიდუმლო
„სტალინის მკვლელები"
იოსებ ბესარიონის ძე
სტალინი
მოკლეს.
შეიტყვეთ სიმართლე ბელადის
ტრაგიკული დაღუპვის შესახებ
ჟურნალ „გზის"
ხუთშაბათიდან

# მონოლოგი შიშთან




**ამ წერილის გმირს სახელი არა აქვს, მაგრამ თქვენ მას კარგად იცნობთ. თუ ჯერ არ შეგიმჩნევიათ თქვენ გვერდით, ახლა მაინც გაახილეთ თვალები და დაინახეთ. ის უპრეტენზიოა, მხოლოდ სიცოცხლეს ებღაუჭება. სიცოცხლეს, რომელიც ყველას ერთნაირად გვინდა... ნება თქვენია, დამაბრალეთ, რომ რომანტიკოსი, იდეალისტი, ანდა სულაც, შერეკილი ვარ, ოღონდ ნუ მეტყვით, რომ ასე ფიქრი თქვენ არ შეგიძლიათ, რადგან ეს დიდი ტყუილი იქნება. დღეს აქცენტი პოლიტიკურ-სოციალურ ტრაგედიაზე შეჩერდა...**

*დეა ცუცქირიძე*

— მინდა ისაუბროთ, იფიქროთ, იყვიროთ ამაზე... თუმცა, არა, მე უფრო მეტი მინდა, მინდა, იმოქმედოთ. დავიღალე მხოლოდ ლაპარაკით!.. ყუდეშა მოკო (სახლში მინდა)!

მოგისმენიათ მეგრული „ნანა“? ჰო, ასე იქნება... თვალები? თვალები თუ მიგლულვიათ თქვენთვის გაუგებარ ამ დიალექტზე, რატომღაც მაინც გასაგები სიტყვების მოსმენისას? ან სიტყვები რას მიქვია „ნანაში“, ეს სიტყვები მოფერებაა მხოლოდ და ამიტომ, გაუგებარ დიალექტზედაც გასაგები. ანდა, რად უნდა სიყვარულს სიტყვები? ან იმის გაგებას, ასეთი „ნანას“ მოღიღინე ქალები როგორი სიყვარულით ზრდიან შვილებს, როგორ ეფოფინებიან ოჯახს, კერიას... „ნანა“ მეგრელი ქალის სახეა, თითქოს. ამას იმ ქალის სახეზე მოგახსენებთ, ლტოლვილის სახელშერქმეული რომ ცხოვრობს თქვენ გვერდით, აგერ უკვე მეთხუთმეტე წელიწადია...

საოცარი ქვეყანა გვაქვს, ეს დალოცვილი. საქართველო — მაღალიც და დაბალიც! ეტყობა, ბუნების მრავალფეროვნება ხასიათზეც გადმოდის და ამიტომა ვართ ასეთი სხვადასხვანაირები. ერთი რამ კი უეჭველად გვაერთიანებს, გვამსგავსებს ერთმანეთს და ამიტომაც გვქვია ერი. ერთი, რომელიც ერთიცაა და მრავალიც ამ ერთში: მიწა, რწმენა, ტრადიცია, მორალი. მერე, ამას თვისებები ემატება: მეგობრობის, გატანის, უანგარო სიყვარულის, თავგანწირვისა და ერთგულების... ეგ ხომ თავის ქებააო? — იკითხავს ვიღაც. თავს კი არ ვიქებ, გავამართლო მინდა თავიც და ირგვლივ მყოფნიც...

საყვარელო, მე ქალი ვარ. ეს ქალი უკანასკნელი არა, მაგრამ ერთ-ერთი უკანასკნელი გამოვიდა თავისი ალმოდებული ქალაქიდან. ჩემს სახლს, წამოსვლისას, არც ერთი ფანჯარა არ ჰქონდა, თუმცა, „გრადებით“ დასეტყვილ სოხუმში, ეს თითქოს ნორმა იყო... მიუხედავად ამისა, ჩემს ეზოში შუშის ვერც ერთ ნამსხვრევს, მიულაგებელ ვერც ერთ კუთხეს, მოუვლელ ფოთოლსა თუ ხელშეუვლებ ვერც ერთ წვრილმანს ვერ ნახავდით. ნახეთ, რითი ვიქებ თავს? გარდა ამისა, ì î éì óæ,í à ï åðåäî âî é, â áåëû õ í î ñêàõ õî äèë... გგონიათ, ეს ქალობა არ არის? თავიდან ეჭვი მეც მეპარებოდა ამაში და თავს იმაზე ფიქრით ვიტანჯავდი, რომ შეიძლებოდა, სახლის დალაგებისა და ქმარ-შვილის თეთრი წინდების რეცხვის გარდა, კიდევ რაღაცა მეკეთებინა... ნუთუ, ეს რაღაც იარაღის ხელში აღებას ნიშნავს?! მაგრამ ერთ დღესაც, ჩემს 12 კვადრატულმეტრიან თბილისურ ოთახში, მუხლებზე დაჩოქილი იატაკს რომ ვხეხავდი, მივხვდი (დაჩოქილი მივხვდი!..), რომ მხოლოდ სიყვარული შემიძლია. სიყვარულის სახელით კი, ადამიანს ვერ ესვრი. სიყვარული, ახლა რომ ფილმებს ვუყურებ, ისე ესმით, თითქოს ის სარეცელზე იწყება და მთავრდება. არა, რა იციან მაგათ... მე კიდევ მგონია, რომ სოხუმის დაცემის დღეს, ჩემი მეზობელი მურაბას რომ ხარშავდა ეზოში, ეს იყო სიყვარული... გოლუაფირო, მუჭო მოკო ჯგირო გეინწყენი (საყვარელო, როგორ მინდა, კარგად აგიხსნა). იცი, რატომ ხარშავდა მურაბას? თავი რომ დაეჯერებინა, კიდევ დიდხანს იქნებოდა იმ სახლის, ქუჩის, ქალაქის, ზღვის შემყურე და მოფოფინე, რომელიც თავზე მეტად უყვარდა და რომლიდანაც ასე ულმერთოდ გამოაძევეს. ეტყობა, მეც ამიტომ ვხეხავდი შორიდან, ორთვლიანი ურიკით მოტანილი წყლით ქვის მოხვეულ კიბეს, სახლის წინ დაგებულ ოთხკუთხა ფილებს, იმიტომ ვუბერავდი სულს თითოეულ ყლორტს...

ზღვა-მეთქი. თავიდან მასზე დარდის თავი სად მქონდა. დედაქალაქში როცა ჩამოვედი, კარგა ხანს მეგონა, თვალები მქონდა გადაღლილი, სხეულთან ერთად და ამიტომ მტკიოდა. მაშინ ელემენტარულ პრობლემებს ვიგვარებდით — თეფშის, ჭიქის, სკამის და პურის; ახალ სტატუსს ვერგებოდით და ღმერთს მადლობას ვწირავდით, რომ მთელი ოჯახი გადაგვარჩინა... ღმერთო, როგორ მიჭირს აგიხსნა... იმასაც ვფიქრობდი, რომ ქუდბედიანი ვარ და იმასაც, რომ სამყაროს ჩემზე უბედური არავინ მოუვლენია. მერე, ფიქრის დროც აღარ იყო, დავინახე, რომ მშიერ და გასაცოდავებულ ქალაქს შევაფარე თავი; განერვიულებულ, გაოგნებულ ადამიანებს, რომელთაგანაც დახმარება მჭირდებოდა, არადა, თავადვე იყვნენ დასახმარებლები.

თბილისი შემჭიდროვდა და დაიძაბა. წაგებულმა ომმა, მხოლოდ აფხაზეთიდან კი არა, მთელი საქართველოდან გამოიწვია დედაქალაქისკენ იძულებით გადაადგილებულთა დენა. შიმშილის, სიბნელის, უპერსპექტივობის შეგრძნებამ, საქართველოს რაიონები დააცარიელა და დედაქალაქში მოუყარა ხალხს თავი. ეს იმედის სახელით მოხდა. ჩვენ, აფხაზეთიდან ლტოლვილებმა კი კიდევ ერთი სტატუსი შევიძინეთ, ზედმეტი ადამიანის სტატუსი. მერე, რიგები დადგა — მათხოვრული დახმარების, პენსიის, შეღავათების... ლტოლვილების ხან ერთი ჯგუფი იჭრებოდა ცარიელ შენობაში, ხან მეორე... ჰო, ასე იყო, რადგან სახელმწიფომ ვერ შეასრულა მოვალეობა და ამ ადამიანებს, თავზე ჭერი და საარსებო მინიმუმი ვერ შესთავაზა. თავი ყველამ ერთად მოიჭრა. მათ, ვისაც ამ ადამიანებზე ზრუნვა ევალებოდა და მათაც, ვინც განწირულობისგან ადამიანის სახე დაკარგა... ისე, ვინც მაშინვე მიხვდა, რომ უნდა გასცლოდა, გაეცალა კიდეც და მათ ახლა ემიგრანტები ჰქვიათ... ჩვენ არსად წავედით, რადგან სახლთან ახლოს გვსურდა ყოფნა...

ერთ დღეს ბარათაშვილის ხიდზე მოვხვდი და მტკვარს გადავხედე. მტკვარი არ იძვროდა, თითქოს. ჭუჭყიანი და მდორე წყალი შორსაც იყო და მიუწვდომელი ადგილისკენაც მიიზლაზნებოდა... თვალებმა შვება იგრძნეს და მივხვდი, რომ სივრცის, წყლის, ზღვის ნოსტალგია იყო ჩემი თვალების ტკივილი...

მეუღლე თურქეთში გადავიდა და მის მიერ ჩამოტანილი წვრილმანების გასაყიდად, ბაზრობაზე დავდექი. თავიდან მერიდებოდა, მაგრამ მაშინ ის იყო ჩემი საქმე. მალე, გვერდით მეზობლის ქალი მომიჯდა, თავზე წაკრული შავი მანდილით. ის დღესაც მგლოვიარეა. ჩქინი ოსურეფშო ვართი რგუალა ითებუდო ვართი ყოროფა (ჩვენი ქალებისთვის არც გლოვა მთავრდება და არც სიყვარული)... იმან კიდევ თავისი ნათესავი ნახა, გაგრიდან; იმ ქალმა ერთი გალელი ქალი გაგვაცნო... მოკლედ, სულ მალე, თავი ჩემიანებში ამოვყავი და რიდმა გამიარა, შიში კი მუდამ თან დამდევს. კაი დედის შვილი ხარ და ომგამოვლილმა დაიკვეხნე, შიში რა არის, არ ვიციო... ჩემო კარგო, შიში თუ ერთხელ მოვიდა შენთან, თუ ერთხელ იგრძენი მისი არსებობა, მერე ის ხან მარჯვნიდან გელანდება და ხანაც, მარცხნიდან. უკან ყურებასაც სწავლობ, რომ მისი მალულად მოახლოება არ გამოგეპაროს... მაშინ კი ყველას ეშინოდა. წართმევა და დაყაჩაღება ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი გახდა, როგორიც გამარჯობის თქმა. კიდევ ერთხელ რომ დამეკარგა რაიმე, ალბათ, ფეხზეც ვერ დავდგებოდი. ჰოდა, ხან მეუღლე მაკითხავდა, ხან — უფროსი ბიჭი. ოთხნი, ჩვენს 12-მეტრიან ოთახში შევიყუჟებოდით და მაინც არ ვიყავი უბედური, რადგან ყველანი ჩემთან იყვნენ... სამი წელი ასე ვიცხოვრეთ. კაპიკს კაპიკი მივუმატეთ და სამი წლისთავზე, ერთი დაფეხვილი



M K

სახლი ვიყიდეთ. მერე, ეს სახლი ჩემმა ქმარმა და ბიჭებმა თავისი ხელით გაარემონტეს, სახლს მოხვეული კიბეც გაუკეთეს და შვებით ამოვისუნთქე. მეუღლის გვერდით დავიძინე და ისიც გავიფიქრე, აღარა ვარ-მეთქი ლტოლვილი. ქართულიც გავმართე და მეგრულთან ერთად, სახლში რუსულის ნაცვლად, ქართულად დავიწყეთ საუბარი. ადრე რუსულად იმიტომ კი არ ვლაპარაკობდი, რომ ეს ენა მე ავირჩიე; უბრალოდ, ირგვლივ იმდენი რუსულენოვანი ადამიანი იყო, რომ ამისი საჭიროება თვალსაჩინო გახლდათ. ახლა მესმის ხოლმე, ეს რუსეთის შორსმჭვრეტელური პოლიტიკა იყოო. მგონი, ეს ცოტა გაზვიადებული მოსაზრებაა. მაინც მგონია, რომ ამის მიზეზი ქართველი ერის ტოლერანტულ თუ დაუდევარ ხასიათში უნდა ვეძებოთ და არა რუსების გონიერებაში... მალე ბაზრობასაც გავერიდეთ. ბუნებრივად ჩამოვშორდი იმ გარემოს, რომელიც ჩემად არ მიმაჩნდა. სრულუფლებიანი წევრი გავხდი დედაქალაქის და მიუხედავად იმისა, რომ ისევ ბნელოდა, ისევ ციოდა და ისევ ვაწებებდით კაპიკებს გამოცარიელებული სახლის, ახალაწყობილი საქმის, მომავლის მოსაწყობად, მაინც ვფიქრობდი, რომ საოცრება მოვახდინეთ და ფეხზე დავდექით... მეზობლის ქალს დავუახლოვდი. რა ვქნა, მომკალი და უმეზობლოდ ნუ მაცხოვრებ. თავიდან თბილისელი მეგონა, რადგან კილო არ ჰქონდა და ცოტა გაპრანჭულად ლაპარაკობდა. ყოველ შემთხვევაში ცდილობდა, რომ უნაკლოდ ესაუბრა. მისგან გავიგე პირველად ეს საოცარი სიტყვები: ვაუინი, ანარაკი, სპლიყვი... მერე მივხვდი, რომ ნამდვილი თბილისელი ასე არასოდეს დაიტანჯავს თავს. მისთვის ვაუინი სიროფია, ანარაკი — ქურთუკი და სპლიყვი არც იცის, რომ სპილოს შვილია... მოკლედ, ამას რა მნიშვნელობა აქვს. როგორც ის ცდილობდა, ეტყობა, მეც ასე ვიყავი მონდომებული. ის ქუთაისში იყო აღზრდილი და თბილისელზე გათხოვილი, მე კი — სოხუმელი... იმიტომ დავწვრილმანდი ასე, რომ გითხრათ, სანამ ეს მშვენიერი ქალი კარგად არ გავიცანი, მასთან მეგრულად არც ერთი სიტყვა არ წამომცდენია (ისე, არც ესმოდა და რა უნდა მეთქვა). წინათგრძნობა მქონდა. ჰოდა, ამიხდა კიდეც. იმ დღეს ქუჩაში შევხვდით და ვსაუბრობდით, ზაფხულის მშვენიერი დღე იყო. წვრილმანებზე მელაპარაკებოდა, მაგრამ ისეთი დღე იყო, სულ არ მინდოდა სახლში შესვლა. ტელეფონმა დარეკა და მეუღლემ გადმომძახა, სახლში შემოდითო. რატომღაც მეგრულად ვუპასუხე: ახლავე, ისე ვინ არის, ხომ არ იცი-მეთქი?.. მერე გამახსენდა, კარგი ყავა მქონდა და ის ქალი შევიპატიჟე ბოდიშის მოხდით — ეს ამდენ ხანს როგორ ვერ მოვიფიქრე-მეთქი... წამომყვა. ორი წუთი ტელეფონით ვისაუბრე და ყავის მომზადებას შევუდექი. მერე ქმარს ისევ მეგრულად გავძახე: ყავა შენც ხომ არ გინდა-მეთქი?.. შევატყვე, ჩემი მეზობელი დაიძაბა, რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ ამბობს. ჩემმა ნათესავმა, წინა დღეებში თავისი ფოტოსურათი მომიტანა. ჩემს სახლში, სოხუმში იყო ის სურათი გადაღებული და ამიტომ. ვუთხარი — აი, ჩემი სახლი-მეთქი და სურათი გავუწოდე. იცით, რა მითხრა? — როცა გიყურებ, მთელი დღე სახლს და ეზოს უვლი, საღამო ხანს კი სახლიდან გასულს არც დაღლა გეტყობა და ფრჩხილებიც წესრიგში გაქვს, სულ ვფიქრობდი, რა ჯანმრთელი ქალია-მეთქი, შენ კიდევ მეგრელი ყოფილხარო... ჰო, წამოსცდა, მაგრამ ეს იმ გავრცელებული განწყობილების გადამღერებაა, რომ ლტოლვილები რკინისანი ვართ. ვიცი, რომ მოთმინება არ იზომება, მაგრამ ეს საზომი ერთეული რომ არსებობდეს, ჩვენ ალბათ, ყველა რეკორდს მოვხსნიდით. ჰო, ჩვენ უსაზომო მოთმინება გვაქვს და ეს ჩემთვის საამაყოა და თუ ეს კოლხი ქალის ხასიათია, რაღა მეთქმის. ამითაც უნდა მოვიწონო თავი... ისე გამოვიდა, რომ იმ ქალის ქალიშვილი, ახლა ჩემი რძალია. ჩვენ ვმეგობრობთ და ის გულწრფელი წამოძახილი მხოლოდ კომპლიმენტად მახსოვს... თუმცა, კარგ მთქმელსაც კარგი გამგონე უნდა და თუ ეს მთქმელი სათანადო დონეზე ვერ არის და ვერც გამგონე გამოდგა გონიერი, მაშინ ამბე ულირიე (საქმე წასულია).

ახლა, 15 წელი რომ მიილია და ჩემი სიცოცხლე სიბერისკენ მიდის, კარადაც ხომ მაქვს, იმ კარადაში ნივთებიც მიწყვია და შვილიშვილისთვის ნუგბარის ყიდვასაც ვახერხებ, მაგრამ ერთადერთ ფოტოზე დარჩენილი ჩემი სახლი და ზღვა რატომღაც უფრო მენატრება. ეტყობა, თბილისური ოცნება უკვე ავისრულე და აღარც ლტოლვილად ვგრძნობ თავს... წვრილმანებზე ვიფიქრე და ახლა მთავარ მიზანს დავუბრუნდი. იქნებ, ჩემი ქვეყანაც ასე ფიქრობს?! ღმერთო, სანამ ძალა ისევ შემრჩენია, იქაურობის ნახვას მომასწრი! ორჯერ ხომ მოვიწყვე ცხოვრება? მართალია, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ჯერ კიდევ შემიძლია, მესამედაც დავდგე ფეხზე. ჩემი ხალხის უდიდესი ნაწილი ჩემნაირი სიცოცხლისუნარიანია. ჰოდა, სანამ ჩვენ ისევ ვართ, კიდევ არის იმედი, რომ აფხაზეთიც ფეხზე დადგება და ამით ქვეყანასაც დაუბრუნდება სახე. ახლა თბილისიდან რაღა გადამხვეწს, ჩემი შვილიშვილის სახლი ხომ ის არის, სადაც დაიბადა, მაგრამ ამაზე არ არის ლაპარაკი. მეც, როცა მომენატრება, ყოველთვის ვესტუმრები დედაქალაქს, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე მითხრა: ტვირთი ხარო, მაინც შემიფარა...

მაგრამ როდის მოხდება ეს?!

ზოგჯერ ვფიქრობ, უუნარო, ხელებდაშვებული რომ ყოფილიყო ჩემი კუთხის ხალხი, მაშინ რა ეშველებოდა საქართველოს? ნუთუ, საშიმშილოდ გაგვწირავდნენ?

არა, ეს ფიქრები კარგს არაფერს მოიტანს. ახლა, როცა ერთი ურთულესი ეტაპი დავძლიეთ, რაღაც ნაწილი მაინც გადავრჩით და ლტოლვილის სტატუსიც, რეალურად მხოლოდ ქაღალდზე დაგვრჩა, მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ — როგორ დავიბრუნოთ სახლი.

მე პატარა როლი მაქვს. ჩემს შვილიშვილს მივუჯდები საღამოობით, მეგრულ „ნანას“ ვუმღერებ და ამით იმ ენერგიას შევმატებ, ზოგს კუთხის ხასიათი, ზოგს — ნაკლი, ზოგს კი — ღირსება რომ ჰგონია.

საყვარელო, შენც არ იცი მეგრული? შენ ხომ წაგებული ომის ჟურნალისტი ხარ?! ესეც არ გესმის? მე გასწავლი. მოდი, ვიყვიროთ, რომ ზეცაშიც გაიგონონ: დომირთინეთ ყუდეეეე... (დამიბრუნეთ სახლიიიიიიი...)

ნახეთ, რა გამოვიდა? მონოლოგი დაკარგვის შიშთან...

*მომწერეთ: dea-palitra@mail.ru*
*ან დამირეკეთ 8.99.25.27.91.*
*ეს, თქვენი ტრიბუნაა...*

პირველად საქართველოში!
ჟურნალი ჟურნალში
ჟურნალ „გზაში“
დაელოდეთ...

# რამ დააბნია ცნობილი ერუდიტი გიორგი მოსიძე?

## მალე საქართველოში ბორის აკუნინი ჩამოვა



**ამჯერად „ერუდიტის“ სტუმარი კლუბის — „რა? სად? როდის?“ — პრეზიდენტი გიორგი მოსიძეა. ალბათ ყველას გვახსოვს 1996-2002 წლებში, ამ კლუბის მიერ ორგანიზებული სატელევიზიო თამაშები. როგორც გიორგიმ გაგვიმხილა, კლუბის წევრები, სავარაუდოდ, სექტემბრისთვის კვლავ აპირებენ ინტელექტუალური თამაშებით ეთერში დაბრუნებას. კითხვაზე — წიგნის ქურდს ქურდად თუ მიიჩნევთ? — დაუფიქრებლად მპასუხობს — ქურდია, აბა რა! — და დასძენს: — მიუხედავად წიგნის დიდი სიყვარულისა, ეს ცოდვა არასოდეს ჩამიდენია. მას თურმე ბავშვობიდანვე, მხატვრულ და სათავგადასავლო ნაწარმოებებზე მეტად, სამეცნიერო ლიტერატურა იზიდავდა. როგორც მოველოდით, ჩვენ მიერ მომზადებულ კითხვარს საუცხოოდ გაართვა თავი. მაგრამ მასში იყო ისეთი კითხვები, რომლებმაც ცნობილი ერუდიტი დააბნია...**

*თამუნა კვინიკაძე*

— **„კანონი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა. რას ნიშნავს?**

— ქცევის დადგენილ ნორმას, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა მოქალაქე. რა, სხვა რამეს ნიშნავს?

— **ბატონო გიორგი სიტყვის თარგმანი „სწორ ჯოხს“ ნიშნავს. ვინ იყო კაცობრიობის ისტორიაში პირველი მსხვერპლი?**

— აბელი.

— **საბერძნეთში, ჩინეთსა და ზოგიერთ გერმანულენოვან ქვეყანაში ეს ყვავილი გარდაცვალებასთან, დაკრძალვასთან ასოცირდება. ძველი რომაელები მიიჩნევდნენ, რომ ის ვენერას ცრემლისგან წარმოიშვა. რატომღაც, მას არაბეთში მამაკაცურობის სიმბოლოდაც მიიჩნევდნენ.**

— ვარდი?

— **დიახ. რომელი მცენარეა მისი ველური წინაპარი?**

— ასკილი. ეს ნამდვილად ვიცი.

— **თვე, რომელსაც ძველქართულად „მირკანი“ ჰქვია...**

— მარტი.

— **ამ მტაცებელი ფრინველის სახელით პატიოსან კაცსაც მოიხსენიებენ.**

— მიმინო? შევარდენი? არწივი? კონდორი? ქორი? ბუ?.. არ ვიცი, რომელია...

— **ალალი.**

— როგორც ვიცი, ალალს გურიაში თუ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონში, ქორს ეძახიან.

— **ტაილანდში არსებობს ქოქოსის კაკლის შემგროვებელთა კურსები. ვინ არიან მისი მოწაფეები?**

— მაიმუნები.

— **ამ ცხოველს თავისი ელეგანტურობით, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვითა და კაპასი ხასიათით ქალს ადარებენ. აბრაამ ლინკოლნს ასეთი ცხოველი 3, ჯორჯო არამანის კი — 6 ჰყავდა. მასთან 10-წლიანი მეგობრობა აკავშირებდა გერმანიის კანცლერს, ჰელმუტ კოლს, ხოლო ბილ კლინტონი, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ალერგია ჰქონდა, მაინც არ იშორებდა. რომელ ცხოველზეა ლაპარაკი?**

— თუ კარგად მახსოვს, კატა უნდა იყოს.

— **ნამდვილად ასეა. რას მიიჩნევდა პლატონი ყველაზე სამარცხვინო უმეცრებად?**

— ოო! ეს კი არ მახსოვს.

— **როცა გგონია, რომ იცი ის, რაც არ იცი. რას უწოდებდა ალფონს დოდე სუსტი ადამიანების რისხვას?**

— შურს.

— **ცდებით.**

— სიძულვილს?

— **დიახ. რომელ მოძრაობას მიიჩნევდა ციცერონი ორატორისთვის შეუფერებლად: ფეხზე ფეხის გადადებას, თავის კანტურს, თითების თამაშს?**

— თავის კანტურს.

— **არა. თითების თამაშს. მასონთა საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის ირგვლივ დღესაც ამდენი მითქმა-მოთქმაა, ოდესღაც ჩვეულებრივი პროფესიული კავშირი გახლდათ. ვისი?**

— ქვისმთლელთა.

— **გადმოცემის თანახმად, ისინი პირველად, მაგელანს უნახავს, და „უცნაური ბატები“ დაურქმევია. რომელ ცხოველს გულისხმობდა მოგზაური?**

— პინგვინს.

— **წყნარ ოკეანეში მოლუსკი — არისტოკრატი ბინადრობს. როგორ ფიქრობთ — რით დაიმსახურა ასეთი კეთილშობილური სახელი?**

— ცისფერი სისხლით.

— **რომელ ქვეყანას შეუძლია იამაყოს ევროპის უძველესი უნივერსიტეტით?**

— იტალიას: უძველესი უნივერსიტეტი ბოლონიაში მდებარეობს.

— **ქართველი პოეტი, რომელმაც მწერალთა კავშირში მოიკლა თავი.**

— ტიციანი? არა, არა, ტიციანი დახვრიტეს. თავი პაოლო იაშვილმა მოიკლა. რატომღაც, დავიბენი.

— **„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?**

— ლადო ასათიანის პოეზიიდან არის.

— **ვის უძღვნა „განთიადი“ აკაკი წერეთელმა?**

— შემახსენე, როგორ იწყება.

— **„მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა, მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს, თავდადებულის საფლავსა“.**

— სამშობლოს? (*პაუზის შემდეგ*) მგონი, ტყუილი ვთქვი.

— **დაფიქრდით, იგი აკაკის თანამედროვე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ.**

— დიმიტრი ყიფიანი? რატომღაც, გადამავიწყდა.

— **ვისი პოეზიიდან არის: „ყველა ღირსეულს ძეგლის დადგმა რომ ღირსებოდა, მაშინ ქვეყანა სასაფლაოდ გადიქცეოდა“?**

— ასეთი კითხვები მამუკა კაციტაძეს უნდა დაუსვათ... ვერ გეტყვით, რუსული ლექსები უფრო ვიცი.

— **იქნებ, ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვები გაიხსენოთ: „დიდებული ადამიანები...“**

— „...უძეგლოდ იკარგებიან“. ამ სიტყვებით მთავრდება „თავსაფრიანი დედაკაცი“.

— **იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი სუსტი სქესის დიდი მოტრფიალე ყოფილა. როცა რომელიმე ქალი მოეწონებოდა, მის ქმარს საიმპერატორო მამულში ნადირობის უფლებას აძლევდა, რაც დიდ პატივად მიიჩნეოდა. ვისაც ეს საპატიო ნებართვა მიეცემოდა, ამის დამადასტურებლად, მის ჭიშკარზე ირმის რქებს აკრავდნენ. სანადიროდ წასული მამაკაცის ცოლთან კი, იმპერატორი სტუმრად მიდიოდა. რომელი გამოთქმა გავრცელდა მისი მმართველობის შემდეგ?**

— ქმარს რქები დაადგაო. ეს გამოთქმა რუსულიდან დამკვიდრდა საქართველოში.

— **რა ჰქვია რომელიმე მოვლენის ან პიროვნების განდიდებას?**

— აპოთეოზი?

— **დიახ. რა ერქვა ოთარაანთ ქვრივს?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— **მგონი, დაიბენით...**

— დარეჯანი, არა?

— **არა, ბატონი გიორგი. მისი სახელი ცნობილი არ არის.**

— სახელი ექნებოდა, მაგრამ ავტორს სახელით არ ჰყავს მოხსენიებული. ისე, ეს ნაწარმოები, სკოლის დამთავრების შემდეგ აღარ წამიკითხავს.

— **კიდევ ერთ უსახელო, მაგრამ ცნობილ პერსონაჟს ხომ**



M K

ვერ გაიხსენებდით ქართული ლიტერატურიდან?**

— თავსაფრიანი დედაკაცი.

**— რა ერქვათ ელადის მონათმფლობელურ ქვეყნებში დემოკრატიული პარტიის ლიდერებს?**

— ტირანები? რა ერქვათ?

**— დემაგოგები. რა ჰქვია კომპასს ქართულად?**

— არ მახსოვს.

**— ყიბლანა. თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე თვალსაჩინო პროდუქტი ამ ადამიანმა ძილში შექმნა...**

— დიმიტრი მენდელეევი: მან ქიმიურ ელემენტთა პერიოდულობის სისტემა ძილში აღმოაჩინა.

**— დასვენებისას სირაქლემები თავს მართლაც ყოფენ ქვიშაში. რატომ?**

— რომ გაგრილდნენ.

**— არა. ისინი ნიადაგის ვიბრაციას გრძნობენ და ამ გზით იგებენ საფრთხის მოახლოებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში 7 მთა, 8 მდინარე, 10 ტბა, 120 ქალაქი და დასახლებული პუნქტი ამ ადამიანის სახელს ატარებს.**

— ჯორჯ ვაშინგტონის.

**— დაასრულეთ გაბრიელ გარსია მარკესის სიტყვები: „ადამიანმა ადამიანს ზემოდან მხოლოდ მაშინ უნდა დახედოს, როდესაც...“**

— ეს ფრაზა არ მახსენდება.

**— „...როდესაც წამოსაყენებლად გაუწვდის ხელს“. „ჩვენ ბარბაროსი შემოვუშვით ევროპაში“, — ვის შესახებ ამბობდა ჩერჩილი?**

— სტალინის შესახებ.

**— დაასახელეთ ფრანგი მწერალი, რომელიც ხელმოკლე ლიტერატორებს ქირაობდა, გარკვეულ სიუჟეტს უყვებოდა და საკუთარი რომანის რამდენიმე თავს აწერინებდა.**

— ალექსანდრე დიუმა-უფროსი.

**— ანდაზის მიხედვით, გაჭირვებულ ადამიანს აღმართში რა მიეწევა?**

— გაჭირვებულ ადამიანს ქვა აღმართში მიეწევა.

**— რა ჰქვია პატარძლის მაყარ ქალს?**

— არ ვიცი.

**— მდადე. იქნებ, ის მაინც მითხრათ, რას ნიშნავს სიტყვა „რაყიფი“?**

— ვერც მაგას გეტყვით. ეს სიტყვები დღეს ხომ აღარ გამოიყენება;

**— „რაყიფი“ სიყვარულში მოცილეს ნიშნავს. სიტყვა „თინეიჯერს“ დღეს ხშირად ახსენებენ. თუ იცით, რა ჰქვიათ ამ ასაკის ახალგაზრდებს, სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით?**

— ეს შედარებით ცნობილი სიტყვაა: თინეიჯერი — იგივე ნინველია.

**— „ჭეშმარიტი არსით იგი მოჩვენებას ჰგავს, მასზე ყველა საუბრობს, მაგრამ ცოტას თუ უნახავს“.**

— (*მაწყვეტინებს*) ეს სიტყვები ლაროშ ფუკოს ეკუთვნის.

**— გეთანხმებით, მაგრამ ამას რის შესახებ ამბობს?**

— სიყვარულის შესახებ.

**— ქურდს ბნელი უყვარს, შეყვარებულს — მთვარიანი.**

— ღამე.

**— ტრადიციულად, ქორწინების 50 წლისთავს „ოქროს ქორწილი“ ეწოდება, 25 წლისთავს — „ვერცხლის“, 5 წლისთავს კი?**

— „ხის ქორწილი“.

**— დარწმუნებული ხართ?**

— ასე მახსოვს.

**— ცდებით, ქორწინებიდან 5 წლისთავს, „ჩითის ქორწილს“ უწოდებენ, და ბოლო კითხვა — „აუცილებლად შეირთე ცოლი, თუ გაგიმართლებს, გამონაკლისი გახდები, თუ არა და...“**

— „...თუ არა და — ფილოსოფოსი“.

*გიორგი მოსიძე საქართველოში ბორის აკუნინის ფან-კლუბსაც ხელმძღვანელობს. როგორც თვითონ გვითხრა, მასში დაახლოებით 50 ფანია გაერთიანებული. ისინი ხშირად იკრიბებიან, ერთმანეთში წიგნებს ცვლიან და შთაბეჭდილებებს უზიარებენ. მაშინ, როდესაც რუსეთიდან ქართველების დეპორტაცია ხდებოდა, რუსი მილიციელები ქართული გვარის გამო (იგი გვარად ჩხარტიშვილია) მის ბინასაც მისდგომიან, რისთვისაც პუტინის საყვედური დაუმსახურებიათ: როგორ არ იცით, იგი ჩვენი ქვეყნის ცნობილი მწერალიაო! — უსაყვედურია პრეზიდენტს სამართალდამცველებისთვის... ქართული ფან-კლუბის მოწვევით, ბორის აკუნინი მალე საქართველოში ჩამოვა.*

■




# „საქმის მასალები გრიფით – „საიდუმლოა" – აცხადებს ბრალდების მხარე

### იგორ გიორგაძის მომხრეები ამბობენ, რომ ისინი გამამტყუნებელი განაჩენისთვის უკვე განწირულები არიან

**სამშობლოს ღალატში ბრალდებულ, იგორ გიორგაძის მომხრეთა ხმაურიანი სასამართლო პროცესი, რომელზეც 13 განსასჯელია წარმოდგენილი, ამიერიდან უზენაეს სასამართლოში დახურულ კარს მიღმა ჩატარდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლე მამუკა ნოზაძემ. პროცესის დახურვის მოთხოვნით, მას ბრალდების მხარემ მიმართა. განსასჯელებისა და მათი ადვოკატების პროტესტისა და ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.**

*მეგი ცანავა*



13 განსასჯელისგან პატიმრობაში 12 იმყოფება. გამონაკლისს მაია ნიკოლეიშვილი წარმოადგენს, რომელსაც აქამდე, საზოგადოება დამოუკიდებელ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტად იცნობდა. მას იგივე მუხლები აქვს წაყენებული, რაც დანარჩენებს, თუმცა პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ერთადერთი განსასჯელია, რომელმაც გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა და ჩადენილ დანაშაულში თანამზრახველებიც ამხილა. გამოძიებასთან თანამშრომლობა ნიკოლეიშვილს დაუფასეს. მასთან საპროცესო გარიგება შედგა და გირაოს გადახდის შემდეგ, ის წინასწარი დაკავების საკნიდან გაათავისუფლეს.

სხვათა შორის, პროცესის დახურვასთან დაკავშირებით, მაია ნიკოლეიშვილს, დანარჩენი განსასჯელებისგან განსხვავებით, პროტესტი არ გამოუთქვამს, რადგან მაშინ, როცა ამ საკითხზე მსჯელობდნენ, ის უკვე სასამართლო დარბაზში აღარ იმყოფებოდა: სხდომის დაწყებისთანავე, ნიკოლეიშვილმა მოსამართლეს განცხადებით მიმართა და პროცესის მის დაუსწრებლად ჩატარება სთხოვა. ამის მიზეზი, ნიკოლეიშვილის თქმით, მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაა, რის გამოც, ის სხდომებზე დასწრებას ვერ შეძლებს. ადვოკატმა მოსამართლეს, ნიკოლეიშვილის ავადმყოფობის დამადასტურებელი დოკუმენტი გადასცა. დანარჩენ განსასჯელთა დამცველებმა ამ დოკუმენტს მაშინვე ეჭვის თვალით შეხედეს და მას ფარატინა ქაღალდი უწოდეს. მოსამართლემ ნიკოლეიშვილის თხოვნა გაითვალისწინა და ის დაუყოვნებლივ გაუშვა სასამართლო დარბაზიდან. ადვოკატებსა და განსასჯელებს კი, ნიკოლეიშვილის გარეშე პროცესის ჩატარების თაობაზე აზრი მხოლოდ მას შემდეგ ჰკითხა, რაც ამ უკანასკნელმა დარბაზი დატოვა.



**ლალი აფციაური**, *ადვოკატი:*

*„ნიკოლეიშვილის ადვოკატმა მოსამართლეს რაღაც ფარატინა ქაღალდი, არაფრის მთქმელი, ვითომ დოკუმენტი უჩვენა. ამ ფურცელს არც ხელმოწერა აქვს, არც ბეჭედი, წერია მხოლოდ ის, რომ ნიკოლეიშვილი 23 მარტს შევიდა სამკურნალო დაწესებულებაში და აღნიშნული დოკუმენტი 25 მარტსაა გაცემული. ასეთი „საბუთი" კომპიუტერიდან ათასობით შემიძლია ამოვბეჭდო".*

როგორც მოსამართლემ აღნიშნა, ჯანმრთელობის მდგომარეობა აქ არაფერ შუაში იყო. მის თქმით, ნიკოლეიშვილს მან სხდომის დატოვების ნება იმიტომ მისცა, რომ ეს განსასჯელის უფლება გახლდათ. *„განსასჯელს კანონით აქვს მინიჭებული უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში; მას შეუძლია, ამ უფლებით არ ისარგებლოს",* — განმარტა მან, თუმცა ადვოკატების თქმით, მოსამართლემ კანონის არასწორი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა, თანაც — შეგნებულად...

**თეიმურაზ ჟორჟოლიანი**, *განსასჯელი:*

*„ეს სასამართლო პროცესი რომ შეკვეთილია, უკვე აშკარაა და ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ გამამტყუნებელი განაჩენიც კარგა ხანია, დაწერილია. პირველსავე წუთებიდან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლესთან წინასწარ იყო შეთანხმებული ნიკოლეიშვილის გარეშე პროცესის ჩატარება და ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლი გახლდათ".*

**კახა ქანთარია**, *განსასჯელი:*

*„რა თქმა უნდა, ნიკოლეიშვილი ცუდ დღეშია, რადგან მისთვის ამ პროცესზე ჯდომა და ჩვენთვის თვალებში ყურება აუტანელია. დარბაზში შემოსვლისთანავე ეწერა სახეზე ყველაფერი. მისი ჰაბიტუსი, საქციელი მეტყველებდა — ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ის ცრუმოწმეა..."*

**შალვა შავგულიძე**, *ადვოკატი:*

*„მიიღებს თუ არა მონაწილეობას სასამართლო სხდომებში მაია ნიკოლეიშვილი, ეს საკითხი ეხება ყველა დანარჩენი განსასჯელის ინტერესებს, რადგან სწორედ ნიკოლეიშვილია ბრალდების საყრდენი და მისი ჩვენება ამხელს ამ ადამიანებს, თითქოსდა ჩადენილ დანაშაულში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 443-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ის თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. იმავე მუხლის მესამე ნაწილში კი წერია: „სასამართლოს შეუძლია, საქმის განხილვა განაგრძოს სხვა განსასჯელთა მიმართ, ერთ-ერთის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ ეს გავლენას არ მოახდენს საქმის განხილვის ობიექტურობაზე". ვინაიდან ნიკოლეიშვილის ჩვენება ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულებაა ბრალდებისა, მის გარეშე საქმის განხილვა პირდაპირ იქონიებს გავლენას ობიექტურობაზე. ნიკოლეიშვილის მიმართ პროცესზე უნდა დასმულიყო არაერთი, აქამდე ბუნდოვანი და ჭეშმარიტების დასადგენად მნიშვნელოვანი კითხვა. ამის საშუალება განსასჯელებსა და დაცვის მხარეს მოსამართლემ, თავისი გადაწყვეტილებით, უკვე წაართვა. გარდა ამისა, ნიკოლეიშვი-*



*ლის განცხადება თავის შინაარსით, შუამდგომლობა იყო. შუამდგომლობის დაკმაყოფილებამდე (ან პირიქით, უარის თქმამდე), კანონის თანახმად, სასამართლოზე მხარეებმა უნდა დააფიქსირონ თავიანთი პოზიციები. მოსამართლემ შუამდგომლობის ყველა წესი დაარღვია და ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება“.*

ბრალდების მხარე აცხადებს, რომ ნიკოლეიშვილის აღიარებითი და მამხილებელი ჩვენების გარდა, განსასჯელთა წინააღმდეგ მტკიცებულება მრავლად მოეპოვება. საქმე ძალადობით, შეიარაღებული გამოსვლის გზით ხელისუფლების დამხობის მცდელობას ეხება. საბრალდებო დასკვნის თანახმად: 2006 წლის 4 მაისს, თბილისში, რუსთაველის გამზირის №24-ში მდებარე ოფისში, რომელიც პოლიტიკურ გაერთიანება „სამართლიანობას“ ეკუთვნოდა, აღნიშნული ორგანიზაციის თანათავმჯდომარემ — მაია თოფურიამ კრება მოიწვია. შეიკრიბნენ: ამავე პარტიის პოლიტიკური მდივანი — რევაზ ბულია, დაცვის სამსახურის უფროსი — გურამ პაპუკაშვილი, ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე — იაკობ კვინიკაძე, ახალგაზრდული ორგანიზაციის კურატორი — კახა ქანთარია, შიდა ქართლისა და აჭარის რეგიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები — გენადი (გელა) არჩვაძე და რამაზ სამნიძე, კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე — თეიმურაზ ჟორჟოლიანი, პარტია „XX საუკუნის“ თავმჯდომარე — ელიზბარ ჯაველიძე, მოძრაობა „ანტისოროსის“ ლიდერი — მაია ნიკოლეიშვილი, საქართველოს მოქალაქეები — ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე და სხვები. დასახელებული პირები, როგორც ბრალდება აცხადებს, ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვითა და იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ. მაია თოფურიამ თათბირის მონაწილეებს მიმართა და აცნობა, რომ საიდუმლო საკითხებზე იმსჯელებდნენ და კრების მიზანი და იქ გახმოვანებული ინფორმაცია გარეშე პირთათვის ხელმისაწვდომი არ უნდა გამხდარიყო, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც მათი განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ. მანვე შეკრების მონაწილეებს აცნობა, რომ იგორ გიორგაძის მიერ მიღებული იყო ძალზე რთული, მაგრამ პრინციპული გადაწყვეტილება — 2006 წლის შემოდგომაზე, ხელისუფლების დამხობის მცდელობა. შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომლის ძირითადი სტრატეგია, გიორგაძის დახმარებით, რუსეთის ფედერაციიდან მიღებული ფინანსური სახსრებით ცეცხლსასროლი იარაღისა და საჭირო რაოდენობის საბრძოლო მასალის შეძენა იყო. ამავე ფულით უნდა დაბეჭდილიყო ხელისუფლების საწინააღმდეგო, სააგიტაციო შინაარსის პროკლამაციები და გავრცელებულიყო მოსახლეობაში. მიტინგებში ჩაბმის მიზნით, აპრობირებული მეთოდებით, მათ შორის, გარკვეული თანხის გადაცემით, მოხდებოდა ადამიანების გადაბირება. შეიარაღებული დაპირისპირების თარიღამდე რამდენიმე დღით ადრე, თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოეწყობოდა მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქცია და სპეციალურად შექმნილი ჯგუფები მოუწოდებდნენ მოქალაქეებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ. პარლამენტის წინ ორგანიზებული მიტინგი გადაინაცვლებდა სახელმწიფო კანცელარიისკენ და ამ დროს, საგანგებოდ შერჩეული პირები განახორციელებდნენ კანცელარიაში შეჭრის იმიტაციას. როგორც ბრალდების მხარე აღნიშნავს, ამის საპასუხოდ, იგორ გიორგაძის კონტროლს დაქვემდებარებული, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მუშაკები, თითქოსდა, შენობაში შეჭრის მომხრეთა შეჩერების მიზნით, ცეცხლს გაუხსნიდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს. ბრალდების თანახმად, მაია თოფურიამ თავის ოფისში შეკრებილთ განუმარტა, რომ ეს ფაქტი ანუ ხელისუფლების მიერ უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა ერთგვარი ბიძგი იქნებოდა მასშტაბური ამბოხის, მასობრივი არეულობისა და სახალხო მღელვარების დასაწყებად. სამართალდამცველთა ინფორმაციით, აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა, წინასწარ შერჩეული და გადაბირებული 100-მდე კაცის შეიარაღებას, რომლებიც ძალისა და იარაღის გამოყენებით, დაიკავებდნენ სახელმწიფო კანცელარიას, საქართველოს პარლამენტს, სხვა სამთავრობო დაწესებულებებს, ხელში ჩაიგდებდნენ სატელევიზიო ანძას და იზოლაციაში მოაქცევდნენ პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს; სიცოცხლის ხელყოფის მუქარით აიძულებდნენ თითოეულ მათგანს, გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. ბრალდების თანახმად, აღნიშნული გეგმა, თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრების ლიკვიდაციასაც ითვალისწინებდა. ბრალდების მხარის მასალებში ისიც წერია, რომ მაია თოფურიამ თათბირის ყველა მონაწილეს დაავალა, შეერჩიათ ერთგული ადამიანები, რომელთაც გეგმის განხორციელებაში დახმარებისთვის 3.000-დან 5.000 დოლარამდე (თითოეულს) გადაუხდიდა. ბრალდების მხარის მტკიცებით, გეგმის შემუშავებასა და მის განსახორციელებლად წამოწყებულ საქმიანობაში, დასახელებული ადამიანების გარდა, გამოძიებით დაუდგენელი პირებიც იყვნენ ჩაბმული. როგორც ამბობენ, მათ გამოსავლენად და დასაკავებლად, საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები ამჟამადაც ტარდება. რაც შეეხება დასახელებულ პირებს, — სპეცოპერაციის შედეგად, ისინი დააკავეს და აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდეს.

ზემოთ აღნიშნულ ბრალდებაში — სამშობლოს ღალატსა და შეიარაღებული გზით ხელისუფლების დამხობის მცდელობაში არც ერთმა განსასჯელმა, გარდა მაია ნიკოლეიშვილისა, თავი დამნაშავედ არ ცნო.

სასამართლო პროცესის დახურვის აუცილებლობა ბრალდების მხარის წარმომადგენლებმა, საქმეში დაშიფრული მოწმეების („რომეო“, „თამარი“, „ნინო“ და სხვები) არსებობით ახსნეს. როგორც აღნიშნეს, საჯარო სასამართლო პროცესზე ამ მოწმეების დაკითხვა და მათი ვინაობის გამოაშკარავება მათ ჯანრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის. გარდა ამისა, ბრალდების მხარის თქმით, საქმეში დევს მასალები გრიფით — „საიდუმლო“, რომელთა ღია სხდომაზე გამომზეურება სახელმწიფო ინტერესებისთვის მიზანშეწონილი არ არის.

ბრალდების მხარის აღნიშნულ მოტივაციას განსასჯელებმა და მათმა ადვოკატებმა აბსურდული უწოდეს. მათი თქმით, საქმეში რეალურად, არაფერი წარმოადგენს განსაკუთრებულ საიდუმლოს და არც რომელიმე მოწმეს ელის საფრთხე ვინმეს მხრიდან. დამცველები აცხადებენ, რომ სხდომის დახურვა თავიდანვე დაიგეგმა, რათა სასამართლო პროცესი ბრალდების გავლენით წარიმართოს, საზოგადოებას კი, რეალობის აღქმის საშუალება არ მიეცეს. მოსამართლის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო ადვოკატებმა მისი აცილების საკითხიც დააყენეს, მაგრამ მათი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. პროტესტის მიუხედავად, მომავალი სასამართლო სხდომა და აღნიშნული საქმის არსებითი განხილვა უკვე დახურულ კარს მიღმა გაგრძელდება. ■





# გურამ დოჩანაშვილი თეატრში მოვიდა

თუ ქარი გარეთ აეროპორტს თავს ხდიდა, სცენაზე ეკლესიას სახურავს აფარებდნენ...

**სწორედ ის დღე იყო, გარეთ ძლიერი ქარი რომ ამოვარდა და თურქული ფირმის „ტავი და ურბანის“ ჰარი-ჰარალეთი აშენებულ და ზარ-ზეიმით ჩაბარებულ აეროპორტს თუნუქის სახურავი ბატისტის ცხვირსახოცივით რომ გადაუფრიალა მრავალგზის შექებული თავიდან. შებინდებისას ქუჩაში თითქმის არავინ დარჩა. ხალხი თავის „ასანთის კოლოფში“ თუ ახლებურ ციხესიმაგრე-სასახლეში შეიკეტა... მაგრამ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში შუქ აინთო, ქარისგან წონასწორობადაკარგული ადამიანები თითქმის სირბილით მიდიოდნენ თეატრში, სადაც სცენაზე გურამ დოჩანაშვილის „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზას“ მიხედვით დადგმული „ჰარალეთი... ჰარალეთი“ ელოდათ. მოგრუხუნე სტიქას არ შეუშინდა მაყურებელი, რომელიც სულაც არ მიიჩნევდა განსაკუთრებულ ვაჟკაცობად იმ საღამოს თეატრში სტუმრობას. არც ქარის წისქვილებთან მეომარი რაინდები იყვნენ, არც ცხრათავიან დევთან მებრძოლი გმირები. ჩვეულებრივი ჩვენებურები იყვნენ, იქნებ ჰარალეთელებიც, ვისთვისაც ნებიერად, ქართული არხეინობით ხის ძირში წამოწოლა სულაც არ არის უცხო.**

ლელა ჩიყაშვილი

სცენაზე პარმენა დვალი და პაპიკო ლოთი, ბუჭუტა და ტერეზა, ვერიკო და სამსონა იდგნენ... ხუმრობა ხომ არ არის, უცხოურზე დაფეთებულ დღევანდელ საქართველოში უცხოეთში განავარდებული კაციც კი „დიდ“ კაცად რომ გვიბრუნდება ყოველ ცისმარე, ჩვენი სისხლი და ხორცი ნახო სცენაზე, მისი „გადეფიციტებული“ უბრალოებითა და გულუბრყვილობით დატკბე.

ამგვარად, გურამ დოჩანაშვილი თეატრში მოვიდა!

იმ დღესაც ვერ ახშობდა ქარის ღმუილს თეატრის კედლები, უნებურად შეგვაკრთობდა ხოლმე. ბატონი გურამი მეშვიდე რიგში იჯდა, მეცხრე ადგილზე და ვიდრე შუქი ჩაქრებოდა, სწორედ ეს რიგი და ეს ადგილი იყო მაყურებელთა ყურადღების ცენტრში. ჩვენი ქვეყნის ცენტრიც რომ ყოფილიყო, გაგიკვირდებოდათ? იმ საღამოს, იმ წუთებში თეატრში იყო კაცი, რომელსაც ქართული „სიტყვა სჭირდა“ და ჩვენც, ყველას, ცოტა მაინც ხომ გვიწიწკნიდა გულს ეს შეგრძნება.

სცენაზე, ხელმარცხნივ „ჰარალეთი... ჰარალეთის“ დამდგმელმა მხატვარმა თამაზ ხუციშვილმა ჩვენებური ეკლესიის მაკეტი დააბრძანა, რომელსაც სახურავი თავზე კი არ დაადგა, გვერდით მიუდო... რასაკვირველია, დროებით, იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, ლხინის შემდეგ გამოფხიზლებულმა ჰარალეთელებმა აუცილებლად უნდა გადახურონ ეკლესია, რომ წვიმა არ ჩავიდეს, ფრესკები არ ჩამოირეცხოს.

რატომ არის „ჰარალეთი... ჰარალეთი“ ასეთი მნიშვნელოვანი, ამაზე ერთი კი არა, რამდენიმე პასუხი მაქვს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გურამ დოჩანაშვილი თეატრში მოვიდა. მერე მის ირგვლივ შეიკრიბნენ ძველი მეგობრები — თამაზ ხუციშვილი (მხატვარი), გიორგი ჩლაიძე (კომპოზიტორი), ნუგზარ ბაგრატიონი (რეჟისორი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ბატონი გურამის ახლო ნათესავიც გახდა: დიდმა მწერალმა შვილიშვილი მოუნათლა მეფე ერეკლეს ჩამომავალს)... სცენაზე კი მსახიობები იდგნენ, რომლებსაც ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, მაგრამ მაინც „სიტყვა სჭირდათ“, სიტყვა უყვარდათ.



...გურამ დოჩანაშვილი ღელავდა და ბედნიერიც იყო, მისი სიტყვა ისმოდა სცენიდან

***„მთავარი ისაა, რომ კაცია საჭირო, მაგრამ ის კაცი მარტო მე კი არ მინდა, ყველას გინდათ“***

ბუჭუტას როლს გია როინიშვილი თამაშობს. თვითონ ცხოვრებაში „ბუჭუტას“ არ შეხვედრია.

**გია როინიშვილი:**

— ალბათ იმიტომ, რომ რეალურად ასეთი ადამიანები არ არსებობენო. არ არის ამქვეყნიური კაცი ბუჭუტა. ის ბიბლიური სულისა და იმ იდეოლოგიის მატარებელია, რომელსაც ცხოვრებაში ვერ ვატარებთ... ნამდვილი ტერეზა არ შემხვედრია, მაგრამ უხეშ ძალას დავპირისპირებივარ და ვიცი, ეს რაც არის. თითქმის მთელი ცხოვრება ასეა. მოძალადე შეიძლება იურიდიული პირიც იყოს, კერძო პირიც. მე ვერ ვიტყვი, ვიმარჯვებდი-მეთქი. ბევრჯერ გავლახულვარ ამ ბრძოლაში — რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით. მტკენია კიდეც, ზოგჯერ გამიმარჯვია. ჯერჯერობით ცოცხალი ვარ. სიცოცხლე მხოლოდ ფიზიკური არსებობა არ არის, გონების მუშაობას ვგულისხმობ. ვისი გონებაც არ მუშაობს, ის არც ცოცხალია.

...გურამ დოჩანაშვილი ღელავდა და ბედნიერიც იყო, მისი სიტყვა ისმოდა სცენიდან.

ღმერთმა ქნას, სიტყვა გვაწვალებდეს, სიტყვა გვჭირდეს... და, იცი, როდის ვიქნებით გამარჯვებული? — როცა ჯეჯილი ათავთავდება...

*„დიდრონ-დიდრონი ქალაქები აშენდა ქვეყნად — რომი, ბაბილონი, პომპეა და რიოდე-ჟანეირო და ქალაქებში ისე ცხოვრობდა ახალი ხალხი, უკეთ ცხოვრებას რომ ეძახიან რატომღაც, ძმებო, ხოლო ქალაქში, კოხტად მოკირწყლულ შუშაბანდებში ჯეჯილი რომ ვერ ათავთავდება, — მოგეხსენებათ!“*

დღევანდელ თბილისს რომ გადავხედავ, ის ანცი გოგო მახსენდება, „ქაჯანაში“ რომ ხატს ამოეფარება და — წადით, წადითო, — გაიძახის. ვიცი, ეს აქ მოსატანი ამბავი არ არის, მაგრამ ასე ჩაძეძგილ ქალაქში თვითონაც არ ვიცით, რა უნდა დავიძახოთ, რომ ვიღაც მიხვდეს, სად ეძებს და სად უნდა ეძებდეს სიმშვიდესა და სიყვარულს.

— აღშფოთებული თუ მინახავს ბატონი გურამი? — ჩემს კითხვას იმეორებს რეჟისორი **ნუგზარ ბაგრატიონი**, — მინახავს... იმის გამო, რაც ხდებოდა ჩვენ გარშემო. ახლაც არ არის ყველაფრით აღტაცებული... საერთოდ, მეტად კეთილი და რბილი პიროვნებაა. ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა მამამ, როგორც მშობელმა და მეგობარმა, ჩემმა პედაგოგმა — მიხეილ თუმანიშვილმა და ბატონმა გურამ დოჩანაშვილმა... ვგრძნობ, ბატონი გურამი ახლაც უდიდესი სიყვარულით იხსენებს ქალაქგარეთ გატარებულ დღეებს, ქვიშხეთს, სადაც „სამოსელი პირველი“ დაამთავრა და — არ ვიცი, რა ძალამ ამაგდო, ყირამალა გავაკეთეო. სახლი აზანზარდა და დიასახლისს მიწისძვრა ეგონა, შეშინებული გარეთ გავარდაო. ბატონი გურამი ზედმიწევნით იცნობს საქართველოს, ყოველ კუთხე-კუნჭულს, კილოკავებს და ბუნებას. ახალგაზრდობაში ხომ არქეოლოგებს დაჰყვებოდა. ყველაფერს ხომ ამაზე წერს, ყველგან ქალაქგარეთ გასვლაა და მიწის სიყვარული — „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“, „მერომელიღაცა მიხეილი და კიდევ ორნი“ თუ „ჩვენი ბუჭუტა, ჩემი ტერეზა“, ოღონდ ყველა გაიყვანოს, აჩვენოს, დაანახვოს, ასაზრდოოს იმით, რაც ჯერ კიდევ

შემორჩენილა... ჩემდა საბედნიეროდ, ზოგჯერ მიამბობს თავის მოგზაურობაზეც...

***„პატარა კაცი ბუჭუტა ჰყვებოდა, რომ ყველაფერი, რაც მართალია, კარგია, უფასოდა გვაქვს. ესაა ჰაერი... წყალი... ნიადაგი... მზე“***

— ის პერსონაჟი, მე რომ ვთამაშობ, ერთადერთხელ არის მოხსენიებული — ლუიზა თუშაბრამიშვილი. სხვა არაფერი წერია, — მეუბნება შინაბერა, ჯოხივით ხმელი ლუიზასგან სევდიან **რუსიკო ბოლქვაძედ** გადაქცეული მსახიობი, რომელსაც ისევ მოჰყვება სცენაზე განცდილი, უფრო სწორად, „სჭირს“.

— მერე გავიგე, ქალბატონი ლუიზა თუშაბრამიშვილი, ჩემი მეგობრის, ნიკა თუშაბრამიშვილის მამიდა ყოფილა, ბატონი გურამის ახლობელი და მისთვის უთხოვია უფლება სახელის და გვარის მოთხრობაში გამოყენებისა. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ნიკას მამიდა უნდა მეთამაშა!.. ქალებს მოთხრობაში საერთოდ, ნაკლები დატვირთვა აქვთ. გამოვიყენეთ ბატონი გურამის სხვა მოთხრობებიდან სცენები, დიალოგები... ასე შეაკოწიწა ბატონმა ნუგზარმა როლი. რეპეტიციების დროს იმდენად დაკავებული არ ვიყავი, სამაგიეროდ, მქონდა ფოტოაპარატი და ვიღებდი. ყველაზე კარგი გადასაღები ბატონი ნუგზარი იყო. როცა მსახიობს უყურებდა და უსმენდა, მასთან ერთად თამაშობდა. მეშინოდა, ჩემი ჩხაკუნით არ შევაშინო-მეთქი. გაუძლო... მაგრამ ერთხელ კი მაგრად მეჩხუბა. პაუზის დროს ვიღებდი. აივანზე ვიდექი. რეჟისორი თურმე ქვევით იჯდა და მეძებდა, რაღაც შენიშვნა უნდა ეთქვა. ამომხედა, რაღაცას მეუბნებოდა. ამ დროს დავიწყე გადაღება. დამიცაცხანა: — ჯობია, როლზე იფიქროო! როლზე ვფიქრობდი... სტუდენტობა გამახსენდა. ქალბატონი ლილი იოსელიანი „მოკვეთილის“ ფრაგმენტებს გვადგმევინებდა. ტექსტი მქონდა: „ვაიმე, ჩემო ნისლებო“, — უნდა მეთქვა. ისე ვამბობდი, უგრძნობლად. ამიხსნიდა ქალბატონი ლილი. გაიგეო? გავიგე-მეთქი. შენ აქ გაიგეო, — შუბლზე მიიდებდა ხელს, — მე კი მინდა გულით გაიგოო. იმ ზაფხულს წავედი სვანეთში. მანამდე მთა არც მქონდა ნანახი... ნისლიც ვნახე. რომ ჩამოვედი, სულ სხვანაირად გათბა ჩემთვის სიტყვები და აფსუს, ჩემო ნისლებო-მეთქი, — დავიძახე.



თეატრში კიდევ იცი, რა გვაქვს? — მიღიმის რუსიკო ბოლქვაძე — როიალი, რომელიც „ვატერ(პო)ლოოში“ იდგა

ბუჭუტა თუ გია როინიშვილი ციცქნა საგრიმიოროში იმ ფანჯრის პირდაპირ ზის, ჩვეულებრივ ქალაქურ სურათს რომ გადაჰყურებს. „მზე ხომ გვაქვს უფასოდ?! წყალიც, ჰაერიც... ნიადაგზე რა გითხრათ, მგონი, მართლა აღარსადაა უფასოდ. თუმცა რა, დანახვა ხომ მაინც შეგვიძლია. თვალით კი ყველაფერი შეგვიძლია შევიძინოთ“.

გია კარგა ხანია, ქალაქგარეთ არ ყოფილა, თუმცა სიჩუმეს აქაც ვუსმენო და ღია ფანჯრისკენ მიმითითებს: — აქედან ხომ ხედავ პეიზაჟს? თავისუფლებისათვის აუცილებლად ქალაქგარეთ გასვლა არ მჭირდება. ამ ყველაფერს ვუყურებ და მჯერა, სადაც ხარ, იქ უნდა ეძებო შენი ლამაზი ხეც, მთაც, მზეც და თან უნდა ატაროო. იქნებ ერთი ბუჭუტა თქვენც გჭირდებათ-მეთქი. გაიცინა. ალბათო... ბუჭუტა ყველას გვჭირდება, თვითონ ბუჭუტასაც კიო... ღია ფანჯრიდან მტვრიანი ნაძვი ჩანდა.

***„ — როგორ იქცევა? — იკითხა მიჩინომ...***

***— მშვენივრად — ტირის... — თქვა პოლკოვნიკმა. — რამდენი ხანია, ცრემლი აღარ მინახავს. ვიღას აატირებ ახლანდელ დროში...“***

როდის შეიძლება იტირო? ყოველთვის, როცა მოგესურვება, მთავარია, იცოდე, რაზე ტირი... **რუსიკო ბოლქვაძე** „დოჩანაშვილისტია“ — მისი მკითხველი და ყველაზე დიდი თეატრალური შთაბეჭდილებაც „ჭინჭრაქას“ შემდეგ, „ვატერ(პო)ლოოთი“ მიიღო. „დრამატურგიაში სიტყვამ უნდა გაცალოს მსახიობს, ლიტერატურაში — პირიქით, სიტყვა იტევს ყველაფერს“, — ამბობს რუსიკო და იხსენებს „ჰარალეთი... ჰარალეთზე“ მუშაობის დაწყებას:

— რეპეტიციაზე ძალიან გაღიზიანებული ვიყავი. ერთხელ ვუთხარი ბატონ ნუგზარს — ძალიან რომ ვბრაზდებოდი, ვიხსენებდი, რომ თქვენ „ვატერ(პო)ლოო“ დადგით და ამან „გადაგარჩინათ“-მეთქი. არც ერთი სპექტაკლი არ გამიცდენია, თუმცა მე არ ვთამაშობდი. მაშინ ჩვენ მორიგეები გვყავდა, დასხდებოდნენ, სპექტაკლს უყურებდნენ და დიდ ჟურნალში შენიშვნებს ჩაიწერდნენ, ზოგს — დადებითს, ზოგს — უარყოფითს.

ის ჟურნალი რემონტს გადაჰყვა... მახსოვს, ორჯერ მორიგე ვიყავი, სპექტაკლს აივნიდან ვადევნებდი თვალს. იქ დავმეგობრდით მე და ბატონი გურამ დოჩანაშვილი. რამდენჯერმე მითხრა: ჩაწერე, რა, ჩაწერე, ნახე, რა კარგი იყო პაატაო (ბარათაშვილი). მეც ჩავწერდი: „პაატა, ყოჩაღ, კარგი ხარ! (ბატონი გურამი გეუბნება)“. ბატონ გურამს სულ რაღაცნაირი სველი თვალები აქვს...“

*„აღარც კი ვიცი, რა გირჩიოთ, ძველებურად ყოფნა თუ შეცვლა, თუ, რა ვიცი, თქვენ დამაბნიეთ ნამდვილად“*

— ბატონი გურამი ხან ისეთ სიტყვას მოიგონებს, რომ მგონია, სულ მესმოდა ეს სიტყვა. ასე იყო, როცა „ძალიან დიახ“ წავიკითხე. სხვაგან დაუნაწევრებიათ ასე „ძალიან, დიახ...“ არადა, ეს არის „ძალიან დიახ“, და ისეთი ფერი აქვს, არ უნდა დაკარგო, — ხმამაღლა ფიქრობს ნუგზარ ბაგრატიონი...

ძველად, რამდენჯერაც ტელევიზიაში გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა დადგა, იმდენჯერ უთხრეს: — ამის გაშვება არ შეიძლებაო. თუმცა, „იოჰან სებასტიან ბახიც“ და „ძნელიც“, ბოლოს და ბოლოს, ეთერში გავიდა...

ეჰ, რამდენი ასეთი ყოფილა. უფრო ადრე უფრო ძველი ამბები ხდებოდა...

გია როინიშვილის საგრიმიოროში იმ ძველებსაც გადავწვდით: დღეს სად ნახავ ნამდვილ ეგვიპტელს, ნამდვილ ბერძენს. საოცარი არ არის, რომ 3 ათასი წლის ახალგაზრდა ქართველი კიდევ დადის დედამიწაზე? არ ვლაპარაკობთ სპარსულად, თურქულად, რუსულად... შარდენი, ჩვენში მოგზაურობის შემდეგ წერდა, — ქორწილში ვიყავი და 500-კაციან ლხინში უფრო დიდი სიწყნარე იყო, ვიდრე საფრანგეთში სამი ფრანგის ქეიფშიო...

იქნებ ეს გვაქვს დასაბრუნებელი...

— და თუ ყველა ქართველს ისევ ჰგონია, რომ თამარის საფლავი მის სოფელშია? —



როდის შეიძლება იტირო? ყოველთვის, როცა მოგესურვება, მთავარია, იცოდე, რაზე ტირი...

ვეკითხები ღიმილით.

— ეგონოს მერე... უფრო სწორად, უნდა ეგონოს.

სცენაზე დიდი დოქი იდგა, „დოჩანა“ ეწერა. აი, მაგ დოქით შემოტანილ საფერავს დაგაჭაშნიკებინებდით ყველას დიდი სიამოვნებით. იქნებ ეს დროც დადგეს.

— თეატრში კიდევ იცი, რა გვაქვს? — მიღიმის რუსიკო ბოლქვაძე — როიალი, რომელიც „ვატერ(პო)ლოოში“ იდგა. ის ხან აფრედერიკის საწერ მაგიდად გადაკეთდებოდა, ხან კარმენი ამოდიოდა იმ როიალიდან, როგორც ზღვის ქაფიდან, ხან ეტლი იყო, რომელიც მაესტროს რომ გაუფუჭდა და ბესამეს შეხვდა. ეს როიალი ახლა ჩვენთან, სადეკორაციოშია და იქ, სადაც მარკა უნდა ეწეროს, „დოჩანაშვილი“ აწერია“.

***„ჩემი ჰარალეთი... ჩემი ქალაქი, მიხვეული, მოხვეული, მთებშუა ზვავად ჩავარდნილი თავისთვის იდგა, ვის უშავებდა რამეს“***

მერე რა, თუ „ჰარალეთში“ ყველაფერი ისე არ არის, საქმეში კარგად ჩახედულ თეატრმცოდნეს რომ მოეწონება. ხან სცენაა ცოტა გაჭიანურებული, ხან — გადაბმაა სუსტი, ხან სიყვარული აკლია პერსონაჟს (იქნებ იმიტომაც გვხვდება თვალში, რომ სიყვარულით სავსე და მძივად აკინძული უკვე წაკითხული გაქვს). ეს ნაკლებმნიშვნელოვანია, რადგან სცენაზე ჩემი ჰარალეთი იყო... ჩემი ქალაქი, მიხვეული და მოხვეული, მთებშუა ზვავად ჩავარდნილი და თუ გარეთ ქარი თავს ხდიდა ევროპული დონის ახალ აეროპორტს, აქ სცენაზე ეკლესიას სახურავს აფარებდნენ... ■



# „ვიცოდი, რომ ჯალათები ზაზასგან მაინც მიიღებდნენ აღიარებით ჩვენებას"...

**ჩვენი რეალური რომანის გმირმა ამ კვირაშიც უამრავი გამოხმაურება მიიღო. ზოგიერთი მკითხველი მას სიტუაციიდან გამოსავალს უკარნახებს, ზოგი უბრალოდ, თანაუგრძნობს, ზოგიერთს კი ვერც მისი წამების სცენამ მოულბო გული და ბოლმით სავსე მესიჯს გზავნის.**

„როცა ზაზას ამბავს ვკითხულობ, სულ ვტირი. რა უსამართლოა ეს ცხოვრება, არა? იმედია, ამ ამბავს კარგი დასასრული ექნება. ბუბუ".

„ეეეჰ, ჩემო მარი, ნეტავ იცნობდეთ ზაზას, როგორი კეთილშობილი ბიჭია. ციხე და მე".

„ზაზა, ბიჭო, 12 წელი გისრულდება 29 მარტს, გისოსებში. მიკვირს, როგორ ხარ კიდევ ასეთი სულგრძელი. ცოტაც და მალე გარეთ იქნები, მჯერა, მჯერააaa!"

„მარი, ზურა და ნატალი არ მომწონდა, მათ სახელზე მოსული გამოხმაურებებიც მაღიზიანებდა. „სიცოცხლემისჯილი" კი სულ სხვა საქმეა. ეს უკვე სერიოზული ამბავია. მით უმეტეს, ჩემთვის. მე ხომ სწორედ ამ სამართალდამცავი სტრუქტურების ჭაობში ვაპირებ შესვლას. რა კარგი იქნებოდა, უკვე ჩამოყალიბებული ადვოკატი რომ ვიყო... აუცილებლად შევისწავლიდი ზაზას საქმეს და თუ შესაძლებელი იქნებოდა, ხელახლა გადავცემდი სასამართლოს. კანიბალკა".

„ახლა „რეალურს" ვკითხულობდი. გული მეტკინა. სად არის საზოგადოების მხარდაჭერა? ნუთუ, ჩვენთვის ვიღაც 2 ადამიანის სიყვარულის ამბავი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უდანაშაულოდ დასჯილი ადამიანის ბედი? სირცხვილი „მგზავნელებს"! ვიცი, ეს არ დაიბეჭდება, რადგან გვიანია, მაგრამ იქნებ, შემდეგისთვის გაითვალისწინოთ. მარის ნათლული".

„დავიწყე ამ საწყალი, უდანაშაულო ადამიანის, ზაზას ამბის კითხვა. ეს ჩემთვის უცხო არ არის. ჩემი ქმარიც უდანაშაულოდ გამოამწყვდიეს ციხეში. კაცი, რომელიც სულ სიკეთეს თესავდა... ეს ხომ სახელმწიფო არ არის! რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი?! ეს რეალობაა, რაც ზაზას თავს ხდება. პატიმრების ნახევარზე მეტი უდანაშაულოდ იტანჯება ციხეში, ნამდვილი დამნაშავეები კი რბილ სავარძლებში სხედან და ქვეყანას განაგებენ. აღარ მინდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება".

„ძალიან განვიცდი ზაზას ამბავს. ძნელია, როცა ცდილობ, შენი უდანაშაულობა დაამტკიცო და არ გამოგდის. საშინელებაა. როგორც ვატყობ, მას კარგი პატრონიც ვერ უშველიდა. ისღა დარჩენია, მოთმინებით აღიჭურვოს და დაელოდოს, როდის დამთავრდება მისი ტანჯვა".

„როცა ამ ამბავს კითხულობ, ძნელია არ აღშფოთდე. თანაც, ისეა აღწერილი ყველაფერი, რომ როცა კითხულობ, იმ წუთში იქ ხარ, ზაზასთან ერთად, საკანსა თუ საწამებელ ოთახში, სული გეხუთება და თითქოს, ისეთსავე ტკივილს განიცდი. კითხვას რომ ამთავრებ, მაშინღა ამოისუნთავ შვებით და კიდევ ერთხელ გადაიკითხავ... ზაზას გამაგრებას ვუსურვებ, რომანის ავტორს კი — უამრავ ახალ იდეას".

„მესამე ნაწილის დასასრულმა გადამრია. ალბათ, ახლა ნიკა ტატიშვილი შეშინდება, რომ არ დაიჭირონ და ხელს დაადებს იმ ადამიანს, ვისზეც გამომძიებელი მიუთითებს. ეს კი საბრალო ზაზა იქნება და ასე დაუმტკიცებენ დანაშაულს. ნიკა ასე არ უნდა მოიქცეს, პატარა ბიჭმა ამხელა ტყუილი არ უნდა თქვას და ასეთი დიდი ცოდვა არ უნდა აიკიდოს. ახლა გამოჩნდება, ვაჟკაცია თუ ლაჩარი".

„ვიცოდი, ვიცოდი, რომ ჯალათები ზაზასგან მაინც მიიღებდნენ აღიარებით ჩვენებას ან ამდენ წამებას როგორ გაუძლო? კარგა ხანს უძლებდა მათ შემოტევას და ბოლოს, დანებდა. რას იზამ, ალბათ, ყველანი ასე მოვიქცეოდით".

„ეს რა თავგადასავლები ჰქონია ამ კაცს? იქ ყაჩაღებს მანქანა წაურთმევიათ, აქ მკვლელობა დააბრალეს... ალბათ, ასეთ ვარსკვლავზეა დაბადებული. როცა ადამიანს იღბალი არ გაქვს, ცხოვრებისგან ყველაფერს უნდა ელოდე. ზაზა კარგი ადამიანი ჩანს. ნეტავ, როგორ დამთავრდება მისი ამბავი? მარი, კარგად უნდა დასრულდეს, თორემ, გავგიჟდები".

„ისე, ყველაზე მაგარი რა იქნება, იცით? რომანის დასრულებამდე ზაზა ციხიდან რომ გამოვიდეს. მარი, მაგარი დასასრული გექნება მერე, არა? აუფ, ნეტა, ციხეში რომ მიხვიდე და ზაზასთან ინტერვიუ ჩაწერო, არ შეიძლება? მარი, შენ არ გაინტერესებს, შენი რომანის გმირთან შეხვედრა?"

„როგორც თვითონ მთავარი გმირი ამბობს, მას თურმე, თემურ მღებრიშვილთან უმუშავია, „სპეცნაზში". თემურის ბიჭები კი რას არ სჩადიოდნენ. ზაზასაც ბლომად ექნება ცოდვა აკიდებული და ახლა სამაგიერო ეხდება. როგორ ფიქრობთ, დაუმსახურებლად მოუვლინა განგებამ მას ასეთი განსაცდელი? კარგად დაფიქრდეს და მის თავზე დატრიალებული უსამართლობის მიზეზს თავისსავე წარსულში იპოვის".

„მარი, იცი, რა მაინტერსებს? შენ ვინ გიყვება ამ ამბებს? საიდან იცი ასე დაწვრილებით? ისე, მაგარია, საქართველოში ალბათ პირველი რომანია, როცა რეალურ ადამიანზე ასე ღიად წერენ რაღაცას. თუმცა, პირველი არა, პირველი ნატალის და ზურას ამბავი იყო. ეს მეორეა. მაგარია... ნეტავ, სხვაგან თუ არის ამის პრაქტიკა?"

„ზაზას ვურჩევ, რომ ეკლესიური გახდეს, თუ რა თქმა უნდა, ჯერ არ არის. მას უფალი დაიხსნის ყველა განსაცდელისგან. ჯვარი და ხატი იწამოს და ყველაფერი კარგად იქნება".

„ზაზა, შენს ამბავს მთელი საქართველო კითხულობს და გგულშემატკივრობს. მე ვიცი ბევრი ჩემი ახლობლის აზრი. ყველა შენს მხარესაა. შენი ამბავი ირჩევა სამსახურებში, მაღაზიაში, ტრანსპორტში და თითქმის ყველგან, სადაც „გზას" კითხულობენ. როცა გარეთ გამოხვალ, იმედია, მარის ერთ ინტერვიუს არ დააამადლი".

„მე ყველაზე მეტად ის მაინტერესებს, თვითონ ზაზა თუ კითხულობს თავის ამბავს და რას ფიქრობს? მოსწონს თუ არა? ნეტავ, როგორი შეგრძნებაა, როცა შენს თავგადასავალს ჟურნალში კითხულობ? ალბათ, ძალიან მაგარია, არა?"

„ზაზას ალბათ ყველაზე მეტად თავისი შვილები ენატრება. ვიცი, რომ ახლა პატიმრებთან ოჯახის წევრებს ისე ხშირად აღარ უშვებენ და ალბათ, თვეში ერთხელ თუ მოახერხებს ბავშვების ნახვას. არადა, ჩანს, რომ ძალიან უყვარს შვილები. ახლა ნათია და გიორგი უკვე დიდები იქნებიან და დარწმუნებული ვარ, მამას ვაჟკაცურად უდგანან გვერდით და უმსუბუქებენ დარჩენილ დღეებსა თუ წლებს. ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ზაზაა, ყველზე მთავარი ოჯახური სითბო და სიყვარულია".

„დარწმუნებული ვარ, რომ რასაც მარი წერს, აბსოლუტური სიმართლეა, რადგან ვიცი, მართლაც ცუდი სიტუაცია იყო სამართალდამცავ სტრუქტურებში. არც ახლაა იმაზე უკეთესი სიტუაცია, მაგრამ ახლა ოფიციალურად გადაიხდი ფულს და გარეთ ხარ, მაშინ კი ქრთამს მისცემდი და მაინც გიჭერდნენ".

„საშინელებაა, ზაზას ადგილზე ყოფნა, როცა იცი, რომ ვერაფერს გახდები. ზაზა, იქნებ გეცადა და ახლანდელი მთავრობისთვის მიგემართა, იქნებ შეისმინონ შენი სიმართლე და გაგათავისუფლონ?"



**1995 წლის 29 დეკემბერს საკუთარ სახლში, შვილის დაბადების დღეს დააპატიმრეს პოლიციელი ზაზა ჩუთლაშვილი. ის მცხეთის პოლიციაში მიიყვანეს და იმავე ღამეს წაუყენეს ბრალი 2 ადამიანის მკვლელობაში. ზაზა ცდილობს, პოლიციელები დაარწმუნოს, რომ დამნაშავე არ არის, მაგრამ სამართალდამცველები მას საშინლად აწამებენ, რის შედეგადაც, მესამე დღეს მისგან აღიარებით ჩვენებას მიიღებენ. მკვლელობის მოწმე გახლავთ არასრულწლოვანი ნიკა ტატიშვილი, რომელსაც მოწმის სტატუსი ეჭვმიტანილის სტატუსით შეუცვალეს და დააპატიმრეს. ამბის თხრობას სწორედ იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როდესაც ნიკას დაკითხვა დის თანდასწრებით ხდება.**

*დასაწყისი იხ. „გზა“, №10*

## მარი ჯაფარიძე

— როგორ, ნიკას შინ არ გამოუშვებთ? — იკითხა დამ.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, მკვლელობის ყველა გზა ნიკასთან მიდის. ეს არის სამი ადამიანიდან ერთადერთი, ვინც ცოცხალი გადარჩა. წარმოიდგინეთ, მეტყევის ქოხში 3 ადამიანია, იქიდან 2 მკვდარია და ერთი ცოცხალი. ვინ მოკლა ის ორი? რა თქმა უნდა, მესამემ. ეს ხომ ძალიან მარტივია.

— არა, ჩემი ძმა ამას არ იზამდა. მან იარაღის ხმარებაც არ იცის. თანაც, სულ მთლად ბავშვია, რატომ უნდა მოეკლა ის ადამიანები?

— ჩვენც მაგის დადგენას ვცდილობთ. რატომ მოკალი? — მიუბრუნდა ნიკას გამომძიებელი.

— მე არ მომიკლავს, მე ნინო მივიყვანე და უკან დავბრუნდი, — თვალები აუწყლიანდა ნიკას.

— აბა, ვინ მოკლა? გეკითხები, ვინ მოკლა-მეთქი? — კითხვა გაუმეორა ლაშამ და თვალებით გაბურღა ბიჭი. ნიკამ მხრები აიჩეჩა.

— ის კაცი თქვენი ქმარია, გუშინ ნიკასთან რომ იყო მოსული? — ჰკითხა ვაჟამ ქალს.

— დიახ, ჩემი ქმარია.

— დღეს 4 საათზე მოვიდეს, ნიკას შევახვედრებთ და იქნებ, მას უთხრას სიმართლე, — თქვა ვაჟამ და კარისკენ დაიძრა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაკითხვა დამთავრდა.

— ქალბატონო, აქ მომიწერეთ ხელი და შეგიძლიათ, წახვიდეთ, — თითი დაუდო ლაშამ დაკითხვის ოქმის ბოლოში. შემდეგ კი დაიყვირა: — ასანიძე! ასანიძემ თავი შემოყო.

— გაიყვანე პატიმარი. ნიკა წემოწყვეტილივით ადგა და ძალიან ნელი ნაბიჯით გაემართა კარისკენ.

— თქვენი ქმარი აუცილებლად უნდა მოვიდეს, — თქვა მას შემდეგ, როცა ოთახში ქალთან მარტო დარჩა.

— დიახ, მოვა. ვეტყვი და აუცილებლად მოვა.

— თუ ნიკა დაგვიჯერებს, მაშინ შესაძლოა, მალე გავუშვათ შინ. თქვენმა ქმარმა ბიჭი უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ ჩვენ მისთვის ცუდი არ გვინდა. გასაგებია?

— კი, გასაგებია... — თავი დაუქნია ქალმა. — რა უნდა გააკეთოს ნიკამ?

— ამაზე ჩვენ ვიმსჯელებთ, თქვენს ქმართან ერთად. ახლა კი თავისუფალი ხართ, — ფეხზე წამოდგა ლაშა.

ყველაზე ნაკლებ ტკივილს მაშინ ვგრძნობდი, თუ მოვახერხებდი და ნარზე ჩანასახის პოზას მივიღებდი. მოხრილი და ცხვირთან მიტანილი მუხლები თითქოს, შვებას მგვრიდა. — ალბათ, სწორედ იმიტომ არიან პატარები დედის სხეულში ასეთ მდგომარეობაში, რომ დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს-მეთქი, — გავიფიქრე.

— ჩუთლაშვილი, გამოდი, დაკითხვაზე გეძახიან, — ფიქრი შემაწყვეტინა იმ სულაძემ, რომელმაც წინადღეს საკანში ჩამომიყვანა. — დაგეხმარო? — მკითხა შემდეგ, რადგან მიხვდა, რომ წამოდგომა გამიჭირდა. მეხუთე დღე იყო, მშიერი ვიყავი. ცალკე შიმშილმა დამასუსტა და ცალკე, წამებამ. სულაძე მომიახლოვდა, იღლიაში ხელი ამომდო და წამოჯდომაში მომეხმარა. თავბრუ დამეხვა. ცოტა ხანს ასე ვიჯექი. თავბრუსხვევამ რომ გამიარა, ნელა წამოვდექი, სულაძეს დავეყრდენი და ძალიან ნელი ნაბიჯით გამოვედი საკნიდან. ყველაზე მეტად კიბეზე ასვლა მიჭირდა, თითოეული საფეხურის ავლა საშინელ ტკივილს მაყენებდა.

როგორც იქნა, მივაღწიეთ დასაკითხ თუ საწამებელ ოთახამდე. ოთახში ღუმელი გუგუნებდა და სითბო იდგა. მესიამოვნა თბილ ოთახში შესვლა. იქ არავინ დამხვდა. სკამზე დავჯექი და მუხლებს ხელებით დავეყრდენი. ვფიქრობდი, რომ ისევ დაიწყებდნენ ჩემს წამებას. გარედან შემოსულ სულ პატარა ხმაურზეც კი, გული გალიაში დამწყვდეული ჩიტივით იწყებდა ფართხალს და გამალებით მიცემდა. — ადვოკატი უნდა მოვითხოვო ან აქამდე როგორ არ გამახსენდა? მე ხომ ადვოკატი მჭირდება! — გავიფიქრე და თითქოს შვება ვიგრძენი, რადგან ადვოკატი ჩემს მხსნელად წარმოვიდგინე. ამ დროს კარი გაიღო და იღლიაში საქაღალდეამოჩრილი გამომძიებელი გამოჩნდა. მას უკან ახალგაზრდა ქალი მოჰყვებოდა.

— მე ნანა ვარ, — ხელი გამომიწოდა ქალმა. მარჯვენა შევაგებე. ამ დღეების განმავლობაში ეს ერთადერთი ადამიანი იყო, ვისი მზერიდანაც კეთილგანწყობილება მოდიოდა. მე შენი ადვოკატი ვარ. დედაშენმა გადაწყვიტა, რომ შენი ინტერესები მე დავიცვაო, — მითხრა. თავი დავუქნიე.

— ზაზა, მითხარი, რა ხდება. საქმეს უკვე გავეცანი. აღიარებითი ჩვენება მიცემული გაქვს, სადაც ამბობ, რომ შენ მოკალი გიორგი სიხარულიძე და ნინო მეტრეველი.

მე ჯერ გამომძიებელს შევხედე. ირონიული ღიმილი ჰქონდა სახეზე გადაფენილი. მერე მზერა ნანაზე გადავიტანე.

— კი, მე მოვკალი, — დავუქნიე თავი.

— რატომ? მიზეზი მითხარი, რატომ მოკალი? მკვლელობის მოტივი რა არის?

— მე მოვკალი. მოვკალი და მორჩა. არ მახსოვს, რატომ მოვკალი.

— ზაზა, სიმართლე უნდა მითხრა. გაიხსენე ყველა დეტალი.

— მე მოვკალი! მე მოვკალი! მეეე, მე მოვკალი! — ბოლო სიტყვებს უკვე მთელი ხმით ვყვიროდი. ნერვები უკიდურესად მქონდა დაძაბული. წამების გახსენებაც თავისას შვრებოდა. აღარ მინდოდა, იმ წუთების განცდა. ამიტომ, შეშინებული, სულელივით ერთსა და

იმავეს ვიმეორებდი და მე მოვკალი-მეთქი, — უაზროდ გავიძახოდი.

— ბატონო ლაშა, ნება მომეცით, პატიმარს ცალკე დაველაპარაკო, — მიუბრუნდა გამომძიებელს.

— მაგდენი სად მცალია, ქალბატონო ნანა. აგერ არის პატიმარი, აგერ ხართ თქვენც და ჰკითხეთ, რაც გინდათ. ეს საქმე ისედაც ხანჯალივით მადევს კისერზე, მესამე თვეა და დროზე უნდა დავამთავრო გამოძიება, — უპასუხა ლაშამ. თან, ნანას თვალს ვერ უსწორებდა და ფანჯარაში იყურებოდა.

— ზაზა, გცემეს? კვალი სახეზეც გატყვია, — ახლა მე მომიბრუნდა ნანა.

— კი, მცემეს. კი არ მცემეს, მაწამეს, — ისე შევჩივლე, პატარა ბავშვი დედას რომ მიუტანს ამბავს, მეზობლის ბავშვებმა მცემესო და მისგან თანადგომას და დამნაშავის დასჯას რომ ელის. თან ყველას გვარი ჩამოვთვალე, ვინც ჩემს წამებაში მონაწილეობდა.

— აბა, რას ამბობ, ბიჭო, როდის გცემეს? არ გრცხვენია, ტყუილს რომ ამბობ ამხელა კაცი? ტყუილად ადებ ხელს ჩემს თანამშრომლებს, — გააპროტესტა ლაშამ ჩემი ნათქვამი.

— თქვენ არ გრცხვენიათ, მკვლელობას რომ მტენით? არ გრცხვენიათ, წამებით რომ მიიღეთ ჩემი აღიარებითი ჩვენება? არ გრცხვენიათ, რომ მღუპავთ? — ავყვირდი ისევ. ლაშა წამოდგა, მაგიდას შემოუარა და მომიახლოვდა. მე ვიჯექი, ის ფეხზე იდგა და მხოლოდ ახლა იყო ჩემი სიმაღლის. თვალები მოჭუტა, ჩამაშტერდა და კბილებში გამოცრა:

— არ უცემიხარ არავის, გაიგე? ჩვენ არ ვაწამებთ პატიმრებს. წამების კი არა, სიკვდილის ღირსი ხარ და დახვრეტაც ზედა გაქვს, მაგრამ ჩვენი კანონი ჰუმანურია და წამებას არ ითვალისწინებს.

— აბა, ეს მე თვითონ ვუქენი ჩემს თავს? — კბილებში გამოვცერი ეს სიტყვები, სვიტერი ავიწიე და დალურჯებული მუცელი, ზურგი გამოვაჩინე.

— ბატონო ლაშა, პატიმარი ნაწამებია. შუამდგომლობა უნდა დავაყენო პროკურატურის წინაშე, რომ ექსპერტიზა დანიშნოს და ზაზას წამების საქმე განიხილოს.

— პროკურატურის დავალებით მაწამეს და შუამდგომლობა ისევ მათთან უნდა დაწერო? — ვკითხე ნანას სასოწარკვეთილმა.

— რა ვქნათ, ზაზა, კანონი ასეთია.

— მაშ, ვინც მაწამა, ისევ მათ უნდა დაადგინონ, ნაწამები ვარ თუ არა? ეს ხომ დიდი სისულელეა? ვინ იტყვის: კი, ბატონო, ვაწამეთ და აგერ, ექსპერტის დასკვნა, რომ დამნაშავე ვართ და დაგვსაჯეთ, ჩვენ ამის ღირსი ვართო?

— კანონში ასე წერია. ჩვენ სხვანაირად ვერ მოვიქცევით. ჩვენ ჩვენი უნდა ვეცადოთ, — ნანა ფეხზე წამოდგა, რადგან იცოდა, იმ დღეს ამაზე მეტს მაინც ვერაფერს გახდებოდა. მას გამომძიებელიც უკან მიჰყვა. ოთახში სულაძე შემოვიდა, ჩემს წასაყვანად. მორჩილად წამოვდექი და გავყევი. პირველ სართულზე, კიბის ბაქანზე შევჩერდი და შევისვენე, რადგან გული ამოვარდნაზე მქონდა. სულაძემ კედელზე მიმაყუდა, თვითონ კი სიგარეტს მოუკიდა.

— მოსწევ? — მკითხა და კოლოფიდან მეორე ღერი ამოაძვრინა. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. კვამლი ღრმად შევისუნთქე და სულაძეს მადლიერი მზერა მივაპყარი.

— ბიჭო, შენ მღებრიშვილთან მუშაობდი, არა? — თითქმის ჩურჩულით მკითხა. თავი დავუქნიე და სახეზე დავაკვირდი, რადგან ვიფიქრე, ალბათ, ერთად თუ ვმუშაობდით-მეთქი, მაგრამ მისი სახე არ მეცნო.

— მერე, იქ რომ მუშაობდი, ფილარმონიაში, კონცერტის დროს, დაცვაში არ იყავი ხოლმე? — ისევ ძალზე დაბალი ხმით მკითხა.

— კი, ვიყავი.

— მერე, გაიხსენე, 25 ოქტომბერს „ივერიის“ კონცერტი რომ იყო, იქ ხომ არ ყოფილხარ? — გონება გამინათდა. მადლიერი თვალებით შევხედე სულაძეს.



— აქედან „ზაპროსი“ ჰქონდათ გაგზავნილი მღებრიშვილის უწყებაში და პასუხი მოუვიდათ. წეღან შემთხვევით შევესწარი, გამომძებელი და ვაჟა რომ ლაპარაკობდნენ. იქნებ, რამეში წაგადგეს... ახლა წამოდი, თორემ თუ დაგვინახეს, მაგრად მომხვდება. თანაც, საკანში ახალი მეზობელი გელოდება.

კიბეზე ისე მსუბუქად ჩავედი, რომ თვითონაც გამიკვირდა. საკანში მართლაც ვილაც დამხვდა, თუმცა, კაშკაშა სინათლიდან სიბნელეში შესულმა, მისი სახე ვერ გავარჩიე, მხოლოდ სილუეტს ვხედავდი.

— გამარჯობა! — ვთქვი და ჩემს ადგილს მივაშურე.

— გაგიმარჯოს! — მიპასუხა მან. საკანში სიჩუმე ჩამოვარდა. მე ახლა ლაპარაკის თავი არ მქონდა, რადგან კარგად უნდა გამეხსენებინა 25 ოქტომბერს მომხდარი ამბების ყველა დეტალი. წამოვწექი, კედლისკენ გადავბრუნდი, თვალები დავხუჭე და გონება დავძაბე. 25 ოქტომბერს დაიწყო „ივერიის“ კონცერტი და 3 დღე გაგრძელდა. წესით, 25-ში არ ვმუშაობდი, მაგრამ ჩვენი ჯგუფი სამსახურში მაინც გამოიძახეს. კონცერტზე ბევრი ხალხი არ მოვიდა. ფილარმონიის დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ამიტომ, ვისაც იმ დღეს მუშაობა არ უწევდა, ისინი კონცერტის დაწყებისთანავე გაგვათავისუფლეს. ყველანი სამმართველოში მივედით, რადგან სპეცფორმა უნდა გამოგვეცვალა და იარაღიც ჩაგვებარებინა. გზაში ჩემმა თანამშრომელმა და მეგობარმა, ვასიკომ მთხოვა, მანქანით ერთ ადგილზე მიმეყვანა. რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. ტანისამოსი გამოვიცვალე, იარაღი ჩავაბარე და ვასიკოს მივაძახე, მანქანას გამოვიყვან და დაბლა გელოდები-მეთქი. როდესაც მანქანით გასასვლელთან მივედი, ვასიკოსთან ერთად, კიდევ ერთი ჩვენი თანამშრომელი, ნიკა შევნიშნე. ორივენი მანქანაში ჩასხდნენ.

— საით წავიდე? — ვიკითხე.

— დღეს ჩემი ბავშვის დაბადების დღეა, სახლში სტუმრები მყავს, ახლა სამივე ჩემთან წავიდეთ და ვიქეიფოთ. — ბევრი დრო არ მქონდა, მაგრამ 1-2 საათით მაინც წავედი. ნიკა დიღმის მასივში ცხოვრობდა. ეზოში რომ შევედით, აღმოჩნდა, რომ მის სადარბაზოსთან მანქანის გასაჩერებელი ადგილი არ იყო. იძულებული გავხდი, იქვე, ავტოსადგომზე გამეჩერებინა მანქანა. საღამოს 8 საათი იყო დაწყებული, კარი ნიკას დედამ გაგვიღო. პირველი, რაც ამ ქალბატონმა თქვა, ის იყო: მღებრიშვილთან სულ ასეთი მაღალი და დარჩეული ბიჭები მუშაობთო? სუფრასთან დაახლოებით 10 ადამიანი იქნებოდა და ეტყობოდა, რომ სტუმრების ნაწილი უკვე წასული იყო. ისიც გამახსენდა, რომ სტუმრებს შორის ვასიკომ თავისი მოგვარე გოგონა აღმოაჩინა და გაიცნო. ცოტა ღვინო დავლიეთ, ბავშვი ვადღეგრძელეთ. ამასობაში 9 საათიც გახდა. ოთახში ნიკას დედა შემოვიდა და მითხრა: შვილო, შენი მანქანა მეზობლის მანქანის დასაყენებელ ადგილზე გაგიჩერებია და იქნებ, ჩაირბინო, სხვაგან გადააყენოო. ახლავე-მეთქი, — ვთქვი და წამოვდექი. ნიკამ მარტო არ გამიშვა და თვითონაც გამომყვა. უკან მალევე ამოვბრუნდით. ამ ჯალათებს რომ დაუჯერო, ამ დროს თურმე, მე საგურამოს ტყეში ადამიანებს ვხოცავდი. სინამდვილეში კი, სუფრასთან ვიჯექი და სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ვამბობდი. სტუმრობა ასე, 12 საათამდე გაგვიგრძელდა. იქიდან მე და ვასიკო ერთად წამოვედით. ის ღამის კლუბ „ოსკარში“ მივიყვანე, იქ დავტოვე და მე შინ წავედი. აი, სად ვიყავი და რას ვაკეთებდი 25 ოქტომბერს. ახლა უკვე ალიბი მქონდა და ამის დადასტურება ბევრ ადამიანს შეეძლო: თვითონ თემურ მღებრიშვილს, ნიკას და

ვასიკოს, ნიკას სტუმრებს, ნიკას მეზობელ კაცს, რომელსაც ჩემი მანქანა უშლიდა ხელს, ნიკას დედას... ნუთუ, ამდენი ხალხის ნათქვამს არ დაიჯერებენ? — ვფიქრობდი და მჯეროდა, რომ ამ საქმიდან აუცილებლად დავიხსნიდი თავს. ხასიათი გამომიკეთდა. ყველაფერი კარგად რომ გავაანალიზე, დავმშვიდდი კიდეც. ზურგზე დავწექი და ხელები თავქვეშ ამოვიდე. ხმაურზე ჩემმა თანამესაკნემ მოიხედა.

— კარგა ხანს გეძინა, — მითხრა და ჩემთან ახლოს დაჯდა. — დაკითხვაზე იყავი?

— ჰო, — თავი დავუქნიე. — შენ როდის მოგიყვანეს? — უცებ საუბრის ხასიათზე დავდექი.

— წუხელ დამიჭირეს. მთელი ღამე დაკითხვაზე ვიყავი. ახლა ჩამომიყვანეს აქ. არ მიყვარს საკანში მარტო ყოფნა. რომ ვნახე, არავინ იყო, სხვაგან შემიყვანეთ-მეთქი, — ვითხოვე, მაგრამ უარი მითხრეს და დამამშვიდეს, ცოტა ხანში მკვლელს მოგისვამთ გვერდით, არ ინერვიულოო. შენ ხარ ის მკვლელი თუ კიდევ მოიყვანენ ვინმეს?

— ალბათ, მე ვარ, — ამოვიოხრე ხმამაღლა.

— გაბრალებენ, ხომ? — მკითხა მცირე პაუზის შემდეგ.

— როგორც ვატყობ, შენთვის პირველი „სროკი“ არ უნდა იყოს, არა? — თავი ავარიდე პასუხს.

— ჰო, მესამეა. რუსეთში ბანკის დაყაჩაღებისთვის ამიყვანეს.

— და ალბათ, შენ არ დაგიყაჩაღებია, არა? — ახლა მე დავუსვი იგივე კითხვა.

— როგორ არა, მე ვქენი ეგ საქმე. წუხელ ვაღიარე კიდეც, აბა, თავს ხომ არ ვაცემინებდი? ახლა, დიდი-დიდი, 7 წელი მომისაჯონ, დავჯდები ციხეში და პატიოსნად მოვიხდი „სროკს“. სამაგიეროდ, გამოვალ და იმდენი ქონება დამხვდება გარეთ, რომ სიცოცხლის ბოლომდე ხელის განძრევა არ დამჭირდება.

— კონფისკაციას არ გაგიკეთებენ?

— უფ... ჰო, კარადის უჯრაში მაქვს ჩაკეტილი და უცებ არ მიაგნონ. შენ როდის მოგიყვანეს?

— 29 დეკემბერს.

— და მას მერე აქ ხარ? — მკითხა გაოცებულმა. — ციხეზე რატომ არ გადაგიყვანეს?

— ციხეზე როგორ გადამიყვანდნენ, სანამ დანაშაულს არ ვაღიარებდი? ვერ ხედავ, როგორი ნაცემი ვარ?

— მერე, შენი უჭკუობის ბრალია. მაშინვე უნდა გეთქვა, რომ შენ მოკალი და მორჩა.

— ტყუილი უნდა მეთქვა?

— მაინც ხომ გათქმევინეს და თავი რაღას აცემინე? შენ პოლიციელი ხარ, არა?

— ჰო, ვიყავი. ამათი დედაც, ამათი სისტემისაც და ამათი სამართლისაც...

— ძმაო, შენ რა, ციდან ჩამოფრინდი? როცა პოლიციაში იწყებდი მუშაობას, რა, მაშინ არ იცოდი, ვინ იყვნენ ესენი?

— რა ვიცოდი...

— ეეე... აბა, შენა ხარ, რა! შენ ციხეზე რომ გადაგიყვანენ, „იმენნა“ წითლების კამერაში ჩაგსვამენ. „პრესტუპნიკებთან“ არ შეგიყვანენ. მანდ „ნასედკების“ კამერა ცალკეა, ქურდების — ცალკე, თანამშრომლების კიდევ, ცალკე. თანამშრომლებისთვის „დაჸე“ ზონაც ცალკეა. აი, შენ წარმოიდგინე, გუშინ სამმა პოლიციელმა ამიყვანა. „ვდრუგ“, რაღაც გააფუჭეს და ციხეში მოხვდნენ. ისინი რომ ჩემთან მოიყვანონ, ხომ იცი, რას ვუზამ?

— რას? — ვკითხე და გამეცინა.

— 2 დღეში ქათმების კამერაში გადაიყვანენ. ქათმები ხომ იცი, ვინც არიან? პატიმრები რომ ჟიმავენ, ქათმები ის კაცები არიან. ზონაზე მაგათთან ურთიერთობა სირცხვილია, მათი მოწვდილი არაფერი უნდა ჭამო და არც საჭმელი უნდა მოამზადებინო. მაგათ მარტო სარეცხი უნდა დაარეცხვინო და ოთახი დაალაგებინო. გაიგე?

— გავიგე. იმედია, ჩემი საქმე ზონამდე არ მივა.

— ეეე... შენ მართლა არ იცნობ ამათ. აქ თუ მოხვდი, „ვსიო“, სანამ არ გაგჟიმავენ, თავს არ დაგანებებენ. ციხეზე წითლების კამერები მეხუთე სართულზეა, „დევიტ სემ, დევიტ ვოსემ, დევიტ დევიტ“.

— ეგ რას ნიშნავს?

— კამერის ნომრებია — 97, 98, 99, მაგრამ იქ ასე ეძახიან. „ნასედკებს“ მოერიდე, დიდი „დედააარლნიანი“ ხალხია, რას გაგიჩალიჩებენ, არ იცი. თავისუფლების სანაცვლოდ ყველაფერზე წავლენ, — კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას არ იშურებდა ჩემთვის თანამესაკნე.

იმ ღამით ყველაზე მშვიდად მეძინა. როგორც ჩანს, დაბეგვილი ადგილებიც მირჩებოდა უკვე და გულიც დავიმშვიდე, რადგან ისეთი ალიბი მქონდა, რომ ქვასაც კი გახეთქავდა.

დილით ისე ადრე გამეღვიძა, რომ ჯერ კიდევ ბნელოდა. ჩემი მეზობელი გულიანად ხვრინავდა. შიმშილმაც შემაწუხა. მუცელი ხერხემალზე მქონდა მიკრული და დროგამოშვებით ხმაურობდა. ცხოველურ ინსტინქტს თავისი გაჰქონდა და საკანში გამოკეტილი, უდანაშაულო ადამიანი ახლა თავისუფლებას კი არა, ცხელ კერძს ვნატრობდი. კარგა ხანს ვიყავი ასე, ჭერს მიშტერებული და გარინდებული. მერე მომაკითხეს და წამიყვანეს. ოთახში, რომელიც ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი იყო, მხოლოდ ნანა დამხვდა.

— გამარჯობა, — გავუწოდე ხელი.

— როგორ ხარ? — მარჯვენა გამომიწოდა მანაც. მაგიდასთან, მის პირისპირ დავჯექი. — ზაზა, ამ საქმეში გენერალური პროკურატურაა ჩართული. იციან, რომ შენ არ გაჩერდები. მათ გვარებს ხომ ახლავე, ხმამაღლა გაყვირი. აქედან შენი გამშვები არავინაა, შენი სიმართლე სასამართლოზე უნდა დაამტკიცო.

— მე ალიბი მაქვს, — ვუთხარი და დაწვრილებით მოვუყევი, 25 ოქტომბერს რომელ საათზე სად ვიყავი.

— ახლა ესენი შეეცდებიან, რომ დრო გაწელონ და ყველა ის საქმე მოაგვარონ, რომელიც საქმეში არსებულ ყველა კითხვას გასცემს პასუხს. ნუ ნერვიულობ, შენს თავზე იფიქრე, დამშვიდდი, აზრები დაალაგე, გამომძიებელი რომ მოვა, ზუსტად უნდა იცოდე, რას ეტყვი. თუ დაკითხვაზე კიდევ გამოგიყვანენ, ადვოკატი მოითხოვე, ჩვენება ჩემ გარეშე აღარ მისცე, — ჭკუას მარიგებდა ნანა, მაგრამ მე მისი არ მესმოდა. — ზაზა, გარეთ დედაშენი და ნინო მელოდებიან, მისწერე მათ რამე, — მითხრა და სუფთა ქაღალდის ფურცელი დამიდო წინ. რამდენიმე წინადადება დავწერე და ნანასკენ მივაცურე.

— სულ ეს არის? — გაუკვირდა, ასე ცოტა რომ დავწერე.

— კი, მეტის წერის თავი არ მაქვს.

— სხვა ხომ არაფერი გინდა? კამერაში როგორ ხარ?

— მეექვსე დღეა, საჭმელი არ მიჭამია, მშია, — ჩუმად ვთქვი.

— დედაშენმა რაღაცები მოგიტანა, ახლა საკანში რომ ჩაგიყვანენ, მოგაწვდიან კიდეც, — მითხრა და მორიგეს დაუძახა, პატიმარი ჩაიბარეო.

საკანში ჩამიყვანეს და 1 საათში ცელოფანის პარკი გადმომცეს. პარკი გავხსენი და იქიდან ისეთი სურნელი ამოვარდა, ლამის წავიქეცი. დედას ჩემი საყვარელი კერძები მოემზადებინა. ყველაფერი კედელთან მიდგმულ რკინის მაგიდაზე ამოვალაგე, ჩემი თანამესაკნეც მოვიპატიჟე და მადიანად შევუდექი ჭამას. როგორც ჩანს, მასაც მოშივებოდა და ჩუმად ილუკმებოდა.

— მაგარი „ვეშია“ ჭამა, არა?

— უჰუ, — დავუქნიე თავი, რადგან პირი საჭმლით მქონდა გამოტენილი და ხმას ვერ ვიღებდი. როგორც იქნა, დავნაყრდი. თითქოს, გარშემო ყველაფერს უკეთესად ვხედავდი. ისევ ჩავყავი პარკში ხელი და სიგარეტის კოლოფი ამოვაძვრინე. ჭრაჭუნა ქაღალდი შემოვხსენი, ერთი ღერი კბილებით ამოვიღე.

— აუ, ძმურად, ნუ აჭრაჭუნებ, რა, ეგ ხმა ნერვებს მიშლის.

— აბა, შენ თვითონ როგორ ხსნი სიგარეტის კოლოფს? — ვკითხე გაოცებულმა და კოლოფი გავუწოდე.

— შენ ძალიან აჭრაჭუნებ, მე კი უცებ ვხსნი, — მითხრა და ერთი ღერი ამოიღო, პირში გაიჩარა. — მაგარია, არა? — მკითხა, როცა კვამლი გამოუშვა.

— სიგარეტი?

— სიგარეტი მართლაც მაგარია, მაგრამ ჭამის მერე მოწევა სულ სხვაა, მაგრად ასწორებს, — თქვა და გაიზმორა. გავჩუმდი. თუმცა, მის ნათქვამს გონებაში დავეთანხმე. — შენა, გინდა, ერთი მაგარი ამბავი მოგიყვე?

— მიდი! — შევაგულიანე მე. ■



# თაკო ჩხეიძის სილამაზის 2 საიდუმლო რეცეპტი და მამაკაცი, რომლის გემოვნებასაც ის ბოლომდე ენდობა

## „ამდენ „დაზაგრულ" ხალხში სითეთრე უფრო ეფექტურია"...

**წლების მატებასთან ერთად, ადამიანს გარეგნობაც ეცვლება: ზოგს უკეთესობისკენ, ზოგს კი... საქართველოში და არა მარტო საქართველოში წარმატებული მოდელი — თაკო ჩხეიძე მიიჩნევს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მის გარეგნობაში რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა.**

სოფო ჭონიშვილი

— არ მახსოვს, რამდენი წლის ვიყავი, როცა გაპრანჭვა და კეკლუცობა დავიწყე. ბავშვობიდან ცეკვაზე დავდიოდი და ამის გამო, მაკიაჟს ადრეულ ასაკში ვიკეთებდი. 14 წლისამ მოდელობა გადავწყვიტე. სამოდელო სააგენტო „ნატალიში" მივედი და სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი, როგორც მოდელის კარიერა. ამ სააგენტოში სპეციალურ გაკვეთილებს გვიტარებდნენ, რათა პროფესიონალური მაკიაჟის გაკეთება გვესწავლა. შინ საკუთარ თავზე ექსპერიმენტებს ვიტარებდი: მაკიაჟს ათასნაირად ვიკეთებდი, თუ არ მომეწონებოდა, ვიცილებდი — მოკლედ მთელი დღე სარკის წინ ვტრიალებდი.

**— ახლა თუ გიყვარს სარკის წინ ტრიალი?**

— დღის განმავლობაში შეიძლება, სარკეში რამდენჯერმე ჩავიხედო... ბავშვობაში დედის კაბებისა და ქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა მიყვარდა და როცა ის სახლში არ იყო, გარდეროზს გამოვალებდი, რომელი კაბაც მომეწონებოდა, იმას ჩავიცვამდი, ქუსლიან ფეხსაცმელსაც შევარჩევდი და სანამ დედა დაბრუნდებოდა, ასე დავბაკუნობდი (*იცინის*).

**— სკოლის პერიოდში როგორი იყავი?**

— ყოველთვის ვცდილობდი, სკოლაში სხვებისგან განსხვავებული და გემოვნებით შერჩეული ტანსაცმელი ჩამეცვა. თუმცა, მაშინ მაინცდამაინც პრანჭია არ ვიყავი და მაკიაჟის გაკეთებას თოჯინებით თამაში მერჩია.

**— სკოლაში საყურე თუ გეკეთა?**

— კი, მეკეთა. მახსოვს, ჩემს უფროს მეგობრებს, რომლებიც სხვა სკოლებში სწავლობდნენ, საყურის გაკეთების უფლება არ ჰქონდათ, ჩემს სკოლაში კი, ამ მხრივ სიმკაცრეს არ იჩენდნენ.

**— რამდენი წლის იყავი, ყურები რომ გაიხვრიტე?**

— ჩემს კლასში თითქმის ყველა გოგოს ყურები გახვრეტილი ჰქონდა, მე კი, დედა ამის უფლებას არ მაძლევდა. ერთხელ მან თავის დაქალთან სტუმრად წამიყვანა, რომლის შვილი ჩემზე ბევრად პატარა იყო. იქ



თაკო ბავშვობაში დედასთან ერთად



დღის განმავლობაში შეიძლება, სარკეში რამდენჯერმე ჩავიხედო...



M K

მისულებს კარში გოგონა შემოგვეგება, რომელმაც გვახარა: აი, ნახეთ, ყურები გავიხვრიტეო! სულ გავგიჟდი, დედას მოსვენება დავაკარგვინე, ვეუბნებოდი: ჩემზე პატარაა და საყურეს ატარებს, მე რატომ არ მაძლევ ამის უფლებას-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე. წამიყვანეს და ყური „თოფით“ გამიხვრიტეს. მახსოვს, ძალიან ბედნიერი ვიყავი.

**— სკოლის დამთავრების შემდეგ იმიჯი შეიცვალე?**

— არა, ჩემი იმიჯის ჩამოყალიბება სკოლის პერიოდშივე მოხდა. მე-11 კლასში უკვე საკმაოდ დახვეწილი გემოვნება მქონდა. სწორედ მაშინ მივიღე ნიუ-იორკიდან მიწვევა. იქ ყოფნის პერიოდში, ძალიან მომინდა, თმის ფერი შემეცვალა, რასაც ჩემი აგენტი მიკრძალავდა, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე და თბილისში შეცვლილი იმიჯით დავბრუნდი... ამის შემდეგ, თმა კიდევ უფრო მუქად შევიღებე და მოკლე „ჩოლკა“ გავიკეთე. მერე მივხვდი, რომ ბუნებრიობას არაფერი სჯობს და ძალიან მომინდა, ჩემი ბუნებრივი თმის ფერი დამებრუნებინა, რაც ძნელი აღმოჩნდა: თითქმის ყოველ კვირას სილამაზის სალონში დავდიოდი და მეგობრები დამცინოდნენ, სულ სხვადასხვა ფერის თმით რომ მხედავდნენ. ბოლოს გავბრაზდი (იმ პერიოდში ფეხმძიმედ ვიყავი), თმა მოკლედ შევიჭერი და ველოდებოდი, როდის გაიზრდებოდა.

**— წარბების კორექცია როდის გაიკეთე?**

— მაშინ, როცა მოდელობა დავიწყე. უბრალოდ, ოდნავ შევილამაზე, რასაც კორექციას ვერ დავარქმევ... ჩემი წარბების ბუნებრივი ფორმა ბავშვობიდანვე მომწონდა და მის შეცვლაზე არასდროს მიფიქრია.

**— გამოსაშვებ საღამოზე რა გეცვა?**

— ბანკეტი არ გვქონია, მაგრამ „ბოლო ზარი“ ძალიან კარგად მახსოვს. მაშინ ახალი გათხოვილი ვიყავი და მინდოდა, ამ დღეს სკოლაში თეთრი წინსაფრით მივსულიყავი. მის ძებნაში მთელი ქალაქი მოვიარე, მაგრამ ვერსად ვიშოვე. ბოლოს გადავწყვიტე, ქსოვილი შემეძინა და შემეკერა. „პრიმერკაზე“ ისეთი სიხარულით მივდიოდი, რომ სახლში დამცინოდნენ... ეს წინსაფარი დღესაც შენახული მაქვს, მასზე ყველა ჩემი კლასელის და მეგობრის ხელმოწერაა გაკეთებული.

**— თაკო, როგორც ვიცი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრობდი. რა შეიცვალა შენში იქ ცხოვრების დროს?**

— მნიშვნელოვანი არაფერი. უბრალოდ, სხვა თვალით შევხედე ჩემს პროფესიას და მეტი გამოცდილება მივიღე, დამოუკიდებლად ცხოვრება ვისწავლე.

**— თუ გახსოვს, პირველად პოდიუმზე როდის გამოხვედი და როგორი კოსტიუმი გეცვა?**

— პირველად პოდიუმზე 1995 წლის მაისში გავედი. სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა დიპლომების დაცვა იყო და მათ მიერ შექმნილი კოსტიუმებით უნდა გამოვსულიყავი. იქ მისულს, მაშინდელი ცნობილი ტოპმოდელები: ნინო სალუქვაძე, ნათია შელეგია, ეკა არჩვაძე, ნათია სანაძე დამხვდნენ, რომელთაც მანამდე მხოლოდ ეკრანიდან ვიცნობდი. წარმოიდგინეთ, როგორი ბედნიერი ვიქნებოდი, რადგან პოდიუმზე მათთან ერთად უნდა გავსულიყავი. მახსოვს, შელეგიამ კომპლიმენტიც კი მითხრა — რა ლამაზი გოგო ხარო!.. შინ დაბრუნებული, ემოციებს ვერ ვფარავდი, ამ ყველაფერს დედას აღფრთოვანებული ვუყვებოდი...


მეუღლესთან ერთად


პირველად პოდიუმზე 1995 წლის მაისში გავედი


წამიყვანეს და ყური „თოფით“ გამიხვრიტეს. მახსოვს, ძალიან ბედნიერი ვიყავი


შვილთან ერთად

**— როგორ იწყებ დილიდან თავის მოწესრიგებას?**

— იმის გამო, რომ ჩემი შვილი სკოლაში მიდის, ყოველ დილით ადრე, 8 საათზე ვიღვიძებ — უნდა ჩავაცვა, ვაჭამო და სკოლაში გავუშვა. ამის შემდეგ, სახლში სრულიად მარტო ვრჩები. ვრთავ მუსიკას და ყავას მივირთმევ. რაც შეეხება თავის მოწესრიგებას, პირველ რიგში შხაპს ვიღებ, შემდეგ კი სახის კანს ვუვლი.

**— სახის კანს როგორ უვლი? ბუნებრივ ნიღბებს იკეთებ?**

— სახის კანის ნიღბები თავად არასდროს დამიმზადებია, მაგრამ ვიცი, რომ ბევრი ბუნებრივი საშუალება არსებობს იმისთვის, რომ ლამაზი კანი გვქონდეს.

**— ე.ი. კოსმეტოლოგთან დადიხარ?**

— საკუთარი კოსმეტოლოგი მყავს,


სახის კანის მოსავლელად ფულს არ ვზოგავ

რომელსაც კვირაში ერთხელ მაინც ვაკითხავ.

**— რატომ, პრეტენზიული კანი გაქვს?**

— პრეტენზიული კანი არ მაქვს, მაგრამ რადგან ჩემი კანი ბევრი მაკიაჟისგან „გადაღლილია“, ვფიქრობ, რომ სერიოზული ყურადღება სჭირდება. სახის კანის მოსავლელად ფულს არ ვზოგავ. ვცდილობ, ყოველთვის ხარისხიანი კოსმეტიკა შევიძინო, ღამის 3 საათზეც შინ დაღლილი რომ დავბრუნდე, მაკიაჟს სპეციალური ლოსიონით მაინც მოვიცილებ, პირს დავიბან და მკვებავ კრემს წავისვამ.

**— შენი სილამაზის საიდუმლო რეცეპტს ვერ გაგვიმხელ?**

— ოო (*იცინის*)... კარგი, გეტყვით. ჩემი სახის კანის სილამაზის რეცეპტი ის არის, რომ ბევრ წყალს ვსვამ. შეიძლება, წყლის დალევა არ მინდოდეს, მაგრამ როგორც კი გამახსენდება, რომ კანისთვის კარგია, მაშინვე ვსვამ. განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში სჭირდება კანს ბევრი სითხე, რომ არ გამოშრეს და გაუხეშდეს. მაქვს მეორე საიდუმლოც — ყოველ დილით, სახეს ყინულის ბურთულებით ვიწმენდ.

**— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?**

— პროფესიიდან გამომდინარე, სილამაზის სალონში სიარული იმდენად ხშირად მიწევს, რომ ხანდახან ეს პროცესი მაღიზიანებს კიდეც.

**— თმას როგორ უვლი?**

— გამომდინარე იქიდან, რომ ფენს ხშირად ვიყენებ, თმას განსაკუთრებულად ვუვლი. მაქვს დაზიანებული თმისთვის განკუთვნილი სპეციალური ნიღბები, რომელთაც კვირაში ერთხელ ვისვამ.

**— სპორტულ დარბაზში თუ დადიხარ?**

— ჟენევაში ყოფნის პერიოდში ხშირად დავდიოდი, თბილისში კი, ამას ვერ ვახერხებ, რადგან ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს და სავარჯიშოდ ვეღარ ვიცლი. ჩემი სუსტი წერტილი მასაჟია და მას 6 თვეში ერთხელ მაინც აუცილებლად ვიკეთებ.

**— თავის მოვლის ახალი ხერხის გაგებისას, როგორ მოქცეულხარ?**

— მე-11 კლასში ვიყავი, როცა სოლარიუმის რეკლამა ვნახე და გადავირიე (*იცინის*). სასწრაფოდ გავიგე, სად უნდა მისულიყავი, გავრუჯულიყავი (მაშინ სოლარიუმი ახალი ხილი იყო) და 15 წუთში ისეთი „ზაგარი“ მქონდა, რომ გავოცდი. თან იმ პერიოდში, ნიუ-იორკში წასასვლელად ვემზადებოდი... მას შემდეგ კი, აღარ ვყოფილვარ: მივხვდი, რომ ხელოვნურად გარუჯვა მავნებელია. და კიდევ, ამდენ „გაზაგრულ“ ხალხში მგონი, სითეთრე უფრო ეფექტურია.

**— როგორია შენი ჩაცმის სტილი?**

— უპირატესობას კლასიკურ სტილს ვანიჭებ. თუმცა, სპორტულადაც ხშირად ვიცვამ. გააჩნია, სად მივდივარ.

**— აქსესუარებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?**

— სამკაულები ძალიან მიყვარს. მისი შეძენისას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ბიჟუტერიაა ის თუ ძვირფასი თვლებით გაწყობილი, მთავარია, ორიგინალური იყოს. მიყვარს დიდი, მასიური სამკაულები — საათები, ბეჭდები და მძივები.

**— რომელია შენი საყვარელი ფერი?**

— საერთოდ, მრავალფეროვნება მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებით, მაინც შავ, კლასიკურ ფერს გამოვყოფდი.

**— შენი ხასიათი თუ აისახება შენს გარეგნობაზე?**

— როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მაშინ უფრო კარგად გამოვიყურები, რადგან ცუდ განწყობილებაზე ყოფნისას მიმძაფრდება სურვილი, წავიდე სალონში, გავიკეთო მაკიაჟი, მანიკიური...

**— თაკო, ახლა ის მითხარი, ტელეწამყვანის ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?**

— ძალიან კარგად. ეს სასიამოვნო სიახლეა ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს პროფესიასთან თითქოს რაღაც საერთო აქვს, თავდაპირველად, მაინც ვინერვიულე. როგორც იცით, ეს გადაცემა წინასწარ იწერება. როცა კვირა დღეს ტელევიზორთან მუსიკალური შოუს საყურებლად დავჯექი, ისე ვინერვიულე, რომ ლამის ცუდად გავხდი. გადაცემა რომ დამთავრდა, ტელეფონი არ გაჩერებულა, ახლობლები მირეკავდნენ, მამხნევებდნენ და კომპლიმენტებს მეუბნებოდნენ. ტელევიზიამ შეჩვევა იცისო, რომ ამბობენ, მართალი ყოფილა — ეს საქმე ძალიან მომეწონა.

**— ოდესმე თუ გიფიქრია, შენს გარეგნობაში რაიმე შეგეცვალა?**

— მსგავს რაღაცაზე არასდროს მიფიქრია. ერთადერთი, ბავშვობაში მეგონა, ძალიან მაღალი ვიყავი, რაც მაშინ მაკომპლექსებდა...

**— კომპლიმენტებზე როგორ რეაგირებ?**

— ძალიან მიხარია და მსიამოვნებს. სხვათა შორის, კომპლიმენტების გაკეთება თავადაც მიყვარს.

**— თუ გყავს ისეთი ადამიანი, რომელსაც რჩევას ეკითხები და შესაბამისად, ითვალისწინებ კიდეც?**

— ასეთი ადამიანი ჩემი მეუღლეა. მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი გემოვნება აქვს და მის რჩევას ყოველთვის ვენდობი.

**— რას ურჩევდი იმ გოგონებს, რომლებიც ახლა იწყებენ გაპრანჭვას და კეკლუცობას?**

— რაც შეიძლება დიდი ხანი შეინარჩუნონ ბავშვობა და ბუნებრიობა, იყვნენ ინდივიდუალურები და სხვას არასოდეს მიჰბაძონ. ■


გამოიწერეთ!

- მომსახურების მაღალი ხარისხი
- ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
- ყველაზე დაბალი ფასები

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1 ბომონდი | 2,00 | 52,00 |
| 2 Бурда | 7,00 | 42,00 |
| 3 Вог | 12,00 | 72,00 |
| 4 Космополитан | 12,00 | 72,00 |
| 5 Мадам фигаро | 10,00 | 60,00 |
| 6 Елле | 12,00 | 72,00 |
| 7 Караван истории | 8,00 | 48,00 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო

ქ. თბილისი

ქ. № 49

ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.

ფაქსი: 38-26-74

E-mail: elvaservice@mail.ru.



# ჩაშლილი კინოდებიუტი, მამის თაყვანისმცემელი ჯიუტი ქალი და დაუდეგარი შეშია

ნანული ზოტიკიშვილი

## მარტო მოსკოვში

— მე და ზურა ფილმის სინჯებზე ვართ მოსკოვში. სცენარი ფილმისთვის ცნობილმა დრამატურგმა ვიქტორ მერეჟკომ დაწერა. ფილმის — „ერთხელ ამერიკაში“ მსგავსი სცენარი იყო, ოღონდ, რუსული ვარიანტი. მე უნდა მეთამაშა ზურას ბავშვობა. 14-15 წლის ვარ. ყოველდღე ფოტოსინჯები და სასინჯი გადაღებები გვაქვს. მაშინ გამოდიოდა არაყი „სმირნოვი“, რომლითაც ზურა მოიწამლა, თან, ისე მძიმედ, რომ სკლიფასოვსკის სახელობის საავადმყოფოს რეანიმაციაში აღმოჩნდა. დედაჩემი დარეკავდა, ვეტყოდი — ზურა ბანაობს, კიდევ დარეკავდა — ვიღაცამ დაუძახა და გავიდა-მეთქი. მოკლედ, ხან რას ვიგონებდი და ხან — რას. 3 დღე მარტო ვიჯექი სასტუმროში. წარმოიდგინეთ, 15 წლის ბავშვი მარტო, მოსკოვში!

გარეთ გავიდოდი და მერე, კინოს სახლში მივდიოდი, სადაც ზურამ თითქმის ყველა გამაცნო. იქ დამინახავდნენ და გაოცებულები მეკითხებოდნენ: а где папа? მე ვითომ იმიტომ მივედი, რომ ზურამ რაღაც დამაბარა. ბოლოს და ბოლოს, ფილმი არ გადაუღიათ. რეჟისორი და ვინმე მილიონერი ზადე (გვარი ზუსტად არ ვიცი), რომლის ბიოგრაფიულ ეპიზოდებზეც იყო სცენარი აგებული, ვერ შეთანხმდნენ. როგორც მახსოვს, ეს ზადე უხეშად ერეოდა რეჟისორის ფუნქციებში. ასე დამთავრდა ჩემი პირველი და იმედი მაქვს, არა უკანასკნელი კინოსინჯი უცხოეთში.

## თაყვანისმცემელი

არის ერთი ქალი — მარეხ ამანატიძე. ეს ასაკოვანი ქალბატონი დიდი ხანია, მამაჩემის თაყვანისმცემელია. ჯერ კიდევ მიშა თუმანიშვილის დროიდან დადის სპექტაკლებზე. ზურასადმი სიყვარული ახლა ჩემზე გადმოიტანა. ვინაიდან მარტო ცხოვრობს და ახლობელი არავინ ჰყავს, გადაწყვიტა, თავისი ბინა მე გადმომიფორმოს. სპექტაკლების შემდეგ ჩვენთან მოაქვს ყვავილები, წერილები, სასმელები, მოხარშული დედალი ან შემწვარი წიწილა. რამდენჯერმე კონვერტით ფული დატოვა. ძალიან უცნაური ქალია. თავისი ლექსების კრებული — „უსიყვარულოდ მზე არ მზეობს ცის კამარაზე“ გამოსცა და რა თქმა უნდა, ეს წიგნიც მაჩუქა. თანაც, 4 თუ 5 ცალი და ყველა მათგანს წარწერა დაურთო, რომლებიც ასე მთავრდება: „ჩემს ერთადერთ სიყვარულს, ავტორისაგან“. წიგნში მრავლადაა ზურასადმი მიძღვნილი ლექსიც. ეს ყველაფერი ცოტა დამღლელიცაა, მაგრამ რას ვიზამ, ქალბატონი ტრადიციას დღემდე არ ღალატობს.

## გურმანი მსახიობი

„ცხელი ძაღლის“ გადაღების დროს ჟანრი ლოლაშვილს საჭმლის გამო დისკომფორტი ჰქონდა. კაცი გურმანია და როგორია, ყოველდღე კატლეტი და პური ჭამო, ან პური ძეხვით და „კეტჩუპით“. ბატონი ჟანრი — კარგი მოქეიფე და მსმელი კაცია შესანიშნავი თამადა და უგანათლებულესი ადამიანია. ამავე დროს, ძალიან თავმდაბალიცაა. საჭმლის მომზადება ხომ ბრწყინვლედ ეხერხება. ერთხელაც, სალობიეში ვართ, ჟანრი, სერიალის რეჟისორი — ზაზა ურუშაძე და მე. ჟანრიმ მიმტანს დაუძახა. იმ მაგიდასთან, სადაც ვისხედით, ტაფა, ლობიო და ის კომპონენტები მოატანინა, რაც სჭირდებოდა. რესტორანში მისი გატაცების შესახებ იცოდნენ. იქვე დაიწყო კერძის მომზადება. ლობიოს დააყარა პილპილი, წიწაკა, სვანური მარილი და რა ვიცი, კიდევ — რა. ასე გემრიელად მომზადებული ლობიო არასოდეს მიჭამია.

ერთხელ მანქანით მივედით ჟანრისთან, გადაღებაზე უნდა წაგვეყვანა. შინ შეგვიპატიჟა და იმდენი გვაჭამა, ვეღარ ვინძრეოდით.

## გასეირნება

ლენა ყიფშიძეს ბებიას არ ვეძახდი. ეს თვითონ არ უნდოდა — ნაოჭები გამოჩნდებაო. ალბათ, 1 წლის ვიქნებოდი, ლენამ თავის დაქალებთან პირველად რომ წამიყვანა чаепитие-ზე. სიარული ჯერ არ ვიცოდი (ამ ამბავს ჩვენები ხშირად იხსენებდნენ). იქ გაერთო ქალი, რაღაცებს ჰყვება, იხსენებს... მეტი რა უნდა მსახიობს?! რამდენიმე კაცი უსმენს, ე.ი. მაყურებელი ჰყავს. ყველას დავავიწყდი. ამასობაში, მე ბინიდან გარეთ ხოხვით გამოვსულვარ და სოლოლაკში ჭონქაძის ქუჩიდან თითქმის მოედნამდე ჩამოვსულვარ ანუ 100-150 მეტრი მიხოხია. ბებიაჩემმა ოთახში რომ ვერ მნახა, ატყდა ერთი ამბავი, ქალები ქუჩაში გამოცვივდნენ კივილით. მოედანთან ავტოინსპექტორები იდგნენ, კომუნისტების დროს მათთვის სპეციალურად განკუთვნილი ადგილები არსებობდა. თურმე, იმათ შემამჩნიეს, თორემ, რა მოხდებოდა, კაცმა არ იცის...

■



მე უნდა მეთამაშა ზურას ბავშვობა



იქ დამინახავდნენ და გაოცებულები მეკითხებოდნენ: а где папа? მე ვითომ იმიტომ მივედი, რომ ზურამ რაღაც დამაბარა



13-დან 19-მდე ასაკის ადამიანებს თინეიჯერებს ეძახიან. ამ ასაკის ახალგაზრდები ყველა დროში აქტიურობდნენ, ყოველთვის ჰქონდათ საკუთარი, მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ისიც მარადიული თემა გახლავთ, რომ წინამორბედ თაობას არასდროს მოსწონდა მომდევნო და მათ შორის მუდმივი პოლემიკა იმართებოდა.

რა ხდება დღეს, რა პრობლემის წინაშე დგანან ახლანდელი მოზარდები, რა პრიორიტეტებს ირჩევენ, კითხულობენ თუ არა წიგნებს, როგორ ცხოვრობენ, როგორ ერთობიან, რა უხარიათ და სწყინთ? ამ საკითხებში გარკვევა თინეიჯერების ჯგუფთან ერთად ვცადე. ისინი თბილისის 161-ე საჯარო სკოლის მაღალ კლასებში სწავლობენ და რედაქციაში დირექტორის მოადგილესთან, მაია მელიქიშვილთან ერთად გვეწვივნენ.

# „დაბოლილი“, ჩაჩაჩული, შეიარაღებული თაობა თუ მოდას აყოლილები...

**ლალი ფაცია**

**— ბავშვებო, მოგწონთ, თინეიჯერებს რომ გეძახიან?**

**გიორგი ვადაჭკორია**, *14 წლის:*

— თინეიჯერის ნაცვლად, მოზარდი რომ იყოს, უკეთესი იქნებოდა...

**ელენე ვაშაძე**, *16 წლის:*

— მთელ მსოფლიოში 13-დან 19 წლამდე ასაკის ადამიანებს ასე მოიხსენიებენ. სხვადასხვა ქვეყნის მოზარდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგრამ ყველას მაინც ერთი სახელი გვაერთიანებს.

**— მოდი, თავიდანვე გართობის თემას შევეხოთ. ჩვენში ვინ რას ეძახით გართობას?**

**გიორგი:**

— ჩემი აზრით, გართობა ჰქვია იმას, როდესაც მეგობრებთან ერთად ხარ და სხვადასხვა ფორმით სიამოვნებას იღებ. შეიძლება, ეს იყოს კლუბში, კინოში... პირადად ჩემთვის გართობა სადმე წასვლა და დალევაა. ამიტომ, ხანდახან კლუბშიც მივდივარ ხოლმე.

**მაკო ფანჩულიძე**, *15 წლის:*

— თუ კლუბში მიდიხარ, იქ უნდა დალიო კიდეც, რადგან ისეთი სიტუაციაა, რომ არ შეიძლება, კლუბში შესული, დაჯდე და ყველაფერს შორიდან უყურო. ჩემი აზრით, ვიღაცებს კომპლექსი უშლით ხელს, რომ იცეკვონ და სითამამისთვის ალკოჰოლური სასმელი სჭირდებათ. მე, მაგალითად, დისკოთეკაზე ხშირად არ დავდივარ, რადგან იქ ცუდი სიტუაციაა ხოლმე: ბიჭები გოგონებს შეურაცხყოფას აყენებენ, ზოგჯერ ვიღაც უაზროდ მოგაშტერდება და ეს არ მსიამოვნებს, რადგან რაღაც „სხვანაირად“ გიყურებენ.

**თიკო გამუჩაშვილი**, *15 წლის:*

— ძალიან მიყვარს ცეკვა და ჩემთვის ეს დიდი სტიმულია, რადგან განტვირთვის საშუალებაა, სიამოვნებას მანიჭებს. შესაბამისად, არასდროს გამიშვია ხელიდან საშუალება, კლუბში წავსულიყავი. უმეტესად, ეს მაინც ზაფხულში ხდება ხოლმე. იქ არანაირად არ მექმნება უხერხული სიტუაცია. თუ ვინმე მოვა და რაიმეს ზედმეტს მაკადრებს, შეიძლია, პასუხი გავცე — რომ არ ვარ ის გოგო, რომელიც ამას გაკადრებინებს.

**ელენე:**

— მე კლუბში იშვიათად დავდივარ. იქაური საზოგადოება მაკომპლექსებს და მგონია, რომ იქ ყველა ჩემზე ჭორაობს.

**— მაინტერესებს, არის თუ არა თქვენი თაობისთვის გართობის საშულება — წიგნის კითხვა?**

**თიკო:**

— კი, როგორ არა?! მაგრამ სხვა რაღაცებს მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ძირითადად, ზაფხულში ვკითხულობ, როდესაც ამისთვის მეტი დრო მაქვს. თუმცა, თუ ზღვაზე ვისვენებ, იქ წიგნის კითხვისთვის არ მცალია. როდესაც სკოლაში დავდივარ, მეცადინეობას დრო მიაქვს და მხატვრული ლიტერატურისთვის ვერ ვიცლი.



რა პრობლემის წინაშე დგანან ახლანდელი მოზარდები

**გიორგი:**

— სიტუაციას გააჩნია; დილით სკოლაში ვარ, მერე მეგობარი დამიძახებს და გარეთ გავდივარ, შემდეგ, სამეცადინო ან სხვა რაიმე საქმე ჩნდება, ამიტომ წიგნისთვის ნაკლებად ვიცლი, რაც ძალიან ცუდია, რაღაცნაირად დრო ამისთვისაც უნდა გამოინახოს.

**— თუმცა არსებობენ ისეთი თინეიჯერებიც, რომლებიც დღე და ღამე წიგნებს უსხედან. ასეთი ახალგაზრდები ყველა თაობაში იყვნენ. მათ „შკოლნიკებს“, „ჭკუისკოლოფებს“ და რაღაც ამგვარ სახელებს არქმევდნენ ხოლმე. თქვენი თაობა ასეთებზე რას ფიქრობს?**

**ელენე:**

— ჩემი აზრით, ზედმეტი არაფერი ვარგა, მათ შორის — არც კითხვა. ასეთი „ჭკუისკოლოფები“ თუ „შკოლნიკები“ ბოლოს და ბოლოს, აფრენენ ხოლმე.

**ნინო ნიჟარაძე**, *15 წლის:*

— ასე სულაც არ ვფიქრობ. ის თუ კითხულობს, სწორედ კითხვაში ეძებს სიამოვნებას და ასე ერთობა.

**მაკო:**

— თითოეულს ჩვენ-ჩვენი ჰობი გვაქვს. ჩემთვის გართობა — ხეირნობაა, სკოლაში სიარულიც გართობაა, რადგან ადამიანებთან ურთიერთობა მიყვარს. კომუნიკაბელური ვარ, მაგრამ არ შემიძლია, ჩემით გავიცნო ბიჭი. გოგოსთვის ეს ღირსეული საქციელი არ არის. ჩემთვის მიუღებელია. შეიძლება, ეს კომპლექსიც არის, მაგრამ მაქვს ასეთი კომპლექსი. ადამიანი, რომელიც 24 საათი ზის და კითხულობს, გარკვეულწილად, მომწონს.

**მაია მელიქიშვილი**, *161-ე სკოლის დირექტორის მოადგილე:*

— კარგია თინეიჯერული ასაკი. ნებისმიერ თაობას თავისი ღირებულებები აქვს. ამ ასაკში მოზარდები უნდა გაერთონ, იმხიარულონ, დრო ატარონ. მთავარია, რომ როგორც მათი საუბრიდან ჩანს, წიგნის ფასიც ესმით. ამ თაობაში ნებისმიერ თინეიჯერს თავისი ადგილი აქვს: ვიღაცა ძალიან ჭკვიანია, ბავშვებს ეს ესმით და როცა დასჭირდებათ, მისი ჭკუისა თუ განათლების მიხედვით გამოიყენებენ. მაკო რომ ამბობს, ასეთი ვარო, ის ამით არის ღირებული. თიკომ რომ თქვა, ცეკვა და გართობა მიყვარსო, მერე რა, იყოს ასეთი. ყველა მათგანი ცალკე აღებული ინდივიდია, თავი-

სი დადებითი და უარყოფითი თვისებებით.

**— თქვენს თაობაში როგორი ბიჭი თუ გოგოა პოპულარული?**

**მაკო:**

— ჩემთვის მისაბაძი უზომოდ თბილი, მოსიყვარულე, გულწრფელი, კდემამოსილი, მხიარული გოგონაა. რაც შეეხება ბიჭს, ის ქუჩაშიც უნდა იდგეს, მაგრამ გაუნათლებელი და უჭკუო არ უნდა იყოს. ასეთ ბიჭებს უპირატესობას არ ვანიჭებ. ბიჭი სახლში ყოფნასაც უნდა ასწრებდეს, წიგნის კითხვასაც და ქუჩაშიც უნდა იდგეს... ისე, ჭკუა ბიჭს უფრო მოეკითხება, ვიდრე გოგოს.

**ნინჩო:**

— კი, მაგრამ ყველაფერს რომ ახერხებენ, ასეთი ბიჭები დღეს, ფაქტობრივად, აღარ არიან.

**თიკო:**

— ბიჭს თავისი ღირებულებები აქვს, გოგოს — თავისი. თუ ბიჭმა დღეს ქუჩა არ იცის, შეიძლება, ის ვიღაცამ დაჩაგროს. ქუჩა მას იმისთვის სჭირდება, რომ კაცი გაიზარდოს, წიგნი იმისთვის სჭირდება, რომ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიოს; ხოლო გოგონასთან ურთიერთობა მას სრულყოფილ პიროვნებად აყალიბებს.

**გიორგი:**

— ჩამოყალიბებისთვის მოზარდს ოჯახიშვილობაც სჭირდება, რადგან ბავშვი თავისი ოჯახის სარკეა.

**მაკო:**

— შეიძლება ასეც არის, მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა კარგი ოჯახის შვილი ქურდი და ნარკომანი გამოსულა.

**თიკო:**

— ჩემზე დიდი გავლენა ჩემმა ოჯახმა მოახდინა. ოჯახის წევრისგან ბევრი რამ ვისწავლე და დღემდე ვსწავლობ. ნებისმიერ ქმედებასა თუ საქციელში ჩემთვის მისაბაძი დედაჩემია. ის რომ არ მყავდეს, მეტი ნაკლი მექნებოდა, ვიდრე ახლა მაქვს. მაგრამ თვითონაც მაქვს უნარი, საკუთარ ნაკლს ვებრძოლო. თუ ბავშვები ცუდები გამოდიან, ეს იმას ნიშნავს, რომ მშობლებმა რაღაც შეცდომები დაუშვეს.

**— თქვენი თქმით, ნებისმიერ ადამიანს აყალიბებს ოჯახი. მაშინ, სკოლას რა ადგილი უკავია მის ცხოვრებაში?**

**გიორგი:**

— დავიწყოთ იმით, რომ თანამედროვე სკოლა სათანადო განათლებას არ იძლევა. ეს გარკვეულწილად, ალბათ, მასწავლებლის ბრალია და ნაწილობრივ იმის, რომ კლასში საკმაოდ ბევრი მოსწავლე ზის. რაც არ უნდა მონდომებული იყო, ასეთ სიტუაციაში ნორმალურ ცოდნას ვერ მიიღებ. საბოლოოდ, სკოლა ან აკომპლექსებს ბავშვს, ან პირიქით, ალაღებს. შეიძლება, თინეიჯერი სკოლაში ისეთ პრობლემას წააწყდეს, რომ იქიდან ველარ იპოვოს გამოსავალი და საკუთარ თავში ჩაიკეტოს.

**ელენე:**

— სკოლაში ბევრი ისეთი მოსწავლე დადის, რომელსაც სწავლა საერთოდ არ აინტერესებს, არც ერთი საგანი არ იზიდავს. მას რაც უნდა ასწავლო, მაინც ვერაფერს იგებს. ასეთები ხელს უშლიან სხვებს, ვისაც სწავლა უნდათ. ესეც ერთ-ერთი მიზეზია...

**— რა ვუყოთ ასეთ მოზარდებს, ქუჩისთვის გავწიროთ?**

**თიკო:**

— აქ გადამწყვეტი როლი მაინც მასწავლებლებს ეკუთვნით. მოსწავლეები მასწავლებლებისგან სწავლობენ. ამიტომ საჭიროა, პედაგოგები კვალიფიციურები იყვნენ...

**— ეი. პრობლემა პედაგოგშია?**

**გიორგი:**

— შეიძლება ასე ითქვას. დღეს ბევრ პედაგოგს არ შეუძლია ბავშვებთან ურთიერთობა და არც მაინცდამაინც თავისი საგნის გადმოცემის უნარი აქვს. მთავარია, კლასში როგორი განწყობილებით შევა მასწავლებელი. იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ ბიჭების მიმართ როგორ პოზიციას აირჩევს: თუ ის მათ მიმართ აგრესიულია, მათი პასუხიც ადეკვატური იქნება ანუ ასეთ მასწავლებელს ბიჭები პატივს არ სცემენ და შესაბამისად, მის გაკვეთილზე დასწრების სურვილიც აღარ ექნებათ; თუ მეგობრულად შემოვა კლასში, მაშინ რა თქმა უნდა, უკეთეს შედეგს მივიღებთ.

**მაკო:**

— სკოლაში ადამიანი მაინც დამოუკიდებელ ცხოვრებას ეჩვევა. ის იქ ოჯახისგან დამოუკიდებლად ართმევს თავს მის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, დამოუკიდებლად სწავლობს მეგობრებთან, უფროსებთან ურთიერთობას. დღევანდელ მასწავლებლებს იმდენი განათლება მაინც აქვთ, რომ ბავშვებს ასწავლონ, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ თინეიჯერებს სწავლა არ აინტერესებს, ქუჩაში დგომა და „შატალოზე“ წასვლა ურჩევნიათ.

**ნინჩო:**

— მასწავლებელმა გაკვეთილზე თავის საგანზე უნდა ილაპარაკოს და არა პირად პრობლემებზე, რაც ზოგს ახასიათებს. მისი გაკვეთილი აზარტული, დინამიკური და საინტერესო უნდა იყოს. ბევრს ამის უნარი არა აქვს.

**გიორგი:**

— კიდევ, ამოჩემებული მოსწავლეები არ უნდა ჰყავდეს, მეგობრულ ურთიერთობას უნდა ამყარებდეს.

**— ცოტა ხნის წინ თქვენს სკოლასთან გამოვიარე. ბიჭები იყვნენ შეჯგუფულები და მათ შორის, დაძაბული ლაპარაკი მიმდინარეობდა. მათ სიახლოვეს მდგარ ორ, შედარებით პატარა ბიჭს ვკითხე — რა ხდება-მეთქი? მითხრეს: ახლა მაგარი ჩხუბი დაიწყება, დანების ტრიალი და რამეო. ძალიან შემეშინდა, მაგრამ იქვე უფროსებიც ირეოდნენ და თავი ამით დავიმშვიდე. დღეს მოზარდებს შორის შელაპარაკება ხშირად, ვიღაცის დაჭრით მთავრდება. რას იტყვით ამ ტენდენციაზე?**

**მაკო:**

— პასუხს გიორგი ზერეკიძის ამბით დავიწყებ. იმ ბიჭმა დააშავა და ციხეში იმიტომ ზის, მაგრამ ის მოზარდია და არ შეიძლება, ამხელა სასჯელი შეუფარდონ მაშინ, როდესაც კაცისმკვლელები დაუსჯელები, გარეთ დადიან ან ნაკლები აქვთ მისჯილი და თანაც, ისინი ზრდასრული ადამიანები გახლავთ.

**— როგორ შეიძლება, ნორმალური ფსიქიკის მქონე მოზარდმა დანის დასარტყმელად გაიმეტოს ადამიანი?**



სხვათა შორის, ბევრ გოგონასაც უდევს ჩანთაში დანა

**ელენე:**

— დავიწყოთ იმით, რომ დღეს დანა ჩანთაში ყველას აქვს, იმიტომ, რომ ეს მოდაშია. სხვათა შორის, ბევრ გოგონასაც უდევს ჩანთაში დანა.

**— შენც?**

**ელენე:**

— მე დანით სკოლაში სიარულის სურვილი არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ჩემს კლასელებს აქვთ.

**გიორგი:**

— ზოგიერთი გოგონა, თავდაცვისთვის ჩანთით გაზის ბალონებს ატარებს.

**მაკო:**

— ჩემი აზრით, დანით სიარული დღეს ბიჭებისთვის მოდაშია. თან, იმისთვის სჭირდებათ, რომ არ დაიჩაგრონ, თუ მოულოდნელად დასჭირდათ...

**— ეი. დანა, იარაღი, თქვენი თაობისთვის ატრიბუტია, რომელიც „კარგ ტიპად“ წარმოაჩენს მოზარდს?**

**მაკა:**

— დიახ. ზოგისათვის რეზინის „დუბინკა“ — იგივე, ბიტაა აუცილებელი ატრიბუტი, ზოგისთვის კი — მშობლებისთვის მოპარული იარაღი...

**— მოდა ახსენეთ, რა არის კიდევ თინეიჯერებში დღეს მოდური?**

**გიორგი:**

— კეპი, ჩაჩაჩული ჯინსი, გრძელი თმა, ერთნაირი „ბოტასები“ და კედები.

**ელენე:**

— ერთფეროვნება საშინელებაა. ამიტომაც არ მომწონს დღევანდელი თაობის ჩაცმულობა.

**— რა ეზარებათ დღევანდელ თინეიჯერებს?**

**მაკო:**
— ერთმანეთთან წესიერი ურთიერთობა. ამ შემთხვევაში, ძირითადად, ბიჭებს ვგულისხმობ; „კარგი ტიპები“ ვისაც ჰქვიათ, ხშირ შემთხვევაში, გოგონების მიმართ სიმპათიას შეურაცხყოფით გამოხატავენ.

**მაია მელიქიშვილი:**
**— ბიჭებზე ლაპარაკობთ, მაგრამ გოგონების საქციელი როგორ მოგწონთ? ყოველთვის ისე იქცევიან, როგორც გოგონებს შეეფერებათ?**

**თიკო:**
— არ მიმაჩნია, რომ რაიმე ზედმეტს ვაკეთებ, მაგრამ ზოგ გოგოს რომ ვუყურებ, ისე იქცევა, რომ საშინელება მგონია. ასეთ დროს მრცხვენია, რომ გოგო ვარ. ზოგს ჰგონია, მისი ქაჯური საქციელის წყალობით, ყურადღების ცენტრში ექცევა...

**გიორგი:**
— გოგონები დღეს სიგარეტს და „პლანს“ აშკარად, დაუფარავად აბოლებენ...

**ელენე:**
— დღეს ბიჭები და გოგონები ერთნაირი ქცევით გამოირჩევიან...

**მაკო:**
— ნაზი გოგო არა ვარ, მაგრამ არც ქაჯი გახლავართ.


ვწუხვარ, რომ მათ დღეს ამ საკითხებზე უწევთ საუბარი...

**ნინო:**
— ბიჭებს სწორედ ალქაჯი გოგონები მოსწონთ.

**თიკო:**
— არა, ეგეთები სხვა რაღაცისთვის მოსწონთ, მათთან ერთობიან, ეგენი „პონტის გოგოები“ არიან.

**— თქვენი ვარაუდით, „პლანს“ ბევრი თინეიჯერი ეწევა?**

**გიორგი:**
— 90% — ე.ი. ძალიან ბევრი. არიან ბარიგა გოგოები, რომლებიც „ჩითავენ“ „პლანს“...

**— ქალბატონო მაია, თქვენ რას იტყვით?**

— ბავშვებს ვერ დავეთანხმები ამაში. ყოველთვის იმით ვამაყობდი, რომ ასე თუ ისე, ჯანსაღი თაობა გვყავს. ვერ წარმოვიდგენ იმას, რომ ჩვენს სკოლაში მართლაც არიან ასეთები.

**მაკო:**
— ჩვენს სოფელში ბევრი „პლანის“ ბუჩქია, მაგრამ არასდროს გამჩენია მისი მოკრეფის სურვილი.

**თიკო:**
— მე ვიცნობ ერთ გოგოს, ჩემთან ერთად ცეკვაზე დადის და ძალიანაც ამაყობს იმით, რომ „პლანს“ აბოლებს — ანუ „კარგი როჟა“ ჰგონია თავი.

**ნინო:**
— „დაბოლილობა“ პრესტიჟულია, თუ „დაბოლილი“ ხარ, ე.ი. მაგარი ხარ.

**გიორგი:**
— ბევრიც თამაშობს, რომ „დაბოლილია“. მაგალითად, ერთ ჩვენს ძმაკაცს ჩაი „ლიპტონი“ მოვაწევინეთ და ამბობდა — აუ, რა მაგარია, „ასწორებსო“!..

**— როგორ ფიქრობთ, ამ იარაღასხმულ, „დაბოლილ“ თინეიჯერებს რა სურთ, რას ამკვიდრებენ?**

**ნინო:**
— თვითონაც არ იციან. ზოგისთვის ეს თვითდამკვიდრებისთვის არის საჭირო.

**მაია მელიქიშვილი:**
— ამ ყველაფერს აკეთებს იმიტომ, რომ თინეიჯერია, თუმცა შეიძლება, თვითონ არ უნდა, მაგრამ ვიღაცამ რომ არ დასცინოს. რაღა დაგიმალოთ და, გაკვირვებული ვარ, არ მეგონა, თუ ამ თაობის ბავშვები ასე კარგად ერკვეოდნენ ამ საკითხებში, მაგრამ ამავე დროს, შეშფოთებულიც გახლავართ — ვწუხვარ, რომ მათ დღეს ამ საკითხებზე უწევთ საუბარი...

**მაკო:**
— ცუდია, მაგრამ პრობლემა დგას, ამიტომ სხვანაირად არც შეიძლება...

**თიკო:**
— ეს ასაკობრივი პრობლემაა, რაც ნებისმიერ თაობაში სხვადასხვაგვარად იყო ხოლმე გამოხატული. უბრალოდ, ჩვენში ბოლო დროს ძალზე გამწვავდა.

**მაკო:**
— მინდა, კვლავ მივუბრუნდე იმ საკითხს, რომელსაც წელან შევეხეთ: „დაბოლილი“ თინეიჯერები იმაზე ფიქრობენ, რომ თავი დაიმკვიდრონ, იყვნენ პირველები, გაერთიანდნენ „სასტავებსა“ თუ „საძმოებში“, სადაც მათი წესები მოქმედებს.

**— რამდენი კაცისგან შედგება ეს ე.წ. „საძმო“ — „სასტავები“?**

— „საძმოში“ შეიძლება ოთხი ძმა იყოს, დანარჩენები კი — „ჩერეზ ძმები“ იყვნენ. ვინმეს ამათგან თუ რაიმე პრობლემა შეექმნება, ესენი ეხმარებიან; ვიღაცას თუ რაიმე შეეშლება, დასჯიან — მას სცემენ.

**მაია მელიქიშვილი:**
— ჩვენს სკოლაში მართლაც არსებობს ასეთი პატარა „საძმოები“. მათში ვიღაც ლიდერია, დანარჩენები პატარა — „თეთრი“ ლიდერები არიან...

**თიკო:**
— არსებობს სამართლიანი ლიდერები და უსამართლოებიც... ბევრი ამ დროს საკუთარ არაკაცობას ავლენს, თავი „მაგარი როჟა“ ჰგონია, მაგრამ ჩემთვის, „მაგარი როჟა“ ჩვენს სკოლაში არ არსებობს... მიმაჩნია, პირველ რიგში, უნდა იყო ის, რაც ხარ, გულწრფელი. თამაში არაა საჭირო.

**— სიყვარულს თქვენს თაობაში როგორ გამოხატავენ?**

**მაკო:**
— ცოტა ხნის წინ მეგონა, შეყვარებული ვიყავი, მე და ჩემმა შეყვარებულმა რაღაც ურთიერთობაც ავაწყვეთ, მაგრამ ორ თვეში მივხვდი, რომ თურმე, ის ბიჭი, როგორც ადამიანი, ისე მიყვარდა. დღემდე ვაფასებ მას... ბევრი გოგო არსებობს, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი გრძნობის დამალვა. ისე, თუ ჭკუა აქვს, უნდა დამალოს და როცა ბიჭისგან რაიმეს იგრძნობს, მხოლოდ მაშინ გამოავლინოს საკუთარი გრძნობები.

**ნინო:**
— სიყვარულში მთავარი, შეყვარებულობის პერიოდი კი არ არის, მთავარი დასაწყისია, ფლირტის მომენტი. პირველად შენ რომ გამოუტყდები ბიჭს გრძნობაში, „ტეხავს“...

**— მშობლებთან თინეიჯერების ურთიერთობაზე რას იტყვით? ხშირია მათ შორის კონფლიქტი?**

**ელენე:**
— არაფერს ვაკეთებ ისეთს, რომ მშობლებთან კონფლიქტი მქონდეს. ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობაა და ისინი მიგებენ.

**გიორგი:**
— მეც მეგობრული ურთიერთობა მაქვს მშობლებთან. მენდობიან და პრობლემაც არ იქმნება.

**მაკო:**
— არც მე მაქვს პრობლემები მათთან, მაგრამ დაბინდებულზე შინ რომ შევიდე, მეორე დღეს გარეთ ვეღარ გამოვალ. ბიჭს სახლში გვიან მისვლა ეპატიება, გოგოს — არა.

**მაია მელიქიშვილი:**
— მეც დედა ვარ და ბიჭები მყავს: ერთი მეათეკლასელია, მეორე — 18 წლის არის. ჩემი შვილი ღამის 2 საათზე რომ გავიდეს სახლიდან ისე, რომ არაფერი ვიცოდე, ეს წარმოუდგენელია.

**გიორგი:**
— თუ გოგო სახლში დილის 5 საათზე მოვიდა, მასზე კარგს არაფერს იფიქრებ. ის უბრალოდ, „პონტის გოგოა“ და მორჩა...

**ნინო:**
— ასეც ნუ იტყვი. ღამის კლუბში დღის 12 საათზე არავინ მიდის, მე ჩემები მენდობიან და თუ კლუბში წავალ, უბრალოდ, სანდო ადამიანი უნდა მახლდეს, მარტოს არ გამიშვებენ.

**მაია მელიქიშვილი:**
— ვუსმენ მოსწავლეებს და გაოცებული ვარ, როგორ ახასიათებენ ბიჭები გოგონებს და — პირიქით. რამდენი უარყოფითი რამ წარმოჩნდა! საუბრისას პარალელს ჩემს შვილებთან ვავლებდი და მიხარია, რომ ეს პრობლემები ჩემს ოჯახში არ არის. შეიძლება, მე დედობრივი გრძნობა მაბრმავებს და ამას ვერ ვხედავ, — არ ვიცი. არ იფიქროთ, ჩემი შვილები ჩამორჩენილები იყვნენ, პირიქით, ნებისმიერ სიტუაციაში ისე იქცევიან, როგორც საჭიროა... ■

# რატომ იმატა მოზარდებში ძალადობამ

## „დედიკოს ბიჭებიც“ კი შეიარაღებულნი დადიან“



**მოზარდების მიერ ჩადენილმა სხვადასხვა სახის დანაშაულმა რომ იმატა და ამ პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფომ (და არა მარტო მან) რაღაც სასწრაფოდ უნდა მოიმოქმედოს, მათ შორის — მოზარდებზე კონტროლი დააწესოს, — ამაზე აღარავინ დაობს. მაგრამ მოგვიტანს თუ არა კონტროლი დადებით შედეგს, — ესეც საკითხავია. დღეს თითქმის ყველა მოსწავლე დანით შეიარაღებული დადის. რატომ ატარებენ იარაღს — თავდაცვის მიზნით (მაშინ საკითხავია, რისგან ან ვისგან იცავენ ისინი თავს) თუ იმიტომ, რომ უბრალოდ, მოდაშია?.. ასეა თუ ისე, ბავშვები მას იყენებენ და მომრავლდა ფაქტები, როცა ერთმანეთს სასიკვდილოდაც კი იმეტებენ. სწორედ ამას მოწმობს ის სტატისტიკური მონაცემებიც, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციის — „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ — დირექტორმა, ქალბატონმა მერი მერფიმ მოგვაწოდა. ამ მონაცემების მიხედვით, 2002 წელს არასრულწლოვნების, 14-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ ჩადენილია 226, 2003 წელს — 239, 2004 წელს — 254, 2005 წელს — 75, 2006 წელს კი — 458 დანაშაული. 2002-დან 2005 წლამდე, ყოველ წელიწადს დაფიქსირებულია 7-7 მკვლელობის ფაქტი, ხოლო 2006 წლის მონაცემებში არ არის დაზუსტებული, თუ რამდენი მკვლელობა მოხდა ამ წლის განმავლობაში (ჯერჯერობით, მონაცემები საბოლოოდ დაჯამებული არაა). და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ციფრი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2007 წლის 18 იანვრის მონაცემის თანახმად, ამჟამად საქართველოს საპატიმროებში სულ 324 არასრულწლოვანი იხდის სასჯელს.**

*ლიკა ქაჯაია*

*ნათია ქივიძე*

*რამდენიმე დღის წინ მოზარდებმა პარლამენტის შენობის წინ მოაწყვეს აქცია, რომლითაც 15 წლის გიორგი ზერეკიძისათვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთის ფაქტს აპროტესტებდნენ... პარლამენტის წინ შეკრებილ მოზარდებს გამოველაპარაკე. უმეტესობამ მართალია, არც კი იცოდა, თუ რატომ იდგა წვიმაში (იმ დღეს წვიმიანი ამინდი იყო), მაგრამ პასუხი მაინც მზად ჰქონდა: ჩვენს თანატოლებს მხარში ვუდგავართო. სამაგიეროდ, ზოგიერთი მათგანი საკმაოდ დახვეწილად ლაპარაკობდა და საპროტესტო აქციის მოწყობის მიზეზი კარგად დაზეპირებული ლექსივით ჩამოარაკრაკა:*

**ნინო, 14 წლის:**

— მართალია, მე ახლა პარლამენტის შენობის წინ ვდგავარ, მაგრამ ეს ჩემმა მშობლებმა არ იციან. აქ იმიტომ მოვედი, რომ მეგობრებს ამოვუდგე გვერდით. შესაძლოა, გიორგი ზერეკიძე მართლაც დამნაშავეა, მაგრამ 7 წელი, რა ამბავია?! თან, ის მამამისმა მიიყვანა პოლიციაში და სასჯელი არ უნდა შეემსუბუქებინათ? ჩემი აზრით, ბავშვები ასეთ აქციებს მანამ მოვაწყობთ, სანამ სამართალი არ აღდგება.

**გიორგი, 15 წლის:**

— ზერეკიძე ჩემი მეგობარია-მეთქი, ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ მას ვიცნობდი. ამბობენ, გზას აცდენილი ბავშვიაო. ნეტავ, ეს რას ნიშნავს?.. მართალია, ის ცოტა ნერვიულია და სკოლიდან იმიტომ გარიცხეს (როგორც მე გავიგე), რომ არ სწავლობდა, მაგრამ მერე, რა მოხდა? ასეთი არაა დღეს თითქმის ყველა თინეიჯერი ბიჭი? დარწმუნებული ვარ, მას არ უნდოდა ვიღაცის მოკვლა, უბრალოდ, იკამათეს და კამათის დროს ის ცივი იარაღი გამოიყენა, რომელსაც იარაღსაც ვერ დავარქმევთ, რადგან ერთი ბეწო დანაა. მას ვინმეს მოკვლა რომ ჰქონოდა განზრახული, უფრო დიდ დანას ატარებდა და ამას ვერავინ აუკრძალავდა. ეს გარემოება სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა. დავიჯერო, სახელმწიფო ჩინოვნიკების შვილები იარაღს არ ატარებენ?! ბევრმა მათგანმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ისინი არავის დაუსჯია. მოკლედ, გიორგის მხარდასაჭერად ვდგავარ აქ.

**გიორგი, 17 წლის:**

— იცი, რატომ ვსველდები და ვიყინები პარლამენტის შენობის წინ? იმიტომ, რომ თავს ვიზღვევ. რისგან?.. ბიჭი ვარ და ვინმესთან კამათი რომ მომივიდეს (ეს კი ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს) და იმ ვიღაცამ დანა დააძროს, მისგან თავი ხომ უნდა დავიცვა?! მითხარი, ცარიელი ხელებით შეიარაღებულთან რას გავაწყობ? ამიტომ, დანა მეც უნდა მქონდეს. ჩხუბისას, ან შენ დაგჭრიან, ან შენ დაჭრი მოწინააღმდეგეს და მერე, 7 წელი უნდა მომისაჯონ იმისთვის, რომ თავს ვიცავდი?! 7 წელი ციხეში რომ გავატარო, რამდენად დაზღვეულია საზოგადოება იმისგან, რომ იქიდან ჩამოყალიბებული მკვლელი არ გამოვალ?.. გიორგისთვის შეიძლებოდა მეთვალყურე დაენიშნათ, გაეფრთხილებინათ, დაესაქმებინათ და ყველაფერი კარგად იქნებოდა.

**ანი, 14 წლის:**

— მისთვის მისჯილმა წლებმა, როგორც ჩემში, ისე ჩემი ოჯახის წევრებში აღშფოთება გამოიწვია. ამბობენ, თავიდან მისთვის მისჯილი 10 წელი შეცდომა იყოო, მაგრამ ნეტავ, მაშინ რა ჩანაფიქრი ჰქონდათ, რატომ ღუპავდნენ ბავშვს? მგონია, და ამ მოსაზრებას ჩემი მშობლებიც ეთანხმებიან, რომ ამით უნდოდათ, სხვა მშობლებისთვის ეთქვათ: აი, თქვენ თუ ზერეკიძის მამას მიჰბაძავთ და კანონის დაცვას გადაწყვეტთ, თქვენი შვილიც ასე დაისჯება, ამ ქვეყანაში სულგრძელობა და კანონის დაცვა თქვენთვის არავის უთხოვიაო... იმ მოსამართლის ადგილას ასე ნამდვილად არ მოვიქცეოდი, ბავშვს ცოტა ხნით, რამდენიმე დღის განმავლობაში ვამყოფებდი ციხეში, ვაჩვენებდი, იქ რა ჯოჯოხეთია, მერე კი, სკოლაში დავაბრუნებდი და მასზე მეთვალყურეობას დავავალებდი უბნის ინსპექტორს და მასწავლებლებს. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ, ის ბიჭი ცუდს ვერაფერს მოიმოქმედებდა.

**ნინი, 16 წლის:**

— ვიცი, რომ ის დამნაშავეა, მაგრამ აქ მაინც მოვედი და მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილებს ვაცდენ, მირჩევნია, ჩემი თანატოლების გვერდით დავდგე და ჩვენი, ბავშვების უფლებები დავიცვა. იმედი მაქვს, მივაღწევთ იმას, რომ მთავრობა ყურადღებას მოგვაქცევს და ჩვენს თანატოლს სასჯელს შეუმსუბუქებენ. მჯერა, მან 7 წელი იქ რომ გაატაროს, ის ან კაცისმკვლელი გახდება, ან ქურდი... ხვალ და ზეგ შესაძლოა, ჩვენც ჩაგვყარონ ციხეში, გამოგვამწყვდიონ გალიაში. იმედი მაქვს, პრეზიდენტს ეყოფა გამბედაობა და ბავშვებს გაგვცემს პასუხს კითხვაზე: რატომ არ იბერტყავს ყურს, როცა ხედავს, რომ მოზარდს უსამართლოდ (რადგან მას არავინ მოუკლავს) ღუპავენ?..

*აი, ასე მსჯელობდნენ ის თინეიჯერები, რომლებიც აქციას ესწრებოდნენ... მათთან ლაპარაკის შემდგომ, იქვე ახლოს მდებარე ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში შევედი და იმ მოზარდების მოსაზრებით დავინტერესდი, რომლებიც კლასში ისხდნენ და გაკვეთილებს არ აცდენდნენ. სკოლაში შესვლისთანავე, ერთ-ერთ მასწავლებელს (ქართული ენისა და ლიტერატურის) შევხვდი და გამოველაპარაკე. მან მითხრა:*

— ჩვენს სკოლაში იარაღს თითქმის ყველა ბიჭი ატარებს, ბევრი მათგანი დანას ხშირად იყენებს კიდეც. მაგრამ სკოლაში შემოსული ბავშვების გაჩხრეკის უფლება არ გვაქვს. ეს მოზარდებმაც იციან და ამიტომ ატარებენ ასე თამამად. მიუხედავად ამისა, ჩვენი სკოლის რამდენიმე მოსწავლეს იარაღი მაინც წავართვით და ისინი ახლა დირექტორის ოთახში ინახება... რა დასამალია

და, ზოგიერთი ჩემი მოსწავლის მეშინია კიდეც, რადგან შესაძლოა, დაუფიქრებლად, გაუაზრებლად, მაგრამ მაინც დაგჭრან: ძალიან ემოციურები არიან. ასეთ ბავშვებს მშობლებიც ვერაფერს უხერხებენ ან ხელს აფარებენ, როცა მასწავლებლები მათ რაიმეში ვამხელთ.

*პედაგოგს ვთხოვე — იქნებ, რომელიმე ისეთ კლასში შემიყვანოთ, სადაც ასეთი, ძნელად აღსაზრდელი ბავშვები არიან-მეთქი?! მან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, მე-9 კლასში შემიყვანა და ბავშვებს ჩემი თავი გააცნო. მკითხეს: რაზე უნდა ვილაპარაკოთო? როცა მათ საუბრის თემა გავუმხილე, ერთ-ერთმა ბიჭმა თავი გააქნია, მასწავლებელზე მანიშნა და მერე, თქვა: იქნებ, მასწავლებლის გარეშე, რა, თორემ, გულახდილ ლაპარაკს ვერ მოისმენთ, თან შეგპირდი, რომ ჩვენს სკოლას არ დაასახელებო. საკლასო ოთახიდან პედაგოგის გასვლის შემდეგ, ამ ბიჭს, რომელიც შემდეგ დათოდ გამეცნო, ვკითხე:*

**— რატომ არ უნდა დავასახელო თქვენი სკოლა, რისი გეშინიათ?**

— რა იცი, რა ხდება?.. მერე ჩვენც მოგვადგებიან და გვეტყვიან — თურმე დანას ატარებთ და ვინმე რომ არ დაჭრათ, წინასწარ დაგაპატიმრებთო.

**— გგონია, რომ ასე მოიქცევიან?**

— ამისგან დაზღვეული არ ვარ.

**— კიდევ რისგან არ ხარ დაზღვეული და რატომ ატარებ დანას?**

— თავდაცვის მიზნით: თავს ვიცავ თანატოლებისგან, უფროსებისგან...

**— ცივი იარაღის გამოყენება ხშირად გიწევს?**

— არც ისე, მაგრამ იმისთვის კი საკმარისია, რომ დამიჭირონ.

**— შეგიძლია, ერთი ასეთი შემთხვევა მაინც გაიხსენო?**

— რამდენიც გინდა... ერთხელ მეგობარ გოგოსთან ერთად მოვდიოდი და ჩემზე უფროსმა ბიჭებმა ჩემი გაშაყირება დაიწყეს, გამაწითლეს. ამიტომაც, მათთან ჩხუბი მომივიდა და როცა მივხვდი, ჩემს ცემას აპირებდნენ, დანა დავაძრე. აბა, რა უნდა მექნა?!

**— მერე, დაჭერი ვინმე?**

— დაჭრის რა მოგახსენო, მაგრამ ერთი-ორი კი „დავხაზე". თუმცა, მეც ბევრი მომხვდა. საბედნიეროდ, ჩემთვის დანა არ დაურტყამთ.

**— ეს ამბავი უფროსებმა ვერ გაიგეს?**

— მშობლებმაც გაიგეს და მასწავლებლებმაც, აბა, თვალებზე გაჩენილ „ფინგალებს" სად დავმალავდი?.. ყველაზე საკაიფო იცი, რა არის? როცა ქუჩაში მოზარდების ჩხუბს უფროსები ხედავენ, მაგრამ ახლოს არავინ გვკარება. რომც მოგკლან, ყურადღებას არავინ მოგაქცევს.

**ნინო:**

— მე ვარ ის გოგო, ვის გამოც დათო დაალურჯეს. იცით, ამანაც მაგრად ურტყა იმათ, მაგრამ დანით რომ არ შეეშინებინა ის ბიჭები, შეიძლება, მოეკლათ.

**— როგორ დამთავრდა ჩხუბი?**

— ეტყობა, ვილაცამ პატრული გამოიძახა და მისი სირენის ხმა რომ გავიგონეთ, ყველანი გავიქეცით და დაპატიმრებას გადავურჩით.

**— კი, მაგრამ ამ დროს შენ რას აკეთებდი?**

— ჩხუბს ვუყურებდი, დავიბენი და არ ვიცოდი, რა უნდა მექნა...

**— მასწავლებლებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, დათოს დასჯა არ გადაწყვიტეს?**

**დათო:**

— ამ კითხვას ნინოს რატომ უსვამ, ვითომ, ჩემზე უკეთ გიპასუხებს?.. დამიბარეს, მაგრამ თავი ვიმართლე და შემეშვნენ...

**— თქვენს სკოლაში ასეთი შემთხვევა ხშირად ხდება?**

**ნიკა:**

— ზოგჯერ ხდება, ზოგჯერ — არა. ამის მიზეზი, როგორც ყოველთვის, ისაა, რომ უფროსები ჩვენი თავმოყვარეობის შელახვას ცდილობენ.

**— კი, მაგრამ ხომ შეიძლება, პრობლემა დანის გარეშე მოაგვაროთ?**




**ზვიო:**

— ის მაინც გვითხარით, როგორ? მუშტით? როცა იარაღს გიშვერენ, შენს მოწინააღმდეგეს, როგორც ზვიად გამსახურდია ამბობდა, ყვავილები რომ ესროლო, არაფერი გამოვა... ამას წინათ, მშობლებმა ჯიბეში დანა აღმომიჩინეს, გამიბრაზდნენ და წამართვეს. იმ დღეებში, მისი „დათრევა" ვერ შევძელი და ამ ამბიდან 2 დღეში, სადარბაზოში ვილაცები დამხვდნენ, „მობილი" წამართვეს და კარგადაც დამალილავეს. ჯიბეში იარაღი რომ მქონოდა, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

**— რას იზამდი, მათ დაჭრიდი თუ მოკლავდი?**

**დათო:**

— იმ იარაღით, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, ვერავის და ვერაფერს მოკლავ, ქათამსაც კი. უბრალოდ, ასე ზოგიერთების შეშინება შეიძლება.

**— გოგონებო, მოგწონთ, როცა თქვენი მეგობრები იარაღს ატარებენ და ძველბიჭობენ?**

**ნინო:**

— მე და დათოს ერთმანეთი გვიყვარს და რასაც ის აკეთებს, ყველაფერი მომწონს.

**ლიკა:**

— სიმართლე გითხრათ, „დასტო" ბიჭები მომწონს, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება და ჩხუბს იწყებენ, შიში მიპყრობს.

**— თქვენ გამო ბიჭებმა ერთმანეთი რომ დაჭრან, როგორი რეაქცია გექნებათ?**

— ალბათ, ძალიან ვინერვიულებ, სხვა რა გითხრათ?!

**მაიკო:**

— ბიჭებს შორის ჩავდგები და მათ ამის უფლებას არ მივცემ. სხვათა შორის, დანას ისე, ყოველი შემთხვევისთვის მეც ვატარებ — გიჟებისგან თავი ხომ უნდა დავიცვა?!.

**— შინიდან გამოსვლის წინ მშობლები არ გამოწმებენ?**

**დათო:**

— რატომ უნდა შემამოწმონ? ამით ხომ ჩემს უფლებებს დაარღვევენ!

**ზვიო:**

— ხომ გითხარით, რომ შემამოწმეს და დანა წამართვეს, მაგრამ რა ხეირი, ამით ვითომ ხიფათს ამაცილეს?..

**ლაშა:**

— მე მამოწმებენ, განსაკუთრებით, ამ ბოლო დროს, მაგრამ მას ვერ პოულობენ, ისეთ ადგილას ვმალავ, რომ აზრზეც ვერ მოვლენ.

**— ნუთუ, თქვენს კლასში არ არის ისეთი ბიჭი, რომელიც დანას არ ატარებს?**

**ლიკა:**

— ასეთებს ნაკლებად იპოვით.

**ნინო:**

— „დედიკოს ბიჭებიც" კი შეიარაღებულნი დადიან.

**— მალე თითოეული თქვენგანის ნაბიჯს შეამოწმებენ, თქვენზე ზედამხედველობას დააწესებენ...**

**დათო:**

— მერე, ამით რას მიაღწევენ? კარგი, არ ვატარებ იარაღს, მისი ტარება არც მე მსიამოვნებს, მაგრამ მერე, ვინ დამიცავს?

**ზვიო:**

— ნუთუ, ისინი დაგვიცავენ, ვინც ნამდვილ მკვლელებს უფრო ნაკლებად სჯიან, ვიდრე ჩვენნაირ მოზარდებს?! არ მჯერა ამ ხელისუფლების და რომც ამიკრძალონ, თავდაცვის მიზნით, რაღაცას მაინც ვატარებ.

**დათო:**

— მაგრამ თუ პირობას მოგვცემენ, რომ არავინ შეგვილახავს თავმოყვარეობას და არაფერი დაგვიშავდება, გიჟები კი არ ვართ...

**— დღეს თქვენი თანატოლები პარლამენტის წინ შეიკრიბნენ, საპროტესტო აქცია მოაწყვეს. მათ რატომ არ შეუერთდით?**

— იმიტომ, რომ მიგვაჩნია — ამით ვერაფერს მივაღწევთ.

**ლიკა:**

— ისე, მგონია, რომ ის ბიჭი (*გიორგი ზერეკიძეს გულისხმობს. — ავტ.*) დასჯის ღირსი იყო, ეს მამამისმაც იცოდა და იმიტომ მიიყვანა პოლიციაში. მაგრამ 7 წელი რა უბედურებაა?!. ისე, „სალოლ" მამამისს, რა!

**ნინო:**

— იმ ბიჭს საბოლოოდ დაღუპავენ.

**ზვიო:**

— ჩემები პოლიციაში არ ჩამაბარებდნენ, რადგან კარგა ხანია, მთავრობის აღარ სჯერათ.

**ლიკა:**

— სამაგიეროდ, ჩემები ისეთ დღეში ჩამაგდებდნენ, ციხე მომენატრებოდა.

**ნიკა:**

— არც ჩემები ჩამაბარებდნენ პოლიციაში, ხელსაც კი დამაფარებდნენ. მაგრამ დამიწყებდნენ შეგონებებს და ლექციების, მორალის კითხვას, რაც არცთუ ისე სასიამოვნო მოსასმენია...

**ქალბატონი ირა**, *61-ე საშუალო სკოლის მოსწავლის მშობელი:*

— ჩემი აზრით, დღევანდელი თაობა გაუნათლებელია. მათ წიგნის კითხვა არ უყვართ. მიჯაჭვულნი არიან ტელევიზორს და ისე აზროვნებენ, როგორც რომელიმე ფილმის რეჟისორი. მათ რაღაცის დათმობა არ შეუძლიათ და როგორც კი რაიმე წინააღმდეგობას წააწყდებიან, პრობლემის მშვიდად მოგვარებას ვერ ახერხებენ, მაშინვე ძალისა და იარაღის გამოყენებას ცდილობენ, რადგან ეს ყველაფერი „ბოევიკურ“ ფილმებში აქვთ ნანახი. ბავშვების ასეთი საქციელი პირველ რიგში, მშობლის ბრალია, რადგან ის არ აქცევს მას სათანადო ყურადღებას... მე ლექტორი ვარ და კარგად ვიცი მასწავლებლის მდგომარეობა. მათ საათში 3 ლარს უხდიან. შესაბამისად, ისეთი მცირე ხელფასი აქვთ, ავად რომ გახდნენ, წამლის ფულადაც არ ეყოფათ. ცდილობენ, ბავშვს კარგად მოექცნენ, რაღაც ასწავლონ, მაგრამ ბავშვი მათ არ უჯერებს და ამიტომ, ისინიც აღარ იკლავენ თავს: თუ ბავშვს სწავლა არ უნდა, მასწავლებელს მათი მეცადინეობის სურვილი ეკარგება. გარდა ამისა, ეს ყველაფერი ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობის ბრალიცაა: არსებობენ მდიდრები და ღარიბები. მდიდარ ბავშვებს რაც აქვთ, ის ღარიბებსაც უნდათ, მაგრამ რადგან მათ მშობლებს ამის საშუალება არა აქვთ, შესაძლოა, ბავშვმა რაღაც ნივთის მოპარვა გადაწყვიტოს... ჩვენმა ხელისუფლებამ ამერიკის მიმბაძველობით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად რაღაც კანონები შემოიღო, რომლებიც, სიმართლე გითხრათ, არ მომწონს, რადგან ბავშვს კი არ უნდა დაემუქრო, თბილად უნდა ელაპარაკო იმისთვის, რომ მან რაღაც შეიგნოს.

**ქალბატონი თამუნა,** *მშობელი:*

— დღეს ჩვენ გარშემო საშინელება ხდება. ასეთი სისასტიკე არასოდეს ყოფილა საქართველოში. ადრე ვინმე ახალგაზრდა თუ მოკვდებოდა, ეს იმხელა ტრაგედია იყო, რომ მთელი თბილისი მიდიოდა სამძიმარზე. ახლა კი, ყოველ წუთას კლავენ მოზარდს!.. ძალიან ვინერვიულე, დოლიძის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამო. როგორ შეიძლება, 16 წლის ბავშვებს მანქანის გამო მოუვიდეთ ჩხუბი და ამის გამო ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმეტონ?! ან 16 წლის მოზარდს მშობელმა მანქანა როგორ უნდა ათხოვოს? სწორედ ეს არის ჩვენი პრობლემა, რომ მშობელი ბავშვს თვითონ უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენაში...

**— როგორც ვიცი, თქვენი 15 წლის ქალიშვილის მეგობარმაც ჩაიდინა დანაშაული...**

— დიახ, ეს ჩვენთვის დიდი ტრაგედია იყო. მკვლელობა ერთ-ერთ რესტორანში მოხდა. მხოლოდ მე კი არა, ვინც იმ ბავშვს იცნობს, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის ადამიანის მოკვლას შეძლებდა. ძალიან წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული, კარგი ხასიათის მქონე მოზარდი იყო. ქუჩური ცხოვრებისკენ მიდრეკილება არ ჰქონია, წესიერად და ზრდილობიანად იქცეოდა, კარგად სწავლობდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ვიღაცას ყელს გამოსჭრიდა?! ახლა ციხეშია და მისი ცხოვრებაც დაინგრა. ვფიქრობ, რომ ესეც მშობლების ბრალია, რადგან ამ ასაკის ბავშვები რესტორანში უფროსების გარეშე არ უნდა მიდიოდნენ. მოზარდები კი არა, ასაკოვანი ადამიანები ვერ წავსულვართ რესტორანში ისე, რომ იქ რაიმე შარში არ გავეხვიოთ. შესაძლოა, შენ სულაც არ გინდოდეს ჩხუბი, მაგრამ ვიღაც აგიშარდება და სხვა გზა რომ არ გაქვს, მიდის გრაფინებისა და სკამების „ფრიალი“... სისასტიკეა გარშემო. მშობლებმა შვილები უფრო ეკლესიურად უნდა აღვზარდოთ. გარდა ამისა, ჩვენს სკოლებში მომუშავე პედაგოგები უნდა შეიცვალონ, ბავშვებს როგორ აღზრდიან, როცა ნევროზი აქვს ყველა მათგანს და ბოლმას მოსწავლეებზე ანთხევენ; თავიანთი „გაფუჭებული“ ნერვების წყალობით, ბავშვებსაც უფუჭებენ ხასიათს.

**ქალბატონი ლალი**, *61-ე საშუალო სკოლის მოსწავლის მშობელი:*

— ჩვენს ქვეყანაში იმიტომ წამოიჭრა მოზარდების პრობლემა, რომ ბავშვებისთვის არავის სცალია — არც სკოლას, არც ოჯახს და არც საზოგადოებას. როცა მოზარდის დედა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ სერიალს უყუროს, მერე კი, ის თავისნაირ ხალხთან გაარჩიოს, შვილს რას ასწავლის?.. მათთვის არც სკოლაში სცალია ვინმეს. თითო კლასში სულ 4-5 ბავშვი თუ მოიძებნება, რომლებიც რაღაცას სწავლობენ, მაგრამ მასწავლებლებს მათი სწავლა და ზრდილობა არ აინტერესებთ და რადგან ცელქი ბავშვების რატომღაც ეშინიათ, მოწესრიგებულებზე იყრიან ჯავრს. პედაგოგი კლასში გაკვეთილს რომ ვერ ატარებს და ყველა გაკვეთილი ეშლება, მისი ადგილი სკოლაში არ არის. თუმცა, არსებობენ ძალიან კარგი მასწავლებლებიც, რომლებიც ბავშვებს უყვართ, მაგრამ მათ კორუმპირებული პედაგოგები ვერ იტანენ... ტრაგედია ის კი არ არის, რომ ბავშვმა ცუდი საქციელი ჩაიდინა, ტრაგედია არის ის, რომ ჩვენ ყველა იმ ერთ ცუდს ვხედავთ მხოლოდ და ათას კარგს — ვერა. ბავშვების მიერ ბოლო დროს ჩადენილმა დანაშაულებმა ძალიან ამაღელვა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ არ არსებობს ცუდი ბავშვი — ვარსებობთ ცუდი მშობლები, ცუდი პედაგოგები და ცუდი სახელმწიფო — ანუ რაც დღეს ხდება, ეს ჩვენი, საზოგადოების მათდამი გულგრილი დამოკიდებულების ბრალია.

**ზაალ სამადაშვილი**, *53-ე სკოლის დირექტორი:*

— ის, რომ მოზარდების მიერ ჩადენილი ძალადობისა და დანაშაულების ფაქტები მატულობს, ამაში ბრალი მშობელსაც, მასწავლებელსაც და სახელმწიფოსაც მიუძღვის. ქართველი საზოგადოება არა მარტო ამ, არამედ ბევრ სხვა საკითხთან დაკავშირებით, ვერ იჩენს ჯეროვან პასუხისმგებლობას. გვირჩევნია, ყველაფერი სხვას გადავაბრალოთ და „ხელები დავიბანოთ“. ჩვენს შვილებს თუ აღსაზრდელებს მეტ დროს რომ ვუთმობდეთ, ალბათ, ყველაფერი უკეთ იქნებოდა. რატომ არ უნდა შევამოწმო საკუთარი შვილი, თუ გამიჩნდა ეჭვი, რომ მას ჯიბეში დანა ან სულაც, სიგარეტი უდევს? აი, ეს არ მესმის. ამ შემთხვევაში, მშობელს მასწავლებელი ვერ ჩაანაცვლებს. მე ჩემებური მეთოდი მაქვს იმისა, რომ ბავშვები საფრთხისგან დავიცვა.

**— რას გულისხმობთ?**

— მათ მეგობრულად ველაპარაკები იმაზე, თუ რა შეიძლება მათ მოუტანოს დანის ტარებამ, სიგარეტის მოწევამ და ა.შ. მათთან საუბრის დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოდესღაც, ჩვენც ვიყავით ბავშვები და ათასგვარ სისულელეს ჩავდიოდით... ცივი იარაღის „მოდურობას“ ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ის თავისუფლად იყიდება ყველგან, ბიჭებს კი, რომლებსაც ამ ასაკში თავგადასავალი იზიდავთ, შეუძლებელია, მისკენ თვალი არ გაექცეთ... მე მაქვს პატარა კოლექცია იმ დანებისა, რომლებიც ჩემს აღსაზრდელებს ჩამოვართვი...

**— როგორც ვიცი, ზერეკიძე ამ სკოლაში სწავლობდა...**

— ის 4 წლის წინ გაიყვანეს ამ სკოლიდან, მაგრამ საბუთებში არაა აღნიშნული, რომ ის ვინმეს გაეძევებინოს, წერია, რომ გიორგი რომელიღაც კოლეჯში გადაიყვანეს... რაც შეეხება მისთვის გამოტანილ სასჯელს, — ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან ვარ მასწავლებელი და არა მოსამართლე ან პროკურორი. ვიცი მხოლოდ ერთი რამ — არსებობს დანაშაული და შესაბამისად, სასჯელიც...

*როგორია უცხო თვალით დანახული სიტუაცია? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, საერთაშორისო ორგანიზაციის — „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ — დირექტორს, მერი მერფის მივმართეთ.*

**მერი მერფი:**

— ის, რაც მოზარდების მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ თქვენი მასმედიით შუქდება, ვთქვათ, გიორგი ზერეკიძის ამბავი, ცოტა არ იყოს, დამაბნეველია: ვერ მიხვდები, რა დანაშაული ჩაიდინა სინამდვილეში მოზარდმა მანამ, სანამ ვიღაცას დაჭრიდა. ამ შემთხვევაში, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ის ვალდებულებები, რომლებიც საქართველომ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით იკისრა, უნდა შეასრულოს ანუ მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ბავშვები არ მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ისინი არ მოხვდნენ ციხეში. მთავარი, რაც საერთაშორისო სტანდარტებითაა დადგენილი და დასავლეთის ქვეყნებში უკვე მიღწეულია, ის გახლავთ, რომ დანაშაულს კი უნდა ებრძოლო, მაგრამ ამავდროულად, მისი პრევენცია უნდა მოახდინო. საპატიმროში არასრულწლოვნის გამწესება გამოსავალი არ არის. ამიტომ მოზარდებთან საფუძვლიანი პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარება საჭირო. ბრიტანეთსა და ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, მოზარდებში ძალზე მოდურია დანის ტარება, ამიტომ მათ ჩხრეკენ, პოლიცია მიდის სკოლაში და ბავშვებს უხსნის, თუ რაოდენ საშიშია ეს. გარდა ამისა, მათაც და მშობლებსაც უტარდებათ სპეციალური ტრენინგები, რომლებსაც მთელი რიგი ორგანიზაციები, მოსამართლეები ახორციელებენ.

გაგრძელება 67-ე გვერდზე

# სიყვარულმა ასაკი არ იცის



მობილურში გაცვლილი ცოლი და „ბებერო, ყელზე ხომ არ დაგადგები?" ანუ „ეჰ, ბებო, ბებო, როდემდე?"

**წინასწარ გაგახარებთ და გეტყვით, რომ სულ ცოტა ხანში „გზავნილების“ მოყვარულ მკითხველს დიდი სიურპრიზი ელის. რა? ამას საიდუმლოდ დავტოვებ და წინასწარ არ გავამჟღავნებ. ერთი-ორი კვირა მალე გაივლის და... მანამდე კი, მინდა, შესავალში რამდენიმე მესიჯი განვიხილო, რაც მომავალში ალბათ, ტრადიციად იქცევა. „მარი, „გზავნილებით“ რას იღებ? გაწუხებენ და ზედმეტი თავის ტკივილი გაქვს. გთხოვ, ნუ მეტყვი, რომ ხალხს ამით ცოტათი მაინც უმსუბუქებ პრობლემებს“. აი, ასეთი მესიჯი მომწერა ერთმა მკითხველმა. მინდა, მის გასაგონად ვთქვა, რომ მე „გზავნილებიდან“ პირველ რიგში, მკითხველების დიდ სიყვარულს ვიღებ, რაც ჩემთვის ძალზე ძვირფასია. ხშირად, უგუნებოდ მყოფს, ისეთი თბილი მესიჯი წამიკითხავს, რომ უცებ მოვსულვარ ხასიათზე და დამვიწყნია ჩემი პრობლემა. ხოლო მკითხველისთვის რა სარგებლობა მოაქვს, ამაზე თავად მკითხველმა გვიპასუხოს. მოდი, ერთგვარი ფორუმი მოვაწყოთ ჩვენს ჟურნალში და მოკლედ მომწერეთ, რა სარგებლობა მოაქვს თქვენთვის „გზავნილებს“. თუ არ დაიზარებთ და მომწერთ, მომავალში სხვა თემებსაც განვიხილავთ.**

**უკვე ვთქვი, რომ ძალზე სასიამოვნოა, როცა უცნობი ადამიანები სითბოსა და სიყვარულს გამოხატავენ, მაგრამ დამეთანხმებით, რომ გაცილებით სასიამოვნოა, როცა ამას შენი კოლეგა აკეთებს: „მარი, მეც ჟურნალისტი ვარ. მაგარი რუბრიკა გაქვს. ეს რუბრიკა სატელევიზიო ვერსიად ხომ არ გაგვეკეთებინა? აბა, შენ იცი! უმაგრესი ხარ!“ თუმცა, არც ის დამიმალავს, რომ საყვედურსაც ბლომად ვიღებ: „მარი, როგორ გთხოვე, ჩემი მესიჯი დაბეჭდე-მეთქი, რითაც მეუღლეს და მაზლს დაბადების დღეს ვულოცავდი. ალბათ საყვარელზე უნდა მომეწერა, რომ დაგებეჭდა. იცოდე, რომ ერთგული მკითხველი დაკარგე. ალბათ არ განაღვლებს, ხომ? ბოლოს არავინ დაგრჩება და იკითხე შენ მარტო შენი რუბრიკები. გმადლობ, ხათუნა“. განაწყენებულ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ასეთი სახის მესიჯები ჩვენთან მხოლოდ „მესიჯომანიის“ რუბრიკაში იბეჭდება და საამისოდ, მესიჯი სხვა ნომერზე უნდა გამოგზავნოთ და არა ჩემს მობილურზე.**

**ახლა კი თემასთან დაკავშირებით მოსულ მესიჯებს გავეცნოთ.**

*მარი ჯაფარიძე*

### „ასე ხდება „აქანა"

„ერთი 50 წლის კაცი გადამეკიდა, ცოლად უნდა მოგიყვანო და ბიჭი უნდა მაჩუქოო. ლამის მივახალე, შენ ის გოგოც არ უნდა გყოლოდა, რომელიც გყავს-მეთქი (მისი შვილი ჩემი ტოლია, 25 წლის გახლავთ). მერე ვუთხარი, ჯერ მანქანა მიყიდე და მერე გამოგყვები ცოლად-მეთქი. ამ ამბავში ყველაზე მაგარი ის არის, რომ მის დისშვილსაც მოვწონვარ. ის ჩემი ასაკისაა. ეს რომ გაიგო, ბიძამ მითხრა, ერთ-ერთი უნდა აგვირჩიოო. დისშვილმა უთხრა, გზიდან ჩამომეცალე, ხელს ნუ მიშლიო. ბოლოს, „ქეთო და კოტეს“ თავადი ლევანის არ იყოს, ბიძამ თქვა, მამულებს გიბოძებთოოო. ასე ხდება, მარორიტა, „აქანა“ და რაღა ვქნა, არ ვიცი. გაკოცეთ ბევრი“.

### გონიერი ნაბიჯი

„მარი, გამარჯობა, შვილო. გწერ 40-ს გადაცილებული ქალი. ასაკთან შედარებით, ახალგაზრდად გამოვიყურები და ისე მოხდა, რომ ჩემი შვილის მეგობარს, 25 წლის ბიჭს შევუყვარდი. რომ გავიგე, გადავირიე. ყველაფერს ვაკეთებდი საიმისოდ, რომ ბავშვისთვის აზრი შემეცვლევინებინა, მიუხედავად იმისა (სულო, ცოდვილო!), რომ მეც ძალიან მომწონდა. ბოლოს, რომ ვერაფერი გავაწყვე, მის მშობლებთან მივედი და დაველაპარაკე, ისე, რომ ნიკუშას არაფერი გაუგია. მეც დავეხმარე და ინგლისში გავუშვით სასწავლებლად. თავიდან ტიროდა, მენატრებიო, ახლა ნელ-ნელა ვავიწყდები. მარი, მაპატიე, ალბათ დაგღალე, მაგრამ ეს ჩემთვის მტკივნეული თემა იყო და იმიტომ მოგწერე“.

### სად გადის ზღვარი?

„სიყვარულმა ასაკი კი არა, სხვაც ბევრი რამ არ იცის. ერთი 45 წელს გადაცილებული კაცია. რატომღაც, ყველა „გიჟ ნიკოს“ ეძახის. არადა, არც ქვებს ისვრის და არც ვინმეს რამეს უშავებს. ცოტა თავისებურია, უცნაურობები კი ყველას გვჭირს. ლამაზ ქალებს ეტრფის, მათ შორის, მეც. ერთხელ სამსახურში უფროსმა მაგრად გამლანძღა, სხვისი გულისთვის დიდი ამბავი დამაწია. გამწარებული გამოვვარდი ქუჩაში და ატირებას აღარაფერი მაკლდა. სიკვდილს ვნატრობდი. ქუჩის მოსახვევში ვიღაც გადამეღობა. გვერდის ავლა ისე ვცადე, რომ მისთვის არც შემიხედავს. არ გამატარა. ავხედე და რას ვხედავ? ნიკო არ არის?! — როგორ ხარ, ძვირფასო? რა დაგემართა? ვინ გაწყენინაო? — დამაყარა კითხვები. თან გამიღიმა და ხელზე მაკოცა. მერე — გაგაცილებო, შემომთავაზა. ვიუარე. მან კი მხრები აიჩეჩა — როგორც გნებოსო. უცებ გაბრაზებამ გამიარა. მივხვდი, რომ ცხოვრება სულაც არ არის ისეთი უფერული, როგორიც მეჩვენებოდა. იდგა ნიკო და იღიმებოდა. ცისფერი თვალები უციმციმებდა. ღიმილი გიხდებაო, მომაძახა. ახლა თქვენ გეკითხებით, ვინ გამიჯნა გიჟები და ჭკვიანები? სად გადის ზღვარი სიგიჟესა და სიჭკვიანეს შორის? როგორ გავიგოთ, ვინ როგორია? მითხარით, ნიკო გიჟია და ჩემი უფროსი — ჭკვიანი?.. ფინტიკოზა“.

### მამის მოღალატე

„ყველაზე არასასურველი სტუმარი, ყველაზე არასასურველ დროს, მამაჩემისთვის იყო დედაჩემი, როდესაც ეს უკანასკნელი მამას ჩვენს მეორე სახლში ეწვია მაშინ, როცა ის სატრფოსთან ერთად ლოგინში ნებივრობდა და ტრფობის ცეცხლში იყო გახვეული. ხომ წარმოგიდგენიათ, იქ რა მოხდებოდა? მას შემდეგ, მამაჩემს სძულს ჩამშვები მეზობლები და დღემდე მადანაშაულებს იმის გამო, რომ არ ვაცნობე მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ასე რომ, ძვირფასო ქმრებო, ვიდრე საყვარელს სახლში მიიყვანთ, მზრუნველ მეზობლებს ტელეფონის კაბელი აუცილებლად ჩაუჭერით და რაც მთავარია, როდესაც სიყვარულში გართული, კარზე

კაკუნის ხმას გაიგონებთ, კარის გაღებამდე გაიგეთ, ვინ გესტუმრათ. მოღალატე საშა“.

## „არ გვიგონებენ, ყველაფერი მართალია“!

„დავიწყებ იმით, რომ მეც სვანი ვარ. არც მეტი, არც ნაკლები, ონიანი გახლავართ. ჰოდა, შუა ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ლიფტში გავიჭედეთ: მე, მამაჩემი და კიდევ 2 უცნობი ადამიანი. საშინელი სიცხე იყო. ძალიან შეგვაწუხა უჰაერობამ. მამაჩემმა ითმინა, ითმინა და ბოლოს, ჩაილაპარაკა: ეჰ, კარი მაინც იყოს ღია, ცოტა ჰაერი შემოვიდოდაო. სიცილით ჩავბჟირდი. პაპიკიჩმა გაოცებული სახით შემომხედა, ვერ მიხვდა, რა იყო სასაცილო. ამ შემთხვევის მერე კიდევ უნდა ვთქვათ, სვანებს ანეკდოტებს გვიგონებენ-თქო? „ანარქია“.



## „ბრატები“

„ერთხელ, სრულიად შემთხვევით, მესიჯი სხვა ნომერზე გავუშვი. მეორე დღეს პასუხი მომივიდა. მე მოვუბოდიშე შეწუხებისთვის. მან კი მითხრა: კი არ შემაწუხე, გამახარეო. ისეთ სიტყვებს მწერდა, პოეტი გეგონებოდა. შემდეგ აურია. ისეთ რაღაცებს მწერდა, გამაოცა. მე ვუთხარი: უცხო ადამიანს ასეთი რაღაცები არ უნდა მისწერო-მეთქი. რამდენიმე ხნის მერე დამიმესიჯა: შენი მესიჯები ჩემმა ქმარმა წაიკითხა და საქმის გასარჩევად გეძებსო. ყველაფერი აქ დამთავრდა. უბრალოდ, მინდა, ყველა გათხოვილ ქალს ვუთხრა, რომ მიიღონ ბოდიში და ოჯახს ნუ დაანგრევენ. იმედია, ის გოგონაც წაიკითხავს ამ მესიჯს და მეორედ აღარ გააბამს მესიჯობანას. მოკითხვა საჩხერელ გოგოს, რომელიც დაიკარგა. განსოლინა, აღარ ვართ „ბრატები“? „სტიქია“-2“.

*ახლა კი მოკლე მესიჯებს გავცნოთ.*

## „რაცხა იმფერი გრძნობაა, რომ ვერ გოუგებს კაცი“...

„ჩემს გათხოვებამოწყურებულ მეზობელს ძლივს გამოუჩნდა მთხოვნელი. სწორედ ამ დროს მე შევაჭერი მის სახლში და ვკითხე: დათუნას ტრუსი აქ ხომ არ დარჩა-მეთქი? სასიძო თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. არადა, 2 წლის დათუნას ტრუსს ვეძებდი. პარაზიტკა“.

„ერთხელ შეყვარებულს მისი დაქალის სახლში უნდა შევხვედროდი. ჩემმა „ლოვემ“ დარეკა, ცოტა დამაგვიანდებაო. მე და მისმა დაქალმა გართობა გადავწყვიტეთ და... შუა საქმეში ვიყავით, როცა ჩემმა შეყვარებულმა კარი შემოაღო... 2 თვეში მამა ვხდები... ჩემი ყოფილი შეყვარებულის ყოფილი დაქალი ახლა ჩემი ცოლია და ძალიან მიყვარს. სვანი, 17 წლის“.

„ამ მესიჯს ხარაგაულიდან გწერთ, ერთი მიყრუებული სოფლიდან და მგონი, აქ ჩემს მეტი, არც არავინ კითხულობს „გზას“. ცოტა ხნის წინ შვილი გავაჩინე უქმროდ. ერთ დღეს მეზობელი მოვიდა და შემომთავაზა, მისთვის ბავშვი მიმეყიდა. ისე ვცემე, მთელი თვე თავ-პირი სტკიოდა. მის ხარაგაული“.

„მარიიი, ასე რატომ მექცევი? ჯიხურთან რომ ჩავივლი, გამყიდველი შორიდან „გზას“ დამანახვებს ხოლმე. მეც ცდუნებას ვერ ვუძლებ და ვყიდულობ, მერე გიმესიჯებ და შენ კი არ მიბეჭდავ. არადა, „ბალი ბიჭის“ ვალი დამედო. ბარტყი“.

„სიყვარულის რა მოგახსენოთ, მაგრამ „გზავნილების“ კითხვამ რომ არ იცის ასაკი, ეს ნამდვილად ვიცი. უნდა ნახოთ, ყოველ ოთხშაბათ ღამეს მე და პოლიმატის დედოფალი როგორი ენთუზიაზმით „ვკერავთ“ „გზას“, რომ „სტიქიამდე“, „ლამურამდე“, „კანიბალკამდე“ და სრულიად საქართველომდე მივიდეს. გაიხარეთ. ახმეტა, მაია სტამბიდან“.

„როცა შემიყვარდა, 14 წლის ვიყავი. რომ დავშორდი, 19-ის. არ ვიცი, კიდევ როდის შევძლებ, რომ ამ გრძნობას კარი გავუღო. მაინც მეყვარება ჩემი სიცოცხლე, რომელსაც უკვე სხვისი ქმარი ჰქვია. დელ-მარი“.

„აპა, ძამა, 60 წლის აბდალი ყაძახი რომ მოათრევს სახლში 20 წლის ბაღანას, ამფერ ამბებზე იჩივლებთ, სიყვარულმა ასაკი არ იცისო... მარი, რაცხა იმფერი გრძნობაა, რომ ვერ გოუგებს კაცი. იმედია, გურულები არ მიწყენენ“.

„ერთი ბიჭი გავიცანი. „ვზროსლი“ იყო. ერთი ნახვით შემიყვარდიო, მეფიცებოდა. ბოლოს, ასაკი მკითხა და რომ ვუპასუხე, თვალები დააჭყიტა: — ბავშვი ხარო, — დანანებით მითხრა, — მაგრამ სიყვარულმა ასაკი არ იცისო, — დაამატა ბოლოს და ამაზე ლაპარაკით ყურები გამომიჭედა. ზარმაცი“.

„თავმოყვარეობა ყოველთვის აუცილებელია, მაგრამ ამას ვერ გრძნობ, როცა შენზე პატარა ბიჭს გაჰყვები ცოლად. მეც მაგ დღეში ვარ. კარგად ვუგებთ ერთმანეთს“.

„ჩემი ქმარი ჩემზე 9 წლით უფროსი იყო. ვფიქრობ, ჩვენი დაშორების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ყველაფერზე განსხვავებული აზრი გვქონდა. როცა მე გართობა მინდოდა, მას მსგავსი რაღაცები უკვე აღარ აინტერესებდა. სამაგიეროდ, მე და „მორიელი“ ერთი ასაკის ვართ და ერთი ჭკუისაც. „კიბორჩხალას“ ყოფილი ცოლი“.

„სკოლიდან რომ წამოვედი, „გზა“ ვიყიდე. კარგად დავათვალიერე და ჩემი მესიჯები ვერ ვნახე. სხვათა შორის, „გამიტყდა“, მაგრამ ნამტვრევებს უკვე ვაწებებ... მესიჯომანი“.

„მარი, საუკუნე გავიდა, რაც ჩემი მესიჯების გარეშე „გზა“ არ გამოსულა. ამ კვირას კი... ეჰ... თუმცა, არ ვწუწუნებ, უბრალოდ, მეუცხოვა. ალბათ იმიტომ, რომ უკვე პატიოსნად, ერთი ნომრიდან გიგზავნი მესიჯებს. ეჰ, თურმე პატიოსნება რა ცუდი ყოფილაა... ალბათ უინტერესო მესიჯი მოგწერე და კონკურენციას ვერ გაუძლო. სიყვარულში კი, მაგარი უნიჭო ვარ. მეგრელი კანიბალკა“.

„ძალიან ცუდ დღეში ვარ. შემიყვარდა კაცი, რომელიც ჩემზე 15 წლით უფროსია. მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ასაკი აფერხებს. არ გეცოდებით? მარი“.

„როგორ გგონიათ, ნორმალური ვარ, ეს აბიტურიენტი გოგო, 25 წლის ბიჭთან პაემნებზე რომ დავრბივარ? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მიყვარს და ხომ არ მოვკვდები? მის ჯემირო“.

„მარიიი... ჩამოდი, რა, ბაღდათშიიი... აქ ისეთი „სვეტსკი“ ამბები ხდებააა... ერთი ჟურნალი არ გეყოფა დასაწერად. 18 წლის ბიჭს ცოლ-შვილი ჰყავს და საყვარლის გამო „სროკი“ აიკიდა. ერთმა კი, ბოლო მოდელის მობილური იცი, რის ფასად დაითრია? — ცოლი ათხოვა მეზობლის კაცს!.. აუ, რა არ ხდება, არა?! გავგიჟდები მალე. ტუტი“.

„ჩემს 27 წლის „ბაბუს“ 17 წლის გოგო შეუყვარდააა... ჰოოოდა, ამ 17 წლის შეყვარებულს 34 წლის დედა ჰყავდა და სასიძოს სულ შვილო-შვილოს ეძახდააა... ერთხელაც, ამ ჩემს „ბაბუს“ სასიდედროს შვილობილობა ყელში ამოუვიდა და უთხრა: აუ, მაიცა, ქეთი, რა... რა შვილო, რის შვილო, შენზე ორჯერ უფროსი საყვარელი მყავდაოო... ჩემი „ბაბუ“ დღესაც ეძებს საცოლეს, რომელსაც 80 წლის დედა ჰყავს. ილინი“.

„ეჰ, სიყვარულმა მართლაც არ იცის ასაკი, თორემ რამ გამათხოვა ეს ერთი ციდა გოგო? ახლა კი ვზივარ და დაკარგულ თავისუფლებას მივტირი. სიყვარული კი, არ არსებობს. პაწაწინა“.

„ცოლად გავყევი მას, ვინც მიყვარდა. მეუბნებოდა, ტოლები ვართო, მაგრამ დედამისმა ლამის თავი მოიკლა, რადგან აღმოჩნდა, რომ თურმე მე 10 თვით უფროსი ვყოფილვარ. მაშინვე წამოვედი. ამბობენ, სიყვარულმა ასაკი არ იცისო, მაგრამ სამაგიეროდ, სადედამთილოებმა იციან კარგად“.

„მარი, იმის მიუხედავად, რომ ჩემს მესიჯებს არ ბეჭდავ, მაინც მიყვარხარ. ყველა მიყვარხართ. ანკაბანკა“.

„34 წლის ვარ და იცით, რამდენი წლის კაცი მიყვარს? 42-ის. ის უცოლოა, მე — გასათხოვარი. მაგრამ ხელს ის გვიშლის, რომ მე საბერძნეთში ვარ, ის კი — საქართველოში“.

„მე და ჩემი ქმარი ერთი ასაკის ვიყავით და ისეთი ლამაზები, რომ უცხო ადამიანები გვაჩერებდნენ ქუჩაში და გვეუბნებოდნენ, რომ ასეთი ლამაზი წყვილი არ ენახათ. მაგრამ რა? ბოროტი და გულქვა იყო. ამიტომაც მივატოვე და „აგდია“ ახლა მარტო. ყველამ უნდა იცოდეს, რომ სიყვარულისთვის მთავარი, ასაკი კი არა, სიკეთე და სითბოა. ასაკი და გარეგნობა რა მოსატანია?“

„ვინც ქართული იცის, ყველა ზის და „გზას“ კითხულობს, განურჩევლად ასაკისა. „გზის“ სიყვარულმა ასაკი არ იცის. ტუტი“.

„21 წლის ვარ და 45 წლის კაცი მიყვარს. ის კი ჩემი ასაკის შვილებს ზრდის. 15 წლის

ვიყავი, როცა სიყვარულში გამომიტყდა. ამ 1 წლის წინ კი მითხრა, რომ ეს სიყვარული დიდი შეცდომა ყოფილა, თურმე".

„ჩემს დიდ პაპას 73 წლის ასაკში შეუყვარდა და მეორე ცოლი მოიყვანა. 3 წლის მერე გაშორდა. საწყალი, ახლაღა გარდაიცვალა, ორმოციც არ გვქონია ჯერ".

„მარი, ნეტავ იცოდე, როგორ მინდა შენი გაცნობა. მაგარი რომ ხარ და ხალხი შენზე რომ ეცემა, იმიტომ კი არა; იმიტომ მინდა, რომ მეც მარი ჯაფარიძე ვარ. რაც „გზავნილები" დაარსდა, იმის მერე ვკითხულობ და „მევასები", მააშ! მე პაწუა მარი ჯაფარიძე ვარ და ძალიან მიყვარს ჩემი სეხნია. იქნებ დაგეწერა, როდის დაიბადე? ძალიან მაინტერესებს. თუ გინდა, წელს ნუ იტყვი, მხოლოდ თვე და რიცხვი გვითხარი. მპუა, შენ, პატარა მარი ჯაფარიძისგან".

„ჩემი აზრით, 40 წლის ქალს რომ 20 წლის ბიჭი შეუყვარდება, სირცხვილია ამ დროს იმის თქმა, რომ სიყვარულმა ასაკი არ იცის. სიყვარულმა ძალიან მშვენივრად იცის ასაკი, მაგრამ აი, ფულის სიყვარულზე კი, რა მოგახსენოთ. მაგას ნამდვილად არ ეცოდინება ასაკი... მერი-ჯეი".

„ჩემი სიყვარული 10 წლით უმცროსია ჩემზე. ვცადე, დამერწმუნებინა, რომ დედად შევეფერები, მაგრამ მითხრა: გულს ვერ ვუბრძანებო. მეც შემიყვარდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ 35 წლის, გათხოვილ ქალს ასეთი ლამაზი სიყვარული მეწვეოდა".

„ეჰ, არ იცის, არა! არ იცის სიყვარულმა ასაკი, თორემ, რაღა მე, პატარას დამეტაკებოდა? მინდა ახლა მე სიყვარული? არ მინდა! მით უმეტეს, ცალმხრივი. ჰოდა, არც მიყვარს. ლიკანა".

„თემა რომ წავიკითხე, ყოფილი მეზობელი გამახსენდა. ცოლი 45 კილო იყო, ხოლო ქმარი — 200. მათზე უნდა ითქვას, სიყვარულმა წონა არ იცისოოო... მტერს, ასეთი სიყვარული! ციანიდი".

„ისეთი შეყვარებული მყავს, რომელიც მზეს და მთვარეს ვერ არჩევს. გუშინ ავარია მომივიდა და დაბინტული „ვგდივარ" სახლში. ჩემმა „ლოვემ" დამირეკა და მომიკითხა. მე ვუთხარი: წადი, მზე და მთვარე ისწავლე და მერე მელაპარაკე-მეთქი. ეს ჩემი დებილი ფურცლით ხელში მომადგა სახლში: — მზე და მთვარე დამიხატე და ქვევით მიაწერე, რომელი რა არისო. აბა, ასეთ დებილს რომ შეიყვარებ, დიდი გოგო გქვია?"

„რაოო? ასაკი არ იცისოო? ვინ გითხრათ? ისე კარგად იცის, რომააა... რამდენი ხანია, ერთი გოგო მიყვარს, მაგრამ იმიტომ მიწუნებს, რომ მასზე პატარა ვარ. სმაილი-17".

„სიყვარულმა რომ ასაკი იცოდეს, ახლა მეწვეოდა სწორედ... ისე, მარი, გათხოვილი ხარ? მაგარი „ზმანი" ბიძა მყავს და დიდი სიამოვნებით მიგიღებდი ბიცოლად. უარი არ გამოვა იმიტომ, რომ მოგიტაცებ. მის კალაძე".

„სიყვარული ასაკს კი არა, ოჯახურ მდგომარეობასაც არ ეპუება. ალბათ მართლა ბრმაა, ეს დალოცვილი, რადგან სწორედ იქ გაპოვნინებს სასურველს, სადაც არ ელი. როცა ანდროს სიყვარულით სავსე თვალებს ვხედავ, მინდა, მოვეფერო, მაგრამ მკაცრი სიტყვებით გულს ვტკენ. მერე მთელი ღამე ვტირი, რადგან მიყვარს, მაგრამ ვიცი, რომ არ შეიძლება. სამიდან ერთი ყოველთვის ზედმეტია და ეს ერთი — მე ვარ. მარის ნათლული".

„სიყვარულმა ასაკი რომ არ იცის, ამას მაშინ მივხვდი, როცა 16 წლის გოგოს 28 წლის კაცი შემიყვარდა. ეს სიყვარული მხოლოდ ლამაზ მოგონებად დამრჩა. მის ბელურა".

„ჩემმა სიყვარულმა ასაკი კი არა, არაფერიც არ იცის. „უწესოა". ჰოდა, მეც დავატარებ გულით ასეთ „უწესო" და „უასაკო" სიყვარულს. მარიკელა, მგონი, ჩემზე გაბრაზებული ხარ და იმიტომ არ მიბეჭდავ მესიჯებს. არადა, იყო დრო, ყდაზე ვიყავი გამოჭიმული".

„სიყვარულს ასაკი არ აქვს? არც სქესი? ეჰ, მატყუებთ რაღაცას.... ეჰ... „გზავნილების" „ლომკა" მაქვს. მარი, ჟურნალი დააარსე და „გზავნილები" დაარქვი. ამდენი „ლომკიანი" მკითხველი არ გეცოდება?"

„35 წლის კაცი, 15 წლის ბავშვმა გამომაშტერა. მოვატყუე, 25 წლის ვარ-მეთქი. მერე კი გავიგე, რომ შეყვარებული ჰყოლია. ვკითხე — რატომ არ გამიმხილე-მეთქი? — და იცით, რა მითხრა? — ბებერო, ყელზე ხომ არ დაგადგებიო?.. მე სინდისი არ მასვენებდა, რომ ასაკი მოვატყუე და იმას თურმე ყველაფერი სცოდნია. ახლა ვდგავარ მის სახლთან და თუ ვერ ვნახე, გავაფრენ. თამთამ-შვილო, მალე მოხვალ და გრძნობას მომთხოვ..."

„მე მუდმივად ან პატარები „მეფანცქვალებიან", ან — სულ დიდები. მე კი არც გადიობა მხიბლავს და არც მოხუცების მოვლა. რა ვიცი, რა ვიცი... ჭკვიანი გოგო".

„ეჰ, რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემზე 10 წლით უფროსი, თანაც, ბიძაჩემის ძმაკაცი შემიყვარდებოდა?!. არ იცის სიყვარულმა ასაკი, არა!"

„ხალხო, უზომოდ ბედნიერი ვარ. „გზავნილების" კითხვა რომ დავიწყე, ვიფიქრე, რომ არც ამჯერად იქნებოდა ჩემი მესიჯი, მაგრამ იყო! დიდი მადლობა. სიყვარულმა რომ ასაკი არ იცის, „გზავნილებმა" მიმახვედრა. ვარსკვლავთგოგონა".

„ჩემზე 3 წლით უმცროსი ბიჭი მიყვარს. ამას საერთოდ არ ვაქცევთ ყურადღებას. მთავარია, სიყვარული იყოს, თორეემ..."

„მარი, მესიჯები „ლათ ალ დამიბეჭდე, ლათა, ლათა, ლათა"? ჰო, მართლა, „მესიჯომანიაში" მინდა! იქ მინდა! არა, „გზავნილებშიც" მინდა! კაკუს გაცნობაც მინდა და კანფეტებიც. „ძუნწი და ბუზღუნას" ავტორიც მე ვიყავი. კაი, წავედი, მეძინება, მპუა ყველას. კისკა".



„ხალხო, რას გადაეკიდეთ მარის? ხან აბრალებთ, არ არსებობო, ხან უბრაზდებით, მესიჯს არ გვიბეჭდავო... მარი „მშვენივრადაც" არსებობს და თუ დაიმსახურებთ, მესიჯსაც „მშვენივრად" დაგიბეჭდავთ. ტუტი".

„გამარჯობა, „გზავნილომანიით" შეპყრობილნო! ჩემი მამიდაშვილი, გოჩა დიასამიძე ქრისტეს ასაკს უახლოვდება და გამწარებული ეძებს ცხოვრების თანამგზავრს. გოგონები კი, მხოლოდ იმის გამო იწუნებენ, რომ ერთი თვალი ცისფერი აქვს, მეორე კი — მწვანე. კაცი დაბერდა და მაინც სიყვარულის ძებნაშია. თან გაიძახის, სიყვარულმა ასაკი არ იცისო. იქნებ ღმერთმა უსმინოს და სანამ ბოლომდე არ გამელოტებულა, ნამდვილი სიყვარული ეწვიოს. ეჰ, გოგონებო, რომ იცოდეთ, რას ცეკვავს! 55 წლის ქალიშვილი".

„ჩემზე 18 წლით უფროსი მამაკაცი მიყვარს. ძალიან შევცდი, რომ შევიყვარე. ის ცოლთან გაცილებული იყო და 1 შვილიც ჰყავდა, მაგრამ მიყვარდა და რომ გავიგე, უკან არ დამიხევია. მერე ძალიან ცუდად მომექცა და ვერ ვაპატიე. თუმცა, ისე მიყვარდა, რომ სულ ვერ დავკარგე და ახლა მეგობრები ვართ. ლანა, ზუგდიდიდან".

„დიდი ხანია, „გზავნილებს" ვკითხულობ, მაგრამ პირველად გწერ. მეც მინდა თქვენს დიდ ოჯახში. ფისუნია".

„ავოიეე... მარი, რა „სვეტსკი" თემა გაქვს! სალოლ, „იმენნა", გლიჯავ, რაა... სიყვარულმა შესაძლოა, ასაკი არ იცის, მაგრამ ამასთან ერთად, ზოგჯერ თავმოყვარეობაც აქვს დაკარგული. სხვა რა მეთქმის? 45 წლის „ბაბუ" 15 წლის ბავშვს სიყვარულზე რომ დაგიწყებს ლაპარაკს. ჰოდა, მე რისი „მე" ვიქნები, თუ მისი ტანჯული სიყვარულით არ გავერთე? ჰოდა, ასეე... მისგან 2 მობილურიც დავირტყი, მააშ! გული არ გაიტეხო, „ბაბუ", რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე... ცქნაფა".

„მარი, შენი რუბრიკის საშუალებით ერთი გოგო გავიცანი, რომელიც ძალიან მიყვარს და სიცოცხლეს მირჩევნია. ის ასაკით ჩემზე პატარაა, მაგრამ რა ვქნა, რომ მიყვარს? ოლეგარიო".

„მარი, თეთრი შურით შემშურდა იმ გოგონასი, რომელსაც ნიკი შენ შეურჩიე და მესიჯის ბოლოს მოუწერე. რა მოხდება, გენაცვალე, თუ მეც შემირჩევ ნიკს? ხომ ხედავ, რამდენს „გეთაფლისკვერები"! იქნებ არ გამაწბილო? მიყვარხართ ყველა და გკოცნით, თქვენი „თაფლაკვერა".

„სიყვარულზე რა მოგახსენოთ, მაგრამ აი, სწავლა კი, ნამდვილად ამომივიდა ყელში. რაც უფრო ცოტა დრო რჩება გამოცდებამდე, მით უფრო მძლევს სიზარმაცე. ვაიმე, რა მეშველება? ერთ ხელში „გზა" მიჭირავს, მეორეში — ტელეფონი და ასე ვაპირებ ჩაბარებას?.. არადა, რომ ვერ ჩავაბარო, „გავჭედავ". ამბობენ, მაგარი შეგრძნებაა, როცა ჟურნალში შენს მესიჯს კითხულობო და მაგრად მაინტერესებს, როგორია ეს შეგრძნება. პაწაწუნა სვანიკო".

„ვერც სიცოცხლეზე იტყვი უარს და ვერც სიყვარულს შეაქცევ ზურგს. მარი, იცი? მეც ჯაფარიძე ვარ და ვამაყობ შენით“.

„ლიუბვი ვსე ვოზრასტი პოკორნი“ — ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა რამდენიმე „ბიძია-ბაბუა“ სიყვარულში გამომიტყდა. ჩემი დანახვისთანავე, თურმე, თავს 20 წლის ბიჭებად გრძნობენ და რეალური ასაკი ავიწყდებათ. ჰოდა, ახალი ბიზნესის წამოწყება გადავწყვიტე: იმპოტენტებო, სკლეროზიანებო, მარაზმატიკებო, გეშველათ! მე გიმკურნალებთ. მის მორია“.

„ახლა წავიკითხე „გზავნილები“. შესავალში ჩემი მესიჯი რომ ვნახე, გამიკვირდა და თან „გამისწორდა“. ახლა კი მართლა მჯერა შენი. მაპატიე, კარგი? მარი, მიმიღებ შენს „სასტავში“? მე ვარ ზორო. გპირდები, ყველა დღესასწაულს პირველი მოგილოცავ. გთხოვ, არ გამიბრაზდე. აბა, დროებით! ზორო“.

„სიყვარულმა შესაძლოა, ასაკი არ იცის, მაგრამ ნერვების „მოთხრა“ კი კარგად გამოსდის. ეჰ, როგორ ვიტანჯები, რომ იცოდეთ! მა, ჯოტია, მა“.

„ვერასდროს ვბედავდი, რომ მომეწერა. ახლა კი, როგორც იქნა, გავბედე. ჩემს 8 წლის დისშვილს 15 წლის გოგო უყვარს. იცით, როგორ იტანჯება ბავშვი? ლექსიც კი დაუწერა, მაგრამ — ამაოდ. ის ბავშვივით ექცევა, ლოყაზე უჩქმეტს ხოლმე... ეს კი... ეჰ..“

„ჩემზე 13 წლით უფროსი მამაკაცი მომწონდა. ცოლობაც მთხოვა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო უარი ვთქვი. მე ხომ საიმისოდ ძალიან პაწუკა ვარ?! 16 წლის გაპუცუნა“.

„ჩემი ქმარი ჩემზე 9 წლით უფროსია. ყველას უკვირს, ასე კარგად როგორ ვუგებთ ერთმანეთს. ეს სწორედ იმის ბრალია, რომ სიყვარულმა ასაკი არ იცის. მე ის საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს“.

„ჩემმა დეიდაშვილმა თავისზე ბევრად უფროსი ცოლი მოიყვანა, მაგრამ რას გაუგებ სიყვარულს?! ეკა-21“.

„გზავნილებს“ „დავხურავოო“? ეს რა წამოგცდა, ქალო?! რას გვიპირებდი ჩვენ, მილიონიან არმიას, რომელსაც უყვარხარ?!. შენ გული არ გაიტეხო, ჩვენ დაგიცავთ... მარის ნათლული“.

„ნახალოვკიდან მოვდიოდი. ვიღაც, 40 წლამდე ასაკის მამაკაცი გადამეკიდა — თუ ნომერს არ მომცემ, თავს მოვიკლავო. მე ვუთხარი — მამად მეკუთვნი, თავი დამანებე, თორემ, საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ-მეთქი. — კარგი, რა, ლამაზო, სიყვარულმა ასაკი იცისო. — შენ რა გენაღვლება, პატარა ცოლის გამოჭერა გინდა, აბა, მე მკითხე, ბებრუცუნა ქმარი თუ მინდა-მეთქი. — ილოცე, რომ ჩემნაირი ქმარი შეგხვდესო, — მითხრა და წავიდა. ღმერთო, რამდენი გაჭირვებულია ამ ქვეყანაზე!.. კეტრინ ზეტა ჯონსი“.

„ჩემი 21 წლის მეგობრის საყვარელი, 40 წლის ქალია. ვერ უძლებს დაკუნთული, ქორფა სხეულის სურვილს და რა ქნას?!. ქოქიქალი“.

„48 წლის ვარ და პატარა გოგოსავით ვიქცევი: მიყვარს კაცი, რომელსაც 5 შვილი და ცოლი ჰყავს. არა, მართლა გიჟი ვარ, მაგრამ რა ვქნა, გულს ხომ ვერ ვუბრძანებ?! გიჟი ქალი“.

„ჩემი ექსქმარუკა ჩემზე 2 წლით პატარაა, მაგრამ ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ ერთად არ ვცხოვრობთ, ძალიან მიყვარს და დედამისისგან მალულად მაინც ვხვდებით ერთმანეთს. თხის რქა“.

„ჩემი ერთ-ერთი დაქალი, რომელიც 20 წლისაა, 32 წლის კაცს უყვარს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ „ხანდაზმული“ რომეო ჩვენი საერთო დაქალის მამიდაშვილია. ჩემს დაქალს ისე მოაბეზრა თავი სასიყვარულო მესიჯებით, რომ მათთან სტუმრად მისვლაც არ უნდა. ტატუსია“.

„რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი? ან სად გადაშენდა ქართული ქველმოქმედება, რომლითაც წარსულში ასე ვიწონებდით თავს? მე ბათუმში, უსახლკაროთა თავშესაფარში ვმუშაობ. გვაქვს უამრავი პრობლემა. არ გვყოფნის ტანისამოსი, არ გვაქვს სურსათი. ხალხი ნახევრად მშიერია. გვეხმარება მხოლოდ კათოლიკური ეკლესია, სინათლის ფულს გვიხდის. ამაზეც მადლობა. ნუთუ საქართველოში არ მოიძებნება სახსრები, რომ ამ ხალხს ეშველოს?! სად არის სიყვარული ან სიბრალული? მხოლოდ ეკლესიაში, სანთლის დანთებისას? თემურ სურმანიძე. ბათუმის უსახლკაროთა თავშესაფარი“.

„ოჯახი უსიყვარულოდ შევქმენი. მთელი ცხოვრება ვოცნებობდი ისეთ ადამიანზე, ვინც მთელი არსებით შემიყვარდებოდა. ვოცნებობდი და ვიპოვე, მაგრამ... ცოლშვილიანი კაცი შემიყვარდა. თანაც ისე, რომ ლამისაა, გავგიჟდე. ნათია. თელავი“.

„მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, ჩემი ცეკვის მასწავლებელი შემიყვარდა. იმას კიდევ, ჩემზე უფროსი შვილები ჰყავდა. ტატუსია“.

„28 წლის კაცზე „მაფანატებს“. არადა, მე 16 წლის ვარ. აზრზე ხარ, „პროსტა“? სატანა“.

„ეჰ, მარი, როგორ მინდა, რომ ჩემი მეგობარი იყო. იმას მაინც დაგტყუებდი, ჩემი სიხარული ახალ ნაცნობებს „გზის“ საშუალებით კიდევ ეძებს?“

„ვინ თქვა, „გზავნილები“ არ არსებობსო? ძალიანაც შეცდა. მეც დიდი ხანია, „გზავნილომანია“ შემეყარა. პირველად მოგწერეთ და ჰოი, საოცრებავ, ჩემი მესიჯიდან ციტატა მოკლე მესიჯების სათაურად „გაიჩითა“, წინა ნომერში. სიყვარულმა არც ასაკი იცის, ბრმაც არის და ყრუც, მაგრამ ღალატს ვერასოდეს აიტანს. მილედი“.

„უკვე დიდი ხანია, ოჯახი მაქვს, მაგრამ ნამდვილი სიყვარული ახლახან ვიპოვე და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეს გრძნობა გამოვცადე. თათია“.

„რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს ჩემზე 4 წლით პატარა და თანაც, ცოლიანი კაცი... მთავარია, მასაც ვუყვარდე. მალო“.

„პატარა რომ ვიყავი, ჩემი მასწავლებელი შემიყვარდა. ის 16 წლით უფროსი იყო. ახლა ის უცოლოა, მე კი — გასათხოვარი. კატო“.

„სიყვარულმა მარტო ასაკი კი არა, არც სოციალური მდგომარეობა იცის. აბა, რა არის, ცოლიან კაცებს და გათხოვილ ქალებსაც რომ უყვარდებათ ხოლმე? ასინეთა“.

„20 წლის ვარ. გერმანიიდან რამდენიმე თვის წინ ჩამოვედი. სულ პატარა ბიჭები მიხსნიან სიყვარულს. აღარ შემიძლია, დედად ხომ არ ვუნდივარ? ცალკე ჩემი ძმა გიჟდება და ვარ ასე, ორ ცეცხლს შუა. ანუკა“.

„ჩემი მეზობელი, შინაბერა, 70 წლის ქალი სანამ არ გათხოვდება, მაგ სიტყვების სიმართლეში ვერ დავრწმუნდები. აბა, ბიჭებო, ვის უნდა ქალი ლამაზიი?! ციცქნა“.

„წაიღეს ტვინი ბერძნულის მცოდნეებმა. დაველამდი, სანამ ბოლომდე წავიკითხე. მეგონა, რამეს გავიგებდი, მაგრამ... თუ ასეა, მე ინგლისურში ვემზადებიი... ჰოდა, არ გადმომალაგებინოთ ახლა ჩემი „დუ იუ სპიკ ინგლიშ?“ მესიჯომანი“.

„შესაძლოა, სიყვარულს ასაკი მართლაც არ ჰქონდეს, მაგრამ 70 წლის ქალს რომ „ლოსტის“ გმირი, სოიერი შეუყვარდება, ეს უკვე... ეჰ, ბებო, ბებო, როდემდე? ლეო-91“.

„ჩემს მეზობლად მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობს. 2 წლის წინ დაქორწინდნენ. 60 წელს გადაცილებულები არიან და ერთმანეთი ისე უყვართ, შეგშურდება. ნეტავ, მეც მეყვარება ასე ვინმე? ჰო, მართლა, „მონასტრის ბიჭი“ მოკვდა, „დიდ მატყუარას“ გაუმარჯოს!“

„ჩემი „ლოვე“ 20 წლისაა და თანაც, ცოლიანი. მე კი 16-ის ვარ. მალე ცოლს შორდება და... დამერხა“.

„სიყვარულმა მართლა არ იცის ასაკი: დედაჩემს თავისზე პატარა ბიჭი უყვარს“.

„მარი, რატომ არ დამიბეჭდე მესიჯი? სიყვარულმა ასაკი კი არა, საერთოდ, არაფერი არ იცის, თორემ, როგორ შემიყვარდა „გზავნილები“ ისე, რომ კიდევ გწერ მესიჯს?.. თანაც, ბოლო თეთრებით. პარაზიტკა“.

„სიყვარულმა ასაკი არ იცის მაშინ, როცა მას „მაყუთის“ სუნი ასდის. როცა მილიარდერი ბიძია „ფულებს“ „გიქიცინებს“, მასზე ვინ ფიქრობს, რომ მამიკოსხელაა? არც არავინ! მერწყული“.

„სიყვარულმა რომ ასაკი იცოდეს, 2 წლის წინ, როცა 16 წლის ვიყავი, 35 წლის კაცი არ შემიყვარდებოდა. სევდია“.

„34 წლის ვარ და მაინც ველი სიყვარულს. ნუთუ ისე მოვკვდები, რომ ვერ გავიგებ, ეს რა არის?!“

„ვარ 40 წლის. მყავს მეუღლე და 2 შვილი. სიყვარული კი გვიან მეწვია. დიდგულა“.

„ერთ „მაყუთა“ ბიძას ვუყვარვარ, რომელიც 45 წლისაა. ცოლობას მთხოვს. თუ გამომყვები, ჩემი ქონება შენი იქნებაო, მეუბნება. ჰგონია, ამით შემაბამს. რა სისულელეა?! მე ხომ ჯერ 16 წლის ვარ! ბაჭია“.

*დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომერში ისევ სიყვარულზე ვილაპარაკებთ, ოღონდ ამჯერად — სულ სხვა სიყვარულზე. მაშ ასე, მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — დედაშვილობა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. არ დაგავიწყდეთ, ფორუმის კითხვაზე — რა სარგებლობა მოაქვს „გზავნილებს“? — პასუხის გაცემა.*



# ქალთა საკუთარი რეიტინგი

**XXI საუკუნეში მუსლიმანურ ქვეყნებში და არა მარტო იქ, უკეთეს შემთხვევაში, ქალებს პრეზიდენტებად ირჩევენ, უარეს შემთხვევაში კი — ისინი კენჭს მაინც იყრიან ამა თუ იმ თანამდებობაზე. მართალია, ამ ბოლო დროს პამპერსები და სარეცხი მანქანა აქტიურად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, ასევე შეიცვალა ჩვენი ფანჯრებიდან დანახული ხედი, მაგრამ ქალთა რეიტინგი საზოგადოებრივი მოსაზრებების მიხედვით, ისეთივე დარჩა, როგორიც წლების წინ იყო. მაშ ასე, ვისზე ჭორაობენ ყველაზე მეტად?..**

**1. პირველ ადგილზე არიან გათხოვილი ქალები, ბავშვით ან ბავშვებით.**

შესაძლებელია, თქვენი წყვილი ნაკლებად ჰგავს რაისა მაქსიმოვნასა და მიხაილ სერგეევიჩის წყვილს, მაგრამ მაინც, საზოგადოების თვალში, თქვენ ცხოვრება აწყობილი გაქვთ. ჩალურჯებული თვალი — ეს დიდი უბედურება არ არის. მთავარია ის, რომ მარტო არ ხართ. ქმარი ლოთია? — მოითმინე, აიტანე, არ შეშფოთდე. იფიქრე, რომ შენს დაკრძალვაზე ვინმე აუცილებლად იტყვის: საწყალს რამდენის მოთმენა შეეძლო, რა კარგი ხასიათი ჰქონდაო. ქმარი მოღალატე გახდა? — არა უშავს, შენ მასთან ერთად უნდა წახვიდე თუნდაც, ქვეყნის დასალიერში. მაგრამ ამბობენ, რომ არც ერთი კაცი არ წაიყვანს ქვეყნის დასალიერში ცოლს, რადგან მათი აზრით, ყველგან და ყოველთვის შეიძლება ახალი ქალის მოძებნა და შეყვარება.

**2. მეორე ადგილზე არიან გათხოვილი ქალები, ბავშვების გარეშე.**

ბავშვების არყოლა ჩვენში მიღებული არ არის. ამ ამბავში ქმარიც რომ იყოს დამნაშავე, მაინც თქვენზე იტყვიან: ის ბერწია, მაგრამ ეტყობა, მან იცის რაღაც ისეთი, რის გამოც ქმარი ვერ მიატოვებსო.

**3. მესამე ადგილი განსაკუთრებულია — ის ეკუთვნის შვილიან თუ უშვილო ქვრივებს.**

არ გაგიკვირდეთ, თუ ქმრის სიკვდილის შემდეგ, თქვენთვის ყველა კარი დაიკეტება, თუ თქვენი უახლოესი მეგობარი საკუთარ დაბადების დღეზე არ დაგპატიჟებთ. რატომ? იმიტომ, რომ ამ წვეულებაზე მთავარი საჭორაო ობიექტი თქვენ იქნებით. ნუ იდარდებთ იმის გამო, რომ იქ გემრიელი კერძები იქნებოდა და თქვენ ვერ დააგემოვნეთ — მეორე დღეს, როცა სტუმრები დაიშლებიან, აუცილებლად დაგირეკავენ, ნარჩენებზე მიგიწვევენ და უყურადღებობისთვის ბოდიშსაც მოგიხდიან.

**4. მეოთხე ადგილზე ქმარს გაშორებული შვილიანი ქალები არიან.**

ბავშვები, რა თქმა უნდა, ეს დიდი პლუსია, მაგრამ ქმართან გაყრაა დიდი მინუსი. ის რა ქალია, რომელმაც ქმარი ვერ შეინარჩუნა? კარგ ცოლს ქმარი არ მიატოვებს. იყავი თუნდაც პრინცესა დიანა ან ნიკოლ კიდმანი, შენზე მაინც იტყვიან: კაცმა ასეთს საერთოდ არ უნდა შეხედოს, თუმცა, ხომ არსებობენ სულელი ტიპები, რომლებიც ბრმავდებიან და მასზე დაქორწინებას გადაწყვეტენ...

**5. მარტოხელა დედები მეხუთე ადგილზე არიან.**

ასეთზე ამბობენ: „გააჩინა ბავშვი, შეასრულა თავისი ქალური მოვალეობა და მორჩა. ასეთი საშინელი სულის პატრონი და მახინჯი როგორ არის, რომ მისი პარტნიორი ბავშვის გაჩენამაც ვერ აიძულა, მასზე დაქორწინებულიყო? მერე, რა, რომ ის ძალიან კარგად ცეკვავს, ულამაზესია, ცოლად ხომ მაინც არავის მოჰყავს?!.“

**6. მეექვსე ადგილზე გაუთხოვარი, უშვილო ქალები არიან.**

რამდენი საწყენი გამონათქვამი არსებობს მათზე, რამდენ ცუდ რამეში ადანაშაულებენ, ხუმრობენ — საშინელი ხასიათი აქვს, ამიტომაც არავის მოჰყავს ცოლადო; იციან — არასერიოზულია და ვის უნდა ასეთი ქალი? „ლურჯ წინდას“ ცოლად ვინ მოიყვანდაო? თუნდაც, მაღალ თანამდებობაზე მუშაობდეთ, ბინაც გქონდეთ და მანქანაც, ამას არაფრად აგდებენ, თქვენ სხვების თვალში მაინც უბედური ხართ...

ახლა კი გადახედეთ არცთუ ისე სახარბიელო რეიტინგს და მასში ამოიცანით საკუთარი თავი. იპოვეთ? ნუ გაბრაზდებით, ამდაგვარი რამ ხომ თქვენც გითქვამთ სხვაზე. ასე რომ, წარმატებებს გისურვებთ და გირჩევთ, სანამ სხვას გაჭორავთ, საკუთარ ცხოვრებას გადაავლეთ თვალი.

## ხილის ლიქიორი

**მოსამზადებლად საჭიროა:** 80 ცალი ნებისმიერი სახეობის ხილი (ალუბალი, მოცხარი, ცირცელი (იგივე, ჭნავი) და ა.შ.) 100 ცალი ალუბლის ფოთოლი, 1 ლ წყალი, 500-600 გ შაქარი, 250 გ სპირტი ან სუფთა არაყი, 1 ჩ/კ ლიმონის წვენი.



**მომზადების წესი:** ხილი და ალუბლის ფოთლები ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით წყალი და ხარშეთ 25-30 წუთის განმავლობაში. შემდეგ, ქვაბიდან წყალი გადმოასხით, მოხარშულ ხილს მოაყარეთ შაქარი, ცოტა ხნის მერე, მარლაში გაწურეთ და გააცივეთ. ცივ სიროფს დაუმატეთ სპირტი ან არაყი და ლიქიორი მზადაა.

## კალმარისა და კომბოსტოს სალათა



**მოსამზადებლად საჭიროა:** 150 გ უმი, მოხარშული ან დაკონსერვებული კალმარი, 200 გ უმი კომბოსტო, 1 საშუალო ზომის მოხარშული სტაფილო, 50-70 გ დაკონსერვებული ბარდა, 1 ხახვი, 100 გ მაიონეზი, ლიმონის წვენი, შაქარი, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** ხახვი წვრილად დაჭერით, დაასხით ლიმონის წვენი, მოაყარეთ ცოტა შაქარი და გააჩერეთ 40 წუთის განმავლობაში. უმ, ძალიან წვრილად დაჭრილ კომბოსტოს მოაყარეთ მარილი, კალმარი, დაქუცმაცებული სტაფილო და დაუმატეთ სხვა კომპონენტებიც — მარილი, პილპილი (გემოვნებით). ეს ყველაფერი ერთმანეთში კარგად აურიეთ, შემდეგ სასალათეში მოათავსეთ და ზემოდან მაიონეზი მოასხით.



მოამზადა ლიკა ქაჯაია

# ფოტო, რომელმაც მარინა კახიანის ბედნიერი ცხოვრების ეპიზოდი დააფიქსირა

**„ფოტოების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ნებისმიერი ძველი ფოტოსურათი ყველა ძვირფას ნივთს მირჩევნია. ძვირფასეულობა შეიძლება დაკარგო და ოდესმე, ისევ შეიძინო, მაგრამ დაკარგულ ფოტოს ვერასოდეს დაიბრუნებ. ის წამი, რომელიც ფოტოგრაფმა ფირზე აღბეჭდა, წარსულის კუთვნილებაა და ნელ-ნელა მივიწყებასაც ეძლევა. სურათების დათვალიერებისას საოცარი განცდა მეუფლება. პერიოდულად გადმოვიღებ ხოლმე ძველ ფოტოებს და წარსულში ვმოგზაურობ. ფოტოს წყალობით ვიხსენებ ძალიან ბედნიერ ან არცთუ ისე ბედნიერ წამს, რომელიც ცხოვრებაში განმიცდია,“ — ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ძველი ფოტოების მიმართ მსახიობ მარინა კახიანს. მან ყურადღება ერთ-ერთ ფოტოზე შეაჩერა და მასთან დაკავშირებული ამბავი გაიხსენა:**

— ეს ფოტო 1991 წელს, შატილშია გადაღებული, ჩემი მეუღლე, გია მატარაძე (სურათზე-მარცხნივ) იღებდა ფილმს „მოკვეთილი“. სურათზე გიასთან, ოპერატორ ბაბნინთან და მხატვარ ნოდარ სულემენაშვილთან ერთად მეც ვარ აღბეჭდილი. ასე მგონია, ეს ფოტო არცთუ ისე დიდი ხნის წინ გადავიღეთ, რადგანაც გუშინდელი დღესავით მახსოვს ის წამი, მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდეგ უკვე 10 წელი გავიდა. იმ დღეს პირადად, მე გადაღება არ მქონდა. ვთამაშობდი გულსუნდას როლს. თავისუფალი დრო თუ გამომიჩნდებოდა, ყოველთვის გიასთან ერთად ყოფნა მიყვარდა, გადაღების პროცესისთვის თვალი რომ მედევნებინა. მახსოვს, იმ დღეს, თბილისში ფილმის მეორე რეჟისორი ვახო კაჭირაშვილი გაემგზავრა, დამატებით მსახიობები რომ ამოეყვანა. მათ შატილში წვიმამ მოუსწრო. საშინლად წვიმდა, თითქოს კასრებიდან ასხამდა. ასეთი თავსხმისა და ჭექა-ქუხილის დროს, ზვავის ჩამოწოლის საშიშროება არსებობს. შატილი საკმაოდ მაღლაა. რამდენიმე უღელტეხილი უნდა გადაიარო, რომ ახვიდე, თან ვიწრო გზაც არის, ამიტომ მანქანით მგზავრობა საშიში იყო. ისე დაღამდა, მათ შესახებ, ვერაფერი შევიტყვეთ. ეს ერთ-ერთი უმძიმესი ღამე იყო ჩემს ცხოვრებაში. დილის 6 საათისთვის ვახო დაბრუნდა და გვაუწყა, რომ გადამღები ჯგუფის წევრები უბრალოდ, ვერ ამოვიდნენ, ვინაიდან უღელტეხილზე ზვავი ჩამოწვა, თავად კი როგორღაც გამოაღწია — რამდენიმე კილომეტრი წვიმაში ფეხით უვლია... დილით გამოიდარა, ყველა მამაკაცი, ვინც კი გადამღებ ჯგუფში იყო, მათ დასახმარებლად მოემზადა, ზოგმა ნიჩაბი აიღო, ზოგმა — წერაქვი და ვედრო. რამდენიმე მანქანით გაუდგნენ გზას. იმ დღეს გადაღება, რა თქმა უნდა, ჩაიშალა, რადგანაც მთელი დღე გზის გასუფთავებას მოანდომეს...

ამ ფილმის გადაღების დროს, უამრავი ამბავი გადაგვხდა თავს. შატილში ორთვენახევარი გავატარეთ და ამ ხნის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე დღეს, შუქი საერთოდ არ გვქონია. გიამ ყუთებით უამრავი სანთელი ამოაზიდვინა და უსინათლობას დიდად არ განვიცდიდით. ის კი არა, ვიდრე სპირტქურას ვიყიდდით, ყავის მოდუღების მეთოდიც კი შევიმუშავეთ: ავილებდით 10 სანთელს, ერთმანეთზე მივამაგრებდით და ასე ვადუღებდით. სხვათა შორის, ასე მოდუღებული უფრო გემრიელი იყო. გადაღებების დასრულებისთანავე, ღამით კოცონს ვანთებდით და მშვენიერ დროს ვატარებდით. გია გადამღები ჯგუფის შეკვრის ფანტასტიკური ნიჭით გამოირჩეოდა, რითიც საოცრად ბედნიერი ვიყავი. სწორედ იმ დღეს, ვიდრე სურათს გადავიღებდი, დავჯექი და ვთქვი — ძალიან ბედნიერი ვარ-მეთქი! ასეთი რამ ცხოვრებაში იშვიათად ხდება: შეიძლება, დრო გავიდეს და მერე დააფიქსირო, თუ რა ბედნიერი იყავი მაშინ. ეს ალბათ ყველაფერმა ერთად განაპირობა: ულამაზესმა ბუნებამ, საინტერესო გადაღების პროცესმა და მთლიანად იმ ჯგუფმა, ვინც ამ ფილმზე მუშაობდა.

სამწუხაროდ, იმ გადაღებიდან ერთ წელიწადში გია გარდაიცვალა. ბუნებრივია, ეს ფოტო ჩემთვის ძალზე ძვირფასი და სევდის მომგვრელიც გახლავთ... ■

***ეკა მინდაძე***



სოფო ჭონიშვილი

# ვინ არიან ლევან ჯავახიშვილის „მხლეცები“



# და რისთვის აგროვებს ენერგიას თათია გიორგობიანი

ტელეეკრანიდან გაუჩინარებული თათია გიორგობიანი ამჟამად შვილის (ნიტას) აღზრდითაა დაკავებული. პარალელურად კი, ახალ სიმღერებზე მუშაობს და როგორც თვითონ ამბობს, მას სცენაზეც მალე ვიხილავთ. ამჯერად „ჟურნალისტის როლში“ ორ ტელეწამყვანს — ლევან ჯავახიშვილსა და თათია გიორგობიანს შეხვდებით. მათი საუბრისას გაირკვა, რომ ორივენი საკმაოდ სერიოზული საქმეებით არიან დაკავებულები, ლევანს კი, შესაძლოა, მალე შოუბიზნესშიც ვიხილოთ.

ჟურნალისტი – თათია გიორგობიანი
რესპონდენტი – ლევან ჯავახიშვილი

**— ლევან, დიდი ხანია არ მინახავხარ, როგორ ხარ?**

— არა მიშავს, ვარ ისევ ისე — ძველებურად.

**— რა სიახლეებია შენს ცხოვრებაში?**

— განსაკუთრებული არაფერი, ისევ ისე ვზივარ „იაშიკში“.

**— მაინცდამაინც საინფორმაციო გადაცემის წამყვანობა რატომ გადაწყვიტე?**

— ეს ყველაფერი 1997 წლიდან დაიწყო, მაშინ, როდესაც რადიო „ფორტუნა“ გაიხსნა. იქ ვისწავლე ყველაფერი ის, რაც შემდეგ, ტელევიზიაში გამომადგა. რადიო კარგი ტრამპლინია, რომლის შემდეგაც ტელევიზიაში მუშაობა გეადვილება. სწორედ ამ ტრამპლინის წყალობით ამოვჩნდი „ არხზე“, სადაც 2 წლის განმავლობაში ვმუშაობდი. ეს ის პერიოდი იყო, როცა „ არხი“ ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ტელევიზია იყო, რომელიც „რუსთავი 2“-ს რეალურად უწევდა კონკურენციას.

**— როგორც ვიცი, პროფესიით ჟურნალისტი არა ხარ.**

— ტელე-ვიდეორეჟისურის ფაკულტეტი დავამთავრე.

**— ჟურნალისტიკასთან „მონათესავე“ პროფესიაა. უნივერსიტეტი დაამთავრე?**

— არა. პოლიტექნიკური უნივერსიტეტი — ე.წ. „გეპეი“. სკოლის დამთავრების შემდეგ, ძალიან მინდოდა, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩამებარებინა, მაგრამ დედამ კატეგორიული უარი მითხრა — შვილო, ამ ქვეყანაში მსახიობობა არ დაგიფასდებაო. თვითონ დედას თეატრალური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, თეატრმცოდნეა. ახლა ვხვდები, რომ მაშინ დედამ სიმართლე მითხრა.

**— შენი აზრით, დღეს ჟურნალისტები უფრო დაფასებულები არიან, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანები?**

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მიმაჩნია, რომ ეს ზუსტად ასეა.

**— ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გვეუბნები?**

— ნაწილობრივ, კი. დღესდღეობით ჟურნალისტობა უფრო პოპულარულია, ვიდრე სხვა რომელიმე პროფესია. პატარა ბავშვს რომ ჰკითხო — ვინ უნდა გამოხვიდეო? — გიპასუხებს — ჟურნალისტიო. ის ფიქრობს, რომ ჟურნალისტები პოპულარულები არიან და მიაჩნია, რომ ამ ცხოვრებაში პოპულარობა ყველაფერია.

**— ლევან, შენი აზრით, რა არის დღეს იმისთვის აუცილებელი, რომ წარმატებული იყო?**

— ალბათ, იღბალი.

**— მარტო იღბალი საკმარისია?**

— გარკვეულ ეტაპამდე, კი. შემდეგ უკვე, სხვა მოთხოვნებიც ჩნდება. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ განათლებული უნდა იყო.

**— ოდესმე, შენი პროფესიით თუ გიმუშავია?**

— ანუ კლიპი თუ გადამიღია?

**— დიახ.**

— კლიპი არ გადამიღია, მაგრამ ჩემი პროფესია ძალიან მეხმარება „დროებისთვის“ სიუჟეტების კეთებისას.

**— როგორც უკვე აღნიშნე, ჟურნალისტური კარიერა რადიოდან დაიწყე. როგორც ვიცი, „ფორტუნაში“ ახლაც მუშაობ. ე.ი. რადიოში მუშაობა ძალიან მოგწონს, რადგან მას დღემდე ვერ თმობ...**

— რა ვქნა, ვერ ვტოვებ, იქაც საინფორმაციო გადაცემა მიმყავს.

**— ლევან, არ გიფიქრია იმაზე, რომ საავტორო გადაცემა გაგეკეთებინა?**

— ამაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია: მიმაჩნია, რომ ამ ყველაფრისთვის გარკვეული პერიოდი კიდევ მჭირდება.

**— რა პერიოდს გულისხმობ?**

— ცოტა კიდევ უნდა დავლვინდე (*იცინის*). ჯერ კიდევ დუღილის პროცესში ვარ. წარმოიდგინე, ჭიქაში წყლის ჩასხმის პროცესი — ნელ-ნელა ივსება და შემდეგ, გადმოდის. იმას არ ვამბობ, ტვინის გადმოსვლას ველოდები-მეთქი, მაგრამ მიმაჩნია, რომ რაღაც ეტაპამდე მისვლაა საჭირო.

**— მოდი, ახლა საუბრის თემა შევცვალოთ. ვიცი, რომ ძალიან კარგი ვოკალური მონაცემები გაქვს, ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ახლო მომავალში სასიმღერო კარიერის გაგრძელებას ხომ არ აპირებ?**

— ვერ ვიტყვი, — ისეთი ვოკალური მონაცემები მაქვს, რომ შემიძლია შოუბიზნესში კარიერის გაკეთება დავიწყო-მეთქი. თუმცა, ერთ რამეში გამოგიტყდები, რაც ჯერჯერობით არავისთვის მითქვამს — მყავს მუსიკალური ჯგუფი და ჩვენთვის ვერთობით.

**— ასეთი მუსიკალური ჯგუფი ადრეც გყავდა. რომელ მიმდინარეობას მისდევთ?**

— რეპის, ტექნოსა და ჯაზის გარდა, ყველა მიმდინარეობაა შერწყმული.

**— რა ჰქვია შენს ჯგუფს?**

— სამუშაო სახელი — „ტელეღიპუცები“ აქვს.

**— ვინ არიან შენი ჯგუფის წევრები?**

— გავცე?

**— სხვა გზა არ გაქვს *(იცინის)*.**

— ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ყველასათვის ცნობილი ზაალ წულუკიძე — იგივე ვინია.

**— როგორც ვიცი, დიდი ხნის მეგობრობა გაკავშირებთ.**

— დიახ, წლებია, ვმეგობრობთ. მოდი, მაშინ დანარჩენ წევრებსაც ჩამოგითვლით: სოლო გიტარაზე ვინის ძმა, ალეკო უკრავს; ბას-გიტარაზე, ვინის მეორე ძმა — სულხანი. ვოკალი ჩემი და ზაალის საქმეა. თითოეულ მათგანს მუსიკალური განათლება აქვს.

**— ლევან, ჯგუფის შექმნა როდის გადაწყვიტე?**

— სულ ახლახან, პირველი რეპეტიცია წინა კვირას გვქონდა.

**— ტექსტებს ვინ გიწერთ?**

— ჯერჯერობით, ჩვენ თვითონ ვახერხებთ. ცნობილი უცხოური ჯგუფების კომპოზიციებს ვასრულებთ.

**— ე.ი. შესაძლებელია, რომ ლევან ჯავახიშვილი სცენაზეც ვიხილოთ?**

— არ არის გამორიცხული.

**— ლევან, მაინტერესებს, რამდენად რისკიანი ადამიანი ხარ?**

— *(იცინის)* მიმაჩნია, რომ რისკიანი ვარ. 20 წლის ასაკში ცოლს რომ მოიყვან, მეტი რისკი რაღა გინდა?!

**— როგორ ფიქრობ, გაამართლა?**

— რა ვიცი, აბა. შედეგებით კმაყოფილი ვარ: 40 წლის რომ გავხდები, ჩემი უფროსი შვილი — ელენიკო, 18 წლის იქნება. სანდრო კი — 16-ის. კარგი შედეგია, არა?

**— მოდი, რადგან შვილები ახსენე, შენს მეუღლეზეც გვითხარი რამე.**

— სოფო ის ადამიანია, რომლისგანაც ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში, მას დიდი წვლილი მიუძღვის.




**— შვილები ხშირად გაბრაზებენ?**

— მე მათ „მხეცებს" ვეძახი *(იცინის)*, ამ სიტყვის სრულყოფილი მნიშვნელობით. კარგი ტიპები არიან, მაგრამ ცელქები... მაგალითად, დღეს ძალიან მომიშალეს ნერვები, მანქანაში მუსიკას ვუსმენდი და ჩემს გასაბრაზებლად, მუსიკას ისინიც აჰყვნენ. მოსწონთ, როცა ვბრაზდები. ეტყობა, გაბრაზება მიხდება *(იცინის)*.

**— მათ მიმართ გაბრაზებას როგორ გამოხატავ?**

— ერთს შევყვირებ და მორჩა, მერე ერთ-ერთი გამიღიმებს, მეც მეცინება და ყველაფერი ამით მთავრდება.

**— დაბოლოს, მითხარი — ბავშვობაში თუ გქონდა ისეთი ოცნება, რომელიც ვერ აიხდინე?**

— ძალიან მინდოდა კოსმონავტობა. როგორც ხედავთ, ეს ოცნება ოცნებადვე დამრჩა.

ჟურნალისტი – ლევან ჯავახიშვილი

რესპონდენტი – თათია გიორგობიანი

**— საზოგადოებამ, როგორც მომღერალი, ისე გაგიცნო. შემდეგ ტელეწამყვანად მოგვევლინე, რაც ძალიან გაგვიხარდა, განსაკუთრებით მე და ჩემს მეგობარ ლუკას — შენს მეუღლეს. რატომ წახვედი ტელევიზიიდან?**

— ტელეკომპანია „იმედიდან" ჩემი წამოსვლა მოულოდნელად მოხდა. გადაცემა „დილის ფოსტა" დაიხურა და შესაბამისად, ჩემი წამოსვლის საკითხიც დადგა. „დილის ფოსტა" 3 წლის განმავლობაში მიმყავდა. ბოლო პერიოდში ვგრძნობდი, რომ გადაცემას განახლება ესაჭიროებოდა, მაგრამ ამაზე არავის უზრუნია.

**— ტელევიზიიდან რომ წამოხვედი, გული არ დაგწყდა?**

— არა-მეთქი, რომ გითხრა, მოგატყუებ, რადგან ტელევიზია ჩემთვის მარტო სამსახური არ იყო. იქიდან საკუთარი ნებით არ წამოვსულვარ, ისე მოხდა, რომ წამოსვლამ მომიწია.

**— ტელევიზიაში დაბრუნებაზე არ ფიქრობ?**

— როგორ არა?! როცა ვიგრძნობ, რომ ეს საქმე მომენატრა და თუკი რაღაც ახალს, განსხვავებულს შემომთავაზებენ, აუცილებლად დავბრუნდები. ზოგჯერ საჭიროა, ადამიანმა შეისვენოს. მიმაჩნია, რომ ასეთი პაუზის დროს დაგროვილი ენერგიის წყალობით, მაყურებელს უფრო კარგ და საინტერესო რაღაცას შესთავაზებ.

**— გეთანხმები. ამჟამად რას საქმიანობ?**

— ჩემი შვილის — ნიტას აღზრდით ვარ დაკავებული. მთელი ჩემი ყურადღება და ძალისხმევა მასზე მაქვს გადატანილი. ნიტას ყველაზე მეტად ახლა ვჭირდები.

**— თათია, ხომ არ აპირებ, შოუბიზნესში საქმიანობა ისევ გააგრძელო?**

— მინდა გითხრა, რომ ეს საქმე უკვე დავიწყე: ახალი სიმღერების ჩაწერას ვაპირებ, რასაც ტელევიზიაში ყოფნის პერიოდში, ვერანაირად ვერ ვახერხებდი, ამ საქმისთვის დრო აღარ მრჩებოდა.

**— ახლა შენს რეპერტუარზეც გვითხარი ორიოდე სიტყვა.**

— ხშირად მეუბნებიან, ცოტა უფრო რიტმული და კომერციული მუსიკა გააკეთეო. ვაკეთებ ისეთ მუსიკას, რომელიც ჩემს ხასიათთან ახლოსაა და რომელ




ჟანრშიც თავს კარგად ვგრძნობ.

**— ბოლო წლებია, ქართველი შემსრულებლები მოსკოვში მიდიან, მოსკოვი ჩვენთვის „ჰოლივუდია" *(იცინის)*... ზოგიერთ მათგანს გაუმართლა, ზოგიერთს — არა. რამდენად გამართლებულია ეს ნაბიჯი?**

— თუკი ეს პერსპექტიული იქნება, მივესალმები. სადაც კარგად იგრძნობ თავს, იქ უნდა იყო. თუკი აქ კონცერტზე, რომელიც ათასში ერთხელ ტარდება, მომღერალს 100 დოლარს უხდიან, იქ შეიძლება 500-600 დოლარი გადაუხადონ.

**— ახლა ის მითხარი, სცენაზე როდის გიხილავთ?**

— როგორც უკვე გითხარი, ორ ახალ სიმღერაზე ვმუშაობ. ლილიკო ნემსაძემ და გია მაჭარაშვილმა საჩუქარი გამიკეთეს. ახლო მომავალში ამ ორ სიმღერას ჩემს მსმენელს შევთავაზებ, რომლის ტექსტის ავტორი გია ჯოხაძეა.

■

*რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი*

# ყაბზობა გაქვთ? დაიცავით დიეტა!

**ბევრ ადამიანს არასწორი კვების, სხვადასხვა დაავადებისა და ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევის შედეგად უვითარდება ყაბზობა — შეკრულობა, რომლის დროსაც გაძნელებულია ან საერთოდ არ არის კუჭის მოქმედება რამდენიმე დღის განმავლობაში. როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან?**

**ყაბზობა მეტისმეტად ხანგრძლივდება, თუ იგი რაიმე დაავადების (მაგალითად, მსხვილი ნაწლავის სიმსივნის, წვრილი ნაწლავის გაუვალობის ან მოტორიკის დარღვევის) ფონზეა განვითარებული. თუმცა უხშირესად ყაბზობა დამოუკიდებელი დაავადებაა და საფუძვლად ნაწლავის ყოველდღიურად დაცლის ჩვევის დარღვევა და დეფეკაციის სურვილის დათრგუნვა უდევს.**

**ჯანმრთელ ადამიანს ყაბზობა შეიძლება ხანგრძლივი მგზავრობის, ცხოვრების ჩვეული რიტმის — საკვებისა და წყლის შეცვლის შედეგად განუვითარდეს. როგორც წესი, ასეთი ცვლილება შვებულებისას სხვაგან გამგზავრებას უკავშირდება ხოლმე. ამ შემთხვევაში ყაბზობა არც ისე ხანგრძლივია.**

**თუ ადამიანს არ აქვს ორგანული დაავადება, რომელიც შეიძლება იწვევდეს ყაბზობას და რომელიც სპეციალურ მკურნალობას საჭიროებს, მაშინ შეკრულობის მკურნალობა სწორი კვების რეჟიმის ანუ დიეტის დაწესებით შემოიფარგლება.**

### ორშაბათი

პირველი საუზმე: ვინეგრეტი ზეთით, წიწიბურას ფაფა კარაქითა და რძით, რძიანი ყავა ნაღებით. მეორე საუზმე: ვაშლი. სადილი: ბოსტნეულის წვნიანი არაჟნით და კარაქით, ქათმის მოხარშული ხორცი, კომპოტი, ორცხობილა. სამხარი: შავი ქლიავის დამბალი ჩირი. ვახშამი: მოხარშული თევზი, გოგრა ან ვაშლი, ჩაი. დაძინებამდე შეგიძლიათ მიირთვათ ერთი ჭიქა მაწონი.

### სამშაბათი

პირველი საუზმე: მოხარშული ჭარხალი ზეთით და ლიმონის წვენით, ხაჭო და არაჟანი რძით. მეორე საუზმე: შემწვარი ვაშლი შაქრით. სადილი: ბრინჯიანი ბოსტნეულის წვნიანი (კარტოფილით, სტაფილოთი, ხახვით), მოხარშული ხორცის ნაჭერი. სამხარი: გახეხილი სტაფილო არაჟნით. ვახშამი: დამარილებული თევზი, მოხარშული წიწიბურა ხაჭოთი და არაჟნით, ჩაი. ძილის წინ: მაწონი.

### ოთხშაბათი

პირველი საუზმე: ბოსტნეულის სალათა ხორცით, ომლეტი, რძიანი ჩაი. მეორე საუზმე: ცოცხალი ხილი ან ბოსტნეული (კიტრი, პომიდორი), კენკრა. სადილი: ჭარხლის მხალი, ჩაშუშული ხორცი, ახალი ხილის კომპოტი. სამხარი: გარგარის ან ქერმის ჭირი. ვახშამი: ხორცის კატლეტი, ჩაშუშული სტაფილო, გოგრის სუფლე, ძილის წინ — მაწონი.

### ხუთშაბათი

პირველი საუზმე: პამიდვრისა და მწვანე ხახვის ზეთიანი სალათა, ხორბლის ფაფა ვაშლით, ჩაი რძით. მეორე საუზმე: ყურძენი ან ვაშლი. სადილი: ბოსტნეულის წვნიანი ყვავილოვანი კომბოსტოთი, ხორცის რულეტი ჩაშუშული კომბოსტოთი, ვაშლის მუსი. სამხარი: ხაჭო. ვახშამი: ხორციანი ბლინები, სტაფილოს, ვაშლისა და შავი ქლიავის პუდინგი. ძილის წინ — მაწონი.

### პარასკევი

პირველი საუზმე: ბადრიჯნის ხიზილალა, მოხარშული თევზი კარტოფილთან ერთად, რძიანი ჩაი. მეორე საუზმე: ერთი ჭიქა ნაღები. სადილი: მაკარონიანი, ქათმის ხორციანი წვნიანი, გახეხილი ვაშლი. სამხარი: შავი ქლიავი. ვახშამი: ჩაშუშული ჭარხალი არაჟნით, ოლადები, ლიმონიანი ჩაი. ძილის წინ კეფირი.

### შაბათი

პირველი საუზმე: მოხარშული ხორცი, შვრიის რძიანი ფაფა, რძიანი ჩაი. მეორე საუზმე: გახეხილი სტაფილოსა და ვაშლის სალათა არაჟნით. სადილი: მოხარშული ხორცის რაგუ ბოსტნეულით, ჭარხლის მხალი, შტოშის კისელი, სამხარი: მოხარშული ჭარხალი ზეთითა და ლიმონის წვენით. ვახშამი: ხორცის კატლეტი, ჩაშუშული სტაფილო, ხაჭო, ჩაი. ძილის წინ — მაწონი.

### კვირა

პირველი საუზმე: ზეთიანი ქაშაყი, მოხარშული კარტოფილი კარაქით, სტაფილოსა და ხაჭოს სუფლე, რძიანი ჩაი. მეორე საუზმე: კომბოსტოსა და ვაშლის ზეთიანი სალათა ლიმონის წვენით. საფუვრის სასმელი (მის მოსამზადებლად დაგჭირდებათ საფუარი, შავი პურის ორცხობილა, თაფლი, ლიმონის ცედრა. 1 პურის ორცხობილას დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი, დადგით 4 საათი, გადაწურეთ, დაამატეთ 45 გრამი საფუარი, შეათბეთ 80 გრადუსამდე, შემდეგ შეაგრილეთ ოთახის ტემპერატურამდე, დაუმატეთ ცედრა დანის წვერით და 5 გ საფუარი, დააყოვნეთ 68 საათის განმავლობაში. დაიწყებს დუღილს. დაუმატეთ თაფლი გემოვნებით, შეაგრილეთ და სასმელიც მზადაა). სადილი: მჟაუნის წვნიანი ახალ ხახვთან და კიტრთან ერთად, მოხარშული კვერცხი და არაჟანი, მოხარშული გოგრა, ახალი ხილის კომპოტი. სამხარი: მოხარშული ჭარხალი ზეთითა და ლიმონის წვენით. ვახშამი: ხორცის ღვეზელი, არაჟანი, ჩაშუშული სტაფილო, კომბოსტოს შნიცელი. ძილის წინ — მაწონი.

### ყაბზობისას სასარგებლოა

საუზმესა და სადილს შორის შუალედში ყოველ 30 წუთში ერთხელ სვით თითო ს/კ წყალი.

სტაფილოს თესლი დაფქვით და მიიღეთ თითო გრამი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 1 საათით ადრე.

დღეში 3-4-ჯერ მიიღეთ შვრიისა და შავი ქლიავის ნახარში,

სვით ახალგამოწურული კარტოფილის წვენი 0,5 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

უზმოზე მიირთვით რამდენიმე ცალი ქლიავი.

■

## ასთმა რომ არ დაგემართოთ

მიჩიგანის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის თანამშრომლები გვარწმუნებენ, თუ გსურთ ასთმასა და სხვა ალერგიულ დაავადებებს გადაურჩეთ, კუჭ-ნაწლავს მეტი ყურადღება მიაქციეთო.

მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ კუჭ-ნაწლავის ნორმალური ფლორის ცვლილებები საგრძნობლად აძლიერებს ორგანიზმის რეაქციას ჩვეულებრივ ალერგენებზე (ცხოველების ბეწვზე, მცენარის მტვერზე და ა.შ.)

დადგენილია, რომ ნაწლავის კედლის ბინადარი მიკროორგანიზმები უმეტესწილად განსაზღვრავს ორგანიზმის რეაქციას ჰაერთან ერთად ჩასუნთქული ალერგენების მიმართ. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ანტიბიოტიკოთერაპიის კურსის შემდეგ საჭმლის მომნელებელ ტრაქტში სოკოს რაოდენობა მნიშვნელოვნად იმატებს, რაც შესაძლოა, ალერგიული რეაქციის განვითარების მიზეზად იქცეს.



მეცნიერები დაჟინებით ითხოვენ, ანტიბიოტიკების კურსის შემდეგ, კუჭ-ნაწლავის მიკროფლორის ნორმალიზებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და გვირჩევენ, ამ მიზნით ბევრი ხილი და ბოსტნეული მივიღოთ და ჩავიტაროთ სპეციალური ანტიბაქტერიული პრეპარატებით (პრობიოტიკებით) მკურნალობის კურსი.

■

# კვერცხის ნაჭუჭი საუზმედ

**რაში გვარგია კვერცხის ნაჭუჭი? სოფლის მოსახლეობა მას ქათმებს საკვებში უმატებს, მებაღეები კირიანი დანამატის სახით ნიადაგში შესატანად იყენებენ, ქალაქში მცხოვრებნი კი კვერცხის ნაჭუჭს ნაგავში ყრიან. არადა, იგი მშვენიერი კვებითი დანამატია, რომელიც ჩვენს ორგანიზმს სჭირდება.**



თანამედროვე გამოკვლევებმა დაადასტურა კვერცხის ნაჭუჭის კვებითი ღირებულება. დადგენილია, რომ იგი კალციუმის იდეალური წყაროა, რომელსაც ადვილად ითვისებს ორგანიზმი. განსაკუთრებული ღირებულება აქვს ეკოლოგიურად სუფთა რეგიონის გარეული ფრინველის კვერცხს, მაგრამ არც ჩვეულებრივი ქათმის კვერცხის უგულებელყოფას გირჩევთ.

რეკომენდებულია კვერცხის ნაჭუჭის შეტანა კვებით რაციონში ბავშვობიდანვე და მისი რეგულარულად მიღება 19-20 წლამდე მაინც. ხერხემლის დაავადებების, კბილების კარიესისა და ოსტეოპოროზისაგან თავის დასაცავად. უფროსებისთვისაც წელიწადში ორჯერ სასარგებლოა კვერცხის ნაჭუჭით მკურნალობის კურსის ჩატარება.

ნაჭუჭი მისაღებად ასე უნდა მოვამზადოთ: უმი კვერცხი გარეცხეთ თბილი, საპნიანი წყლით და კარგად გაავლეთ წყალში. გული და ცილა მოაშორეთ, ნაჭუჭი კი კიდევ ერთხელ გაავლეთ წყალში და 5 წუთით დაასხით მდუღარე წყალი ისე, რომ მთლიანად ფარავდეს ნაჭუჭებს. მოხარშული კვერცხის ნაჭუჭი ნაკლებად აქტიურია, სამაგიეროდ, მდუღარე წყლით დამუშავებას აღარ საჭიროებს და მზად არის გამოყენებისათვის.

ყოველდღიურად უნდა მიიღოთ 1.5-დან 3 გრამამდე კვერცხის ნაჭუჭი ასაკის მიხედვით. მიღებამდე იგი კარგად უნდა დაფქვათ. საუკეთესო დროა მის მისაღებად საუზმის პერიოდი: ნაჭუჭის ფხვნილი უნდა გახსნათ ხაჭოში, ფაფაში ან დილის სხვა საკვებში. ■

# ტკივილი კუდუსუნის მიდამოში

**ტკივილი კუდუსუნის მიდამოში ხშირად ოსტეოქონდროზზე მიანიშნებს. თუმცაღა არსებობს კუდუსუნის დაავადებაც, ე.წ. კოქციგოდინია, რომელიც 40 წელს გადაცილებული ქალების უმეტესობას აწუხებს. ამ დროს ავადმყოფები უჩივიან კუდუსუნის მიდამოში აუტანელ ტკივილს, რომელიც დიდხანს ჯდომის შემდეგ, ადგომისას ძლიერდება. ამის გამო ბევრი იძულებულია, კინოსა და თეატრში სიარულზე უარი თქვას, ხოლო შინ ან სამსახურში მონაცვლეობით დაჯდეს დუნდულებზე.**

**ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს სახსარში მიმდინარე ანთებითი პროცესი ან მარილების დაგროვება, რაც გავა-კუდუსუნის სახსრის მოძრაობას აძნელებს. არცთუ ისე იშვიათად, ტკივილის მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცევა ხოლმე კუდუსუნის ტრავმა ან მოტეხილობა, ზოგჯერ — კარგა ხნის წინანდელიც კი.**

## კუდუსუნის ტრავმას იწვევს:

დაცემა სრიალის დროს (სახსარი ძლიერ იხრება შიგნით).

ხანგრძლივი მგზავრობა ავტომობილით, ველოსიპედით, ცხენით.

მძიმე მშობიარობა დიდი ნაყოფით (სახსარი მკვეთრად იშლება გარეთ).

ტრავმის შედეგად დაზიანებულ ადგილას წარმოიქმნება ძვლოვანი კორძი, 10-30 წლის შემდეგ კი სახსარში მარილები გროვდება და მის მოძრაობას ზღუდავს.

## რით ვუშველოთ ტკივილს

- ტკივილის დროს ეფექტურია ნოვოკაინის ან ანესთეზინის შემცველი რექტალური (სწორი ნაწლავის) სანთლების გამოყენება.
- გავისა და კუდუსუნის მიდამოში შეიზილეთ ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო მალამოები (ტროქსევაზინი, ბუტადიონი და სხვა).
- სასარგებლოა კუდუსუნის მიდამოს მასაჟი.
- კარგია სამკურნალო ფიზკულტურა ექიმის მეთვალყურეობით.
- მარგებელია გვირილის სამკურნალო მიკროოყნები.

■

## ზოგჯერ სტრესიც საჭიროა — ოღონდ, ხანმოკლე!

ამერიკელი და კანადელი მეცნიერების ერთმა ჯგუფმა ხანგრძლივი და ზედმიწევნითი გამოკვლევის შედეგად დაასკვნა, რომ სტრესი ყოველთვის არ ვნებს ჯანმრთელობას.

მკვლევრებმა 19000 ადამიანის მონაცემები გააანალიზეს და დაადგინეს, რომ სტრესი ზოგჯერ სასარგებლოც კია, ვინაიდან იმუნური სისტემის მობილიზებას იწვევს და სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლას უადვილებს. გამოკვლევის შედეგებმა მეცნიერთა ვარაუდი დაადასტურა — ხანმოკლე სტრესი მართლაც ასტიმულირებს იმუნიტეტს, მაგრამ ხანგრძლივი ფსიქომოტორული სიტუაციები ორგანიზმის თავდაცვით ძალებს შრეტს. ■


● მომსახურების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
● ყველაზე დაბალი ფასები

გამოიწერეთ!

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
| --- | --- | --- |
| 1. Акушерство и гинекология | 11.50 | 34.50 |
| 2 Журнал неврологии и психиатрии | 14.00 | 84.00 |
| 3 Кардиология | 14.00 | 84.00 |
| 4 Клиническая лабораторная диагностика | 12.00 | 72.00 |
| 5 Клиническая медицина | 11.00 | 66.00 |
| 6 Стоматология | 25.20 | 75.60 |
| 7 Хирургия | 14.00 | 84.00 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო

ქ. თბილისი
ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.

# გონების სავარჯიშო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ეს ქვეყანა ჭადრაკის სამშობლოდ მიიჩნევა. აქ დაიბადნენ ვივიენ ლი და რედიარდ კიპლინგი. ამ ქვეყნიდან იყო მარლონ ბრანდოს პირველი ცოლი.
2. გაქცეული ლუდოვიკო XVI ფოსტის მოხელემ პროფილით იცნო, რომელიც ნანახი ჰყავდა... სად?
3. ვისი ძეგლი დადგეს წალკაში ადგილობრივმა ბერძნებმა მას შემდეგ, რაც სტალინის ძეგლი აიღეს?
4. ოთხმოციანი წლების დასაწყისში აშშ-ში ფართოდ გავრცელდა სილიკონის პროთეზები ქალის მკერდისთვის. ეს სიახლე მოსწონდათ მამაკაცებს და ხელს აძლევდათ ქალებს. მედიკოსებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი. სიახლით მხოლოდ კრემატორიუმის თანამშრომლები გახლდნენ უკმაყოფილონი. რატომ?
5. ვინ მიიჩნეოდა ლუდოვიკო XIII-ის მმართველობის დროს საფრანგეთში უპირველეს ბაზიერად?
6. რა არის სანთიობო?
7. რა არის ჩათუქესანი?
8. თავის დროზე ამერიკელ ასტრონავტებს უცნაური პრობლემა შეექმნათ: ბურთულიანი კალმები კოსმოსში არ წერდა. მეცნიერებს 3 წელიწადი დასჭირდათ ისეთი კალმის შესაქმნელად, რომელიც უწონადობის პირობებში დაწერდა. როგორ გადაჭრეს ეს პრობლემა რუსებმა?
9. რა აქვთ საერთო წინასწარმეტყველ მოსეს, დემოსთენეს, მოლიერს, მოლოტოვსა და მერილინ მონროს?
10. „ისტორიას არ ახსოვს მსგავსი მაგალითი, რასაც მეცნიერებამ ამ ორ ოქროს წელიწადში მიაღწია“, — წერდა ისააკ ნიუტონის ბიოგრაფი. ეს 1665-1666 წლები გახლდათ, როდესაც კემბრიჯში შავი ჭირი მძვინვარებდა და უდიდესი ინგლისელი მეცნიერი იძულებული იყო, ეპიდემიას საკუთარ სოფელში დამალვოდა. რა მოხდა ასეთი მნიშვნელოვანი ამ სოფელში?
11. რა არის პარტენოფობია.
12. რა არის შაფართხელი?
13. როდესაც გუსტავ კირხგორფმა სპექტრული ანალიზის გზით, მზის შემადგენლობაში ოქრო აღმოაჩინა, იგი სასაცილოდ აიგდეს. ეს აღმოჩენა მართლაც, ყოვლად უსარგებლო იყო. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, კირხგორფმა განაცხადა, რომ მაინც შეძლო მზიდან ოქროს მოპოვება. რა გზით?
14. მუშაობით გადაღლილი აინშტაინი მეუღლემ დაიყოლია, დასასვენებლად გამგზავრებულიყო და ადგილის შერჩევა მასვე მიანდო. სად არჩია დასვენება ბევრი ფიქრის შემდეგ აინშტაინმა?
15. როგორი მმართველობაა ჩეხოვის თქმით, თურქეთში?

# ანეკდოტები

***

— ექიმო, მე თეთრი ვარ, ჩემი ცოლი — შავგვრემანი და წითური ბავშვი რატომ გვეყოლა?
— ცოლთან სექსუალური კავშირი რა სიხშირით გაქვთ?
— რა ვიცი, სულ მივლინებებში მიწევს ყოფნა.
— თვეში ერთხელ?
— უფრო იშვიათად.
— წელიწადში ერთხელ?
— დიახ.
— აბა, გულს ნუ გაიტეხ, ჟანგის ბრალია.

***

სვანმა მებაჟე სცემა — ჩანთაში რას მიძვრებიო?!

***

— ჭიჭიკია, თუ მიშველი, შენ მიშველი, სამუშაო უნდა მიშოვო. ცოლი მყავს და თერთმეტი შვილი! — ეხვეწება ბიჭიკია.
— კიდევ რისი კეთება შეგიძლია?..

***

— მამი, კლასში მარტო მე რატომ მაქვს წვერი, იმიტომ, რომ სვანი ვარ?



— იმიტომ, რომ 25 წლის ხარ, შე იდიოტო!

***

„ახალი ქართველი“ სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე კითხულობს:
— რას უკრავენ?
— ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიას.
— ე-ე, პირველ ოთხს ისევ ვერ მოვუსწარი.

***

ორი გურული შეხვდა ერთმანეთს:
— რაო, ძამა, რა ქნა ჩვენმა გუნდმა, თუ იცი?
— 11:0 წოუგია.
— კი, მარა მეკარე თან არ წაიყვანეს?

***

შვილი შედის მამის კაბინეტში და ეკითხება:
— მამა, მხოლოდ ერთი წუთით შემოვირბინე შენს სანახავად.
— დაიგვიანე, შვილო, წეღან დედაშენმაც შემოიარა ჩემს სანახავად და ერთი თეთრიც არ დამიტოვა.

***

მიშიკო მამამ სკოლიდან სახლში მიიყვანა. ბავშვმა ტელეფონის ყურმილი აიღო და მამას ეუბნება:
— მამა, დედა ახალი წასულია სახლიდან, ყურმილი ჯერ კიდევ თბილია.

***

ნამდვილი მამაკაცი ცდილობს, არ მისცეს ქალს წყენის საბაბი. ნამდვილ ქალს კი, საბაბი არ სჭირდება.

***

— გოგონა, რა ღირს თქვენთან ერთად ღამის გატარება?
— ათი დოლარი.
— რატომ ასე იაფი?
— ვხვრინავ.

***

ტელესკოპით მზეს ორჯერ შეგიძლიათ გახედოთ: ერთხელ — მარჯვენა თვალით, მეორედ — მარცხენა თვალით.

***

პირველი გაკვეთილი. მასწავლებელი:
— მოდი, ბავშვებო, გავიცნოთ ერთმანეთი. აბა, მოჰყევით, ვინ არის თქვენს ოჯახში ყველაზე ხნიერი?
— ჩვენთან — დედის დედა.
— ჩვენთან — მამის მამა.
— ჩვენთან — დედის-დედის-დედის-დედის დედა.
— ეს შეუძლებელია.
— შესაძ-შესაძ-შესაძ-შესაძ-შესაძლებელია.

***

ფრაგმენტი საინფორმაციო გამოშვებიდან:
„— ახლა კი — კულტურის ამბები. გუშინ: საკუთარი სახლის წინ, სამი გასროლით მოკლეს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი“.

***

ბერძენი და იტალიელი კამათობენ — ვის უკეთესი კულტურა აქვს.

— ჩვენ ოლიმპიადის სამშობლო ვართ, — ამბობს ბერძენი.

— ჩვენ კოლიზეუმი გვაქვს, — პასუხობს იტალიელი.

— ჩვენ მსოფლიოს უდიდესი მათემატიკოსები მოვუვლინეთ.

— ჩვენ რომის იმპერია შევქმენით.

— ჩვენ გამოვიგონეთ სექსი! — ამბობს ბერძენი კმაყოფილი სახით.

— მართალია, მაგრამ პირველად, ქალთან ის ჩვენ მოვსინჯეთ.

***

სომეხს ესიზმრა, რომ რესტორანში იმყოფებოდა. გემრიელად ისადილა, უძვირფასესი ღვინო დააყოლა და... სასწრაფოდ გაიღვიძა, სანამ ანგარიშს მიუტანდნენ.

***

ბექნუ ფოტოატელიეში შევიდა:

— თუ შეიძლება, ამ ფირიდან დამიბეჭდეთ სურათები.

— ცხრა თორმეტზე?

— ასრვა. რატომ მეკითხებით?

***

ოსს გატენილი თოფი მისცეს და უთხრეს — კალოშს ავაგდებთ და თუ მოარტყამო. აუგდეს, ესროლა. ეუბნებიან ვერ მოარტყიო.



— მაშ, რათ ჩამოვარდა, სენი წილიმე?

***

დირექტორი უსაზიზღრეს ხასიათზე ბრუნდება შინ. ცოლი ეკითხება:

— რაიმე უსიამოვნება შეგემთხვა?

— კი. თანამშრომელი, რომელზეც სიბრაზეს ვაფრქვევ ხოლმე, დღეს სამსახურში არ მოეთრა.

***

მაგიდაზე დევს ფლომასტერი და ფანქარი. ფლომასტერი ეუბნება:



— ნახე, ბიჭო, რა მაგარი ვარ: ფერადი, მოდური, პლასტმასისგან დამზადებული!..

— სამაგიეროდ, სათლელის გემოს ცხოვრებაში ვერ გაიგებ!

***

— ალო, ბორდელია? — ხუმრობის ხასიათზეა ვიღაც, შუაღამისას.

— დიახ. დავუძახო დედათქვენს?

***

— გაიგე? რაჟდენა პიანინოს ყიდის 5 ლარად!

— რას ამბობ? ტყუილი იქნება!

— ტყუილი კია, მაგრამ ხომ არის იაფი?!

***

კაცი შედის საჩუქრების მაღაზიაში, სარვამარტო საჩუქრის საყიდლად. გამყიდველი ეკითხება:

— ცოლისთვის გინდათ საჩუქარი თუ რაიმე „ძვირიანი“ მოგიძებნოთ?

## ცოდნის სასაჭიდო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ინდოეთი.
2. ფულის მონეტაზე.
3. არისტოტელესი (ძეგლები აკლდა არისტოტელეს...)
4. სილიკონი არ იწვოდა და კრემატორიუმის კამერებს ანაგვიანებდა.
5. თავად ლუდოვიკო XIII (ჩიოდა კიდეც, დრო არ მაქვს, მოსწავლეები რომ ავიყვანოო.)
6. ახალდაქორწინებულთათვის განკუთვნილი პატარა ოთახი იმერეთში.
7. ასე ეძახდნენ ძველად, მოდარდიმანდო უსაქმურს.
8. მათ კოსმოსში ფანქრები წაიღეს.
9. ყოველ მათგანს ენა ებმოდა.
10. სწორედ აქ დაეცა ნიუტონს თავში ვაშლი, რის შემდეგაც, მსოფლიო მიზიდულობის კანონი აღმოაჩინა.
11. ქალწულობის დაკარგვის შიში.
12. ნაცარში გამომცხვარი ხმიადი.
13. ამ აღმოჩენისთვის იგი ოქროს მედლით დააჯილდოეს.
14. საკუთარ ლაბორატორიაში.
15. თურქული.

უკომენტაროდ






დასაწყისი იხ. „გზა“, №3

## ზაზა ვაჩნაძე

კაცმა რომ თქვას, რეზისთვის პატიმრობაში ყოფნა იქნებ, შვებაც კი ყოფილიყო, მაგრამ მის თავმოყვარეობაზე ეს ამბავი იმდენად უარყოფითად მოქმედებდა, ერთი სული ჰქონდა, გარეთ გამოსულიყო. ამავე დროს, დამარცხებებს იმდენად შეჰგუებოდა, თუ სახლს გაყიდდნენ და დედამისი და ელისო უსახლკაროდ დარჩებოდნენ, არაფრად მიაჩნდა. ან რატომ ეგონა, რომ თუ მისიანები მის საქმეში ფულს ჩაყრიდნენ, გაათავისუფლდნენ და ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა?.. მოკლედ, საშინლად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

ვერიკო იმას კი მიხვდა, რომ დოდო ცოცხალი აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ აი, „რეზის ქალბატონი“ სად გაქრა და გადაიკარგა? — ამ კითხვამ მთლად საგონებელში ჩააგდო. თავიდანვე, გაჩენის დღიდანვე თარსი იყო და ბოლოს, სწორედ, ამან უნდა მომიღოს ბოლოო, — ფიქრობდა დედა რეზიზე.

— დედა, ცუდადა ვარ, — უთხრა ერთ დილას ვერიკომ ელისოს, როცა ის სამზარეულოში ტრიალებდა და მაკარონს ხარშავდა. მაკარონი და კარტოფილი უკვე კარგა ხანი იყო, რაც მათი კვების მუდმივ რაციონში შესულიყო. როგორც ამბობენ, ორივენი წელზე ფეხს იდგამდნენ, რომ როგორმე რეზის შვილები ეკვებათ და სკოლაში ეტარებინათ.

— რა გტკივა? — გული გაუსკდა ელისოს.

— ყველაფერი... — უპასუხა შვილმა. — ფეხის ფრჩხილებიდან დაწყებული, თმის ღერებით დამთავრებული.

— მაშ, არაფერი გტკივებია, — მიუგო ვერიკომ, — ისეთ რამეს ამბობ...

— არა, დედა, მართლა, ძალიან ცუდად ვარ. მართლა, ყველაფერი მტკივა, — უთხრა ვერიკომ.

— ამწუთას გტკივა რამე?

— თავი მისკდება, წნევა უნდა მქონდეს მაღალი.

ვერიკომ წნევა გაუზომა და მართლაც, ასოთხმოცი ასოცზე აღმოაჩნდა.

— არ შეიძლება, შენი სკოლაში წასვლა, წამლები უნდა დალიო და დაწვე, — ურჩია ელისომ.

— არა, რომ მოვკვდე, ვერ გავაცდენ გაკვეთილებს... — უთხრა ვერიკომ და მაინც წავიდა სკოლაში.

„იმ გიჟებში უარესი დაემართება“, — ფიქრობდა ელისო, მაგრამ ვერც ის ხედავდა რაიმე გამოსავალს. ნეტავ, გაწყდეს ერთხელაც და ჩამიტანდეს უფსკრულშიო, — ხშირად იტყოდა ხოლმე ბოლო დროს.

ერთსაც და მეორესაც — ანუ ვერიკოს და ელისოს, რა თქმა უნდა, არ სურდათ ბინის გაყიდვა, მაგრამ ანი ისე აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში, გაზეთები იყო თუ კერძო ფირმები, — ყველგან დააგზავნა ინფორმაცია. ძალზე ბევრიც რეკავდა, მაგრამ ეძვირებოდათ თუ რა, ჯერ კონკრეტულად არავინ არაფერს სთავაზობდა.

რეზიმ პირველსავე დაკითხვაზე ყველაფერი დაფქვა. ავარიის შესახებ — როგორ მოხდა და რანაირად, არაფერი ვიციო, რაც შეეხება ხეტყეს ანუ ძელქვის მასალას, — ყველანი პირწმიდად ჩაუშვა. იმას კი ირწმუნებოდა — რას წარმოვიდგენდი, თუ ძელქვის მოჭრა აკრძალული იყო, რატომ წამოვიღებდი, თითს როგორ დავაკარებდი, ეგ რომ მცოდნოდაო!.. საბუთები მომცეს, სამი კაცი აწერდა ხელს: რაიონის გამგებელი ენვერ ჭუბაბრია, ოლქის პროკურორი ელიზბარ თელია და შპს „ქორის“ მფლობელი, სახერხი ქარხნის მეპატრონე, დარეჯან ქოიავაო, — დასძინა; მოკლედ, ამდენი და ასეთი წონის ხალხი ერთად მარწმუნებდა, ყველაფერი კანონიერად არის გაფორმებული და როგორ არ დამეჯერებინაო?!. გამომძიებელ ლერი კაპანაძეს, რომელსაც მოგეხსენებათ, დიდი ხელფასი არ ჰქონდა, ამ საქმიდან მაინც, არც ერთი თეთრის აღება არ სურდა. ის კი ძალიან უნდოდა, როგორც ადრე მოგახსენეთ, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ჩავარდნოდნენ ხელში და ბავშვობის დროინდელი ჯავრი ამოეყარა. ამიტომ, რეზის საქმის დამძიმებას არც ცდილა, აი, გამგებელს, პროკურორსა და „ქორის“ მფლობელს კი, ერჩივნათ, ალბათ, ნილოსის ნიანგს ჩავარდნოდნენ ხახაში, ვიდრე ლერის ხელში მოხვედრილიყვნენ...

როცა ლამის შიშველ-ტიტველი ნორა ქადაგიძე, უმანქანოდ და უფულოდ, ქმარს თბილისიდან უკან ჩაუბრძანდა, საღამო ხანი იყო. ენვერი, რა თქმა უნდა, შინ არ დახვდა. კიდევ კარგიო, — გაუხარდა ნორას, ალბათ უფრო ის, რომ ქმრის რისხვა ცოტათი კიდევ გადაიდო. სააბაზანოში შევიდა, შხაპი მიიღო, ცოტა მოლამაზდა და ენვერს, რომელმაც გვარიანად დააგვიანა, სავარძელში, ფეხი ფეხზე გადადებული და ყელმოღერებული დახვდა.

ენვერმა ცოლი ამ პოზაში რომ დაინახა, შუბლი საშინლად შეეჭმუხნა: ეს ისე გაბრტყელებულა ამ თავის სავარძელში, მაგრად თუ არ დავუდექი, ყველაფერს მე გადმომაბრალებსო, — გაიფიქრა. არსებობს კი ცოლ-ქმარი, რომელიც, რაც არ უნდა მოუხდეს, ყოველივეს ერთიმეორეს არ აბრალებდეს?!. ვნახოთ, ამჯერად როგორ დაიცვა თავი ქალბატონმა ნორა ქადაგიძემ.

— რა გამიკეთე, ნორა, ეს?! — ჯერ ამ, სულ „პატარა“ შეკითხვით შემოიფარგლა ქმარი.

— მე გაგიკეთე თუ შენ გამიკეთე?!. — გაღმა შეედავა ნორა.

— როგორ, ახლაც მე ვარ დამნაშავე?! — გადაირია ენვერი.

— მაშ, ვინ? — შეუვალი იყო ნორა.

— იცი, რას გეტყვი? — მკაცრი იყო ენვერი. — სხვა შენს ადგილზე, გაჩუმდებოდა ალბათ და ბოდიშს მოიხდიდა. შენ კი...

— რა-ა? — წამოხტა და ხელები გაშალა ნორამ. რაღაც სლოკინის მსგავსიც კი ამოუშვა პირიდან, რამაც ენვერი უსაზღვროდ გააკვირვა, რადგან ნორას არასოდეს სჩვეოდა ასეთი რამ. — მე რაც ჯოჯოხეთი გამოვიარე, ვერც წარმოიდგენ. სიკვდილს ჩავხედე თვალებში და ისევ მე მაქვს ბოდიში მოსახდელი შენ-





MK

თან?! — და ნორა დამაგვირგვინებელ შეტევაზე გადავიდა: — შენ, რომელსაც 20 წელი მაინცაა, რაც გიცნობ, სულ პატარა წინააღმდეგობაზე რომ იფსამ და როგორც კი რაიმე საშიშროება გიახლოვდება, მაშინვე რომ მე ამიფარებ ხოლმე ფარად... შენ კი, თაგვის სოროში წრუწუნასავით მიძვრები!.. შენ მე მთხოვ ბოდიშის მოხდას?! არც კი გრცხვენია!.. — და ნორამ ისე „მოიწმინდა“ ყველაფერი, როგორც თეთრფრთიანმა ანგელოზმა.

რა დაემართებოდა ნებისმიერ ქმარს ამ შემთხვევაში, ცოლს რომ მისი საყვარელი მანქანა და შავი დღისთვის გადანახული ფული ასე, თვალის დახამხამებაში მიეკარგა?.. ის, რაც ალბათ, გამგებელ ენვერ ჭუბაბრიას დაემართა: ჯერ მთლიანად გალურჯდა, მერე — გაყვითლდა, მერე — გათეთრდა და მხოლოდ ამის შემდეგღა გადაჰკრა მოვარდისფრო ფერფურმა, რამაც დიდი დაკვირვებით მომზირალ მის მეუღლეს აუწყა, რომ ჯერ არც ისე ცუდად იყო საქმე და რომ მისი ქმარი უახლოეს ორ-სამ საათში მაინც არსად აპირებდა (საიქიო ჰქონდა მხედველობაში...) გამგზავრებას. მოკლედ, ნორა ისევ შეტევაზე გადავიდა:

— რა ფერფური გადაგდის?.. არ გეუბნები მართალს? მე რომ გამიშვი იმ ხახადაფჩენილ მგლებთან და ნიანგებთან და შენ აქ ვისთან გრიალებდი და ვისთან ათენ-აღამებდი, რომ არ გეკითხებიან არაფერს და არასოდეს პასუხს არ გთხოვენ, ის ხომ კარგია?!

— ქალო, არ გამაგიჟო მთლად ახლა! ნუ ამწიე, ჭკუიდან ნუ გადამიყვანე საერთოდ! გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება, არა?! — მიუხვდა ცოლს ენვერი. — მე გაგიშვი? მე დაგაძალე? შენი ინიციატივით არ წაბრძანდი? შენ არ გაიძახოდი, კაცები დებილები ხართ, საქმეს გააფუჭებთ და მერე ქალებმა უნდა ვიტეხოთ თავი, როგორ გამოგაძვრინოთო?! მე ვიყავი? შოკში ვარ კაცი, რა ვიფიქრო, აღარ ვიცი. გუშინ მანქანაც მქონდა, ფულიც! დღეს კი, ჯიბეები რომ ამოვიტრიალო, ერთ თეთრს ველარ მივაგნებ... თან, ისეთი შავი ღრუბლები ირევა ჩემს თავზე, როგორ წამოაყრის და რას წამოაყრის და წამოუშენს, ერთმა ღმერთმა იცის მარტო... გაგიჟდები კაცი!.. — ის იყო, მიამთავრა თავისი დასკვნითი სიტყვა ენვერმა, რომ ტელეფონმაც დარეკა და სვეტამ გამომძიებელ ლერი კაპანაძის ჩამობრძანება ამცნო.

— „ინკოგნიტო“ ჩამოვიდა, ვეცდები დილამდე ჩემთან იყოს, — მოახსენა სვეტამ გამგებელს ყურმილში.

ენვერს თითქოს ურო ჩასცხესო თავში — მოწყდა და სავარძელში ჩაესვენა, რაც ნორას ყოვლისმნახველ თვალს არ გამოჰპარვია.

— რაო, კაცო, რა მოგახსენეს ასეთი? — ჰკითხა მან ქმარს და თავისთვის კი გაიფიქრა: „ისევ ჩაისველა, რა მეშველება? დაიჭერენ და დაიჭირონ!“

თითქოს ქმარიც ფიქრს მიუხვდაო:



— მე ალბათ, დამიჭერენ... — თქვა და ცოლს უაზრო თვალებით მიაჩერდა.

— არა უშავს, კაცმა ყველაფერი უნდა ნახოს — ციხეც, ომიც, მშვიდობაც...

არ ვიცი, წაკითხული ჰქონდა თუ არა ნორა ქადაგიძეს ჰემინგუეის რომანები, ერთი კია, რომ მისი აზრი გაიმეორა. მაგრამ ჰენინგუეის აზრი მის ქმარს საშინლად არ მოეწონა და ისეთი და იმდენი სისულელე „მოხია“...

— რა მინდა ციხეში, რატომ უნდა ჩავჯდე მე ციხეში?! კაკი, მანფრედა და გოგიტა გარეთ დადიოდნენ და მე — კარცერში?! — მეზობლები ჩამოთვალა — მგონი, ისინი სამეზობლოში, ვისი „ზუბიც“ ჰქონდა. თუმცა, რას წარმოიდგენდა, რომ ამ სამიდან ერთს, გოგიტას ძალზე ხშირად უფათურებია ხელი მისი მეუღლის ძვირფას საცვლებში...

მოკლედ, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელ ლერი კაპანაძისთვის მთელი ამ საქმის პერიპეტიები, უკვე დღესავით იყო ნათელი. ის ბრალდებანი, რომელიც რეზი ბერიძის აღიარებაში იყო ჩამოთვლილი, რა თქმა უნდა, დამნაშავეთა ჯგუფის გამოსავლენად საკმაოდ მყარ მასალას წარმოადგენდა. მაგრამ რადგან უკვე აღარსად ეჩქარებოდა და მისი აზრით, ვერც ერთი მათგანი ველარ ასცდებოდა თემიდას მახვილის ბასრ პირს, გადაწყვიტა, ადგილზე ჩასულიყო და იქაურებისთვის, როგორც ქორს, ისე ჩაექროლა და წიწილებივით დაეფრთხო. თან თიქრობდა, რომ რადგან რაიონის დონის მაგნატებთან ჰქონდა საქმე, რაიმე, თუნდაც პატარა მიზეზის გამო, რომ არ გაჯანჯლებულიყო ძიება, კიდევ ცოტაოდენი მტკიცებულებანი მოეპოვებინა ადგილზე და საქმე მერე დაეხურა.

მოკლედ, თუ მარტვილში პირველი ჩასვლისას ის, ტურა უფრო იყო, ვიდრე სხვა ცხოველი, ახლა უკვე ლომის ფაფრით უნდა მოვლენოდა იქაურებს.

საღამო ხანს, როცა ლერი მარტვილში ჩავიდა, მშვენიერ ხასიათზე იყო, დაახლოებით ისეთზე, აი, ვთქვათ, მეცნიერი რომ დაამთავრებს თავის შრომას და უკვე ამ შრომის ნაყოფის მიღების მოლოდინშია. რას გააკეთებდა მის ადგილას სხვა, პირველ რიგში?.. რა თქმა უნდა, სვეტას მიაკითხავდა, როგორც ვთქვათ, დაფნისგვირგვინიანი, წითელ ტოგაში შემოსილი, რომის იმპერატორი ან თუნდაც, ოლიმპიური ჩემპიონი; თუ დამიჯერებთ, სწორედ ასეთი გრძნობა ჰქონდა... მოკლედ, „იმპერატორი“ იმ სასტუმროს წინ გაჩერდა, რომლის ადმინისტრატორიც მისი „კლეოპატრა“ იყო და პიჯაკის ჯიბიდან „ქემელის“ კოლოფი ამოაძრო. გააბოლა. საოცრად ესიამოვნა სიგარეტის გემო და ჰოლში გაჯგიმულმა შეაბიჯა.

— ვინმე გნებავთ თუ ნომრის აღება გსურთ? — შეეკითხა სასტუმროს მორიგე, რომელიც ალბათ, კლიენტებს იღებდა.

— სვეტას ნახვა მინდოდა, ადმინისტრატორის, თუ არის, რა თქმა უნდა, — უპასუხა ლერიმ და ჰოლი მოათვალიერა.

— არის, მაგრამ უნდა დავურეკო, დაბრძანდით, ერთი წუთით... — სთხოვა მორიგემ და ტელეფონის ყურმილი აიღო. ლერი არ დაჯდა, მივიდა და კედელზე დაკიდებული უგემოვნო ნახატის (რომელზეც ალბათ, იქაური პეიზაჟი იყო გამოსახული) შესწავლას შეუდგა. თან, ცალი ყური, რა თქმა უნდა, მორიგისკენ ჰქონდა.

— სვეტა, შენთან არიან, ამოვუშვა?.. არ ვიცი. ერთი წუთით, — და მორიგემ ლერის მიმართა: — ვინ ბრძანდებითო?

ლერი ცოტა კი დაიბნა, მაგრამ მალევე გაახსენდა, რომ ინჟინერი იყო.

— ინკოგნიტო ინჟინერი, — უპასუხა მორიგეს და თავისი სიტყვამოსწრებულობა თვითონვე მოეწონა.

— ინკოგნიტო ინჟინერიო, — გადასცა მორიგემ ყურმილში, ლერის ნათქვამი სვეტას. — კარგი, გადავცემ, — და მორიგე ისევ ლერის მიუბრუნდა: — ცოტა ხანი დამელოდოსო.

ლერის ეჩქარებოდა რატომღაც, ალბათ აინტერესებდა, რა ეფექტს მოახდენდა სვეტაზე, „იმპერატორის“ რანგში მისი გამოჩენა და რომ უნდა დალოდებოდა; ეს მაინცდამაინც არ მოეწონა. სხვა გზა არ იყო — ჰოლში დადგმულ, კლიენტებისთვის განკუთვნილ დივანზე ჩამოჯდა და ბედს შეურიგდა. თან წარმოიდგინა, რას აკეთებდა იმ მომენტში სვეტა. მისი აზრით, ის იმწუთას მთელი სისწრაფით იხდიდა იმ სამოსს, რომელიც ეცვა... და ლერის, სვეტას შიშველი, თეთრი ტანის სილამაზე ცხადლივ გაახსენდა, იმდენად ცხადლივ, რომ ნერწყვიც კი გადაყლაპა. ახლა კი სვეტა ახალი სამოსით იმოსებოდა, თმას ივარცხნიდა, პომადას ისვამდა და ა.შ... სინამდვილეში, სვეტასთან სულ სხვა რამ ხდებოდა და არა ის, რასაც ლერი კაპანაძე ფიქრობდა.

მოკლედ, სვეტა იმ მომენტში, ადგილობრივი „კადრებიდან“ შერჩეული საყვარლის უხეშ მკლავებში ფართხალებდა და ბოლო ბგერებს, ერექციასთან ერთად, გახშირებულ ტკბილ ხვნეშას აყოლებდა...

ასე რომ, სვეტა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, რა ინჟინერიც იყო ის „ინკოგნიტო“, ვინც ასეთ არასასურველ მომენტში გამოეცხადა, ძალზე შავ დღეში გახლდათ, რადგანაც თავისი უშუალო უფროსების მიერ მკაცრად იყო გაფრთხილებული, რომ ამ „ინკოგნიტოს“ გამოჩენა მათთვის აუცილებლად ეცნობებინა; გარდა ამისა, ის თავისთან რაც შეიძლება დიდხანს უნდა დაეყოვნებინა. მაგრამ უჩას — სვეტას ახალი საყვარლის სექსუალური რაციონი მინიმუმ, შვიდი „პარტიისგან“ შედგებოდა, მათ კი, მხოლოდ პირველი მიამთავრეს. მოკლედ, იმწუთას სვეტასათვის უჩა ისეთი თავსატეხი იყო, ეროსის ყველა დემონი ერთადაც რომ მოეხმო და მიწაზე ჩამოეყვანა, ისინიც ვერაფერს უშველიდნენ. და სვეტამაც ერთდროულად ორ ფრონტზე ომი გადაწყვიტა. სხვანაირად, უჩა არაფ-



რის დამთმობი არ იყო და შესაძლოა, „ინგოგნიტო ინჟინერი“ მის — ანუ უჩას უარყოფით ენერგიას ემსხვერპლა...

— რაღაც გაუგებრობაა, ვიღაც კლიენტი აჩმახებს... შენ აქ დამელოდე, გარედან ჩაგკეტავ, რომ ვერავინ შემოვიდეს და ათ წუთში ამოვალ, კარგი? — უთხრა მან თავის უკვე საკმაოდ ეშხში შესულ „მეცხედრეს“ და კარი ჩაუკეტა. და მაშინვე, კიბეზე სირბილ-სირბილით, ჩანჩქერივით ჩაემზღვრა.

მოკლედ, სვეტას თავისი აღელვება და პატარა ნერვული შოკი რომ დაეფარა, აღტაცებული მიეჭრა ლერის და დიდი ხნის უნახავი ცოლივით მოურიდებლად „დაუზასა“. ლერიმ ძლივს გაითავისუფლა თავი მისი ცხელი ტუჩებისა და მკერდისგან. ცოტა კი გააკვირვა სვეტას ესოდენ გულმხურვალე მისალმებამ, მაგრამ არ შეიმჩნია და მის ნება-სურვილს დაჰყვა.

— წამოდი, წამოდი! — სვეტამ ხელი სტაცა და ლერი ზემოთ, მეორე სართულისკენ გააქანა. მერე, ასეთივე სისწრაფით შეაგდო სასტუმროს ერთ-ერთ ლუქსში, საწოლზე მიაწვინა, ელვა გაუხსნა და სანამ ჩვენი გამომძიებელი აზრზე მოვიდოდა, რაღაც სამიოდ წუთში ყველაფერი მომთავრებული იყო...

— ვერაფერიც ვერ გავიგე... — თქვა, ასეთი უცნაური მიღებისგან ცოტა არ იყოს, განცვიფრებულმა, საწოლზე გულაღმა მწოლიარე ლერიმ და ელვა შეიკრა.

— რა ვერ გაიგე? მოვკვდი შენი ლოდინით! აკი სულ მალე გესტუმრებიო?! მთელი თვე გავიდა!.. — და უეცრად შუბლზე იტკიცა ხელი: — ვაიმე, მგონი, უთო დამრჩა ჩართული!.. — და მიაყარა: — შენ აქ დამელოდე, გაიგებ, გაგაგებინებ, ვიცი, რაც გინდა, შენზე კარგად ვიცი, ველარსად გამექცევი, გარედან ჩაგკეტავ, ცოტა მოითმინე და ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა, კარგი? — რა თქმა უნდა, კეკლუცობდა და მთელ თავის ნიჭს აქსოვდა ამ „ტირადისას“. ასე რომ, კაცის გული მოინადირა და უკეთესის მოლოდინში თავბრუდახვეული, საწოლზე დატოვა.

მერე სვეტა პირველ სართულზე ჩაქანდა. ენვერ ნიჟარაძის ნომერი აკრიბა და მოახსენა:

— „ინკოგნიტო“ ჩამოვიდა, ვეცდები, დილამდე ჩემთან გავაჩერო.

ის, თუ რა რეაქცია მოჰყვა „რესპონდენტის“ მხრიდან ამ ინფორმაციას, უკვე მოგახსენეთ, ახლა კი, ისევ ჩვენი ახალგამომცხვარი, სუსტი სქესის „ფიგაროს“ ქცევას მივადევნოთ თვალი.

მიაწოდა თუ არა საჭირო ინფორმაცია, როგორც ევალებოდა, სვეტამ თავის „ლუქს-კაბინეტში“ ჩაკეტილი „შვიდიანისკენ“ გასწია. თან გზად, თავის ტვინს მთელი სისწრაფით, დაუნდობლად ამუშავებდა — როგორ მოეცილებინა თავიდან უჩა, რადგან ერთ ღამეში შვიდჯერ ასეთი ოპერაციების (ალმა-დალმა სირბილი) ჩატარება მის ძალებსაც აღემატებოდა და რაც მთვარია, აუცილებლად დაიწვებოდა. თან, ეს შვიდი ხომ ორმაგდებოდა და „თოთხმეტის“ პერსპექტივაც, რა თქმა უნდა, ცოტა აშინებდა.

რა უნდა გაეკეთებინა, გამოეთრო?.. გამორიცხული იყო, რადგან ჩვენი კაცები იმდენ ღვინოს და არაყს ისხამენ სტომაქში, ზოგჯერ ქვევრებსაც კი ცლიან. ერთადერთი გამოსავალი — წამალი იყო. არა, ნარკოტიკი კი არა — უბრალო ძილის წამალი, რომელიც უჩასთვის ჭიქაში უნდა ჩაეყარა... ამიტომ, ისევ მორიგესთან ჩაქანდა და სთხოვა — შენი ჭირიმე, აფთიაქში გადაირბინე და ძილის წამალი, თუნდაც დიმედროლი მიყიდე და როცა მოიტან, ჩემთან ვიქნები და დამირეკე; ოღონდ, სანამ დამირეკავ, ჩვენ რომ ვიცით, ისეთი სუფრა ორ კაცზე, ორი შამპანურით, ორასჩვიდმეტში შეიტანეო, სთხოვა და აუხსნა — ის კაცი ჩაკეტილი მყავს და კარს შენ თვითონ გააღებო. მერე ავიდა და დატუსაღებულ უჩას ესტუმრა, რომელიც სუფრას მისჯდომოდა და გემრიელად ილუკმებოდა.

— სად გადაიკარგე? აკი, ათ წუთში ამოვალო?! — უსაყვედურა უჩამ.

— მთელი კვირა იცხოვრა და ფულის გადახდა არ უნდოდა! კიდევ კარგი, დაიჭირა ირმამ, თორემ, გვეპარებოდა თურმე... — ოსტატურად იცრუა სვეტამ.

— შენი წითელი ტუჩები მინდა ვადღეგრძელო, მოჰკიდე შენც ხელი! — მიანიშნა არყის ჭიქაზე უჩამ სვეტას.

— წითელი პომადაა, თორემ, წითელი ტუჩები კი არ მაქვს, — უპასუხა ქალმა და ჭიქა ასწია.

— მაშინ, წითელპომადიანი ტუჩები... გაუმარჯოს! — თქვა უჩამ და გადაჰკრა. თან გრძელ, უკან გადაწეულ შავ თმაზე გადაისვა ხელი.

— პაჩი? — ტუჩები გამობურცა სვეტამ.

უჩამ ლუკმა გადაყლაპა, წამოდგა, სვეტას ადგომაში დაეხმარა და მის ტუჩებს დააკვდა. მერე თეთრი ძუძუები მაღლა ამოუყარა, ორივე ხელი ამოსდო ბარძაყებში და საწოლზე მიაწვინა. ქალიც მაგრად ეხმარებოდა, ცოტას ჩქარობდა კიდეც... ხელის თითებს ინტიმურ წერტილებში ისე ოსტატურად უსვამდა, რომ კაცი ლამის გააცოფა, გააგიჟა და რიტმი გაუათკეცა.

— აუუუ! — აღმოხდა მგელივით ყმუილი უჩას და ექსტაზში ჩაიძირა, ეგონა, მთის მწვერვალიდან წამოსულმა ზვავმა ჩანთქა და ჩაიყოლა... იწვა ასე მთის ძირში და წამოდგომა აღარ უნდოდა...

სამაგიეროდ, სვეტას უნდოდა წამოდგომა, რომ ისევ იმ „ინკოგნიტოსთან“ გაქცეულიყო, რომელიც გაუფრთხილებლად გამოეცხადა და ამ უცნაურ სიტუაციაში ჩააგდო. თუმცა, თავისი საქმის ისეთი პროფესიონალისთვის, როგორიც სვეტა გახლდათ, ასეთი სიტუაცია აზარტულიც იყო, და ისიც თამაშობდა, აინტერესებდა ფინალი, რომელიც, რადგან ყველაფერს ვერ გათვლი, ზოგჯერ ტრაგიკულად, ზოგჯერ კი — კომიკურადაც მთავრდება...

ტელეფონმა დარეკა და ირმამ სვეტას ამცნო, რომ მისი დავალება შესრულებული იყო, სვეტამ ერთხელ კიდევ მოიმიზეზა იგივე კლიენტი და „ინკოგნიტოსთან“ გავარდა. ძილის წამლისთვის კი, მისგან რომ გამოვიდოდა, მაშინ უნდა მიეკითხა, რადგან უჩა უნდა დაეძინებინა, ღამე კი, ლერისთან გაეტარებინა.

...ლერის შამპანური გაეხსნა და ერთი ჭიქა გადაეყლურწა კიდეც. მშვენიერ ხასიათზე ბრძანდებოდა, სასტუმროს მშვენიერ ნომერში ნებივრობდა და არსად ეჩქარებოდა.

რა უნდა გაეკეთებინა სვეტას, რომ თავისი უცაბედი სტუმარი შესვლისთანავე აღეგზნო? ალბათ, რაღაც არაორდინარული, როგორიც სვეტასნაირ არსებებს ყოველთვის მოეძევებათ „რეპერტუარში“ და საჭიროების დროს, შეძლებისამებრ, გამოყენებასაც ახერხებენ.

ნამგზავრი და სასმელგადაყლურწული გამომძიებელი პირველი „პარტიის“ შემდეგ, ოდნავ მოთენთილი და მომჩვარულიც კი ჩანდა და სვეტამ გაიფიქრა, უჩა კი არა, იქნებ ეს მივაძინო და ბევრად იოლად გადავჭრა ჩემი პრობლემაო?!. მოკლედ, ტვინი გადაუბრუნდა

და ასეც გადაწყვიტა. ჯერ კი, მის აღსაგზნებად, ყველაზე აპრობირებულ მეთოდს — სტრიპტიზს მიმართა. შევიდა თუ არა ნომერში, მუსიკას ბოლომდე აუწია, ლამაზი, გრძელი ფეხები სექსუალურად (მერილინ მონროს პონტში) გაჩაჩხა, მერე, ოდნავი რხევით, კაბის ბოლო ნელ-ნელა, სულ ნელა ააცურა მუხლს ზემოთ და როცა ბარძაყებს შორის ტრუსის შემაერთებელი ქსოვილი გამოიჩინა, მაშინღა გადაიძრო თავს ზემოთ და მოისრიალა. რა თქმა უნდა, „იმან“, „ვისთანაც“ ეს ამბავი პირდაპირ იყო დაკავშირებული, სასწრაფოდ „გამოიღვიძა“ და ამის შესახებ იმპულსები მამაკაცის ტვინის იმ უჯრედებისკენ გაგზავნა, რომლებიც შემდეგ, ძლიერი სქესის უმრავლესობას უმეტესწილად, გონებასაც კი აკარგვინებს და ხათაბალაშიც კი ხვევს. უფრო უბრალო ენით რომ ვთქვათ, კაცს შარვლის უბე დიდი სისწრაფით გამოებერა... ხოლო როცა ქალმა ლიფიც მოისრიალა, შემობრუნდა და თავისი მოხდენილი უკანალი პაპუასთა დედოფალივით აათამაშა, ლერის ის უკვე გულმკერდზე ჰყავდა ატატებულ-მიკრული და საწოლისკენ მიარბენინებდა. მერე კაცმა ქალი საწოლზე მიაგდო და ისეთი გამალებით დააცხრა ზურგიდან, რომ მის ხერხემალს ლამის ჭრიალი და ჭახაჭუხი აუტეხა. არ ვიცი, ვის უხდიან მამაკაცები, ასეთი უტკბილესი წამების დროს მადლობას, ერთი კია, რომ თავს მაღლა-მაღლა სწევენ და თვალებსაც ისე ატრიალებენ, როგორც მლოცველები განსაკუთრებული ალტკინებისას... აი, სწორედ ამ პოზაში იმყოფებოდა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელი ლერი კაპანაძე, როცა ლუქსის კარი გაიღო და ნომერში უჩა ურიდიამ შემოიხედა...

შემოიხედა და რას ხედავს? მის სვეტას, მის საყვარელს, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ მის ხელებში, წყლიდან ახალამოგდებული კალმახივით სხმარტალებდა, ვიღაც უჯიშო მელოტი შემოსჯდომოდა ზურგზე და ვინ იცის, საით, რა სისწრაფით მიაქროლებდა!.. რას გააკეთებდა ამ დროს ნებისმიერი მამაკაცი, თუ მას მართლაც, კაცი ჰქვია? ალბათ იმას, რაც უჩა ურიდიამ გააკეთა.

— ვის ქალს ეხვევი, ვის ქალს?! — საშინლად დაიღრიალა და კაცს პირდაპირ ფეხებში სწვდა, დაითრია, გადმოაბრუნა და სანამ განცვიფრებული, შეშინებული და დაფეთებული გამომძიებელი შარვლის ელვას იკრავდა, თავისი მსხვილი და უხეში მუშტები ისეთი ძალითა და სისწრაფით დაუშინა, რომ რაღაც სამიოდე წამში კაცს სახე კატლეტად უქცია, მერე კი ისეთი სისწრაფით შეუდგა მოგუდვის გზით მოწინააღმდეგის იმ ქვეყნად გასტუმრებას, რომ მსგავს შემთხვევებში ასე თუ ისე გამოცდილ სვეტას რომ არ ემარჯვა, მასზე უსაზღვროდ შეყვარებულ უჩას, ოც წლამდე „სროკი“ ნამდვილად გარანტირებული ექნებოდა. ქალმა კი, თავისი იძულებითი საყვარლის გადასარჩენად, ერთ-ერთ უძველეს და საუკეთესო ხერხს მიმართა: აიღო შამპანურის ბოთლი და გამეტებით ჩასცხო უჩას თავში. ამ უკანასკნელმა იმწამსვე უშვა ხელი ლერის ყელს, თვალები გადაატრიალა და გონდაკარგული, თავის მსხვერპლს ჩაეკონა...

როგორ აღმოჩნდა, სვეტას კაბინეტში მარტოდ დატოვებული უჩა ლერის ნომერში?.. ალბათ, ქალმა რომ დააგვიანა, მოენატრა და მის საძებნელად გამოვიდა. ან იქნებ უბრალოდ, რაიმე იეჭვა კიდეც, რადგან სვეტას საეჭვო წარსულის შესახებ არცთუ ისე ცოტა რამ სმენოდა...

ეს გაუთვალისწინებელი ინციდენტი იქაურებისთვის, ვინც კი ოდნავ მაინც იყო იმ ავარიასთან რაიმით დაკავშირებული, ნამდვილ კატასტროფას რომ მოასწავებდა, სვეტამ მაშინვე გაიაზრა. რა უნდა ექნა? იძულებული იყო, სასწრაფოდ ეცნობებინა ელიზბარ თელიასთვის — ადგილობრივი პროკურორისთვის და მოვლენების შემდგომ მსვლელობას დალოდებოდა. ჯერ კი, უჩა იმავე ლუქსში ჩაკეტა, ნაცემ-ნაბეგვი ლერი კაპანაძე კი, სასწრაფოდ თავის კაბინეტში — ე.ი. უკეთეს „ლუქსში“ გადაიყვანა. დაჟეჟილ და მართლაც, კატლეტად ქცეულ სახეზე, პირსახოცის სველი, ცივი კომპრესი დაადო. მერე ჰოლში ჩაქანდა და ელიზბარს დაურეკა.

ელიზბარმა ეს ამბავი ისე მიიღო, როგორც თავზე ბომბის დაცემა და თავის მხრივ, გამგებელ ენვერ ჭუბაბრიას მოახსენა ყოველივე. საჭირო იყო მოქმედების გეგმის შემუშავება, საქმეს კი ის ართულებდა, რომ სვეტას „შპიონაჟში“ მონაწილეობა არამც და არამც არ უნდა გამჟღავნებულიყო.

ბიჭები — ანუ გამგებელი და პროკურორი, ელიზბარის მანქანით სასწრაფოდ სასტუმროსთან მიქანდნენ და სვეტას დაურეკეს.

— სასტუმროს წინ გელოდებით, ცოტა ხნით ხომ შეგიძლია გამოხვიდე? — შეეკითხა ელიზბარი.

— კი, როგორ არა?! ამწუთას ჩამოვალ, — უპასუხა სვეტამ, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოკლედ. ყოველი შემთხვევისთვის, სვეტა მაინც უმზადებდა ძილის წამალს სახედასივებულ გამომძიებელს. კოვზით ურევდა ფხვნილს ჭიქაში, ლერის ეფერებოდა და თან თავს იმართლებდა:



— საკმარისია, ვინმე უცხო ჩამოვიდეს ამ ქალაქში და იმწამს ყველამ უნდა გაიგოს. ღმერთო ჩემო, კაცს არ გავკარებივარ, ალბათ, ხუთი წელია... საიდან გაიგო, ვინ გამოგზავნა?.. გეფიცები, სამი წელია არ მინახავს... აი, ეს დალიოსო, აფთიაქში მომცეს... — და სვეტამ ბალიშზე მისვენებულ ლერის ჭიქა მიაწოდა.

„წეღან ხუთი წელი თქვა, ახლა — სამი...“ — ბუნებრივია, იეჭვიანა ლერი კაპანაძემ და წამალზე იკითხა.

— ეგ რა არის?

— არ ვიცი, ამას თუ დალევს, ბევრად ჩქარა დაუცხრებაო, — უპასუხა ქალმა.

— სახელი? რა ჰქვია?

ქალმა წამლის ყუთს დახედა:

— ალფასტაზონი. რა, არ გიყვარს წამლები?

— წამლები ვის უყვარს... ვაი, ვაი! — წამოიყვირა კაცმა, როცა წამლის დასალევად წამოიწია. როგორც ჩანს, ფერდებიც დაზელილი ჰქონდა.

— ცოტა ხნით უნდა ჩავიდე, მორიგე მეძახის. მალე ამოვალ, არ მოიწყინო უჩემოდ, — უთხრა სვეტამ, როცა დაცლილი ჭიქა გამოართვა. — აი, სიმღერებს მოუსმინე! — და რადიოს აუწია.

— კარი ჩაკეტე! — გააფრთხილა კაცმა. ალბათ, იმავეს გამეორების პერსპექტივა აშინებდა.

სვეტა სასტუმროდან გამოვიდა, ქუჩა გადაჭრა და ელიზბარის მანქანაში უკანა სავარძელზე მოთავსდა.

— რა მოხდა, სვეტა? — შეეკითხა ენვერი.

— არ ვიცი, არ ვიცი, საიდან გაჩნდა ის გიჟი?.. — დაიწყო სვეტამ გამოგონილი ამბის შეთხზვა. — ვისხედით ჩვენთვის და ყავას ვსვამდით. ის კი შემოგვივარდა და ისე წაუშინა, ისე წაუშინა!.. ასეთი შავი, მუშტისხელა ფანარი აზის ორივე თვალზე, ვერ ახელს... ალბათ ერთი კვირა ფეხზეც ვერ დადგება... — უჩვენა სვეტამ ხელით.

— წინასწარ უყრია ჩვენი ჯავრი, მაგ ვირისთავს... — ჩაილაპარაკა ენვერმა.

— რა იცოდა, ერთად რომ იყავით? — შეეკითხა სვეტას ელიზბარი.

— აბა, მე რა ვიცი?! — უპასუხა სვეტამ.

— რაო, ისევ „ინჟინერია“ თუ გითხრა, ვინც არის? — შეეკითხა სვეტას ენვერი.

— მოვასწარით, რომ დალაპარაკება?! — გაიოცა სვეტამ.

— ახლა რას აკეთებს? — იკითხა ელიზბარმა.

— ახლა წევს... — უპასუხა სვეტამ და ძილის წამალი გაახსენდა. — სძინავს.

— მგონი, ტუზი დაგვეცა, — თქვა ელიზბარმა.

— რატომ? — იკითხა ენვერმა.

— იქნებ როგორმე მოვთაფლოთ, სანამ

ეგ ფეხზე დადგება...

— მაგას კი მოთაფლავ, მაგრამ იმ, იარაღით მოვაჭრეებს რაღას უზამ?

— ეს მომათაფვლინა როგორმე და სანამ ისინი ჩემამდე მოვლენ, დუბაის იქით ვიქნები... — ჩაილაპარაკა ელიზბარმა.

— ის მეორე გიჟი? — იკითხა უჩაზე ენვერმა.

— გაიქცა მაშინვე! — იცრუა სვეტამ.

— კაი, წადი, — უთხრა ენვერმა, — დაგირეკავთ და გეტყვით, რასაც მოვიფიქრებთ... მოარჩინო უნდა.

— კაი, „ციანისტი კალის“ ჩავაცეცხლებ, — თქვა სვეტამ და მანქანიდან გადავიდა.

— მოუხდებოდა, — ჩაილაპარაკა ელიზბარმა და მანქანა დაქოქა.

სვეტამ იცოდა, რომ ლერი დაძინებული დახვდებოდა, მაინც გადაამოწმა და



რომ დარწმუნდა, მართლაც ეძინა, უჩას ნომრისკენ გასწია. თუ ენვერის ბანდას გამომძიებელი ჰყავდა მოსათაფლი, სვეტას უჩა უნდა მოეთაფლა, რომელსაც თავისი მისია ჯერაც შესასრულებელი ჰქონდა — დარჩენილ ხუთ „პარტიას“ ვგულისხმობ. იმედი ჰქონდა, რომ ცოცხალი დახვდებოდა, თუმცა კარგად იცოდა, რომ თავგაჩეხილი უჩას მოთაფვლა შესაძლოა, ბევრად რთულიც კი ყოფილიყო, ვიდრე თვით ლერი კაპანაძის.

— ბედზე შემომისწარი, ბედზე! ვინ იყო ის გიჟი, ჰა?!. — იმხელა ტყუილი მოჩმახა სვეტამ, მიუნჰაუზენს შეშურდებოდა... უჩა საწოლზე მიწოლილიყო და თავზე სველი პირსახოცი დაედო. სვეტამ განაგრძო:

— შესამოწმებლად შევედი და რომ მტაცა ხელი და მიმაგდო საწოლზე, დაყვირებაც ვერ მოვასწარი.

მაგრამ როგორც ჩანს, არცთუ ისე კარგად იყო საქმე, როგორც სვეტას ეგონა: უჩა ხმას არ იღებდა, თვალები ჭერისთვის მიეშტერებინა და გაჭიმული იწვა.

*დასასრული შემდეგ ნომერში*





„ეჰ, არ გრცხვენიათ, ამ 28 წლის ქალს რომ მაღრიჭინებთ ლაშას მოწვევაზე?.. რაღა დროს ჩემი „თინეიჯერული პონტებია“, მაგრამ მიყვარს თქვენი რუბრიკა და ჰა“... — რამდენიმე თვის წინ, უკვე მერამდენედ მთხოვდა „სეიშენელი“ ლაშა აბზიანიძის მოწვევას ანა, საბერძნეთიდან. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტებს თქვენი მესიჯების მიხედვით ვირჩევთ, ემიგრანტის სურვილი სამწუხაროდ, აქამდე ვერ შევუსრულეთ. ახლა კი, ლაშას ჩვენს რუბრიკაში ნახვის ბევრი მსურველი გამოჩნდა; თუმცა, ასეც რომ არ ყოფილიყო, ანას მიერ გამოგზავნილი ბოლო მესიჯი გულგრილს ვერ დამტოვებდა: „ლიკა, რა მოხდება, „სეიშენელი“ ლაშა აბზიანიძისგან ინტერვიუ რომ აიღოთ? ამაოდ ვკითხულობ თქვენს ჟურნალს და ყოველ ხუთშაბათს იმედგაცრუებული ვრჩები. ნუ დამტოვებთ უყურადღებოდ, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. უკვე აღარც მახსოვს, მერამდენედ გთხოვთ ამას. ხალხი არა ხართ? შემიცოდეთ, ადამიანურად გევედრებით“...

# რისი ეშინია „ეშმაკის მაშხალას“, რომელსაც ბოსი არასდროს ჰყოლია

*ლიკა ქაჯაია*

— ეს ასაკი ყველამ გავიარეთ. ამ პერიოდში, ზოგი ძალიან დაღვინებულია, ზოგი პირიქით — ცანცარაა და ა.შ. მიმაჩნია, რომ ზომიერებაა ყველაფერში საჭირო.

**— შენ როგორი თინეიჯერი იყავი?**

— ოოო... ჭირვეული, თუმცა, მაინც კარგი ბიჭი ვიყავი და სიმართლე გითხრა, იმ ასაკისთვის დამახასიათებელი ჩვეულებების რაღაც ნაწილი, დღემდე გამომყვა. მაქვს გამოხდომები, რომელიც თინეიჯერობაში მახასიათებდა; თან, ისეთი საქმიანობით ვარ დაკავებული, რომ მოზარდის თამაში ხშირად მიწევს. და კიდევ, რაც უფრო ახალგაზრდად გრძნობ თავს, უკეთ გამოიყურები და სულ ყურადღების ცენტრში ხარ, კარგი გაგებით.

**— ანუ ასაკოვანი ადამიანები ყურადღების მიღმა რჩებიან?**

— არა, მაგრამ როცა ასაკოვანი ადამიანი ახალგაზრდულად გამოიყურება, ეს უფრო თვალში საცემია.

**— ამ ასაკში თანატოლებისგან რით გამოირჩეოდი?**

— 13-დან 19 წლამდე საოცრად კარგი პერიოდი მქონდა — გასტროლები საზღვარგარეთ, პოპულარობა და ა.შ. ასე რომ, სხვებისგან ისედაც გამოვირჩეოდი; ბევრი მათგანისგან განსხვავებით, ყოველთვის ვცდილობდი, ცხოვრებაში რაღაცისთვის მიმეღწია. ამისთვის ვიბრძოდი და შედეგიც სახეზეა, შეიძლება, ისეთი არა, როგორიც მინდოდა, მაგრამ საქართველოს პირობაზე, დასახულ მიზანს თითქმის მივაღწიე. ისე, მწვერვალზე ასვლა ყოველთვის რთულია, იქ გაჩერება კი, „ვაფშე“...

**— შეიძლება, მწვერვალიდან მალევე ჩამოვარდე და კისერი მოიტეხო, არა?**

— არ არის გამორიცხული, რომ ასე დაგემართოს.

**— ამ ასაკში პოპულარობა როგორია?**

— თავიდან ანუ სანამ ახალი ხილია, ნამდვილად თავბრუდამხვევია; გგონია, რომ ყველა შენ გიყურებს, ყველაზე მაგარი ადამიანი და ხალხის რჩეული ხარ. მაგრამ მერე, ესეც მოსაბეზრებელი ხდება...

**— მერე, ზოგს ეს პოპულარობა თავში უვარდება, მით უმეტეს, თინეიჯერობის ასაკში. შენს შემთხვევაში საქმე როგორ იყო?**

— თავში არასდროს არაფერი ამვარდნია.

**— ეს როგორ მოახერხე?**

— (*იცინის*) ამას რა მოხერხება უნდა?!. მთავარია, არ თქვა, რომ ყოვლისშემძლე ხარ, შენსავე წარმატებაზე თავადვე არ იყვირო და ხალხს მისცე იმის საშუალება, შენი შემოქმედება დააფასოს.

**— ამაყი არ ხარ?**

— სიამაყის გრძნობა ყველა ადამიანს აქვს. თუ ეს გრძნობა არ გაგაჩნია, მაშინ ამქვეყნად ვერაფერს მიაღწევ. მაგრამ ზომიერება უნდა დაიცვა, ზედმეტი ფულიც კი არ ვარგა.

**— ასე ფიქრობ?**

— კი, ჩემთვის ასეა და სხვისთვის, არ ვიცი. მირჩევნია, ნორმალურად ვიცხოვრო.

**— მაგრამ არა მგონია, ბევრი ფული რომ მოგცენ, უარი თქვა.**

— არ ვიტყვი, მაგრამ ვიცი, რომ ბევრი ფული ადამიანს აფუჭებს. ჯობია, სტაბილური შემოსავალი გქონდეს.

**— რატომ, ფული „გაგაღორებს“ და ამის გეშინია?**

— ნებისმიერ ადამიანს ასე ემართება და ალბათ, არც მე ვიქნებოდი გამონაკლისი.

— **ამბობენ, რაც მეტი შემოსავალი გაქვს, მით უფრო მეტი გინდაო...**

— მართალია, მაგრამ უნდა შეეცადო, ასეთი სურვილი მოთოკო.

— **შენი პოპულარობა გოგოებთან ურთიერთობაში თუ გამოგიყენებია?**

— კი.

— **ეს კარგია, თუ ცუდი?**

— ცუდი, რა თქმა უნდა. თუმცა, პოპულარობის გამოყენება არც კი მიცდია, ისედაც მცნობდნენ ანუ ეს ყველაფერი თავისთავად გამოყენებადი იყო... მოდი, ახლა მე გკითხავ რაღაცას.

— **გისმენ...**

— შენ რომ სიმღერა დაწერო და მე მივითვისო, რა მოხდება?

— **ეს შეუძლებელია, რადგან მე სიმღერებს არ ვწერ.**

— არა მგონია, რომ ეს შეუძლებელი იყოს. ვთქვათ, ასე მოხდა და ამ ამბავმა ხალხში გაჟონა. როგორ ფიქრობ, ისეთი პოპულარული აღარ ვიქნები?

— **ამბობენ: ასეთ შემთხვევაში ხალხი ბრმავდებაო ანუ მე გამამტყუნებენ და შენ შესაძლოა, უფრო პოპულარული გახდე; თუმცა, შეიძლება, პირიქით მოხდეს...**

— ხალხი ბრმა კი არ არის, უბრალოდ, რაც ხელს არ აძლევს, იმას ვერ ხედავს... ამას იმიტომ გეუბნები, რომ ზოგიერთი ისე იქცეოდა, თითქოს ვერ მცნობდა; მეცნობოდა ისე, როგორც არაპოპულარულ ადამიანს ეცნობიან და მერე, ამას სადღაც, რაღაცაში იყენებდა. სამწუხაროდ, ასეც ხდებოდა.

— **სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?**

— ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჩემი საქმიანობის გამო, გაკვეთილზე ჯდომა იშვიათად მიწევდა, რაშიც მასწავლებლებიც ხელს მიწყობდნენ...

— **ე.ი. „შატალოზე“ არასდროს ყოფილხარ?**

— როგორ არა, ხშირად ვიპარებოდით სკოლიდან... მახსოვს, ერთხელ მთელი კლასი მოწამეთაში გავიპარეთ, სადაც მდინარე წყალწითელა ჩამოდის და მასში ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი კინაღამ დაიხრჩო. როდესაც ტაძარის ეზოში შევდიოდი, სადაც 2 დობერმანი ჰყავდათ, მათი დანახვისას ცუდად გავხდი და მოვუსვი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძაღლები არ იკბინებოდნენ, მაინც შემეშინდა.

— **გამოდის, რომ ან გასტროლებზე იყავი, ან „შატალოზე“. ასეა?**

— ჰო, მაგრამ ზოგჯერ გაკვეთილებსაც ვესწრებოდი... სკოლაში ყველა პედაგოგი მიყვარდა, მათემატიკის მასწავლებლის გარდა, რადგან დამსახურებლად თუ დაუმსახურებლად, სულ ორიანს მიწერდა. ვერ მიტანდა, მაგრამ არ ვიცი, რატომ.

— **ე.ი. არადამაკმაყოფილებელი ნიშნის გამო მასწავლებელი შეიჯავრე?**

— ჰო, რადგან გული მწყდებოდა, უსამართლოდ რომ მაფასებდა... სხვა მასწავლებლები ნორმალურად მექცეოდნენ, ყველაფერს მაპატიებდნენ, რადგან სკოლას ჩემი სახელი სჭირდებოდა. სხვათა შორის, ამის გამო ის მათემატიკის მასწავლებელი შეგვიცვალეს.

— **„შატალოს“ გამო არ გსჯიდნენ?**

— არა, მე ამას ვინ გამიბედავდა?!

— **ჰო, მაგრამ როცა მთელ კლასს სჯიდნენ, შენ კი პრობლემა არ გექმნებოდა, არ გეუხერხულებოდა?**

— მსგავსი რამ არასდროს მომხდარა, ყოველთვის მეგობრების გვერდით ვიდექი. არაჩვეულებრივი დამრიგებელი გვყავდა, რომელიც ასეთ შემთხვევაში „ეშმაკის მაშხალებს“ გვეძახდა და გაბრაზებაც ამით შემოიფარგლებოდა.

— **ე.ი. სკოლის სახე იყავი. ალბათ, გოგოებში დიდი პოპულარობით სარგებლობდი, არა?**

— კი, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მსურს...

— **მშობლები რას გიკრძალავდნენ?**

— სიგარეტის მოწევას, მაგრამ მაინც ვეწეოდი და მათ სუნი რომ არ ეგრძნოთ, ხან სალეჭ რეზინს ვღეჭავდი, ხან კი — დაფნის ფოთოლს.

— **მოწევა რატომ დაიწყე?**

— იმიტომ, რომ ეს შენს კარგბიჭობას ადასტურებდა და თან, როცა იმ „სასტავში“ ხარ, სადაც ყველა ეწევა, მერე შენც გინდება.

— **დღეს სიგარეტის მწეველები ვერ „ქაჩავენ“ ანუ ფიქრობენ, რომ თუ პლანი არ გაგისინჯავს, ე.ი. გოიმი ხარ...**

— ჩემთვის გოიმობა იცი, რა არის? როცა სხვისი მითითებით იწყებ ისეთი რაღაცის გაკეთებას, რაც არ გსიამოვნებს. ის, ვინც გოიმს მიწოდებს იმიტომ, რომ პლანს არ ვეწევი, თვითონაა გოიმი. არასდროს მყოლია ბოსი, ჩემს ცხოვრებას თავადვე ვაკონტროლებ. მშობლების რიდი ყოველთვის მქონდა, რამეს რომ მეტყოდნენ, აუცილებლად ვითვალისწინებდი; მაგრამ 16-17 წლის ასაკში გიჟურმა რაღაცებმა მომიარა და არავის აზრი აღარ მაინტერესებდა, გამიტაცა ქუჩამ... საზიზღარი პიროვნება გავხდი, რადგან მშობლებს ვერ ვუგებდი... რა თქმა უნდა, არც ერთ მშობელს არ სიამოვნებს, როცა მისი შვილი ქუჩაში დგას, ნარკომანებთან ან ქურდებთან აქვს ურთიერთობა. „დაჟე“, ქურდი რომ ქურდია, მასაც არ უნდა, რომ მისი შვილი ასეთი ადამიანების გარემოცვაში აღიზარდოს.




— **ქუჩამ რა მოგიტანა?**

— მან ერთადერთი კარგი რამ მასწავლა — ადამიანის პატივისცემა. ადამიანი არასდროს დამიჭრია, საშინელებები არ ჩამიდენია.

— **რაიმე თუ მოგიპარავს?**

— როგორ არა, მომიპარავს.

— **მაინც, რა?**

— ბევრი რამ. მაგალითად, შოკოლადი, სალეჭი რეზინი, სიგარეტი და ა.შ. სერიოზული არაფერი.

— **როგორ ფიქრობ, ვინ არიან „დედიკოს ბიჭები“?**

— დღევანდელ ლექსიკონში „დედიკოს ბიჭი“ არ არსებობს, ახლა მათ „ცისფერებს“ ეძახიან. ისე კი, ასე ამბობენ ადამიანზე, რომელიც ბირჟაზე არ გამოდის, მთელ დღეებს შინ ატარებს, ბიჭებს არ ეკონტაქტება.

— **მგონი, შენ ეს ორი ცნება ერთმანეთში გერევა...**

— ჰო?.. მაშინ კარგად დააკვირდი ბიჭების ასეთ კატეგორიას და მიხვდები, რომ მათ შორის დიდი განსხვავება არ არის; „ცისფრებიც“ და „დედიკოს ბიჭებიც“ ჰორმონებდარღვეულნი არიან *(იცინის).*

— **ორიენტაციადარღვეულების დანახვისას როგორი რეაქცია გაქვს?**

— არანაირი. შეიძლება სურვილი გამიჩნდეს, რომ ფიზიონომია „გავულამაზო“, მაგრამ ასეთ ტიპებზე ხელს როგორ გავისვრი, მაგათ კიდევ ცემა უნდათ?..

— **ვთქვათ, გაიცანი გარეგნულად მაგარი გოგო, რომელიც შეგიყვარდა და მხოლოდ მერე იგებ, რომ ის ბიჭია. როგორი რეაქცია გექნება?**

— ვაი... ჩემო კარგო, ამის შანსი არ არის, ასეთი „ტიპშა“ არ მომეწონება და მისი გაცნობის სურვილი არ გამიჩნდება.

— **მაგრამ შენ ხომ არ იცი, ვინ იმალება ამ ლამაზი „ქალის“ ნიღაბში?**

— მე ვიცი ჩემი ამბავი. როცა ადამიანს გამაცნობენ, ჯერ იმას ვარკვევ, ვინ არის და მერე ვუახლოვდები. ასეთი რამ თუ ვერ შევამჩნიე, გამოდის, რომ დებილი ვარ... გარეგნობით მაგარი არა, კიდევ... ეს ზღაპარია. „ცვეტში“ ვიცი, რომ მსგავსი რამ არასდროს დამემართება.

— **რომ დაგემართოს?**

— არა, კაცო, არა! მართალია, ამქვეყნად შეუცდომელი არავინაა, მაგრამ ასეთ რაღაცაში არ შევცდები.

— **ვთქვათ, ის „ქალი“ ძმაკაცებმა გაგაცნეს და...**

— მითხარი, რა გინდა, ბოლოს და ბოლოს? ძმაკაცებსაც მაკარგვინებ *(იცინის)?*

**— როგორ ფიქრობ, რითი განსხვავდებიან შენი თაობის თინეიჯერები დღევანდელებისგან?**

— როცა თინეიჯერი ვიყავი, მაშინ აბსოლუტურად ყველაფერს მუღამი ჰქონდა. შესაძლოა, დღესაც ასეა, მაგრამ მე ეს თაობა დიდად არ მომწონს, თუნდაც იმიტომ, რომ მათ შემართება, ცხოვრების „ჟილკა“ არ აქვთ. ამათთვის მუღამი მხოლოდ ვიღაცის დაჭრას აქვს, იმას კი ვერ აცნობიერებენ, რომ ამქვეყნად ერთხელ მოვდივართ და მხოლოდ სიკეთე, სიყვარული უნდა ვთესოთ. როცა დედა მირეკავს და რაღაც პრობლემაზე მესაუბრება, ვეუბნები: ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ეს სიტყვები ძალიან მიყვარს, ამ შეგნებით ვცხოვრობ. დღევანდელ ცხოვრებაში აუცილებელია წიგნი იკითხონ, განათლება მიიღონ. თორემ მოვა დრო, როცა შესაძლოა, საკუთარი ადგილი ვერ დაიმკვიდრონ. იმისთვის, რომ ბედნიერი ვიყო, ძალას არ დავზოგავ, საქმეს თუ დასჭირდა, შესაძლოა, იატაკი, საპირფარეშო გავხეხო, მაგრამ „ცისფერი“ ვერასდროს გავხდები... დღეს ვირტუალურ ცხოვრებას ანიჭებენ უპირატესობას.

**— ჩათით თუ გაგიცნია ვინმე?**

— კი, ახალგაზრდობაში, მაგრამ ასეთი ნაცნობობა წუთიერია. იცი, როგორი ურთიერთობის მჯერა? — მყავდა ცოლი, რომელიც უზომოდ მიყვარდა, ის იყო ჩემი ერთადერთი სიყვარული. აი, სწორედ ჩვენი ურთიერთობა იყო წრფელი... ერთი ნახვით შეყვარება კი, სისულელე მგონია.

**— როგორც ამბობ, შენ და შენს მეუღლეს დიდხანს გქონდათ ურთიერთობა, ერთმანეთი წრფელი გულით გიყვარდათ, მაგრამ საბოლოოდ, თქვენი ოჯახიც ხომ დაინგრა...**

— ჰო, მაგრამ ეს იმის ბრალი არ იყო, რომ ერთმანეთი გადაგვიყვარდა.

**— აბა, რისი ბრალი იყო?**

— უაზრო რაღაცების, გაურკვევლობის. დაწვრილებით ამ თემაზე ლაპარაკი არ მსურს, ეს ჩემი ცხოვრებაა.

**— ქალის გულისთვის სისულელეები თუ ჩაგიდენია?**

— საერთოდ, არც ერთი ადამიანი არ ღირს იმად, რომ მისი გულისთვის რაღაც სისულელე ჩაიდინო — მისი გულისთვის რატომ უნდა გცემონ, დაგჭრან, მოგკლან? თურმე, ეს კი არა, ზედმეტი ყურადღებაც არ ვარგა, რადგან მერე, ეს ყველაფერი ქალს თავში უვარდება.

**— კაცს არა?**

— კი, მართალი ხარ, კაციც ასეა... უმჯობესია, წყვილს სტანდარტული ურთიერთობა არ ჰქონდეს, რათა ერთმანეთი არ მოჰბეზრდეთ. ვერ ვიტან ერთფეროვნებას. მიმაჩნია, რომ ყოველდღიური ჩხუბიც და მოფერებაც მომაბეზრებელია. და კიდევ: ქალს ყოველთვის გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ გვერდით ნამდვილი მამაკაცი ჰყავს და მას პატივს უნდა სცემდეს. სხვა ყველაფერში თანასწორუფლებიანები არიან.

**— მაგრამ მაშინ...**

— მაშინ ჯერ ევა დაიბადებოდა, მერე — ადამი...

**— ჰო, მაგრამ როცა ცოლი მუშაობს, ქმარი კი შინ ზის და ბინას ალაგებს, როგორ იგრძნოს ქალმა, რომ მას გვერდით ნამდვილი მამაკაცი ჰყავს?**

— ახლა იცი, რა გამახსენდა? ლუდით სათქმელი სადღეგრძელო: ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც ლოგინის ქვეშ წევს, ცოლი თავზე ადგას და ეუბნება: გამოდიო. ქმარი კი პასუხობს: ოჯახის უფროსი ვარ და როცა მომინდება, მაშინ გამოვალო.

**— რას ურჩევდი თინეიჯერებს?**

— შეეშვან უაზრო გამოხდომებს, შეეცადონ გამოსწორდნენ, მიიღონ განათლება, ერთმანეთს ბრძოლა კი არ გამოუცხადონ, არამედ უყვარდეთ ერთმანეთი და ვიცხოვროთ ტკბილად.

**— დაბოლოს, როგორ ფიქრობ, რატომ შეიცვალა თაობა?**

— ბოლო ჟამი მოახლოვდა და იმიტომ...

# გამოხმაურება

**მეგრელი კანიბალკა,** *20 წლის:*

„გამარჯობათ. ძალიან გამაღიზიანა წინა ნომერში, „თინეიჯერულ პონტებში“ გამოქვეყნებულმა ბატონი ზურაბის კომენტარმა, რომელიც ამბობს, რა სჯობია შიშველ-ტიტველი გოგონების ყურებასო. მაინტერესებს, რას უყურებთ ეს დაბერებულ-დაჩაჩანაკებული კაცები გოგონებს?“

**გიორგი ჯაჯანიძე,** *ფსიქოლოგი:*

**— ჯერ ერთი, თუ ხანდაზმული მამაკაცი გოგონებს უყურებს, ამაში ცუდი არაფერია. როცა ქუჩაში ხედავ ქალს, რომელიც ნახევრად შიშველია, ის ან სექსუალურად მოგწონს, ან ესთეტიურად, მაგრამ თუ ასაკოვან კაცს პატარა გოგონებისადმი სექსუალური მიდრეკილება აქვს, შესაძლოა, ეს კლიმაქსური პერიოდის ბრალი იყოს... თუ ადამიანი ქუჩაში სპეციალურად იმისთვის გამოდის, რომ გოგოები ათვალიეროს, მათ უყურებს და არაფერს აშავებს, იდგეს, ბატონო, რას ერჩით, ის საკუთარ თვალსა და გულს ახარებს.**

**მარი,** *15 წლის:*

„მე თუ მკითხავთ, თინეიჯერები არაფერს ვაშავებთ. საკმაოდ მკაცრი დედა მყავს და დაბალწელიან შარვალს ვინ ჩივის, „ტოპის“ ჩაცმის უფლებასაც არ მაძლევს. დედაჩემის და ბებიაჩემის ფოტოებს რომ ვათვალიერებ, მათ ისეთივე მოკლე ქვედაბოლოები აცვიათ, როგორსაც გოგონები დღესაც ატარებენ. ასე რომ, ჯობს მათ თავიანთი ამბები გაიხსენონ და ჩვენზე მერე ილაპარაკონ“.

**— ეს თემა ამოუწურავია. ნებისმიერი თაობის წარმომადგენელს ავიწყდება წარსული. ხშირად მესმის მორალის კითხვა იმ ქალებისგან, რომელთაც ადრე ქმარიც ჰყავდათ და საყვარელიც. შესაძლოა, მომავალში მარიმაც აუკრძალოს თავის შვილს რაღაც. ასე რომ, ძველი თაობის წარმომადგენლებს ყოველთვის ექნებათ ახალი თაობის ადამიანებთან პრეტენზია და ამას ყველანი უნდა შევეგუოთ.**

**იაზვა,** *15 წლის:*

„პრივეტ“, თინეიჯერებო. გართობა მაგარია, დახეული ჯინსიც და სათვალეც, მაგრამ ეს უზნეობაში თუ არ გადავა, მშობლებიც აღარ გაბრაზდებიან. ისე, ვერ ვხვდები, გართობა რითია ცუდი, თან, ეს ცხოვრება ერთი გვაქვს, 10 ხომ არა?!. ამიტომაც, ბოლომდე „გააჯაზეთ“. ბებიების დროს არ იყო ასეთი მაგარი პონტები, თორემ უეჭველად, ჩვენსავით მოიქცეოდნენ. ასე რომ, დაფიქრდით ყველანი მანამ, სანამ თინეიჯერებზე ცუდს ილაპარაკებთ“.

**— ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, ამა თუ იმ საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვას... არავინ დაინტერესებულა იმით, თუ რატომ უჩნდება ადამიანს დახეული ტანსაცმლის ჩაცმის სურვილი. ეს ადრე სამარცხვინოდ მიიჩნეოდა, ახლა კი ასეთი ჯინსით სიარული პროტესტის ერთგვარი გამოხატულებაა. ასევე, ამით შეძლებ მიიქციო ვიღაცის ყურადღება; მაგრამ თუ ხალხის მოსაზრებას ანგარიშს უწევ, ისე უნდა ჩაიცვა, როგორც ეს საზოგადოებაშია მიღებული.**

**ლიზა,** *15 წლის:*

„აუ, ლიკა, რჩევა მეც მჭირდება... ამ ზაფხულს ერთი გოგო გავიცანი, რომელსაც ძალიან დავუახლოვდი. ჩვენ ბევრი საერთო მეგობარი გვყავს. ის მართლაც კარგი გოგოა, მაგრამ ჩემმა დაქალებმა მითხრეს, იდიოტი ძმა ჰყავსო. მის ოჯახში პირველად რომ მივედი, მისი ძმა იდიოტად სულაც არ მომეჩვენა, ამიტომ ნორმალურად ვექცეოდი, რასაც ახლა ძალიან ვნანობ. ამის მერე დაიწყო საშინელებები: როცა მათთან მივდიოდი, ხელში ავყავდი და უაზროდ მეხუტებოდა და ა.შ. გული მერევა იმ ბიჭზე. ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ ვიღაცებისთვის უთქვამს: ლიზა ჩემი შეყვარებულიაო. არადა იცის, რომ სხვა მიყვარს. ამის მერე მათთან აღარ მივდიოდი და როცა დაქალმა მკითხა — რატომ აღარ მოდიხარო? ვუპასუხე: იდიოტი ძმა გყავს და იმიტომ-მეთქი. გაუტყდა. არ ვიცი, რა ვქნა. ეს ამბავი ჩემს შეყვარებულს რომ ვუთხრა, ვიცი, მოკლავს მაგ საცოდავს. მირჩიეთ რამე, გთხოვთ“.

**— როცა ადამიანი ვიღაცას რჩევას სთხოვს, ეს ძალიან კარგია. ლიზას მინდა ვუთხრა, რომ ჯობია შეყვარებულს ეს ამბავი მართლაც არ გაუმხილოს, ბიჭები ერთმანეთს არ დაუპირისპიროს, რომ შემდეგ, მათ შორის რაიმე ცუდი არ მოხდეს. ეს კი ნამდვლად მოსალოდნელია, რადგან ამ ასაკში მოზარდები ყველაფერს მძაფრად აღიქვამენ... ლიზა, დამიჯერე, ეს ამბავი მალე დაგავიწყდება და თან, ჭკუის სასწავლებლადაც გამოგადგება ანუ მეგობრების რჩევას გაითვალისწინებ და ვიღაცას უაზროდ ჩახუტების უფლებას არ მისცემ.**

**მირანდა,** *17 წლის:*

„მას შემდეგ, რაც ჩემმა პირველმა სიყვარულმა იმედი გამიცრუა და ძალიან დამტანჯა, ცუდი, აგრესიული გოგო გავხდი —



M K

ყოველთვის ვცდილობ, რაღაც საძაგლობა გავაკეთო და ამას ხშირად იმით გამოვხატავ, რომ ბიჭებს თავს ვაყვარებ და მერე ვეუბნები: გადამიყვარდი-მეთქი. მარტო ერთ ადამიანს კი არა, პარალელურად 3-4 ბიჭს ერთად „ვაბამ“. ზოგჯერ არ მინდა, ასეთი რაღაცების გაკეთება, მაგრამ მერე ჩემში შურისძიების გრძნობა იღვიძებს და... ჩემი ამბავი რამდენიმე მეგობარმა იცის და ისინი პირში მეუბნებიან: ძალიან ცუდად იქცევიო, მაგრამ იმ მომენტში, ჩემთვის მათ აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, მე მინდა და ვაკეთებ. მსურს, ისევ ძველებური მირანდა გავხდე, გავიცნო ადამიანი, რომელიც სიცარიელეს შემივსებს და დამეხმარება ასეთი ცუდი ჩვევის დავიწყებაში. იქნებ, ფსიქოლოგმა მაინც მირჩიოს რამე. წინასწარ გიხდით მადლობას“.

— **მირანდას გადაწყვეტილება, რომ ერთი ადამიანის გამო, რომელმაც მას იმედი გაუცრუა, ჯავრი სხვებზე იყაროს, თავისთავად ძალიან ცუდი საქციელია. ის ვერასდროს იპოვის სასურველ პარტნიორს, არ იქნება ბედნიერი მანამ, სანამ სხვების გამწარებას თავს არ დაანებებს. ის უნდა გათავისუფლდეს იმ სენისგან, რომელმაც დაიმონა. უნდა შეეცადოს, ემოციები მოთოკოს და ყველაფერი კარგად იქნება. ხშირად, ქმრის ჯიბრზე ცოლი ქმარს ღალატობს. ნებისმიერი ასეთი ქალი, მერე თავის საქციელს ნანობს და იწყება თვითგვემა... მირანდას თავისი საქციელი ყოველთვის სანანებელი ექნება, ეყოლება ბევრი მტერი იმ მამაკაცების სახით, რომლებიც გაამწარა და გულს დასწყვეტს ის, რომ მასზე ბევრ ცუდს ილაპარაკებენ. ეს კი აუცილებლად მოხდება...**

**უცნობი,** *17 წლის:*

„დედა მენატრება, ჩემი ტანჯული დედიკო. იცი, როგორ მაკლია მისი მოფერება? დედა, რომელიც შვილებზე იყო გაგიჟებული, მაგრამ წავიდა... წავიდა და დამიტოვა სევდა, ლამაზი მოგონებები. მიჭირს უდედოდ, აღარ მინდა სიცოცხლე“.

— **ძალიან რთულია, ასეთ სიტუაციაში ადამიანს რაიმე ურჩიო და ანუგეშო. მოარულ ფრაზას — დრო ყველაფრის მკურნალია, — არ ვეთანხმები. გარდაცვალება სხვა განზომილებაში გადასვლას ნიშნავს. შენ ისე უნდა მოიქცე, ისეთი ადამიანი უნდა გამოხვიდე, როგორიც დედას სურდა ყოფილიყავი. ირწმუნე უფალი და მასში აუცილებლად პოვებ ნუგეშს.**

*P.S. ძვირფასო მშობლებო! თუ გაგიჩნდათ სურვილი, ჩაერთოთ ამ რუბრიკაში და თქვენც გამოთქვათ აზრი თინეიჯერების შესახებ, ან ვერ უგებთ საკუთარ შვილებს, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8.99.17.35.27. შენ კი, ძვირფასო თინეიჯერო, ისევ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს? ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი და ის პრობლემები გაგვიზიარო, რომლებიც შენი თაობის ადამიანებს აწუხებთ ან უფროსებთან შეკამათება გსურს, დაგვიმესიჯე. მომავალ ნომერში ფსიქოლოგის რჩევას მიიღებთ. წარმატებებს გისურვებთ!* ■

**ურჩ ნაშიერებთან დაკავშირებული პრობლემები ზოგჯერ თვით ყველაზე წარმატებულ ჩინოვნიკებსა და პოლიტიკოსებსაც კი უფუჭებს კარიერას. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მდიდარი და გავლენიანი მამიკოების შვილიკოებს არა მარტო ბავშვური ცელქობები, არამედ ძალზე სერიოზული დანაშაულიც კი შერჩებათ ხოლმე. აი, როგორ ხდება ეს.**

# რა ეპატიებათ ცნობილ პოლიტიკოსთა შვილებს...

## „ბავშვები ჩვენი მთავარი სიმდიდრეა“

ერთ დროს აქსიომად ქცეული ეს ლოზუნგი დღევანდელი რუსი პოლიტიკოსებისთვის, ცოტა არ იყოს, საკამათო გამხდარა. თუმცა, თავიანთი „მთავარი სიმდიდრის“ გადასარჩენად, ყოვლისშემძლე მამიკოები დღესაც არაფერს ან თითქმის არაფერს იშურებენ. თავის დროზე, სწორედ ასე მოიქცა რუსეთის თავდაცვის მინისტრი (ამჟამად, რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის ერთ-ერთი პირველი მოადგილე) სერგეი ივანოვიც, რომლის ვაჟი, ალექსანდრი, თავისი Volkswagen Bora-თი 68 წლის მოსკოველ სვეტლანა ბერიძეს დაეჯახა და ადგილზევე მოკლა. როგორც ჟურნალისტებმა ცხელ კვალზევე გაარკვიეს, მოსკოვის მილიციას ამ ტრაგედიის სერიოზული გამოძიებისთვის არანაირი ზომა არ მიუღია. ივანოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და არც ასეთ შემთხვევებში აუცილებელი ავტოტექნიკური ექსპერტიზა დანიშნულა. არადა, თვითმხილველთა თქმით, რომელთა ჩვენებების ჩაწერა მილიციამ უბრალოდ, არ ისურვა, სვეტლანა ბერიძე ქუჩაზე „დაწესებულ ადგილას და მწვანე შუქზე გადადიოდა“. საბოლოოდ, თავდაცვის მინისტრის ვაჟი, რაღა თქმა უნდა, უდანაშაულოდ ცნეს.

მთელი ამ სკანდალის მანძილზე, ალექსანდრ ივანოვი და მამამისი ჟურნალისტების წინაშე ერთხელაც არ გამოჩენილან. მეტიც, სერგეი ივანოვი ისე იქცეოდა, თითქოს საერთოდ არაფერი მომხდარა. მას დაღუპულის ოჯახისთვის ბოდიშის მოხდაც კი არ ჩაუთვლია საჭიროდ. ზოგიერთი რუსი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ივანოვის ვაჟის მონაწილეობით მომხდარი საგზაო შემთხვევისადმი ჟურნალისტების ესოდენი ყურადღება მინისტრის წინააღმდეგ მიმართული პიარკამპანიის ნაწილი იყო — ანუ „ამაზე რამდენჯერმე მეტი დაწერეს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ არის მიღებული“. პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორის, სერგეი მარკოვის აზრით, ამ გზით „პუტინს ყველანაირად მიანიშნებენ, რომ ივანოვის ფიგურა სუსტი და იოლად „დასაჩაგრავია“ და ამიტომაც, ის „მემკვიდრე“ ვერ იქნება“. კიდევ კარგი, „როლში შესულმა“ პოლიტოლოგმა დაღუპული ქალი მაინც აღარ დაადანაშაულა იმაში, რომ ის ივანოვის ვაჟს მისი მამიკოს პოპულარობის დაცემის მიზნით ჩაუვარდა ბორბლებქვეშ.

## პატარა ამერიკული ცელქობები

ფსიქოლოგების აზრით, ამქვეყნად ცნობილ ადამიანთა შვილებზე უფრო პრობლემური ბავშვები უბრალოდ, არ არსებობენ და საკუთარი მშობლების ძალაუფლებისადმი ესოდენი ლტოლვის მთავარი მსხვერპლის როლშიც თავადვე გამოდიან. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც ცნობილ მშობლებს თავიანთი შვილებისთვის შეუძლიათ, ეს მძიმე წუთებში მხარში დგომაა. რაც შეეხება მშობლის ყოველდღიურ ზრუნვასა და სიყვარულს, — ასეთი ბავშვები ამას, როგორც წესი, მოკლებულნი არიან. თუმცა, აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსიცაა გასათვალისწინებელი: დემოკრატიულ სახელმწიფოებში გავლენიანი მშობლები თავიანთ შვილებს, ყველაზე მეტი — მარიხუანის მოწევის ანდა, 21 წლამდე სპირტიანი სასმელების მიღების ბრალდებისგან თუ გამოიხსნიან და არა რაიმე სერიოზული დანაშაულისგან. სისხლის სამართლის დამნაშავე შვილების დაცვა უფრო, „აღმოსავლურ დესპოტიაშია“ მიღებული, ვიდრე ცივილიზებულ სახელმწიფოში. დასავლეთის თანამედროვე ისტორიაში ივანოვის შვილთან დაკავშირებული ინციდენტის ანალოგის მოძებნა უბრალოდ, შეუძლებელია. ნებისმიერი ამერიკელი ან ევროპელი პოლიტიკოსისთვის მსგავსი „შემთხვევა“ კარიერის უსწრაფეს დასასრულს, მისი დამნაშავე შვილისთვის კი — ციხეს ნიშნავს.

ამერიკის სახელმწიფოს პირველი პირების შვილები კრიმინალურ ქრონიკებში „შესაშური“, სისტემატური თანამიმდევრობით ხვდებიან: ბოლო 15 წლის მანძილზე, ამერიკის პოლიციას ქვეყნის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ნათესავები სულ მცირე, რამდენიმე ათეულჯერ მაინც ჰყავს დაპატიმრებული. ექსვიცე-პრეზიდენტ ალბერტ გორის ვაჟს სამართალდამცავებმა მანქანაში — მარიხუანა, ხოლო პრეზიდენტ ბუშის ძმისშვილს, კოკაინი უპოვეს.



ჩელსი კლინტონი მშობლებთან ერთად

# ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

## ეოჩა დვალის

## უნის წიგნაკიდან:

1. კამბუზი გემის სამზარეულოა.

2. მარალი დიდი ციმბირული ირემია.

3. ორგანისა და კლავესინის კლავიატურას მანუალი ჰქვია.

4. „კრასოტა სპასიოტ მიმრ“, — ამტკიცებს მიხაილ ჟვანეცკი.

5. „ფერარი“ საათში 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,7 წმ-ში ავითარებს.

6. კულმანი დახრილად დამაგრებული სპეციალური დაფაა ხაზვისთვის.

7. ინდოეთში გველის ნაკბენისგან ყოველწლიურად, 20 ათასი ადამიანი იღუპება.

8. კულევრინი ერთგვარი ზარბაზანი იყო, რომელიც იალქნიან გემებს ჰქონდათ შეიარაღებაში.

9. ესპანეთის მეფე ფილიპე პირველი ინვალიდი იყო, ვინც გორგოლაჭებიან სავარძელს იყენებდა.

10. „მე არ ვარ დიქტატორი, უბრალოდ, სახის გამომეტყველება მაქვს ასეთი“, — ამბობდა აუგუსტო პინოჩეტი.

11. „ერთადერთი, რაც მოდიდან არასოდეს გადავა, ევას პირვანდელი სამოსელია“, — ამბობს ზბიგნევ ხოლოდიუკი.

12. გიულჩატაის როლს მხატვრულ ფილმში — „უდაბნოს თეთრი მზე“ — ტატიანა ფედოტოვა ასრულებს. ის დღესაც გაუთხოვარია.

13. პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი და ავიაციის გენერალია.

14. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში 24 წლის ასაკში აღიკვეცა ბერად.

15. იტალიელი მხატვარი ჯორჯო ბარბარელი და კასტელფრანკო ძალზე მაღალი იყო და მეტსახელიც „ჯორჯონე“ (დიდი ჯორჯო) აქედან წარმოდგება.



16. მანჰეტენზე მოსახლეობის ისეთივე სიმჭიდროვე რომ იყოს, როგორიც ალასკაზეა, იქ მხოლოდ 25 ადამიანი იცხოვრებდა.

17. „ჩემ ბლიჟე კ სმერტი, ტემ ჩიშჩე ლიუდი... ჩემ დალშე ვ ტილ, ტემ ჟირნეე გენერალი...“ — მღერის ანსამბლ „დედეტეს“ სოლისტი იური სევჩუკი.

18. ნებისმიერი პროექტის განხორციელების 6 სტადიას ასახელებენ: 1. ენთუზიაზმი; 2. ილუზიათა მსხვრევა; 3. პანიკა; 4. დამნაშავეთა ძებნა; 5. უდანა-



ბუშის ქალიშვილები — ჯენი და ბარბრა ალკოჰოლის გამოყენების გამო (ამერიკაში დალევა მხოლოდ 21 წლის ასაკიდან შეიძლება), პასუხისგებაში არაერთხელ მიუციათ. იმავე მუხლით გადიოდა პრეზიდენტ კლინტონის ქალიშვილი ჩელსიც. ჯენი ბუშს სასამართლოს წინაშე ორჯერ მოუხდა თავის მართლება, ერთხელ კი, ზემოთ აღნიშნული კანონის დარღვევის გამო, საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებაც მიუსაჯეს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ქალიშვილებს საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლები იცავენ, ამ გარემოებას ისინი ხელბორკილებისა და პოლიციური ოქმებისგან ერთხელაც არ დაუხსნია. ყველა ეს „ალკოჰოლური თავგადასავალი“ თეთრ სახლში ნამდვილ მრისხანებას იწვევს. ბუშის მეუღლემ ლორა ბუშმა არაერთხელ სცადა, უარი ეთქმევინებინა პრესისთვის ამ სკანდალური ამბების გამოქვეყნებაზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როცა ჯენი და ბარბრა ბუშებს 21 წელი შეუსრულდათ, მათ, გაზეთის — Los Angeles Times — მეშვეობით, პრეზიდენტ რეიგანის ქალიშვილმა პატი დევისმა მიმართა. ის გოგონებს აფრთხილებდა: „თქვენ უცვლელი სამიზნე ხართ და არ არსებობს ისეთი ბერკეტი, რომელიც თქვენკენ მომართულ პროჟექტორს მანამ არ გამორთავს, სანამ ახალ პრეზიდენტს არ აირჩევენ“.



ჰანიბალ კადაფი

ტყუპი ბუშისგან განსხვავებით, ბილ კლინტონის ქალიშვილი ჩელსი რეპორტიორებს შორის კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. სანამ მამამისი თეთრ სახლში იჯდა, გოგონა ყველაფერს აკეთებდა, რათა პრესას მისი ავად მოხსენიების მიზეზი არ მისცემოდა, მაგრამ როგორც კი კლინტონი ექსპრეზიდენტი გახდა, მისმა შვილმაც უმალ აიწყვიტა: ოქსფორდში სწავლისას, ჩელსი ლონდონური ღამის კლუბების მუდმივი სტუმარი, იქიდან გამოსული კი — ფოტოგრაფების მუდმივი სამიზნე გახდა. 2002 წელს ის ბრიტანული ტაბლოიდის — The Sun — გარეკანზეც მოხვდა. ფოტორეპორტიორებმა ჩელსი ფირზე მაშინ აღბეჭდეს, როცა ის ერთ-ერთი ღამის კლუბიდან უგონოდ მთვრალი გამოდიოდა. როგორც ბრიტანული პრესა წერს, ამ პუბლიკაციამ ბილ კლინტონს არაერთი უსიამოვნება მოუტანა.

ამერიკული პოლიტიკის კიდევ ერთი „რთული ბავშვი“ — ალბერტ გორ , ყოფილი ვიცე-პრეზიდენტისა და აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის — ალბერტ გორის ვაჟი გახლავთ. 2000 წლიდან, ეს ახალგაზრდა კაცი პოლიციის განყოფილებაში სამჯერ მოხვდა. 2000 წელს, ჩრდილოეთ კაროლინის შტატის პოლიციამ ის სიჩქარის გადაჭარბებისთვის, 2002 წელს — მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვისთვის დააკავა; 2003-ში კი — მარიხუანა აღმოუჩინეს. უმცროსი გორი სამჯერვე სასამართლოს წინაშეც წარდგა და საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოებიც შეასრულა.

## სხვა ხალხების შვილები

აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის პირველ პირთა შვილების ფონზე, ცნობილი ამერიკელი მოზარდების „დანაშაულები“ უბრალოდ, სასაცილოდ მოჩანს. სადისტი და მოძალადე ძმების — უდეი და კუსეი ჰუსეინების შემდეგ, აღმოსავლეთის პრობლემური შვილების სიაში საპატიო ადგილი ლიბიის პრეზიდენტ მუამარ კადაფის ვაჟ — ჰანიბალს უჭირავს. ამ ახალგაზრდა კაცმა თავისი გამოხდომებით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კინაღამ ისტერიკამდე მიიყვანა. ჰანიბალის მამიკო, პოლკოვნიკი კადაფი კი, შვილის „ცელქობებს“ მშვიდად უყურებს.

ჰანიბალი სამშობლოში იშვიათად ჩადის და თუ ამის გაკეთება მაინც არ ასცდება, რომ იტყვიან, „ჭიასაც კი არ აღვიძებს“, მაგრამ საკმარისია, კადაფის ვაჟი ევროპაში მოხვდეს, რომ თავის ყველა „აფრიკულ ვნებას“ სრულ გასაქანს აძლევს. 2004 წელს, სარდინიაზე დასვენებისას, მთვრალმა ჰანიბალმა საკუთარი უმშვენიერესი იახტა სანაპიროს მისადგომს მიანარცხა და პირადი მცველებით გარშემორტყმულმა, იქაურობა მუქარითა და ლანძღვა-გინებით დატოვა. რამდენიმე დღის შემდეგ, რომში ჩასული, იტალიელ პოლიციელს მხოლოდ ერთი მიზეზით დაესხა თავს — შენიშვნის მოცემა როგორ გამიბედეო?! ჰანიბალი პოლიციელს ცეცხლსაქრობი ბალონით ჩაქოლვას უპირებდა, მაგრამ პირადმა მცველებმა დროულად მიუსწრეს და საბრალო სამართალდამცავი ხელიდან გამოჰგლიჯეს. 2004 წელს, ჰანიბალ კადაფი გადაბარგდა პარიზში, სადაც მისი მეგობარი გოგონა, მოდელი ალინ სკაფი ცხოვრობდა. ცოტა ხანში, ფრანგ ჟანდარმებთან მისი პირველი „ნაცნობობაც“ შედგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც უგონოდ მთვრალმა კადაფიმ თავისი Porsche 911 ელისეს მინდვრების შემხვედრ ზოლზე თავბრუდამხვევი სისწრაფით გააქროლა. კადაფის თავაშვებული ქროლა სერიოზული ავარიით დასრულდა და ერთი ადამიანი მძიმედ დაშავდა. თვითმხილველთა თქმით, როცა ჟანდარმებმა ჰანიბალის მანქანის გაჩერება მოახერხეს, იქიდან მისი პირადი მცველები გადმოხტნენ და პოლიციის ოფიცრებს ცემა დაუწყეს. ამჯერად, ჰანიბალ კადაფი ციხისგან მხოლოდ დიპლომატიურმა ხელშეუხებლობამ იხსნა. მაგრამ 2005 წლის 2 თებერვალს, საფრანგეთის ჟანდარმერიის წარმომადგენლებთან კიდევ ერთხელ მოუხდა შეხება. ჟანდარმები პარიზული სასტუმროს — Intercontinental — თანამშრომლებმა გამოიძახეს და ისიც შეატყობინეს, რომ კადაფი-უმცროსი თავის ფეხმძიმე მეგობარ გოგონას სცემდა. ადგილზე მისულმა ჟანდარმებმა გაარკვიეს, რომ მერვე თვეში მყოფმა ალინ სკაფმა ჰანიბალი თავისთან, ნომერში არ შეუშვა, გაცოფებულმა ვაჟმა ნომრის კარი წიხლით შეამტვრია და გოგონას უმოწყალოდ ცემა დაუწყო. მოწმეთა მტკიცებით, ჰანიბალი მას იარაღს უღერებდა და მოკვლითაც ემუქრებოდა. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ალინ სკაფი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ კადაფის დაპ-



M K


გულნარა ქარიმოვა

ატიმრება ჟანდარმებმა ვერ შეძლეს: მან სამართალდამცველებს საკუთარი დიპლომატიური ხელშეუხებლობის შესახებ ლამის საზეიმოდ გამოუცხადა და შემდეგ Royal Monceau Hotel-ში დაბრუნდა. თუმცა ჟანდარმებს არც ამჯერად ეწერათ მისგან დასვენება, რადგან რამდენიმე წუთში, უკვე ამ სასტუმროდან შეატყობინეს — მთვრალი კადაფი ავეჯს ამტვრევსო!.. მათ „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ ამჯერად, კადაფი-უმცროსის დაშოშმინება როგორღაც მაინც მოახერხეს. მოგვიანებით კი, ჟურნალისტებს ისიც განუცხადეს, რომ ჰანიბალს არანაირი დიპლომატიური ხელშეუხებლობა არ ჰქონია, რის შემდეგაც პრესის მუშაკებს სავსებით ლოგიკური კითხვა გაუჩნდათ: „კი, მაგრამ თუ კადაფის იმუნიტეტი არ იცავს, მაშ, რატომ ერთხელ მაინც არ დააპატიმრეს?“ რამდენიმე ფრანგული გაზეთის აზრით, ჟანდარმების ესოდენ უჩვეულო საქციელს პოლიტიკური მიზეზი ჰქონდა. კერძოდ, ლიბიის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების გაუქმების შემდეგ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზადაა, კადაფის ბირთვული პროგრამის განხორციელებაში დაეხმაროს. ე.ი. ჟანდარმებს „ზემოდან“ უბრძანეს, ხელი არ ეხლოთ ჰანიბალ კადაფისთვის, რათა ლიბიასთან ურთიერთობა არ გაეფუჭებინათ და ამით ბირთვული ფიზიკის ფრანგი სპეციალისტები მომგებიანი კონტრაქტის გარეშე არ დაეტოვებინათ. მიუხედავად ამისა, მოდელ ალინ სკაფის ცემის საქმე პარიზის სასამართლოს მაინც გადაეცა. მან ჰანიბალ კადაფის სამთვიანი პირობითი სასჯელი და 628 დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა. განაჩენის გამოტანისას, თავად „მსჯავრდებული“ უკვე კოპენჰაგენში (სადაც ის ბიზნესის სკოლაში სწავლობს) იმყოფებოდა. განაჩენის გამოტანიდან 3 კვირაც არ იყო გასული, რომ კადაფიმ დაუნდობლად სცემა ლიბიელი დიპლომატი. პრესის ცნობით, დანიის პოლიციამ ინციდენტში ჩარევა ვერ შეძლო, რადგან კადაფიმ ცემა-ტყეპა ლიბიის საელჩოში გამართა...

კიდევ ერთი დიქტატორის — ჩრდილოეთ კორეის ლიდერის, კიმ ჩენ ირის ვაჟი, 34 წლის კიმ იონგ ნამიც არაერთ სკანდალში იყო გახვეული. იაპონური პრესის ცნობით, ის ხშირად სტუმრობდა ტოკიოს, სადაც იოშოვარას ელიტურ აბანოებში მეძავებთან ერთად ერთობოდა. 2001 წლის მაისში, კიმ იონგ ნამი ტოკიოს აეროპორტში მაშინ დააკავეს, როცა ის ამ ქვეყანაში, დომინიკის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტით შეღწევას ცდილობდა. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, კიმ იონგ ნამს ჩინეთში დეპორტაცია განუსაზღვრეს: სწორედ იმ პერიოდში, პეკინში ოფიციალური ვიზიტით მამამისი უნდა ჩასულიყო, მაგრამ პრესაში აგორებული სკანდალის თავიდან ასაცილებლად, კიმ ჩენ ირმა ჩინეთში ოფიციალური ვიზიტი გადადო. მაშინ, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი ტაქტიანი საქციელით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამწვავება აიცილა თავიდან.


კიმ იონგ ნამი

თუმცა, ზოგჯერ, სახელმწიფოთა პირველი პირების შვილების უგვანო საქციელი სერიოზულ საერთაშორისო სკანდალს მაინც იწვევს. მაგალითად, უზბეკეთის პრეზიდენტის ქალიშვილის, გულნარა ქარიმოვას ქმართან, ავღანელ მანსურ მაქსუდისთან განქორწინებამ გამოიწვია კონფლიქტი, რომელშიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, იუსტიციის სამინისტრო, საგადასახადო სამსახური და აგრეთვე, ინტერპოლიც აღმოჩნდნენ ჩათრეულნი.

„უზბეკეთის პრინცესა“ ქარიმოვამ და ამერიკელმა ავღანელმა მაქსუდიმ 1991 წელს გაიცნეს ერთმანეთი. 19 წლის გულნარას მოეწონა 24 წლის ბიზნესმენი და ორი პაემნის შემდეგ, მათმა მშობლებმა ქორწილის თაობაზეც მოილაპარაკეს. მაქსუდის, როგორც ქარიმოვის სიძეს, უზბეკეთში ბიზნესის წარმოების მაქსიმალურად სახარბიელო პირობები შეუქმნეს. ახალგაზრდები საცხოვრებლად აშშ-ში, ნიუ-ჯერსის შტატში გადავიდნენ. მაგრამ მალე მათ ოჯახურ ცხოვრებას ბზარი გაუჩნდა და 2001 წელს, გულნარა ქარიმოვა, ორ შვილთან ერთად, ქმარს გამოექცა. ცოლის საქციელით შეურაცხყოფილმა კაცმა პოლიციას მიმართა და უზბეკეთის პრეზიდენტის ქალიშვილის საქციელი — არც მეტი, არც ნაკლები — ბავშვების გატაცებად მონათლა და სანამ საქმეში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ჩაერეოდა, ნიუ-ჯერსის სასამართლომ გულნარა ქარიმოვას დაპატიმრების ორდერი გამოწერა და ის ინტერპოლსაც გადასცა. რა თქმა უნდა, არც უზბეკური მხარის პასუხმა დააყოვნა და ქვეყნის მთავრობამ მაქსუდის, მისი კუთვნილი, „კოკა-კოლის“ ჩამოსასხმელი ქარხანა ჩამოართვა. ციხეში ჩასვეს მისი 3 ნათესავი, 24 კი — ავღანეთში დეპორტირებას დაექვემდებარა. უზბეკეთის სასამართლომ განრისხებული პრეზიდენტის ავღანელი სიძის დაპატიმრების ორდერიც გასცა. ეს კონფლიქტი, რომელზეც ყველა წამყვანი ამერიკული გაზეთი, მათ შორის, თვით The Washington Post-იც კი წერდა და უკვე არაერთი წელი გრძელდებოდა, როგორც ჩანს, ყველა მის მონაწილესაც გვარიანად მოჰბეზრდა. ქარიმოვა მაქსუდის ბრალს სდებს სადამ ჰუსეინის ნავთობით უკანონო ვაჭრობაში; მაქსუდი კი, ექსმეუღლეს, უზბეკი გოგონებით დუბაელი სუტენიორების მომარაგებაში ადანაშაულებს... ■

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:

შაულოთა დასჯა; 6. იმათი ქება და დაჯილდოება, ვისაც პროექტში მონაწილეობა არ მიუღია.

19. ტანსაცმლიდან ყველაზე მეტი ბაქტერია ჰალსტუხზე გროვდება, რადგან მას ყველაზე იშვიათად რეცხავენ, მხოლოდ აუთოებენ და კარადაში კიდებენ.

20. „ღმერთები რომ ადამიანებზე ზრუნავდნენ, კარგი ადამიანები კარგად იცხოვრებდნენ, ცუდი ადამიანები — ცუდად. სამწუხაროდ, ასე არ ხდება“, — ამბობდა რომაელი პოეტი და დრამატურგი კვინტუს ენიუსი.



21. ხატვა უინსტონ ჩერჩილის საყვარელი საქმიანობა იყო. „მხატვრები ბედნიერი ხალხია. თავიანთი ტილოებით გარემოცულნი, ისინი არასდროს დარჩებიან მარტო“, — ამბობდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი.

22. კიდევ ერთი ნიმუში მიხაილ ზადორნოვის მიერ შეგროვებული მარაზმების კოლექციიდან — მოსკოვის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში გამოკრული განცხადება: „დეტი ვიდაიუტსა ოტცამ ტოლკო ვ ტრეზვომ სასტაიანიი“.

23. „სარვამარტოდ, ოპოზიციის წარმომადგენელი ქალი და სამთავრობო ფრაქციის წარმომადგენელი მამაკაცი შეხვდნენ ერთმანეთს და კონსენსუსს ვერა, მაგრამ ორგაზმს მიაღწიეს“, — ჰყვებოდა ნიკა ქავთარაძე თავის შოუში.

24. მას შემდეგ, რაც სარეალიზაციო ქსელში ავტომობილი „ოკა“ გამოვიდა, ხალხმა „ზაპოროჟეცისა“ და მის მეპატრონეთა დაცინვას თავი ანება და ამ ავტომობილზე დაიწყო ქილიკი. ამ თემაზე შეთხზული ანეკდოტებიდან ერთ-ერთი ასეთია: ავტომობილი „ოკა“ ხის კენწეროზე კიდია. ხის ძირას პატრონი დგას და ქვემოდან მოძღვრავს: „კარგი, ჯანდაბას, რომ პატარა და მოცუცქნული ხარ, ჯანდაბას, რომ საჭე არ გივარგა და მუხრუჭებიც დღეგამოშვებით გიმუშავებს, მაგრამ ძაღლების რომ გეშინია, ეს რაღა უბედურებაა?!.“

25. ლეონიდ ბრეჟნევი თავგადაკლული მწეველი გახლდათ, მაგრამ ცხოვრების ბოლო წლებში, ექიმების დაჟინებული მოთხოვნით, იძულებული გახდა, მკვეთრად შეემცირებინა თამბაქოს მოხმარება. მას სპეციალური პორტსიგარიც კი დაუმზადეს, რომელშიც ტაიმერი იყო ჩამონტაჟებული და მისი გახსნა მხოლოდ საათში ერთხელ იყო შესაძლებელი.

# „მია შვილმა“ საქმეში „მძიმე არტილერია“ ჩართო





მოდის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრების მიზნით, რუსულმა მარკამ — Mia Shvili — მსოფლიოს წამყვან სუპერმოდელ კეიტ მოსთან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა. მარკის პირველ კოლექციას რეკლამას უწევდა პოპულარული მსახიობი — ქლოია სევინი, ამჯერად კი საქმე „მძიმე არტილერიაზე“ მიდგა. შეთანხმების დეტალებს ჯერჯერობით არ ახმაურებენ.

კომპანია Mia Shvili ამ რამდენიმე წლის წინ, ახალგაზრდა დიზაინერმა, კატია გომიაშვილმა დააარსა. მარკამ თავისი პირველი ბუტიკი მოსკოვის ცენტრში ამ გაზაფხულზე გახსნა; მოკლე ხანში კი Mia Shvili მოსკოვში მეორე ბუტიკის გახსნას გეგმავს. ■



კეიტ მოსი

# უმა თურმანი კვლავ თავისუფალია



ცნობილი გახდა, რომ სამწლიანი სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ ჰოლივუდის ვარსკვლავი, უმა თურმანი და სასტუმროების ქსელის მეპატრონე, ანდრე ბალაში. მართალია, ამის შესახებ მსახიობის პრესსამსახურს ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ პრესა აქტიურად აშუქებს ამ თემას. სამწლიანი ურთიერთობის მანძილზე, 36 წლის უმა და 50 წლის ანდრე არაერთხელ დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ შემდეგ კვლავ ერთად იყვნენ ხოლმე. მათი რომანი 2003 წლის მიწურულს დაიწყო. შარშან, „ოსკარების“ დაჯილდოების ცერემონიაზე, ვარსკვლავი მარტო გამოცხადდა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში. მოგვიანებით, მსახიობის პრესსმსახურმა ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა: „სამწუხაროდ, ისინი მართლაც დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნეს“. შარშან, შემოდგომაზე წყვილი საზოგადოების თავშეყრის ადგილებში კვლავ ერთად გამოჩნდა. მათ ხან კოპენჰაგენში ხედავდნენ, ხანაც ნიუ-იორკში, თანაც თითქმის ყოველთვის, უმას შვილებიც თან ახლდნენ ხოლმე. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მათ მეგობრობაზე მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდათ.

სულ ცოტა ხნის წინ კი პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წყვილი ამ ზაფხულს კარიბის კუნძულებზე ქორწილის გადახდას გეგმავდა. იმასაც კი წერდნენ, რომ უმას ყოფილი ქმარი — მსახიობი ეტან ჰოუკიც კი მიწვეული გახლდათ ჯვრისწერის ცერემონიაზე (შეგახსენებთ, რომ თურმანი და ჰოუკი ექვსწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, 2004 წელს გაიყარნენ). მაგრამ ამ ინფორმაციის პრესაში გავრცელებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, მსახიობთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით, ტაბლოიდების ფურცლებზე სრულიად განსხვავებული ინფორმაცია გამოჩნდა. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ამერიკული ტაბლოიდების პროგნოზი მომავალ ქორწინებასთან დაკავშირებით, არ გამართლდა. ამჟამად თურმანს იღებენ ფილმში — „შემთხვევითი ქმარი“. ■



# გვინეტს წონა დაუწუნეს

თანამედროვე ტენდენციის თანხმად, რას აღარ აკეთებენ გოგონები სასურველი წონის მისაღწევად თუ შესანარჩუნებლად — ქანცის გაწყვეტამდე ვარჯიშობენ, ითვლიან კალორიებს, იცავენ დიეტას და ბოლოს და ბოლოს, შიმშილობენ კიდეც. აი, ტანწერწეტა გვინეტ პელტროუს კი პრობლემა სწორედ სიგამხდრის გამო შეექმნა. მას უარი უთხრეს იმ როლზე, რომელზეც უკვე დამტკიცებული გახლდათ. გვინეტს მარლენ დიტრიხის პერსონაჟი უნდა განესახიერებინა, მაგრამ ლეგენდარული მსახიობის ქალიშვილმა — მარია რივამ განაცხადა, რომ პელტროუ ძალიან გამხდარია და თუ მას ამ როლის თამაში სურს, რამდენიმე კილოგრამი უნდა მოიმატოსო. ამავე აზრს იზიარებს მარლენ დიტრიხის მეგობარი — მსახიობი გრეის ბრედლი ბოიდი: „ჩვენს დროში არც ერთი კინოსტუდია გამხდარ მსახიობს კონტრაქტს არ გაუფორმებდა. გვინეტი კარგი მსახიობია, მაგრამ როლის შესასრულებლად, მას მოზრდილ ვაშლის ღვეზლისა და რამდენიმე ნაყინის დახმარება სჭირდება.“ ასე რომ, თუკი პელტროუ წონაში მომატებას ვერ შეძლებს, კინოსტუდიას მარლენ დიტრიხის როლის შესასრულებლად სხვა მსახიობის მოძებნა მოუწევს. ■



# შეთქმულება მერილინ მონროს წინააღმდეგ

აშშ-ის „გამოძიებათა ფედერალური ბიუროს“ („გფბ“) გასაიდუმლოებული დოკუმენტის სააშკარაოზე გამოტანის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა, მერილინ მონროს თვითმკვლელობისკენ სწორედ თავისმა უახლოესმა გარემოცვამ უბიძგა. „გფბ“-ს 3-გვერდიანი მოხსენებითი ბარათი, რომელიც ავსტრალიელმა კინორეჟისორმა ფილიპ მორამ აღმოაჩინა, მოწმობს იმას, რომ მსახიობის თვითმკვლელობა ინიცირებული გახლდათ მისი ფსიქიატრის, პრესმდივნის, შინამოსამსახურისა და მსახიობ პიტერ ლოუფორდის (რომელსაც მერილინი თავის მეგობრად მიიჩნევდა) მიერ. „გფბ“-ს მოხსენებით ბარათში ლაპარაკია იმაზეც, რომ მონროს ყოფილი საყვარელი, აშშ-ის გენერალური პროკურორი რობერტ კენედი ასევე საქმის კურსში გახლდათ, რომ მკვლელობა მზადდებოდა და შესაძლოა, ის თავადაც კი მონაწილეობდა მის დაგეგმვაში. დოკუმენტიდან ისიც ირკვევა, რომ მსახიობს ფიქტიური თვითმკვლელობისკენ უბიძგებდნენ. მერილინს თითქოსდა არწმუნებდნენ იმაში, რომ ასეთი ახალი ამბავი მისდამი სიმპათიას გამოიწვევდა. მას დროულად დახმარებას და სასწრაფოდ კუჭის ამორეცხვასაც ჰპირდებოდნენ, მაგრამ ამის ნაცვლად, მას სიკვდილის უფლება მისცეს. დოკუმენტში პირდაპირ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რა მიზნით უბიძგებდნენ შეთქმულები მსახიობს თვითმკვლელობისაკენ. თუმცა, როგორც Daily Telegraph წერს, მოხსენებითი ბარათიდან აშკარად გამოსჭვივის მინიშნება, რომ შეთქმულება მონროს მუქარასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული — მას შემდეგ, როცა მსახიობი დარწმუნდა, რომ რობერტ კენედი მეუღლესთან გაყრას და მასზე დაქორწინებას არ აპირებდა, ის გენერალურ პროკურორთან თავისი კავშირის გამჟღავნებით იმუქრებოდა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ლოუფორდი მოელაპარაკა მერილინის ფსიქიატრს — რალფ გრინსონს, რომელმაც მსახიობს საძილე პრეპარატის — Seconal-ის 60 აბის რეცეპტი გამოუწერა. მერილინის სიკვდილის დღეს, შინამოსმსახურემ აბებით სავსე ფლაკონი მას საწოლის თავთან, ტუმბაზე დაუდო. დოკუმენტის მიხედვით დასტურდება ისიც, რომ მონროს გარდაცვალების დღეს, კენდიმ დაურეკა პიტერ ლოუფორდს, რათა შეეტყო, უკვე გარდაიცვალა თუ არა მერილინი. ლოუფორდმა კი თავის მხრივ დაურეკა მსახიობს იმისთვის, რომ გადაემოწმებინა, უპასუხებდა თუ არა ის მის სატელეფონო ზარს. ჩანს ისიც, რომ მსახიობის პრესმდივანი პეტ ნიუკომბიც ყველაფრის საქმის კურსში იყო.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, მერილინ მონრო 1962 წლის 5 აგვისტოს ძილის წამლის დიდი დოზის მიღებისგან გარდაიცვალა. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი რამ: ვერსია იმის თაობაზე, რომ მერილინ მონროს თვითმკვლელობა, სინამდვილეში მკვლელობა გახლდათ, მსახიობის გარდაცვალებისთანავე გავრცელდა. ■

# ჯულია რობერტსი იდეალური დედის ამპლუაში

ბოლო რამდენიმე წელია, რაც ჰოლივუდის ყველაზე ძვირად ღირებული ვარსკვლავი, ჯულია რობერტსი კინოში გადაღებას თავს არიდებს. მან გადაწყვიტა, თავი ოჯახსა და შვილებს მიუძღვნას. მას უკვე ჰყავს ტყუპი — ჰეიზერ და ფინეუსი, ზაფხულში კი, ის და მისი მეუღლე, ოპერატორი დენი მოდერი მესამე შვილს ელიან. კინოში სრულფასოვან მოღვაწეობას ჯულია ჯერჯერობით არ აპირებს. მსახიობი აღიარებს, რომ ფორმაში არ არის და თანაც სურს, რომ თავის პატარებს კარგი დედობა გაუწიოს. „სწორედ ამიტომ, თავდაპირველად 20 წლის მანძილზე მუხლჩაუხრელად შრომობ, შემდეგ კი, ოჯახსა და შვილებზე ზრუნვას იწყებ, — ამბობს რობერტსი თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში. — ახლა შემიძლია, რომ შინ ვიჯდე და შვილებს მივხედო. არა მგონია, რომ ასეთი პატარა შვილების დატოვება და სამუშაოზე გადართვა, დედის მხრიდან ჭკვიანური საქციელი იყოს“.




39 წლის ვარსკვლავი დედის ამპლუაში საოცრად ბედნიერად გრძნობს თავს. თვითმხილველთა თქმით, ის ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული ასეირნებს თავის პატარებს. ჰოლივუდის ვარსკვლავი ხომ კარგა ხნის მანძილზე ოცნებობდა დედობაზე, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავის იკავებდა. ახლა კი, როგორც ჩანს, მას ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს, რადგან მესამე შვილის გაჩენა გადაწყვიტა. ჯულიას უკვე საგრძნობლად გამოებზიკა მუცელი და მუქი ფერის ტანსაცმელი ველარ ფარავს მის ორსულობას. ■

# ვინ არის ყველაზე ლამაზი ფეხების პატრონი?

პოპულარულმა ბრიტანულმა ჟურნალმა — The Nuts გამოკითხვა ჩაატარა თავის მკითხველებს შორის. გამოკითხვაში 2 ათასამდე რესპონდენტი მონაწილეობდა, რის შედეგადაც გამოვლინდა შოუბიზნესის წარმომადგენელთა შორის, ყველაზე ლამაზი და ყველაზე უშნო ფეხების პატრონთა რეიტინგი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ყველაზე მეტი ხმა მსახიობმა და მოდელმა კელი ბრუკმა მოაგროვა. ბრუკი მაყურებლისთვის ცნობილია ფილმებით: „ტალახში“, „ძარცვა იტალიურად“ „„მფატრავი — წერილები ჯოჯოხეთიდან“. სხვათა შორის, ამას წინათ, კელიმ ჰოლივუდის ყველაზე ლამაზი ბიუსტის პატრონის ტიტულიც დაიმსახურა. შარშან, ტეხასის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ბრუკის წელისა და თეძოების გარშემოწერილობის თანაფარდობა ზუსტად 0,70588253-ს უტოლდება — ანუ იდეალურია. 2005 წელს ჟურნალმა FHM-მა მსახიობი მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალბატონად დაასახელა.



რაც შეეხება ახალ გამოკითხვას, ყველაზე ლამაზი ფეხების მქონეთა პირველი ათეულში კელი ბრუკის გარდა შევიდნენ: მოდელი კეიტ მოსი, მომღერალი ბეიონს ნოულზი, მსახიობი კამერონ დიასი, ჰოლივუდის 20 წლის მსახიობი მიშა ბარტონი, მაღალი საზოგადოების ძუ ლომად წოდებული პერის ჰილტონი, ტოპმოდელი ელ მაკფერსონი, მომღერალი კრისტიან აგილერა, 20 წლის მოდელი და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელის, უეინ რუნის საცოლე — კოლინ მაკლაფლინი და ლონდონის „ჩელსის“ მცველის, ეშლი კოულის ცოლი — შერილ კოული.

ასევე ჟურნალის მკითხველთა გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა შოუბიზნესის წარმომადგენელ ქალბატონებს შორის ყველაზე უშნო ფეხების პატრონიც. რესპონდენტებმა პრაქტიკულად ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ეს დევიდ ბექჰემის მეუღლე ვიქტორია ბექჰემი გახლავთ. უშნო ფეხების მქონეთა რეიტინგში ასევე შევიდნენ: ნიკოლ რიჩი, მადონა და ტერი ჰატჩერი. ■



# „ერთმანეთზე ხელის აღმართვის სირცხვილიც ერთად უნდა ჩამოვირეცხოთ“

## რა მოგვიტანა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების შეხვედრებმა ბანაკებში

**სოხუმელმა მწერალმა გურამ ოდიშარიამ ერთ-ერთ ქართულ-აფხაზურ მეგობრულ შეხვედრაზე მიმიწვია: დევნილი ქართველები აფხაზ სტუმარს მასპინძლობდნენ. სამწუხაროდ, იმ ახალგაზრდა აფხაზთან ინტერვიუს ჩაწერა ვერ მოვახერხე, მაგრამ ძალიან საინტერესო ადამიანები კი გავიცანი იქ. ერთ-ერთ მათგანს — 23 წლის გულრიფშელ მაკა სართანიას მოგვიანებით შევხვდი. მაკა 9 წლის იყო, ოჯახთან ერთად თბილისში რომ ჩამოვიდა; 16 წლიდან მონაწილეობს ქართულ-აფხაზურ პროგრამებში და როგორც მითხრა, მაქსიმალურად ცდილობს, ჩაებას ყველაფერში, რაც აფხაზეთს, განსაკუთრებით კი — იქაურ ახალგაზრდობას უკავშირდება.**

*ირმა ხარშილაძე*

— ხშირად მიფიქრია — კიდევ კარგი, რომ ომის დროს პატარა ვიყავი-მეთქი. ახლა ვხვდები, უფროს ადამიანებს როგორ გაუჭირდათ: იძულებით გამორბიხარ შინიდან უცხო გარემოში, უცხო ადამიანებთან, არ გაქვს სახლ-კარი... აბა, წარმოიდგინეთ! ჩამოვედით თბილისში და ყველაფერი თავიდან დავიწყეთ.

**— აფხაზი ნათესავები გყავს?**

— ბაბუაჩემი აფხაზმა ქალმა გაზარდა და ეს ქალი დედასავით უყვარდა. მისი შვილები და ახლობლები ბაბუისთვის უახლოესი ნათესავები იყვნენ. ბაბუა ძალიან კარგად ლაპარაკობდა აფხაზურად. როცა გავიზარდე და აფხაზებთან ურთიერთობა დავიწყე, გადავწყვიტე, მისი ხსოვნის და ჩემი ახალშეძენილი მეგობრების პატივსაცემად, აფხაზური ენა მესწავლა. დავიწყე კიდეც, თუმცა ძალიან შრომატევადი საქმეა, რთული ენაა. ეს ჩემთვის მტრის ენა როდია. არც აფხაზია ჩემთვის მტერი. საერთოდაც, არ ვფიქრობ, რომ ეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტია. აფხაზებსაც, ისევე, როგორც ქართველებს, ამ ომის, დიდი პოლიტიკის, მსოფლიო გადანაწილების მსხვერპლად აღვიქვამ. მიმაჩნია, რომ აფხაზური ენა ჩემი ქვეყნის ერთ-ერთი ნაწილის მეორე სახელმწიფო ენაა და მოვალე ვარ, ეს ენა ვიცოდე, თუკი მინდა, საქართველოს მოქალაქე ვიყო, თუკი მინდა, რომ დავბრუნდე და ვიცხოვრო აფხაზეთში.



მყავდა რამდენიმე აფხაზი მეგობარი, რომელთანაც ძალიან გულახდილად მისაუბრია

**— რას საქმიანობ, შენს თანატოლებთან ერთად?**

— 16 წლის რომ ვიყავი, მოვხვდი ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო ახალგაზრდულ პროგრამაში და მას შემდეგ ვურთიერთობ აფხაზ თანატოლებთან. შეხვედრები ყოველთვის ნეიტრალურ ტერიტორიაზე, სხვა ქვეყანაში ეწყობოდა. დასაწყისში იგრძნობოდა, რომ ისინი უფრო პოლიტიზებულები იყვნენ, ანტიქართული იდეოლოგია ჰქონდათ, ყველაფერი შეესრუტათ, რაც წლების განმავლობაში ესმოდათ. შემდეგ კარგად გამოჩნდა, რომ მთლად ასეც არ იყო საქმე: უბრალოდ, ამ შეხვედრებში მონაწილე მოზარდებისგან სწორედ ასეთ ქცევას მოითხოვდნენ. ხშირად უფროსების თანდასწრებით ეს ბავშვები სხვანაირები იყვნენ, ჩვენთან პირისპირ დარჩენილები კი — სულ სხვანაირები, უფრო თბილები, გულახდილები.

**— რაზე ლაპარაკობდით ხოლმე?**

— ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვისთან ვსაუბრობდით. ხანდახან ჩვენ ვიყავით გულახდილები, ისინი კი ცდილობდნენ, მოეჩვენებინათ, რომ აფხაზეთში ყველაფერი ძალიან კარგად არის, ახალგაზრდები მშვენივრად ერთობიან, კარგად ცხოვრობენ და ა.შ.

**— ამას ის ახალგაზრდაც ამბობდა, რომელიც ჩვენ ერთად გავიცანით.**

— არც გამკვირვებია. ჩვენ ყოველთვის ვამბობთ იმას, რასაც ვფიქრობთ, ვხედავთ, რისი თქმაც გვსურს. იქ ასე არ ხდება, ყოველ შემთხვევაში, არ ხდებოდა მაშინ, როდესაც ჩემს თანატოლებს ბანაკებში ვხვდებოდი. ისინი საკმაოდ შებოჭილები იყვნენ.

**— და მაინც პირისპირ დარჩენილები ომზე ლაპარაკობდით?**

— კი, ვლაპარაკობდით. მე მყავდა რამდენიმე აფხაზი მეგობარი, რომელთანაც ძალიან გულახდილად მისაუბრია. მათ უთქვამთ, რას ფიქრობენ მათი მშობლები ამასთან დაკავშირებით.

**— რას ფიქრობენო?**

— მაგალითად, ერთ-ერთმა მეგობარმა მითხრა, რომ მისი ბიძა დაიღუპა ამ ომში, ცხადია, ქართველის ტყვიით, ხოლო ბიძის ცხედრის მოძებნაში მის ოჯახს ისევ ქართველი დაეხმარა და რომ ამ სიკეთეს ოჯახი არასდროს დაივიწყებს... ჩვენ ვურთიერთობთ საკმაოდ რთული სიტუაციაში მყოფ ადამიანებთან, ვისაც დაეღუპნენ ოჯახის წევრები: მამები, დედები, ძმები. ჩვენს მხარესაც იყვნენ ასეთები, მაგრამ მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო — ქართველი ბავშვები უფრო მეტად შემწყნარებლები იყვნენ აფხაზების მიმართ, ვიდრე — ისინი ქართველების მიმართ.

**— არადა, აფხაზებს უპირატესობა აქვთ: დღესაც საკუთარ სახლებში ცხოვრობენ...**

— აქ, ვფიქრობ, ორი ფაქტორია: ერთი ის, რომ არ მახსოვს და არც შევხვედრივარ დევნილების ისეთ ოჯახებს, სადაც შვილებს აფხაზების მიმართ სიძულვილს, შუღლს უნერგავენ, მეორე კი ის, რომ ალბათ იქ სხვაგვარად ხდება.

**— კიდევ რას გიყვებოდნენ?**

— გულახდილი საუბრისას ამბობდნენ, რომ აფხაზეთში ცხოვრება ორ პერიოდად დაიყო, ომი ათვლის წერტილად იქცა; რომ იქ ერთეულები ცხოვრობენ კარგად; რომ ბევრის მშობელი ათას ადგილას მუშაობს და მაინც უჭირს ოჯახის რჩენა... მათაც ჰქონდათ მატერიალური პრობლემები, ოღონდ უფრო გართულებული იმით, რომ აფხაზეთი დღეს არის დახურული ქვეყანა და სრულ იზოლაციაშია. ხანდახან ვხვდებოდი, რომ მოყოლისას ცრუობდნენ, მაგრამ არ ვღიზიანდებოდი. მაშინაც კი, როცა აგრესიას ვგრძნობდით მათგან, ძალიან გვეცოდებოდნენ და ვცდილობდით, მოფერებით გვეპასუხა. გვინდოდა დაენახათ, რომ სხვა რამეს ვაძლევდით და მათგანაც სხვას ვითხოვდით... მახსოვს ასეთი შემთხვევა (სამწუხაროდ, ის ადამიანი დღეს ცოცხალი აღარ არის): ერთ-ერთ ბანაკში ვიყავით, ავტობუსით სადღაც მივდიოდით და მე ვიმღერე მეგრული სიმღერა, რომლის ტექსტი დაახლოებით ასეთია: „არ გიყვარვარ მე, არ მოგწონვარ მე, მაინც შენ შემოგევლე, მაინც შენი ჭირიმე“. მანამდე იმ აფხაზი მეგობრისთვის გულჩვილობა არასდროს შემინიშნავს, სიმღერისას კი შევნიშნე, რომ ცრემლები მოიწმინდა.

**— რა იფიქრე, რამ გამოიწვია ცრემლები?**

— მე ვიყავი ქართველი, ის აფხაზი, მე მას ვუმღეროდი და გამოდიოდა, რომ სიყვარულს ვუხსნიდი აფხაზებს და ისიც მიხვდა... ხშირად გვისაუბრია იმაზე, რომ ომმა კარგი არაფერი მოიტანა, რომ ყველანი მსხვერპლნი ვართ. და ყოფილა შემთხვევები, როდე-

საც ულიარებიათ, რომ მათ არა აქვთ უფლება, თქვან ყველაფერი, რასაც ფიქრობენ. ისინიც ჩვეულებრივი ბავშვები არიან, მათაც იგივე და შეიძლება მეტი სატკივარი აქვთ, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ ნორმალურ გარემოში, სადაც განვითარების შესაძლებლობა არსებობს, მათ კი განვითარებისთვის ათმაგი ძალისხმევა სჭირდებათ. საერთოდ, ყოველი განშორების შემდეგ, ისინიც კი, ვისგანაც ამას არ ველოდით, ტიროდნენ. დარწმუნებული ვარ, ახლა რომ შევხვდეთ, ყველანი ვიტირებთ.

— **სხვადასხვა დროს ბანაკებში ერთი და იგივე ბავშვები იკრიბებოდით?**

— ასეც ხდებოდა. ბავშვებს ორგანიზატორები გვარჩევდნენ. ეს არ იყო უბრალო ბანაკები. თვეების განმავლობაში, ქართულ-აფხაზური ორმხრივი საკოორდინაციო კომისიის ეგიდით გვიტარდებოდა ინგლისური ენის, კომპიუტერული პროგრამების, კონფლიქტების მართვის, არასამთავრობო ორგანიზაციების მართვისა და მცირე ბიზნესის შემსწავლელი ტრენინგები. პროექტის იდეის ავტორი გახლავთ ქართულ-აფხაზური ორმხრივი საკოორდინაციო კომისიის აღმასრულებელი მდივანი, ბატონი ზურაბ ლაკერბაია, ქართული მხარიდან კოორდინატორი — ქალბატონი მზია ჯალაღონია. პროექტს ახორციელებდა — განათლებისა და განვითარების აკადემია და USAID-ის მიერ ფინანსდებოდა. თუ არ ვცდები, ამ ტრენინგებისთვის თბილისში ორი კლუბი მოქმედებდა, თითო — ქუთაისში, წყალტუბოში, ბათუმსა და ზუგდიში. ასევე, აფხაზეთის ტერიტორიაზე — სოხუმსა და გაგრაში — ე.ი. აფხაზი ახალგაზრდებიც გადიოდნენ იმავე ტრენინგებს. უკვე მომზადებულები კი, ბანაკებში ვიკრიბებოდით.

— **რომელ ქვეყნებში?**

— ძირითადად, აშშ-ში, სომხეთსა და თურქეთში. ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ ერთად: შევადგინეთ მცირე ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების მართვისა და კონფლიქტების მართვის საერთო რუსულენოვანი სახელმძღვანელოები; გადავიღეთ ფილმები და ა.შ. მუშაობის პროცესში უკეთ ვეცნობოდით ერთმანეთს, ძალიან კარგი ტრენერები გვყავდა. ჯერჯერობით ჩემი საუკეთესო მოგონებები სწორედ ამ ბანაკებს უკავშირდება.

— **ამ ხნის მანძილზე ალბათ, რუსულ ენაზე ურთიერთობდით. არ გიცდიათ, მათთვის ქართული გესწავლებინათ?**

— ბევრმა იცოდა ქართული, ზოგი ლაპარაკობდა კიდეც, ზოგს მხოლოდ ესმოდა. ხანდახან საკუთარ თავს ცდიდნენ ხოლმე ქართულის ცოდნაში: აბა, მითხარი რამე და ქართულად გადავთარგმნიო, — გვეუბნებოდნენ ხოლმე. ერთმანეთთან ნებისმიერ თემაზე სალაპარაკოდ, ბანაკში ბევრი თავისუფალი დრო გვქონდა.

— **თუ იცით, შინ დაბრუნებულ აფხაზ ბავშვებს რაიმე პრობლემა ხომ არ შეჰქმნიათ?**

— როგორც წესი, არა. ეს ალბათ, მაშინ მოხდებოდა, ბანაკები საქართველოს ტერიტორიაზე რომ მოწყობილიყო. ამიტომაც ვიკრიბებოდით ყოველთვის ნეიტრალურ ტერიტორიაზე.

— **რამდენი ხანია, რაც ეს პროექტი შეწყდა?**

— მგონი, ბოლო, 2003 წელს იყო. ამის შემდგომ, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში ზოგიერთს რამდენჯერმე კიდევ შევხვდი.

— **დღეს ტელეფონით ან ინტერნეტით ეკონტაქტები შენს აფხაზ მეგობრებს?**

— ადრე ტელეფონით ყოველთვის ვურეკავდი, რადგან გამაფრთხილეს — ჩვენ ვერ დაგირეკავთო. ვურეკავდი, თუმცა ვიცოდი, რომ ტელეფონები ისმინებოდა. მერე ჩემი ერთ-ერთი მეგობრისგან ინტერნეტით შეფარული მესიჯი მომივიდა. მატყობინებდნენ, რომ ჯობდა, აღარ დამერეკა ან თუ დავრეკავდი, ზედმეტი სითბო არ გამომემჟღავნებინა. არსებობს აფხაზური ჩათები, სადაც ზოგჯერ შევდივარ, თუმცა ისინი, ერთმანეთის დასანახავად, ზოგჯერ იქაც აგრესიულები არიან. ძალიან კარგად ვხვდები, რომელი აგრესია არის ნამდვილი და რომელი — ყალბი. ამაზე არასდროს ვრეაგირებ.

— **რით გამოიხატება მათი აგრესია?**

— მათ „სასაუბრო ოთახში“ ორი ქართველი თუ ერთმანეთში ქართულად დაილაპარაკებს, შეიძლება, „გააგდონ იმ ოთახიდან“, „დაბლოკონ“. თუმცა, წლების განმავლობაში, უპრობლემოდ ვსარგებლობდი აფხაზური „სასაუბრო ოთახებით“. ახლა აღმოჩნდა, რომ ჩემი სახელი „დაბლოკილია“; მაგრამ არ მიფიქრია, რომ ვინმემ ეს განგებ გააკეთა — რადგან დიდი ხანი ვერ მოვახერხე შესვლა, ვეჭვობ, გაუქმდა. ისე, აუცილებლად გავარკვევ მიზეზს.

— **აფხაზ თანატოლთან შეხვედრიდან ადრე წახვედი. ვიცი, რომ შენმა მეგობრებმა ღამის თბილისი დაათვალიერებინეს. არ მოგიყვნენ იმ ღამის თავგადასავალს?**

— ვიცი, რომ შეხვედრის შემდეგ დაუყოლიებიათ ორგანიზატორები, რომ ახალგაზრდებს სტუმარი თბილისის დასათვალიერებლად წაეყვანათ. ყოფილან წმინდა სამების ტაძარში და ნარიყალაზე. თურმე, ნარიყალიდან გაოგნებული დაჰყურებდა ქალაქს და მაშინვე მოსახლეობის რაოდენობით დაინტერესებულა. მერე უთქვამს: არ მეგონა, ასეთი დიდი თუ იყო თბილისიო. სამების ტაძარს გაუოგნებია. კიბეზე რომ ასულან, დამდგარა შესასვლელთან რამდენიმე წუთით და აღფრთოვანებული უყურებდა ტაძარს. მერე რუსთაველის პროსპექტსა და თავისუფლების მოედანზე გაუტარებიათ, ვაკეში უნივერსიტეტი უჩვენებიათ... ბევრს არ ლაპარაკობდა, მხოლოდ ამბობდა: არაჩვეულებრივია, ულამაზესიაო. მერე მყუდრო ადგილას კაფეშიც შესულან. ყოველ კუთხე-კუნჭულს ათვალიერებდაო. ბოლოს შთაბეჭდილება უკითხავთ. უთქვამს: Это ж надо за день всё переварить! რამდენიმე დღე დამჭირდება, რომ გონზე მოვიდე, რა სილამაზე ვნახე, როგორი დადებითი მუხტით სავსე მივდივარ აქედანო!..

— **როგორ ფიქრობ, მოუყვებოდა იქაურ თანატოლებს შთაბეჭდილებებს?**

— რა თქმა უნდა. ჩემს მეგობრებს უკითხავთ: იქ რომ ჩახვალ, პრობლემა ხომ არ შეგექმნებაო? გაუოცებია: რატომ უნდა შემექმნას პრობლემა? მე ხომ პოლიტიკაში არ ვერევი, ცუდს არაფერს ვაკეთებ; ჩამოვედი, გავესაუბრე ჩემს თანატოლებს, მერე რა მოხდა?!. ახლა წავალ და იქაურ მეგობრებს მოვუყვებიო. ყველასთვის გამოურთმევია ტელეფონის ნომრები, ინტერნეტის მისამართები და უთქვამს — აუცილებლად დაგიკავშირდებითო. დიდი ხნის მეგობრებივით, ჩახუტებით, გადაკოცნით დამშვიდობებიან ერთმანეთს და გაუთავებლად მადლობას იხდიდა თურმე, ასეთი თბილი შეხვედრისთვის: ამას მართლა არ ველოდი, ნეტავ, ჯერ არ მივდიოდეო. დაჰპირებია, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, აუცილებლად ჩამოვალო.

— **ამ ბიჭს დედა ქართველი ჰყავს. როგორ ფიქრობ, მისი განცდები მხოლოდ ადამიანურმა სითბომ და დიდი, ლამაზი ქალაქის ნახვამ გამოიწვია, თუ შეიძლება სხვა მიზეზიც იყო?**



ბევრმა იცოდა ქართული, ზოგი ლაპარაკობდა კიდეც, ზოგს მხოლოდ ესმოდაა

— იცით, რა? სოხუმიც, გაგრაც, საერთოდ, აფხაზეთი ულამაზესია, ამიტომ მხოლოდ ბუნებით ვერ აღფრთოვანდებოდა. ის პირველად გასცდა აფხაზეთის ფარგლებს...

— **რატომ, აჭარაში ხომ არის ნამყოფი, იქ, მგონი, ნათესავები ჰყავს...**

— მაშინ 7 წლის ყოფილა, ბევრი არაფერი ემახსოვრება. დიდ ქალაქში კი პირველად მოხვდა. თბილისის შესახებ, იმის მსგავსს, რაც აქ ნახა, აფხაზეთში არ მოუყვებოდნენ.

— **მაშინ, შეხვედრაზე სტუმარმა თქვა, რომ ქართული იცოდა, მაგრამ ქართულად ერთი სიტყვაც არ უთქვამს.**

— ეტყობა, იქ ეუხერხულა. რომ გაშინაურებულა, ჩემს მეგობრებთან თურმე, შესანიშნავი ქართულით ლაპარაკობდა, ოღონდ — შესამჩნევი სოხუმურ-აჭარული აქცენტით. გარეგნობით კი ტიპური აფხაზია.

— **მაკა, შენ და შენს მეგობრებს თუ გიცდიათ თქვენს აფხაზ თანატოლებთან საქართველოს ისტორიაზე, ამ კონტექსტში აფხაზეთზე ლაპარაკი?**

— ამ საკითხში კატეგორიულები იყვნენ: ამბობდნენ — ვერასდროს შევეგუებით აფხაზეთის დამოუკიდებლობის დაკარგვასო.

რომც მიხვდნენ სიმართლეს, გაუჭირდებათ აღიარება, რადგან მცირერიცხოვანი ერია და ბევრი ახლობელი დაეღუპათ ომში.

— **კი, მაგრამ ეს ხომ სხვა თაობაა, ბევრს, იმ ბიჭივით, ერთ-ერთი მშობელი — ქართველი ჰყავს. როგორ ფიქრობ, იმათ აინტერესებთ ქართველების სატკივარი?**

— ამბობენ კიდეც: ჩვენ თქვენს ტკივილსაც ვცემთ პატივს, მაგრამ... ეს „მაგრამ“ ყოველთვის არსებობს. ჩემმა მეგობარმა მითხრა: ძალიან მიყვარხარ, ყველაფერს გაგიგებ, მაგრამ ტერიტორიულ საკითხებში ვერასდროს შევთანხმდებითო. თუმცა, დამდგარა გულახდილობის ისეთი მომენტი, როდესაც ერთ-ერთ მათგანს უთქვამს: რუსეთი ჩვენ გადაგვყლაპავსო.

— **თუ იცი, ერთმანეთში ლაპარაკობენ ლტოლვილებზე? იმაზე, რომ ადამიანებმა იძულებით დატოვეს სახლ-კარი და ოდესღაც შინ უნდა დაბრუნდნენ?**

— ამაზე, რა თქმა უნდა, ფიქრობენ. იმ შეხვედრების დროს, რომლებიც 5-7 წლის წინ იმართებოდა, ის ბავშვები ძალიან პოლიტიზებული იყვნენ და დევნილების დაბრუნების საკითხს მტკივნეულად აღიქვამდნენ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, მათ გაუჩნდათ შიში, რომ რაღაც ცუდი დაიწყებოდა. იცით, ერთმა, ტელეფონით საუბრისას რა მკითხა? რას შვრებით, დაბრუნებას არ აპირებთო? ვუპასუხე: რა თქმა უნდა, დავბრუნდებით-მეთქი; ცოტა ხნით გაჩუმდა და უცებ მეკითხება: ჩვენ სად წავიდეთო? ვუპასუხე — არსად, ვიცხოვრებთ ერთად, ისე, როგორც საუკუნეების მანძილზე გვიცხოვრია-მეთქი. — კარგი, მაშინ ჩამოდითო, — მითხრა. ეს ნათქვამი არასდროს დამავიწყდება. როგორც ჩანს, ჩვენი დაბრუნება სწორედ იმიტომ იყო მტკივნეული მათთვის, რომ ასე აღიქვამდნენ: თუ დავბრუნდებოდით, ისინი უნდა წასულიყვნენ იქიდან. მე არ მეგულება ქართველი, რომელიც ასე ფიქრობს. ჩვენ ყოველთვის ხაზგასმით ვამბობთ, რომ ისევ ერთად უნდა ვიცხოვროთ და ერთმანეთზე ხელის აღმართვის სირცხვილიც ერთად უნდა ჩამოვირეცხოთ... მინდა აღვნიშნო, რომ დროთა განმავლობაში სიტუაცია იცვლება და ჩვენი ბოლოდროინდელი შეხვედრები, შემთხვევითი თუ არაშემთხვევითი, მაძლევს ძალიან დიდი ოპტიმიზმის საფუძველს: თურმე, ბევრი რამ შეიცვალა, ისინიც გაიზარდნენ და უკეთ ხვდებიან, სად არის სიმართლე და რა ხდება სინამდვილეში. მიმაჩნია, რომ ჩვენმა პროგრამებმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ დღეს აფხაზი ახალგაზრდების მნიშვნელოვანმა ნაწილმა იცის სიმართლე და ჩვენ გვჯერა, ერთმანეთის. მიმაჩნია, რომ მე შევინარჩუნე კავშირი ჩემს ფესვებთან და ჩემს მიწასთან; მჯერა, ერთ-ერთი პირველი დავბრუნდები აფხაზეთში და ძალიან მინდა, მე ვიყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც ჩემს რაიონს, სადაც დავიბადე, გავიზარდე და სადაც უნდა ვიცხოვრო, ისევ ააშენებს და ააყვავებს. ■



# იარაღი, რომლითაც კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ეკლესიის მტრებს ებრძოდა

**ამჯერად, XX საუკუნეში მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ მოგითხრობთ, რომელსაც უმძიმეს — 1932-1952 წლებში არგუნა უფალმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლობა. ბოლომდე ზიდა კიდეც ერის სულიერი წინამძღოლის მძიმე და საპატიო ჯვარი. პატრიარქი კალისტრატე მოწამებრივად არ აღსრულებულა, მაგრამ მთელი მისი ცხოვრება მოწამებრივი, განსაცდელებითა და ტანჯვით აღსავსე იყო.**

***შორენა მერკვილაძე***

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე დაიბადა 1866 წელს, ქუთაისის მაზრის სოფელ ტობანიერში, მამამისი სასულიერო პირი იყო, ამიტომ, მას ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია იმისთვის, რომ ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის რჩევა გაეთვალისწინებინა და შვილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლში მიებარებინა. მაშინ, კალისტრატე ცხრა წლის იყო. ქუთაისის შემდეგ, სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. განათლების მიღებისკენ სწრაფვამ ახალგაზრდა კალისტრატე კიევის სასულიერო აკადემიის კარამდეც მიიყვანა. სწორედ კიევის აკადემიაში სწავლისას შეისწავლა კლასიკური ენები, იქვე შეიძინა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ცოდნა, ღვთისმეტყველის ხარისხიც მიიღო და სამშობლოში დაბრუნდა.

კალისტრატე ყოველთვის ისწრაფოდა იმისკენ, რომ ღვთის გზაზე შემდგარიყო და თავი ღვთისადმი მსახურებისთვის მიეძღვნა, ამიტომაც, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაიწყო მსახურება. ერთ წელიწადში მღვდლად აკურთხეს და ამავე ტაძრის წინამძღვრადაც დაადგინეს. ამავე პერიოდში მუშაობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაშიც, საღვთო სჯულის მასწავლებლად. 1903 წელს, მამა კალისტრატეს დეკანოზობა მიანიჭეს და ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს.

ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც ერის რჩეული შვილები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ზრუნვას იწყებდნენ და მამა კალისტრატეც შეუერთდა მათ. ამ პრობლემას მან არაერთი მეცნიერული ნაშრომიც მიუძღვნა.

წლებმა განვლო საქართველოს ეკლესიის ბედით დაინტერესებულ და დამწუხრებულ ქართველთა სანუკვარი ოცნების ახდენამდე; ოცნება კი 1917 წლის 25 მარტს ახდა, როდესაც სვეტიცხოვლის ტაძარში გამართულ საგანგებო კრებაზე საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ამის შემდეგ, შეიქმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მართვა-გამგეობის კომიტეტი, რომლის ერთ-ერთი წევრი მამა კალისტრატეც იყო. შემდეგ კი, 1917 წლის 9 სექტემბერს შექმნილი საკათალიკოსო საბჭოს წევრიც ხდება. ქართველ სამღვდელოებასთან ერთად, მამა კალისტრატეც აქტიურად იღვწის იმისათვის, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა მსოფლიოს მართლმადიდებელმა ეკლესიებმა აღიარონ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იწყება სარწმუნოების სასტიკი დევნა — შეურაცხყოფენ და აპატიმრებენ სასულიერო პირებს, ანადგურებენ საეკლესიო სიწმინდეებს, ანგრევენ და ხურავენ ტაძრებს და ა.შ. იზღუდება ქართული ენის უფლებებიც. ერის სულიერი წინამძღოლი, კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია და საკათალიკოსო საბჭოს წევრები, ყველანაირად ცდილობენ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას. ამ მიზნით, გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე მემორანდუმსაც კი გზავნიან, რომლის შედგენაშიც მონაწილეობს მამა კალისტრატე ცინცაძეც: „1921 წლის 25 თებერვალს, უთანასწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში... ერს ართმევენ მამა-პაპათა ეროვნულ კულტურას, დასასრულ, უბღალავენ წმიდათაწმიდას — სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ, თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება, მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია დღეს უფლება აყრილია, ერთი სიტყვით, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა“, — ნათქვამია მემორანდუმში. ამავე მემორანდუმის თანახმად, კათოლიკოს-პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები ქართველი ხალხის სახელით, ქვეყნიდან წითელი არმიის გაყვანას და რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვენ. ქართველი სამღვდელოების მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნას, შედეგად მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიასა და საკათალიკოსო საბჭოს ცხრა წევრის დაპატიმრება მოჰყვა. მათ შორის იყო მამა კალისტრატე ცინცაძეც. დატუსაღებულ სასულიერო პირებს, გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნასთან ერთად, განადგურებისგან გადარჩენის მიზნით, საეკლესიო სიწმინდეთა გადამალვაც დანაშაულად ჩაუთვალეს და სხვადასხვა ვადით სასჯელის მოხდა მიუსაჯეს. სასჯე-

ლი მეტეხის ციხეში უნდა მოეხადათ. მამა კალისტრატეს 1924 წლის 9 მარტის განჩინებით, სამი წლით, ცხრა თვითა და ოცდასამი დღით თავისუფლების აღკვეთა ხვდა წილად. სასჯელი ქონების ჩამორთმევასაც ითვალისწინებდა. 1924 წლის ბოლოს გამოსული ამნისტიის შედეგად, მამა კალისტრატე ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. სასჯელს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასა და საკათალიკოსო საბჭოს სხვა წევრებსაც უხსნიან.

1925 წელს, მამა კალისტრატე ეპისკოპოსის ხარისხში აღამაღლეს და ნინოწმინდის ეპარქია ჩააბარეს. იმავე დღეს, მიტროპოლიტობაც უბოძეს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ დანიშნეს: „დიდია შენგან მიღებული ღირსება და პატივი, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის იწროება, შრომა, ვაება და წყენა, რომელიც შენ მოგელის, აქ საჭიროა მოთმინებით ატანა ყველა იმისა, სიხარულად ჩარიცხვა ყველა იმისა, რაც ეკლესიის კეთილდღეობისთვის შეგხვდება ცხოვრებაში, რამდენადაც ამაღლდები, იმდენად უფრო მეტად უნდა დამდაბლდე, აქ არის ნამდვილი სულიერი სიმაღლე“, — მიუმართავს მისთვის ეპისკოპოსად კურთხევისა და ამ მაღალ სულიერ ღირსებათა მიღების დღეს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას. ამ დღეს მამა კალისტრატეს ხომ თავსაბურავზე ჯვრის ტარების უფლებაც მიენიჭა და მღვდელმთავართა შორის უპირატესად გამოცხადდა.

1927 წლიდან, მამა კალისტრატეს მანგლისის ეპარქია ჩააბარეს. 1932 წლის ივნისში კი, საქართველოს მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. მამა კალისტრატე ცინცაძის კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე აღსაყდრება სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა.

კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ საქართველოს ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში ჩაიბარა — საქართველოში არსებული 15 ეპარქიიდან, მხოლოდ ხუთი ეპარქია იყო მოქმედი, ღვთისმსახურება კი 29 ტაძარში აღევლინებოდა, 1500-ზე მეტი ტაძარი დახურული იყო. ძალზედ მცირე იყო ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირთა რიცხვიც — მთელ საქართველოში ხუთი მღვდელმთავარი, 41 მღვდელი, 3 პროტოდიაკონი და 2 მედავითნე მსახურობდა. უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე აღსაყდრების დღიდანვე ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლებისგან ქართული ეკლესიის დაცვას და ეკლესიაში არსებული მდგომარეობის გამოსწორებას. ერის სულიერ წინამძღოლს ამისათვის სამოქმედო გეგმაც კი ჰქონდა შემუშავებული, რომელიც უპირველესად ეკლესია-მონასტრების ძარცვის, დარბევის, დახურვისა და ნგრევის შეჩერებას გულისხმობდა; ამასთანავე, მიზნად ისახავდა საბჭოთა საკანონმდებლო ორგანოების მიერ ეკლესიისთვის დაწესებული საგადასახადო პირობების შემსუბუქებას. პატრიარქ კალისტრატეს უმნიშვნელოვანესი საზრუნავი იყო ისიც, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებსაც ოფიციალურად ეღიარებინათ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ცნო, არ არსებობდა ამ აღიარების წერილობითი დასტური. პატრიარქს ისიც კარგად ესმოდა, რომ იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირი მითითებით, რელიგიას დაუნდობლად და გააფთრებით ებრძოდნენ, ამ ყველაფრის მიღწევა, შეუძლებელიც კი იყო. თანაც ურწმუნო ხე-



ლისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, კათოლიკოს-პატრიარქის ერთადერთ იარაღს სიმართლით ანთებული სიტყვა წარმოადგენდა, ამიტომაც იყო, რომ ხშირად გზავნიდა წერილებს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახელისუფლო ორგანოებში ეკლესიისადმი მტრული დამოკიდებულების შეცვლის თხოვნით. ცხადია, ეს არ მოხდებოდა, თუმცა ზოგჯერ ათეიზმის ბატონობის ამ ბობოქარ წლებშიც ახერხებდა პატრიარქი კალისტრატე ეკლესიისთვის სასიკეთო საქმეების კეთებას. მისი მცდელობით გადაურჩა დახურვასა და გაცამტვრებას სვეტიცხოვლის, სიონის, ქვაშვეთის, მეტეხის, გელათის, ალავერდისა და ნიკორწმინდის ტაძრები. მისივე მცდელობით მოხერხდა ერთ-ერთი „კომუნისტური“ პროექტის გაუქმება, რომელიც სიონის მიდამოების თანამედროვე სტილში რეკონსტრუქციას ისახავდა მიზნად. ომის შედგომ წლებში მოახერხა ხონის, ალავერდის, საგარეჯოს, ორბეთის, სოხუმის, გუდაუთისა და ატკოცის ტაძრების ამოქმედება, ხოლო 1949 წელს, სიონის ტაძრის მახლობლად საპატრიარქო რეზიდენციის აგების ნებართვა მიიღო. გამოსცემდა სასულიერო ლიტერატურასაც. მისივე მოღვაწეობის პერიოდში აღდგა ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის: 1943 წლის 28 ოქტომბერს, თბილისში ჩამოვიდა სრულიად რუსეთის პატრიარქის სერგის მიერ ოფიციალურად წარმოგზავნილი სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი. სიონის ტაძარში, კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ეპისკოპოს ანტონთან ერთად აღავლინა საღმრთო ლიტურგია. სწორედ ამის შემდეგ აღდგა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ურთიერთობა. რუსეთის ეკლესიამ კანონიკურად პირველად ცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და ამის შესახებ მართლმადიდებელ მწყემსმთავრებსაც ამცნო. უწმინდესმა კალისტრატემ კიდევ არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთა, მაგრამ კათოლიკოს-პატრიარქობის ოცწლიანი მოღვაწეობის პერიოდში, ერის სულიერი წინამძღვარი ხშირად ისეთივე უუფლებო იყო, როგორიც რიგითი მოქალაქე. არქიმანდრიტი რაფაელი წიგნში — „გადარჩენის საიდუმლო“, იხსენებს ერთი ქალბატონის ნაამბობს, რომელიც მას სამთავროს მონასტერში შეხვედრია და კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეზე შემდეგი რამ უამბნია: „ცოტამ თუ იცის, რომ პატრიარქი კალისტრატე დიდი ხნის განმავლობაში, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. მხოლოდ სიონის ტაძარში მისვლის უფლება ჰქონდა, ისიც, ღვთისმსახურების დროს. ეპისკოპოსებს, მღვდლებს და მნახველებს თავის ბინაზე იღებდა. მან იმ საშინელი წლების მთელი სიმძიმე იწვნია. მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას. მისი ქალიშვილი დააპატიმრეს და გადაასახლეს; მას კი დახმარება არ შეეძლო“... ამავე წიგნში არქიმანდრიტი რაფაელი იხსენებს პატიმრობაგამოვლილი სასულიერო პირის, ქუთაისელი დიაკვნის ამბროსის ნაამბობს: როდესაც გადასახლებიდან დაბრუნებული, პატრიარქ კალისტრატეს შევხვდი, ვკითხე — როგორ შეგეძლოთ ჩუმად ყოფილიყავით, როდესაც იცოდით, სად ვიყავით და როგორ გვექცეოდნენ-მეთქი. პატრიარქმა დამიჩოქა და მითხრა — შემინდეო. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ პატრიარქიც ისეთივე უუფლებო ტუსაღი იყო, როგორებიც ჩვენ, ოღონდ მავთულხლართების გარეშე. ის წამება, რომელიც პატიმრობისას გამოვიარე, დამავიწყდა; ის კი, რომ პატრიარქმა დამიჩოქა, გულს მითუთქავსო.

კალისტრატე ცინცაძე, სტუდენტობიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე, ეწეოდა მეცნიერულ მოღვაწეობას. უწმინდესმა პატრიარქმა კალისტრატემ უდიდესი ამაგი დასდო ისტორიულ ძეგლებსა და სიძველეთსაცავებსაც. 1928 წელს, თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს შესწირა არაერთი ხელნაწერი, მათ შორის, ქეთევან დედოფლის ნაქონი „ლოცვანი“ და დავით რექტორის მიერ გადაწერილი „სჯულის კანონი“ (XVIII ს.).

ღვაწლმოსილი პატრიარქი კალისტრატე 1952 წელს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მოკვდა მწყემსმთავარი და თან ერის სატკივარი გაიყოლა, თუმცა ღვთის შემწეობის იმედი არასოდეს დაუკარგავს.

■

# «ჩელსის» ვარსკვლავი, რომლის ყველაზე დიდი ქომაგი ბაბუამისია



**ალექსი რეხვიაშვილი**

„ჩელსისთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურს“, — განაცხადა თანამედროვე გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავმა მიხაელ ბალაკმა ჯერ კიდევ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, როდესაც ლონდონურ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს აფორმებდა. გასული მუნდიალი რიგით მეორე გახლდათ წარმოშობით აღმოსავლეთგერმანელი ნახევარმცველისთვის, რომელიც 2002 წელს, კორეა-იაპონიის მოედნებზე გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. 4 წლის შემდეგ კი, უკვე სამშობლოში, ბალაკი და კომპანია მესამე ადგილს დასჯერდა. ამჟამად, მიხაელი კლუბთან ერთად, ინგლისის პრემიერლიგისა და ჩემპიონთა თასის მოსაგებად იბრძვის.

მიხაელ ბალაკი 1976 წლის 26 სექტემბერს გერლიცში დაიბადა, პატარა ქალაქში, რომელიც პოლონეთის საზღვართან მდებარეობს. თუმცა, მალე მისი ოჯახი კარლ-მარქს-შტადტში გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ „მსოფლიო პროლეტარიატის მესაჭის“ სახელობის ქალაქში დაიწყო მიხაელმა ფეხბურთის თამაში. მაღალი, ძლიერი, ამტანი ბიჭუნა იდეალურად ჯდებოდა ყოფილი გდრ-ის წარმომადგენელი სპორტსმენის ეტალონში. ბალაკმა პირველი ნაბიჯები დიდი ფეხბურთისაკენ მიმავალ გზაზე, სკოლის კლუბ „მოტორში“ გადადგა. თანაც, გერმანიის ნაკრების მომავალი ვარსკვლავი ბავშვობიდანვე ნახევარდაცვაში თამაშობდა.

1995 წელს ბალაკის დებიუტი მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „ჰემნიცერ ფკ“-ში (1990 წელს, ქალაქ კარლ-მარქს-შტადტს ისტორიული სახელწოდება, „ჰემნიცი“ დაუბრუნეს) შედგა. უმაღლეს დონეზე ჩატარებულ თავის პირველ სეზონში ბალაკმა 15 მატჩი გამართა, ხოლო „ჰემნიცი“ მეორე ბუნდესლიგიდან რეგიონულ ლიგაში დაქვეითდა. 1996-1997 წლების სეზონში ის კლუბის ლიდერი იყო. მაშინ გამართულ 34 მატჩში მიხაელმა 10 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებიდან მიწვევა მიიღო. ამას მოჰყვა წინადადება „კაიზერსლაუტერნიდან“, რომელიც ოტო რეჰაგელის ხელმძღვანელობით ბუნდესლიგაში დაბრუნდა. ამგვარად, 1997 წელს ბალაკი კაიზერსლაუტერნში გადაბარგდა.

ახალ გუნდში გატარებული პირველი სეზონი მიხაელისთვის წინააღმდეგობებით



აღსავსე აღმოჩნდა — ის ცოტას თამაშობდა (16 მატჩში ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა), თუმცა საკმაოდ მაღალ შეფასებას იღებდა „კიკერის“ წარმომადგენელი მიმომხილველებისაგან. ამასთან, ამომავალ ვარსკვლავს რეგულარულად იწვევდნენ ახალგაზრდულ ნაკრებში. 1998 წელს იგი გერმანიის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. საგულისხმოა ის, რომ პირველად გერმანიის ჩემპიონატის ისტორიაში ტურნირი მოიგო კლუბმა, რომელიც ერთი წლით ადრე მეორე ბუნდესლიგაში ასპარეზობდა.

ბალაკი დიდ ფეხბურთში თავისი პირველი ტიტულის მფლობელი გახდა, მაგრამ მას ურთიერთობა გაუფუჭდა ოტო რეჰაგელთან. ახალგაზრდა ნახევარმცველი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მას მცირე სათამაშო დრო ეძლეოდა. მიუხედავად ამისა, ის მიხაელს ნიჭიერ მოთამაშედ მიიჩნევდა. სხვათა შორის, უკვე მომდევნო ჩემპიონატში, რეჰაგელი ბალაკს მაქსიმალურად ტვირთავდა. აღმოსავლეთგერმანელმა ნახევარმცველმა ჩემპიონთა ლიგაშიც იასპარეზა, სადაც „კაიზერსლაუტერნი“ მეოთხედფინალამდე მივიდა. საინტერესოა ის, რომ ბალაკს მოედანზე ერთი რომელიმე გამოკვეთილი პოზიცია არ ეკავა — საყრდენ ჰავბეადაც თამაშობდა და გამთამაშებლადაც, ხანდახან კი, ფლანგზეც მოქმედებდა. მთავარ მწვრთნელთან მისი დამოკიდებულება კვლავაც დაძაბული იყო. ამიტომ, სპორტული გამოცემები ბალაკს სხვა გუნდში გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. 1999 წელს მიხაელის შეძენის სურვილით „კაიზერსლაუტერნს“ ლევერკუზენის „ბაიერმა“ მიმართა. მალე იგი ლევერკუზენელთა კლუბის კუთვნილება გახდა.

ახალ გუნდში ადაპტირება მიხაელმა მალე მოახერხა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ახალგაზრდა ნახევარმცველს მწვრთნელი კრისტოფ დაუმი სრულ ნდობას უცხადებდა. ბალაკი ძირითადი შემადგენლობის წამყვან მოთამაშედ იქცა, რომელიც კარგად მოერგო „ბაიერის“ თავკაცის სათამაშო სქემას, თანაც მას შესაძლებლობა მიეცა, რომ თავის საყვარელ ამპლუაში, — საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ესპარეზა. 1999-2000 წლები ფეხბურთელის კარიერაში გარდამტეხი აღმოჩნდა: თუ მანამდე მიხაელი პერსპექტიულ, ნიჭიერ მოთამაშედ მიიჩნეოდა, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მასზე ისე ალაპარაკდნენ, როგორც ნამდვილ ოსტატზე. თავად ფეხბურთელის მოსაზრებით, ამაში უდიდესი წვლილი მიუძღოდა დაუმს. თუმცა, ისევ 1999-2000 წლების სეზონს დავუბრუნდეთ, რომლის დასაწყისშიც მიხაელმა ტრავმა მიიღო და გერმანიის ჩემპიონატის სტარტზე, არაერთი მატჩი გამოტოვა. მისმა არყოფნამ უარყოფითად იმოქმედა გუნდის თამაშზე ჩემპიონთა ლიგაში — „ბაიერმა“ ტურნირის ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა.

გამოჯანმრთელებისთანავე ბალაკი ჩინებულად ათამაშდა. ლევერკუზენელები მიზანმიმართულად მიიწევდნენ ჩემპიონის ტიტულის დასაუფლებლად, თანაც შთამბეჭდავ, შემტევ ფეხბურთს აჩვენებდნენ. თავად მიხაელი რეგულარულად ხვდებოდა გერმანიის ნაკრებში და კრიტიკოსებისგან მაღალ შეფასებასაც იღებდა. სამწუხაროდ, ბოლო ტურში ლევერკუზენელებმა მოკრძალებულ „უნტერჰაჰინგთან“ წააგეს (0:2), თანაც, ბედის ირონიით, ბალაკმა ავტოგოლი გაიტანა (არადა, „ბაიერს“ პაექრობის ფრედ დას-



რულებაც ხელს აძლევდა). აღსანიშნავია ისიც, რომ იმ სეზონის ბოლოს, გამარჯვებას ყველა ლევერკუზენულ კლუბს უწინასწარმეტყველებდა, ხოლო მიუნხენის „ბაიერნის“ ქომაგებს იმედი გადაწურული ჰქონდათ. ერთი სიტყვით, „ბაიერნი“ ჩემპიონი გახდა... „უნტერჰაჰინგთან“ ჩატარებულ პაექრობას ბალაკი თავის კარიერაში ყველაზე ცუდ მატჩად მიიჩნევს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სწორედ მისი ავტოგოლის წყალობით დაწინაურდა „ბაიერის“ მეტოქე.



მიხაელისთვის კიდევ ერთ დიდ იმედგაცრუებად იქცა ბელგიასა და ჰოლანდიაში, 2000 წელს ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც გერმანელებმა მეტისმეტად წარუმატებლად იასპარეზეს. ბალაკმა მხოლოდ 18 წუთი დაყო მოედანზე ინგლისელებთან შეხვედრაში (0:1), ხოლო პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან დაპირისპირებისას (0:3), პირველ ტაიმში ითამაშა.

2000-2001 წლების სეზონში, გერმანულ ფეხბურთში დიდი სკანდალი მოხდა. როგორც მაშინ გაირკვა, კრისტოფ დაუმი, რომელიც 2001 წლის ზაფხულიდან ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს უნდა ჩასდგომოდა სათავეში, კოკაინს მოიხმარდა. ამ ამბავმა უარყოფითად იმოქმედა „ბაიერზე“. სეზონის მსვლელობისას მწვრთნელის დაკარგვის გამო, გუნდმა წარუმატებლად იასპარეზა არა მარტო ბუნდესლიგაში, არამედ ჩემპიონთა ლიგაშიც. მიუხედავად ამისა, სწორედ იმ პერიოდში, მიხაელმა ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი.



ფეხბურთელისთვის აღმასვლის დაწყების ეტაპი 2001-2002 წლების სეზონი გახლდათ, როდესაც ის მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავად იქცა, რასაც ხელი შეუწყო როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონეზე შთამბეჭდავმა თამაშმა. პარადოქსი კი ის გახლდათ, რომ „ბაიერმაც“ და ნაკრებმაც ოთხ ტურნირში მხოლოდ მეორე ადგილები დაიკავეს. ლევერკუზენელთა ახალ მთავარ მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერი დაინიშნა. ამჟამად უკვე საქართველოს ნაკრების თავკაცმა, ერთ წელიწადში მართლაც შესანიშნავ შედეგს მიაღწია — მის ხელში განსხვავებულად ათამაშდა ბალაკი, რომელიც შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა დაცვაში მოქმედებას, სულ უფრო ხშირად ერთვებოდა იერიშებში, ასრულებდა საჯარიმოებსა და თერთმეტმეტრიან დარტყმებს. „ბაიერის“ ცენტრალური ნახევარმცველების ტრიო „შავი სამუშაოს“ შემსრულებელმა კარსტენ რამელოვმა, პლეიმეიკერმა ილდირაი ბაშთურქმა და ბალაკმა შეადგინეს. ფლანგებიდან აქტიური მხარდაჭერით ისინი მეტოქის დაცვას ადვილად არღვევდნენ.

ბუნდესლიგის 29 მატჩში ბალაკმა 17 გოლი გაიტანა, მაგრამ არანაკლებ შედეგიანად თამაშობდა ის გერმანიის თასის გათამაშებასა და ჩემპიონთა ლიგაში. მისი უძლიერესი დარტყმები დიდ პრობლემებს უქმნიდა ნებისმიერი მეტოქის დაცვასა და მეკარეს. ჩემპიონთა ლიგაში „ლევერკუზენმა“ ნამდვილი ფურორი მოახდინა, როდესაც ჯგუფურ ეტაპზე ისეთი გრანდები დაჯაბნა, როგორებიც „ლიონი,“ „დეპორტივო“ და „იუვენტუსია,“ შემდეგ კი, მეოთხედფინალში „ლივერპულსაც“ სძლია, ნახევარფინალში „მანჩესტერი“ ჩამოიშორა გზიდან. ფინალურ შეხვედრაში, კლაუს ტოპმიოლერის გუნდი მადრიდის „რეალთან“ დამარცხდა. „ბაიერის“ წარმატებაში ბალაკს დიდი წვლილი მიუძღოდა. იმავე 2002 წელს, გერმანიის ჩემპიონატის ფინიშზე, „ბაიერმა“ „ვერდერთან“ (1:2) და „ნიურნბერგთან“ (0:1) წააგო, რითიც „ბორუსიამ“ ისარგებლა და პირველი ადგილი დაიკავა. ფატალური უიღბლობა გერმანიის თასის გათამაშებაშიც გაგრძელდა: ფინალურ პაექრობაში ბალაკი მოედნიდან გააძევეს, ხოლო „ბაიერმა“ „შალკე 04“-თან წააგო (2:4).



2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, გერმანიის ნაკრები ფავორიტად არ მიიჩნეოდა. უფრო მეტიც, ბუნდეს-გუნდს ბევრი ფიასკოს უწინასწარმეტყველებდა. მიუხედავად ამისა, ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა, რუდი ფიოლერმა მოთამაშეებს შორის მეგობრული ატმოსფეროს შექმნა მოახერხა და კორეასა და იაპონიაში ნამდვილი გერმანელები ჩაიყვანა — ბოლომდე მებრძოლები, გამარჯვებისთვის შემართულები, დისციპლინირებულები. ქომაგებს კარგად ემახსოვრებათ ნახევარფინალურ დაპირისპირებაში, სამხრეთ კორეელებთან ბრძოლისას ბალაკის მიერ მიღებული ყვითელი ბარათი (პლეიოფში მეორე), რომლის გამოც, ნახევარმცველმა ფინალში მონაწილეობა ვერ მიიღო. სულ, 2002 წლის მუნდიალზე ჩატარებულ 6 მატჩში, მიხაელმა 3 გოლი გაიტანა.

ფეხბურთელისთვის წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა მიუნხენის „ბაიერნში“ ჩატარებული პირველი სეზონი. გუნდმა წარმატებას მიაღწია ბუნდესლიგასა და გერმანიის თასის გათამაშებაში, მაგრამ წარუმატებლად გამოვიდა ჩემპიონთა ლიგაში. თავად მიხაელი შესანიშნავად თამაშობდა და სეზონის ბოლოს, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

დღეს მიხაელ ბალაკი ლონდონის „ჩელსისა“ და გერმანიის ნაკრების წამყვან მოთამაშედ მიიჩნევა. იგი დაქორწინებულია სიმონეზე, რომელთანაც ორი ბავშვი ჰყავს — 2001 წელს დაბადებული ემილიო და 2002 წელს დაბადებული ლუი. მიხაელის საყვარელი საავტომობილო მარკა „მერსედესია“. ის უპირატესობას იტალიურ სამზარეულოს ანიჭებს. ამბობენ, რომ მისი მთავარი ქომაგი ბაბუამისია, რომელიც სახელოვანი შვილიშვილის შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ ყოველგვარ პუბლიკაციასა და ფოტოს აგროვებს. ბალაკს ძალიან უყვარს ცხოველები, განსაკუთრებით კი, თავისი ძაღლი, სახელად — სანჩო. ამავე დროს, გერმანიის ეროვნული გუნდის ლიდერი ვერ იტანს სიმფსონების ოჯახის შესახებ გადაღებულ სერიალს. თავისუფალ დროს ის ხშირად კალათბურთისა და გოლფის თამაშით ერთობა. უყვარს მოგზაურობა, მუსიკა და ინტერნეტში „ხეტიალი“. ■



# ჩურჩული სარდაფიდან გვიშველეთ!

## რობერტ არტური

მართა ჰელსი ალბათ მეათედ მაინც კითხულობდა თავისი სუსტი ხმით, გაზეთ „დელვილ უიკლი კოლში“ იმ დღეს დაბეჭდილ განცხადებას: „უძრავი ქონების ფირმა „ბოგზი და ბოგზი“ იტყობინება, რომ აუქციონზე გამოდის ჰელსის ძველი სახლი, რომელიც მდებარეობს სასამართლოს შენობის პირდაპირ. სახლი მისების — მართა და ლუიზა ჰელსის — ჯ.ხ.ა. ჰელსის ქალიშვილების საკუთრებაა. ყიდის მისი ძმისშვილი, მისის ელენ ჰელსი-ბოდვინი“.

ამ დროს ლუიზა, რომლის დამჭკნარი ხელები საქმით იყო დაკავებული — სავარძელში ჩამჯდარი, გადასაფარებელს კემსავდა. გარედან ძლიერი ქარის წუილისა და ძველი სახურავის რახუნის ხმები შემოდიოდა.

იმ მომენტიდან, როცა საუზმემდე ელენმა გაზეთი შემოიტანა, დებს ამ განცხადების კითხვის გარდა, აღარაფერი უკეთებიათ... თავიდან ლუიზა ფიქრობდა, რომ რაღაც შეცდომასთან ჰქონდათ საქმე, მაგრამ მართამ მხოლოდ ჩაიქირქილა. შემდეგ, ლუიზას სურდა, ელენი ეხმო და ყველაფერი მისგან გაეგო, მაგრამ მართამ რატომღაც, ამის უფლება არ მისცა.

ბოლოს, ბევრი ფიქრის, ბჭობისა და დამღლელი, უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვების შემდეგ, მართამ გააანალიზა ყველაფერი, რაც ბოლო 6 თვის განმავლობაში ხდებოდა, ამას დაამატა საბრალო კვინის სიკვდილიც, რომელმაც ისინი წინა კვირას დატოვა და მისთვის ყოველივე ნათელი გახდა.

თუმცა, სანამ რაიმეს იტყოდა, მან კიდევ ერთხელ კარგად აწონ-დაწონა ყველაფერი. შემდეგ მშვიდად და აუღელვებლად მიმართა დას:

— ლუიზა, მე დავრწმუნდი, რომ როჯერსა და ელენს ჩვენი მოკვლა უნდათ.

— მოკვლა?!

ლუიზა, რომელიც ინვალიდის სავარძელში იჯდა, მას გაოცებული მიშტერებოდა. მას სახეზე ეჭვი აღბეჭდვოდა.

— ო, არა, მართა!

— დარწმუნებული ვარ, — თქვა მართამ.

სახის ნაკვთები, რომლებიც ქვისგან გამოთლილივით გამოჰკვეთოდა, კიდევ უფრო გაუმკაცრდა. ოთხმოცს იყო მიღწეული, მაგრამ მის ცისფერ თვალებს უწინდელი ელვარება ჯერაც არ დაჰკარგვოდა.

— ახლა ვხვდები, რატომაც გვთხოვდნენ ასე დაჟინებით როჯერი და ელენი, რომ ჩვენი ბინიდან მათთან გადმოვსულიყავით, — თქვა მან, — და რატომ გვარწმუნებდნენ, რომ ქონებრივი უფლებების განკარგვა მთლიანად მათთვის გადაგვეცა. იმას კი, რაც ჩვენს მემკვიდრეობას ეხებოდა, უმნიშვნელო დეტალებს უწოდებდნენ... თუ ფაქტებს გავაანალიზებთ, ჭეშმარიტების დადგენა ადვილია: პირველ რიგში, როჯერმა და ელენმა ძველი მეგობრები და მეზობლები ჩამოგვაცილეს. ახლა უნდათ, რომ სახლი გაგვიყიდონ. მალე, ძალიან მალე ჩვენს აქციებსაც მიადგებიან.

— სანამ ცოცხლები ვიქნებით, ამას ვერ იზამენ! — ამოიოხრა ლუიზამ.

— საქმეც ეგაა...

მართა წამოდგა და ხელჯოხზე დაყრდნობილმა, ოთახის კარი გამოაღო, რომელიც მათ საძინებელი ოთახის მაგივრობასაც უწევდა და სასტუმრო ოთახადაც ექციათ. შემოდგომის ქარი სახლის გარშემო მდგარი ხეების შიშველ ტოტებს ათამაშებდა. მართამ ფანჯარა გამოაღო.

— ტობი! — გასძახა მან. — ტობი, ჩემთან!

მაგრამ ვერც კნავილი გაიგონა და ვერც მისკენ გამოქცეული, რბილბეწვიანი, მრგვალი არსება დაინახა... მართამ ფანჯარა მიხურა და თავის დის სავარძელთან დაბრუნდა, რომელიც მაგიდის გვერდით იდგა. მაგიდაზე დადგმული დიდი ნავთის ლამპა ოთახს კარგად ანათებდა.

— ჯერ კვინი, — თქვა მან უიმედოდ. — ახლა კი — ტობი!.. გეუბნები, ლუიზა, ხვალ ან ზეგ, როჯერი მკვდარ ტობის მოათრევს და ისე მოგვაჩვენებს თავს, თითქოს საშინლად წუხს. ზუსტად ისევე, როგორც წინა კვირას, როცა მოწამლული კვინი მოიყვანა.

მართამ დას მკაცრი მზერა მიაპყრო. ლუიზას თვალები ცრემლით ავსებოდა.

— საწყალი კვინი, — ჩაიდუდუნა მან. — როჯერმა თქვა, მან ალბათ მოწამლული ხორცი შეჭამა, რომელიც ფერმერმა მიუგდოო. ეს სიმართლეა, მართა, ფერმერები მართლაც...

— არ მჯერა, რომ კვინის ქუჩაში რაიმე შეიძლებოდა ეჭამა, ისე იყო მთელი 8 წლის განმავლობაში ჩვენი ხელიდან ჭამას მიჩვეული. ასე არაა? — იკითხა მართამ. — კვინი ჭკვიანი კატა იყო! მე გეტყვი, ვინ მოწამლა. როჯერმა და სხვამ არავინ!

ლუიზა დას თვალს არ აცილებდა. ქარი კი სახლის გარშემო „დაბორიალებდა“.

— რატომ, რატომ?

— დაუკვირდი ყველაფერს, რაც ბოლო დროს მოხდა და შენთვის ნათელი გახდება: ერთ დღეს სუსტად ხარ და ადგილს ვერ პოულობ, მერე კვლავ კარგად ხდები; ორი დღის შემდეგ, ისევ ცუდად ხარ. როგორ ახსნი ამას?

— როცა სამოცდათხუთმეტს გადააბიჯებ...

— სისულელეა: როცა ჩვენს სახლში ვცხოვრობდით, ასე ცუდად არ ხდებოდი.

— ჰო... ასეა.

— დარწმუნებული ვარ და შენც მინდა შეგახსენო, რომ როჯერი — ფარმაცევტია. მშვენივრად იცის პრეპარატების მოხმარება და საწამლავებთანაც აქვს საქმე.

— ო, არა, მართა!

— ის ძალიან ჭკვიანია. ყველაფერს ისე აკეთებს, რომ ერთხელაც, მშვიდად ჩავახველებთ და მოვკვდებით, თითქოს ბუნებრივი სიკვდილით, — ბოლო სიტყვები მართამ ჩაიჩურჩულა. — ყველა შენი სიმპტომი, ლუიზა, ქრონიკული მოწამვლის მანიშნებელია, ვფიქრობ, დარიშხანით. კვინი შენი თეფშიდან ხშირად ჭამდა და რადგან შენზე პატარა იყო, შენზე ადრე მოკვდა. შენ კი, მხოლოდ დაავადდი. როჯერმა კი ზღაპრები მოგვიყვა, ვითომ ვიღაც ფერმერის მიერ გადაგდებულმა, მოწამლულმა სატყუარამ მოკლა. — განრისხებისგან მართა მძიმედ სუნთქავდა. — ტობისაც იგივე გაუკეთა. მაგრამ ტობი რომ ჩვენ თვალწინ დაავადებულიყო, აუცილებლად დავეჭვდებოდით. ამიტომაც გადაწყვიტა, სხვანაირად მოეცილებინა თავიდან და საცოდავი ტობიც უგზო-უკვლოდ გაქრა.

— რა საზიზღრობაა! — ამოიოხრა ლუიზამ. — დარწმუნებული ხარ?

— თუ დავაკვირდებით და იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ როჯერმა გუშინ ახალი მანქანა შეიძინა...

— ის ახალი არ არის, — არ დაეთანხმა ლუიზა, — იმას უკვე ჰყავდა პატრონი. როჯერს კი მანქანა აუცილებლად სჭირდება.

— სურათი ნათელია. საჭიროება... როჯერს და ელენს ფული სჭირდებათ. შენ იცი, რა ცოტას უხდიან როჯერს მისტერ ჯებვეის აფთიაქში? აი, ფაქტები: როჯერი ამ ქალაქში ორი წლის წინ ჩამოვიდა საიდანღაც. გაიცნო ელენი და ისიც ცოლად გაჰყვა... ნუ დავხუჭავთ თვალს იმაზე, რომ ელენი ბევრს არაფერს წარმოადგენს. რით უნდა დაეინტერესებინა როჯერი?.. მე ბევრი მიფიქრია ამაზე. ახლა კი მჯერა — იმით, რომ ის ჩვენი ერთადერთი ნათესავ-

ია, ჩვენ კი — დიდი სახლის მეპატრონეები ვართ და ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, აქციებს დავტოვებთ. ასე რომ, როჯერმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. მან იმიტომ შეირთო ელენი, რომ მომავალში ჩვენი ქონება მიითვისოს, როცა ორივეს მოგვწამლავს.

— შესაძლოა, მართალიც ხარ, — თქვა ლუიზამ, მაგრამ დამჭკნარ სახეზე მაინც ეჭვი გამოესახა. — მაგრამ ის ისეთი უშუალოა... ძალზე კეთილგანწყობილი ჩანს. მამაკაცები ხშირად როდი ქორწინდებიან ელენისნაირი გარეგნობის ქალებზე.

მართამ თავისი გაძვალტყავებული თითი ასწია.

— ელენი მაგრად შეიცვალა. შეამჩნიე, როგორი გულჩათხრობილი გახდა? როგორ არიდებდა თავს სახლზე ლაპარაკს!.. როგორ გადახედავენ ხოლმე ერთმანეთს და ფიქრობენ, რომ ვერაფერს ვამჩნევთ. როგორც კი ფულზე ვიწყებთ ლაპარაკს, ისინი იმწამსვე თემას ცვლიან. — მართამ ხმას დაუწია და განაგრძო: — სულ დამავიწყდა — შესაძლოა, კარზეც მოაყურადონ... მოკლედ, როგორც უკვე ვთქვი, თუ ფაქტებს დავუკვირდებით... რა ბედნიერები ვიყავით ჩვენს სახლში! გახსოვს, გასულ ზაფხულს ისინი ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ, რომ ჩვენი ბედი აწუხებდათ. ამბობდნენ, რომ ჩემი კოჭლობისა და შენიართრიტის გამო, ჩვენი მარტოდ დატოვება აღარ შეიძლებოდა. სისულელეა!.. ამ დროს, აქციების ნაწილს რომ შევლეოდით, იმ ფულით მომვლელსა და მზარეულსაც კი დავიქირავებდით. მაგრამ — არა! ჩვენ, ორი ტუტუცი მოხუცი, დავთანხმდით გადაგვეცა მთელი ჩვენი ქონებრივი უფლებები ელენისთვის და აქ გადმოვსულიყავით. ახლა მთელ ქვეყანას მოწყვეტილები ვართ. არავის ვხვდებით და ვერც ვერსად გასვლას ვახერხებთ. არც ფოსტას ვიღებთ. მოსამართლეც კი არ შემოივლის ხოლმე ჩვენს სანახავად... მეც ავდექი და ამ 3 დღის წინ წერილი მივწერე, რომელშიც ვთხოვდი, რომ... არა, კი არ ვთხოვდი, ვემუდარებოდი — მოსულიყო. მივწერე, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რალაცის თქმა მსურს.

— მოსამართლე ბეკს მისწერე? — გაოცდა ლუიზა. — ჩემთვის არაფერი გითქვამს ამის შესახებ.

— იმიტომ, რომ არ მინდოდა, ჩემი ეჭვები შენთვისაც მომეხვია თავზე. ახლა კი დარწმუნებული ვარ და მინდა, მოსამართლეს ყველაფერი ვუამბო, თუკი ვნახავ... მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ როჯერს ჩემი წერილი მოსამართლისთვის არ გადაუცია.

მართამ პირი მოკუმა.

— ეტყობა, დიდხანს არ მოგვიწევს ლოდინი. როჯერი ბევრს აღარ მოითმენს. ნათელია — მისი გეგმა ჯერ შენს მოშორებას ითვალისწინებს, მერე კი, ჩემი ჯერიც დადგება. ამაში ერთი წუთითაც აღარ მეპარება ეჭვი.

— ოჰ, მართა! — წარმოთქვა ლუიზამ და ცისფერი თვალები აახამხამა.

— უნდა დაველაპარაკო და ვნახოთ ერთი, რას იტყვიან. ო, არა, მე არ ვაპირებ მათთვის ბრალის წაყენებას, მაგრამ ჩვენ მათი პასუხებიდან მივხვდებოდით, რა ჩაიფიქრეს.

მართამ დერეფნის კარი გამოაღო, რომელიც მომცრო ჰოლში გადიოდა და სახლის ცენტრალურ ნაწილს უკავშირდებოდა და გასძახა:

— როჯერ! ელენ!

— დიახ, მამიდა! — გასცა პასუხი ახალგაზრდა ქალმა.

მართა თავის ადგილს დაუბრუნდა და მალე ელენიც გამოჩნდა — ახალგაზრდა ქალი, რომელსაც შავი თვალები და წაგრძელებული ნიკაპი ჰქონდა. იგი წინსაფარზე ხელის წმენდით, გაღიმებული შემოვიდა და ყურადღებით დააცქერდა მამიდებს.

— ერთ წუთიც და ვახშამი მზად იქნება.

— მშვენიერია, ელენ, — უპასუხა მართამ, — მაგრამ ჩვენ გვინდოდა, როჯერს დავლაპარაკებოდით.

— მეძახდით?

ჰოლში მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა და ისიც გამოჩნდა. ტანდაბალი, ხუჭუჭათმიანი როჯერი სიცოცხლით სავსე კაცის შთაბეჭდილებას დატოვებდა, რომ არა ღრმა ნაოჭი პირის გარშემო და მსხვილჩარჩოიანი სათვალე.

— აი, მეც აქ ვარ, მამიდებო... რით



შემიძლია გემსახუროთ? — როჯერმა ცოლს წელზე ხელი შემოხვია, დებს კი გაუღიმა. ბაგე უცინოდა, მაგრამ სათვალის მინებისგან გადიდებული თვალები თითქოს სხეულში ატანდა...

— ჩემი სამი მშვენიერი გოგონა, ჩემი პატარა ჰარამხანა... — იანგლა მან და მკერდზე მიიკრა ელენი.

— როჯერ, ძალიან მიკვირს, რატომ არაფერი ისმის ბეკისგან, მოსამართლისგან? — ჰკითხა მართამ. — ჩემი წერილი გადაეცი?

— არა.

აშკარა იყო — როჯერი დაიბნა.

— მის მდივანს დავუტოვე, რის შესახებაც თქვენთვის ახლა უნდა მეთქვა. მოსამართლე წასულია ქალაქიდან.

— წასულია?! — წამოიძახა ლუიზამ, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა როჯერს.

კაცს ხველა აუტყდა და ლუიზამაც შენიშნა, თუ როგორ გადახედეს ერთმანეთს მან და ელენმა.

— ბოსტონში წასულა. მდივანმა მითხრა — ძალზე მნიშვნელოვანი საქმე აქვსო.

— მოსამართლეს ბოსტონში კლიენტები რომ არ ჰყავს! — მტკიცედ თქვა მართამ.

— ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, — უპასუხა როჯერმა, თუმცა შეეტყო, როგორ გაუჭირდა ამის თქმა.

— და როდის უნდა დაბრუნდეს? ბეკი ხომ ამ ქალაქს ვერ იტანს?!

— ორიოდ დღეში, — სწრაფად უპასუხა როჯერმა. — როგორც კი დაბრუნდება, თქვენს წერილს მაშინვე გადასცემენ.

მართამ ლუიზას გახედა და თავიც ოდნავ დაუქნია, რითიც ანიშნა, რომ კარგად ხვდებოდა, თუ როგორ არიდებდა პასუხებს თავს როჯერი.

— როჯერ, ამ გაზეთში გამოქვეყნებულია განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ელენმა ჩვენი სახლი გასაყიდად ბოგზებს შესთავაზა. მან ჩვენი ქონების მართვის განკარგვის უფლება გამოიყენა. მაგრამ ეს შეცდომაა.

მათ კვლავ შენიშნეს, თუ როგორ სტყორცნეს ერთმანეთს მზერა როჯერმა და ელენმა. როჯერი აშკარად დაბნეული იყო.

— მართა, — თქვა მან, — სახლი გასარემონტებელია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენთან თავს ბედნიერად გრძნობთ და თანახმა იქნებით, რომ სახლი გაიყიდოს.

— როჯერ!

მართა წამოდგა, ის ხელჯოხს ეყრდნობოდა და როჯერს პირდაპირ სახეში უმზერდა. კაცმა ველარ გაუძლო მის გამოხედვას.

— გაიხსენე — ჩვენ მხოლოდ იმ პირობით დაგთანხმდით, შენთან და ელენთან გვეცხოვრა, თუ ნებისმიერ დროს შეგვეძლებოდა ჩვენს სახლში დაბრუნება. ასე არ იყო, ელენ?

— კი, რა თქმა უნდა, — თქვა ელენმა, თან ხელით წინსაფარს აწვალებდა.

— ეს კი იმას ნიშნავს, რომ სანამ ცოცხლები ვიქნებით, სახლი არ უნდა გაიყიდოს.

— ჩვენ უკან დაბრუნება გვინდა! — თქვა ლუიზამ, რომელსაც ხმა უკანკალებდა.

— ო, არა! მართა მამიდა! — ხმას აუწია ელენმა. — ეს არ შეიძლება!

— რატომ ვითომ? — გაოცება გამოხატა მართამ.

— იმიტომ, რომ ზამთარია, — თქვა როჯერმა, რომელსაც თავი ხელში აეყვანა, — სახლში გათბობის ახალი სისტემაა დასამონტაჟებელი, ეს კი ბევრ დროს მოითხოვს. მომავალ ზაფხულს ალბათ, ამის შესაძლებლობა გვექნება. გაყინულ სახლში როგორ გაძლებთ?

ის ლამის იხვეწებოდა, ნაოჭიც, ტუჩების გარშემო, თითქოს უფრო მეტად ჩაუღრმავდა.

— გარდა ამისა, ელენი მეუბნებოდა, რომ თქვენ თვითონ გინდოდათ ჩვენთან ცხოვრება. ჩვენ გვგონია, რომ თქვენ აქ ბედნიერები ხართ, რომ მარტონი აღარ ხართ.

მართამ გამოხედვით შეაჩერა ლუიზა, რომ მას ზედმეტი არაფერი წამოსცდენოდა.

— ჩვენ ამაზე ვფიქრობდით და ამ საკითხზე მოსამართლე ბეკთანაც გვილაპარაკია, — თქვა მან.

— ელენ, ვახშმის დროა. საღამოს ისევ აფთიაქში უნდა დავბრუნდე. მისტერ ჯებვეის გრიპი აქვს.

როჯერი და ელენი ოთახიდან გავიდნენ. მართა ლუიზას მიუბრუნდა:

— ახლა დარწმუნდი? ხომ მეთანხმები?

— ოჰ, კი! — ამოიოხრა ლუიზამ. — ძვირფასო, ის ისე ცრუობდა!.. ვითომ, რატომ მუშაობს ჩვენი გათბობის სისტემა ცუდად?! მას ხომ არასოდეს შევუწუხებივართ მას შემდეგ, რაც მამამ დაამონტაჟებინა — თითქმის 27 წლის წინ!

— ან კი, რომელი განსაკუთრებული შემთხვევის გამო გაემგზავრა მოსამართლე ბეკი ბოსტონში?.. — დამცინავად იკითხა მართამ და გამომცდელად შეხედა დას. — შეამჩნიე, რა უცბად გადაწყვიტა როჯერმა, რომ დღეს საღამოს აფთიაქშია დასაბრუნებელი? ამით სხვა მწვავე შეკითხვებს აარიდა თავი. აშკარაა — მას შხამი დასჭირდა და აფთიაქში ამისთვის მიბრძანდება.

— მართა! — ლუიზამ თითების ბოლოებზე იკბინა.

ღამით დებს ცუდად ეძინათ. მართა რამდენჯერმე წამოდგა, ხალათი მოისხა და ფანჯარასთან მივიდა, რომ კვლავ ტობისთვის ეხმო, მაგრამ — ამაოდ.

— ტობი გაქრა, — აცნობა მან ლუიზას. — მას ვეღარასოდეს ვნახავთ.

— საცოდავი ტობი.

ლუიზას თვალზე ცრემლი მოადგა.

— რატომ არიან ისინი ასეთი სასტიკნი?! მახსოვს, ელენი მუდამ საოცრად თბილი იყო.

— იყო, — თქვა მართამ. — როჯერმა მას სულ მთლად შეუცვალა ხასიათი. ქალი ხშირად განიცდის ქმრის გავლენას.

— მაგრამ ნუთუ შეიძლება, როჯერს ჩვენს დახოცვაში დაეხმაროს?..

— ჯერჯერობით, ისინი კატებს დაერივნენ. ჩვენ კი შეგვიძლია, ხელი შევუშალოთ ჩვენს მოკვლაში. მე კარგი გეგმა მაქვს შემუშავებული. — მართას ხმა გაუმკაცრდა. — არ მინდოდა, ის გამომეყენებინა, მაგრამ ვგრძნობ, რომ იძულებული ვიქნები.

ჰოლში ნაბიჯების ხმა გაისმა და ლანგრით ხელში ელენი შემოვიდა.

— დილა მშვიდობისა, — თქვა მან და ჭურჭელი მაგიდაზე დადგა. ეტყობოდა, რომ წუხელ მასაც ცუდად ეძინა.

— მოხარშული კვერცხი, ნამცხვარი და ჩაი, გემრიელი და კალორიული. იცით, წიწილების ჯამში დატოვებული საკვები ამ დილით გაყინული დამხვდა...

— ჩვენ საერთოდ არ გვძინებია, — აცნობა მართამ. — ტობის გამო ვნერვიულობდით.

— ძვირფასო, ის არ დაბრუნებულა? — ჩანდა, რომ ელენი ნამდვილად შეწუხდა. — იმედია, არ დაიკარგებოდა. მინდა ვთქვა, რომ გზა არ აებნეოდა. ვფიქრობ, მალე გამოჩნდება.

— არ შემიძლია ჭამა, ნამდვილად, ლუკმის ჩადებაც კი, — ჩაილაპარაკა ლუიზამ ელენის გასვლის შემდეგ. ის ანგარიშმიუცემლად ჩხვლეტდა თეფშზე დადებულ ნამცხვარს.

— თავს უნდა გავუფრთხილდეთ, ძალა გვჭირდება, — თქვა მართამ. — შეჭამე მოხარშული კვერცხი. შენი ხელით გაფცქვნი — მაშასადამე უსაფრთხოა და ჩაი დააყოლე.

— ვეცდები.

ლუიზამ კვერცხი შეჭამა და ცოტა ჩაიც დალია. მოეჩვენა, რომ ის ძალიან მაგარი იყო. მართამ ყველაფერი მიირთვა, ჩაის გარდა.

— როგორ გგონია — ვერ შევძლებთ ტელეფონამდე მისვლას და მოსამართლესთან დარეკვას? — იკითხა ლუიზამ საუზმის შემდეგ.

— შენ დაგავიწყდა?.. — მართამ მას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. — გასულ თვეში როჯერმა ტელეფონი გამორთო.

— ჰო, მართალია! — წამოიძახა ლუიზამ. — მიუხედავად იმისა, რომ შევთავაზეთ, ჩვენ თვითონ გადაგვეხადა გადასახადი... ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომლითაც სამყაროს მოგვწყვიტა.

— ჩვენ აბსოლუტურად წართმეული გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ვინმეს დახმარება ვთხოვოთ! — წამოიძახა სასოწარკვეთილმა ლუიზამ.

— ჰო, ასეა. გახსოვს, გითხარი, რომ არ მინდოდა იმ გეგმისთვის მიმემართა, მაგრამ იძულებული ვარ... კარგი, შენ გადასაფარებელს მიხედე, მე გაზეთს წავიკითხავ. ყურადღებით უნდა მომისმინო. რით დავიწყო?

— ნეკროლოგებით, — მიუგო ლუიზამ. — ნახე ერთი, ჩვენი ნაცნობებიდან ხომ არავინ გარდაცვლილა? — და უეცრად, გაღიზიანება დაეტყო: — ვერანაირ სიახლეს ვერ ვიგებთ! მერი ტომპსონი მოგვიყვებოდა, მაგრამ მას მანქანა არ ჰყავს...

მართას დაჟინებულმა მზერამ ლუიზა გააჩუმა.

— რა არის?

— მერი ტომპსონი...

— ის გარდაიცვალა? — იკითხა აღელვებულმა ლუიზამ.

— არა, — ტუჩები მოკუმა მართამ. — მაგრამ ერჩივნა, მომკვდარიყო. გაზეთი იტყობინება, რომ ის თავშესაფარშია.

— ო, არა! — წამოიკივლა ლუიზამ. მართამ თავი დაუქნია.

— ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ — საკუთარი ნებით. წარმოიდგინე, მისი ასაკის ქალი, ასეთ საშინელ ადგილას!.. გადავსებული, დამყაყებული თავშეფარი, ვირთხების ფუთფუთი... ოლქის უღარიბესი სახლი. საზოგადოებისთვის სამარცხვინო დაწესებულება! უეჭველად დაიღუპება იქ...

— საცოდავი მერი, — დანანებით თქვა ლუიზამ. — რა დაუვიწყარი საღამოები გაგვიტარებია: ჩაის ვწრუპავდით, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, მის წინ კი, ჩვენი ფისუნიები ცელქობდნენ...

— ჩვენს სახლში რომ დავბრუნდეთ, მერიც ჩვენთან შეგვიძლია გადმოვიყვანოთ... მოახლეს ავიყვანდით და ბედნიერად ვიცხოვრებდით.

— ასეც იქნება, — თქვა მართამ. — და მერი ტომპსონსაც აღარ მოუწევს ამ საშინელ ადგილას დარჩენა.

კარგი ცხოვრების პერსპექტივამ ლუიზას დროებით გამოუკეთა განწყობილება. ჩაფიქრებულმა, ვერც შეამჩნია, როგორ იჩხვლიტა ნემსი, რომლითაც გადასაფარებელს კემსავდა. სწორედ ამან დააბრუნა სინამდვილეში.

— ცუდად ვარ.

ერთი წამით გარინდულიყო და შემდეგ, მავედრებელი მზერა მიაპყრო მართას.

— ისეთ სისუსტეს ვგრძნობ, ჯობს, ლოგინში ჩავწვე.

მართამ საწოლამდე მიაცილა და მაჯა გაუსინჯა.

— უკეთ ხარ? — ჰკითხა მან თანაგრძნობით.

— ისეთ სისუსტეს ვგრძნობ, — გაიმეორა ლუიზამ, — მთლად წამერთვა ძალა. ცუდად ვარ. იქნებ... იქნებ, მოწამლული ვარ?

უკანასკნელი სიტყვები სასოწარკვეთილ, შიშით სავსე ლუღლუღში გადავიდა, დები ერთიმეორეს დამფრთხალი უმზერდნენ.

— ჩაი... — თქვა მართამ. — ძალიან ჭკვიანია, ეს როჯერი, მაგრამ მე არ დამილევია ჩაი, შენ კი სულ ცოტა მოსვი... — მან ლუიზას მაჯაზე ხელი მოუჭირა.

— დარწმუნებული ვარ, რომ შენ არც ისე ცუდად უნდა იყო. არც იმდენი ჩაი დალიე, რომ მოწამლულიყავი. ყოველ შემთხვევაში, მე როჯერის გეგმა ამოვიცანი. ის ყველაფერს თანდათობით აკეთებს, რომ შექმნას ილუზია, თითქოს ავადმყოფობამ დაგვრია ხელი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, დაჟინებით მოვთხოვოთ მათ, რომ ექიმი რობერთსი მოგვიყვანონ. მერე ექიმს ვთხოვთ, მოსამართლე ბეკს დაუკავშირდეს.

— რა ჭკვიანი ხარ, მართა! — წამოიძახა განცვიფრებულმა ლუიზამ.

— სანამ მოსამართლეს არ ვნახავთ, არავინ არ უნდა იცოდეს, რომ როჯერსა და ელენზე ვეჭვიანობთ, — თავს იზღვევდა მართა. — როჯერი თუ მიხვდა, რომ მასზე ეჭვი გვაქვს, ის აღარ დაიცდის...

— კი, კი, რა თქმა უნდა.

მაგრამ როცა ელენი მოვიდა, ცხადი გახდა, რომ ის ექიმის გამოძახებას არ აპირებდა. სულ ლუიზას გვერდით ტრიალებდა და ხან ასპირინით ჭყეპდა, ხან ლოგინში ცხელ ბოთლებს უწყობდა. მაგრამ მართა დაჟინებით მოითხოვდა და, ბოლოს და ბოლოს, ელენი იძულებული გახდა, პალტო მოესხა და უახლოეს მეზობლებთან წასულიყო, ვისაც ტელეფონი ჰქონდა. მათ სახლამდე ორასიოდე მეტრი მაინც იქნებოდა.

ელენი მალე დაბრუნდა და თქვა, რომ ექიმი რობერთსი მშობიარე ქალთან წაუყვანიათ, მაგრამ როგორც კი გათავისუფლდებოდა, იმწამსვე მათთან წამოვიდოდა.

დრო იწელებოდა. ლუიზას მდგომარეობა არ უარესდებოდა. მაგრამ ქალი საწოლში რჩებოდა და ხანგამოშვებით კვნესოდა. მართა მაჯებს უსრესდა, შუბლს უმშრალებდა. და როცა ორივემ უარი თქვა ლანჩზე, ამან ელენი აშკარად გააბრაზა.

— თქვენ აუცილებლად უნდა ჭამოთ, — აძალებდა იგი. — ძალები უნდა აღიდგინოთ!

— მე კარგად ვისაუზმე, — თქვა მართამ, — და დარწმუნებული ვარ — თუ ლუიზა რაიმეს შეჭამს, უარესად გახდება. ჯობს, საერთოდ, არაფერი შეჭამო, ვიდრე მადა არ გქონდეს და ძალით გაჭმევდნენ.

ელენმა დაინახა, რომ ვერაფერს გახდებოდა და ნერვებმოშლილმა და ნაწყენმა, საჭმელი უკანვე წაიღო.

ექიმი რობერთსი მძიმედ სუნთქავდა და გადაღლილიც ჩანდა, მაგრამ მაინც დღისითვე მოვიდა. ის არც ისე მაღალი, ტანსრული კაცი იყო, გრძელი ჭაღარა თმით, მაგრამ დებზე ცოტათი უფრო ახალგაზრდა.

— რა მოხდა? აბა, მითხარით, რა მოხდა? — იკითხა მან საწოლთან დაჯდომისთანავე და ლუიზას პულსი გაუსინჯა. — მ-მ, პულსი ნერვულია. აბა, ენა მიჩვენეთ, ახალგაზრდა ქალბატონო!

მართა ცოტა შეშფოთდა, როცა ექიმმა რობერთსმა სტეტოსკოპი მოიმარჯვა და ლუიზას გულისცემის მოსმენას მიჰყო ხელი.

— რაიმემ აგანერვიულათ, ლუიზა? — იკითხა მან და ხელი ნიკაპზე მოიკიდა. — ელენმა მითხრა, რომ კატა დაგკარგვიათ.

— ის მოწამლეს, — თქვა მართამ. — ახლა კი, ტობიც გაქრა. ვშიშობთ, რომ ისიც მოწამლულია.

— მ-მ. ეს ცუდია. დარწმუნებული ვარ, რომ ამას ძალიან განიცდით... ახლა გამოგიწერთ წამალს, რომელსაც როჯერი მოგიმზადებთ. გაგიმართლათ, რომ ოჯახში ფარმაცევტი გყავთ და წამლებს ნახევარ ფასში იძენთ, ახლა წამლები ძალიან ძვირია.

— გამწარებული ვარ! — წამოიძახა ლუიზამ, როცა რეცეპტის ფურცელზე ექიმმა ბეჭედი დასვა. — ექიმო, მე...

მართამ ანიშნა, რომ დადუმებულიყო. ექიმს, რომელიც რეცეპტს წერდა, ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ექიმო, — შეეკითხა მართა, როცა მან თავისი სტეტოსკოპი შეინახა. — ხომ ვერ გადასცემდით მოსამართლე ბეკს ჩვენს თხოვნას?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მართა. რა თხოვნას? — ექიმი იდგა და თავზე ხელს ისვამდა.

— სთხოვეთ, რომ აუცილებლად გვეწვიოს ამ საღამოს. გადაეცით, რომ ამას ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

— სასიცოცხლო მნიშვნელობა? ჰმ. არ ივარგებს, ღამით გარეთ მისი გამოყვანა: საწყალი, მთლად გაიყინება.

— როგორ, ის ბოსტონში არ არის? — წამოიძახა ლუიზამ.

— ბოსტონში? საიდან მოიტანეთ? ის ამ დღეებში ძალიან ავად იყო და მე ვინახულე.

— სთხოვეთ, რომ ამ საღამოს აუცილებლად შემოგვიაროს! — არ მოეშვა მართა. — გადაეცით, რომ ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

— სიკვდილ-სიცოცხლის?! ჰმ... — გაკვირვებულმა ექიმმა წარბები ასწია. — კარგი, კარგი, თუკი შეძლებს... ოღონდ, ნუ ინაღვლებთ ამ ტობისა და კვინის გამო ასე ძალიან. აიყვანეთ ერთი-ორი კნუტი და ყველაფერი კარგად იქნება.

— ასეც მოვიქცევით, როცა ჩვენს ძველ სახლში დავბრუნდებით, — მტკიცედ თქვა მართამ. — მიყვარს მათი ცქერა, როცა ბუხრის წინ ცელქობენ...

— თქვენს სახლში? — ექიმმა მზერა ესროლა მართას. — რატომ გადაწყვიტეთ თქვენს სახლში დაბრუნება? ეს თქვენთვის ძალზე მძიმე ტვირთი იქნება. გაგიჭირდებათ. უმჯობესი იქნება, დარჩეთ და აქ იცხოვროთ. დამიჯერეთ, თქვენთვის ბევრად უკეთესი იქნება.

ექიმი რობერთსი დაემშვიდობა და მათ გაიგონეს, თუ როგორ შეაჩერა ის ჰოლში ელენმა. მართა კართან აიტუზა... მალე ის ლუიზასთან დაბრუნდა:

— უთხრა, რომ ნევროზი გაქვს და ტრანკვილიზატორები გამოგიწერა, — ჩასჩურჩულა მან.

— ტრანკვილიზატორები? იმიტომ, რომ შხამზე არაფერი ვუთხარით.

— მაინც არ მოგვისმენდა. ვერ ხედავ, ელენი და როჯერი ყველას ესიმპათიურებაიან. ყველას ჰგონია, რომ ისინი სიკეთის განსახიერებას წარმოადგენენ, რადგან ორ საცოდავ მოხუცებულზე ზრუნავენ.

მართამ სიმწრით ხელის მტევნები მომუჭა.

— იცი, ლუიზა, მოსამართლე ამ საღამოს მართლაც რომ მოვიდეს, დარწმუნებული ვარ, ისიც ამასვე იფიქრებს. ჩვენ სამარეში ვიწვებით, მათ მიმართ კი, თანაგრძნობა არ განელდება.

— მაშინ, აქციებს ნუ მივცემთ ელენსა და როჯერს და აღარც ჩვენი მოკვლის მიზეზი ექნებათ, — ჩაიჩურჩულა ლუიზამ.

— კი, რა თქმა უნდა, — თვალები მოწკურა მართამ. — მაშინ, ისინი თავშეფარში გაგვამწესებენ. როგორ მოგწონს ასეთი პერსპექტივა? მთელი დარჩენილი დრო ასეთ საშინელ ატმოსფეროში შეგიძლია გაატარო?

— მე მოვკვდები. მაგრამ თუკი არავინ მოგვისმენს...

— უნდა გავიქცეთ. ესღა დაგვრჩენია, სხვა არაფერი.

— მაგრამ — მართა!.. — ლუიზა წამოდგა. — ხომ იცი, რომ მე ამას ვერ შევძლებ. შენ ხომ გზის მეოთხედსაც ვერ გაივლი ლემბამდე, რადგან მე უნდა მატარო!.. მთლად გავითოშებით, დავიხოცებით ამ სიცივეში.

ქარი დარაბებს ეხეთქებოდა. მართა თავისას განაგრძობდა:

— აი, ნახავ. ხომ გეუბნებოდი, რომ სერიოზული გეგმა მაქვს. გავიქცევით, ნურაფრის გეშინია.

— როგორ? — იკითხა ლუიზამ. — ისინი გიჟებად გამოგვაცხადებენ და უკანვე დაგვაბრუნებენ.

— მაგაზეც ვიფიქრე. ჩვენ გავიქცევით და ისინი ხელს ვერ შეგვიშლიან იმაში, რომ ჩვენს ძველ სახლში დავბრუნდეთ. მაგრამ ჯერ უნდა დაველოდოთ, სანამ როჯერი სამსახურიდან დაბრუნდება.

მიუხედავად ლუიზას თხოვნისა, მართამ მეტი არაფერი უთხრა. ჰაერის ტემპერატურა კიდევ უფრო დაეცა, შებინდებისას კი, სახლის დიდი ფანჯრების გამო, დები უფრო მეტად გრძნობდნენ სიცივეს. მართა ძვირფასეულობის შეგროვებას შეუდგა, წვრილმანებს კი, ძველ შალში ახვევდა.

— ბევრს ვერაფერს წავიღებთ, იძულებული ვარ, ტანსაცმელი დავტოვო, — თქვა მან. — მაგრამ აქციებს გავყიდით და ყველაფერს შევიძენთ.

ლუიზა უკვე უკეთ გრძნობდა თავს და წამომჯდარიყო.

— მინდა, უფრო მეტი ვიცოდე შენი გეგმის შესახებ. იცოდე, გზის მეოთხედსაც ვერ გავივლით, გავიყინებით.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს. დაიმახსოვრე, არავინ უნდა მიგვიხვდეს, რომ ელენსა და როჯერზე ეჭვი გვაქვს და ვფიქრობთ, რომ მათ ჩვენი მოკვლა გადაწყვიტეს. დაიფიცე, რომ ენას კბილს დააჭერ!

— კარგი, — მორჩილად თქვა ლუიზამ. — და რა თქმა უნდა, არაფერი უნდა ვჭამოთ.

— რაღა თქმა უნდა, არა. მაგრამ — ჩუ... როჯერი აქაა, ელენს კი მგონი, ვახშამი მოაქვს.

მართლაც, ჭურჭლის წკრიალი გაისმა და ელენი შემოვიდა, რომელმაც ლანგრით ვახშამი შემოიტანა. მას როჯერიც შემოჰყვა, რომლის სათვალის მინები კიაფობდა.

— დოქტორმა რობერთსმა რჩევები მომცა, ლუიზა, — თქვა როჯერმა. მან ლამაზად გაიღიმა, ჯიბიდან ფლაკონი ამოიღო, მერე ააგდო და დაიჭირა. — მართალია, ოქროს ზოდზე ნაკლები არ ღირს, სამაგიეროდ, ერთ კვირაში, როგორც ანცი კვიცი, ისე იგრძნობთ თავს.

— გმადლობ, როჯერ, მოგვიანებით მივიღებ.

— რეცეპტის მიხედვით — ჭამის წინ უნდა მიიღოთ, ასე რომ — ამწუთასვე. აბა, გადავყლაპოთ. წითელი აბი და ჭიქა წყალი. — ლუიზამ საცოდავად გახედა მართას და აბი გადაყლაპა.

— ყოჩაღ! მეორეს კი ძილის წინ მიიღებთ.

— ტობი არსად გინახავთ? — შეეკითხა მართა. — ის გაქრა.

როჯერმა ტუჩები გადმოპრუწა. ელენმა კი სასწრაფოდ იკითხა:

— ტობი? არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დაბრუნდება, ის ხომ „პროფესიონალი მოგზაურია".

— მომეჩვენა, რომ მისი კნავილი სარდაფიდან ამოდიოდა. ისე გულსაკლავად კნაოდა... — მართა ძალზე აღელვებული ჩანდა. — ბოდიში, როჯერ, ხომ ვერ ჩახვიდოდი, რომ გენახა?

— სარდაფში? — შეწუხებულმა ცოლქმარმა ერთიმეორეს გადახედა. — რანაირად უნდა მოხვედრილიყო იქ?! მაშინ ხომ ჩვენც უნდა გაგვეგონა მისი ხმა!

— გთხოვ, რა, როჯერ, დაძებნე ყველგან. შენ უფრო გაგაგონებს, ასე არაა, ლუიზა?

— კი, კი, დარწმუნებული ვარ, რომ სარდაფშია, — თქვა ლუიზამ.

— არაფერი დაგიშავდება, თუ კარგად მოძებნი, — მხარი აუბა ელენმა: — ეგებ, სწორედ მაშინ ჩაძვრა, როცა მურაბა ამომქონდა?

— კარგი, ჩავალ, ვნახავ, — როჯერმა დემონსტრაციულად მოისხა პლედი, —

სარდაფში — ბებერი ტობის საპოვნელად!..

მან ჰოლი გაიარა და კიბეს ჩაუყვა. მალე იქიდან მისი გამაყრუებელი ხმა გაისმა:

— აქ არავითარი კატა არაა!

— ელენ, გთხოვ, მიდი, რა, შენც ჩახედე, — ახლა ელენს მიმართა მართამ. — შესაძლოა, ტობი ნახშირის ტომრის უკან იმალებოდეს და როჯერი ვერ ხედავდეს.

— კარგი, — თქვა ელენმა და როჯერის მისახმარებლად გასწია.

— ტობი! ტობი! — მოესმათ მათ ელენის ხმა. — ტობი, ჩემთან!

მართამ ფართხუნით გაირბინა ჰოლი და სარდაფის კარი სწრაფად მიხურა. შემდეგ, მძიმე ურდულითაც გადაკეტა.

— მორჩა! — გამარჯვებულივით გამოაცხადა მან. — ახლა კი შეგვიძლია გავიქცეთ.

— გავითოშებით! — ამოიფშვიტინა ლუიზამ.

მართამ ის ლოგინიდან წამოაყენა და პალტოში კარგად გამოხვია.

— ისინი უკან დაგვაბრუნებენ!

— ვერ დაგვაბრუნებენ!

მართამ პალტო ჩაიცვა, შალი შემოიხვია და ლუიზა ინვალიდის სავარძელში ჩასვა. როჯერი და ელენი მიხვდნენ, რომ ისინი მოატყუეს და კარზე ბრახაბრუხი ატეხეს.

— მამიდა! — ყვიროდა ელენი. — გაგვიღეთ კარი! რატომ დაგვამწყვდიეთ?

— მართა, ლუიზა! — მხარს უბამდა როჯერი. — შესანიშნავია ხუმრობაა, მაგრამ საკმარისია. ტობი აქ არ არის. ჩვენ ყველგან ვნახეთ.

— ის იქ არაა, იმიტომ რომ მოკლეს! — თქვა მკაცრად მართამ.

მერე ლუიზა სავარძლით ჰოლში გამოატარა და ზღურბლზე გადაიყვანა.

საღამოვდებოდა, გარშემო ყველაფერს შრიალი გაჰქონდა. ეს ქარი არხევდა ხეთა გაშიშვლებულ ტოტებს. ლუიზა შიშისგან დაპატარავდა. მართამ ქვემოთ ჩაიყვანა და ასიოდე ნაბიჯი გადადგა.

— მოითმინე, — თქვა მან. — ერთი წუთით უნდა შევბრუნდე. — მართა კოჭლობით გაბრუნდა და სახლში შევიდა. მას ყურადღება არ მიუქცევია ელენისა და როჯერის ძახილისთვის, რომელიც სარდაფიდან ამოდიოდა. პალტოსა და შალში გახვეული ლუიზა სიბნელეში ელოდა. ქარი კბენდა და აფრთხობდა... ბოლოს და ბოლოს, მართა გამოჩნდა, ხელში გახვეული ძვირფასეულობა ეჭირა.

— მართა, — დაიკვნესა ლუიზამ. — უკვე გავითოშე. რას აპირებ?

— ახლავე დაინახავ.

ხელჯოხზე დაყრდნობილი მართა, რომელიც მძიმედ სუნთქავდა, დას მიუახლოვდა.

— ახლავე დაინახავ, ლუიზა. სახლს შეხედე.

ყველა ფანჯრიდან მოყვითალო სინათლე გამოდიოდა. ეს სულ რაღაც წამები გაგრძელდა. შემდეგ, სინათლე ცეცხლის ენებად გადაიქცა, რომლებიც გამოღებული ფანჯრებიდან გარეთ იწევდა და იზრდებოდა...

— ცეცხლი! — აღმოხდა ლუიზას. — სახლი ცეცხლშია გახვეული!

— იატაკი ნავთით მოვრწყე, — თქვა მართამ, — ხომ გახსოვს, როჯერსა და ელენს ჩვენი დახოცვა უნდოდათ, მათ კატები დაგვიხოცეს. ჩვენც ხომ უნდა გვეღონა რამე?! სხვა გამოსავალი არ იყო.

მართამ ხმას აუწია:

— მაგრამ დაიმახსოვრე — ჩვენ ხმა არ უნდა ამოვიღოთ მათი გეგმების შესახებ. ისინი ჩვენი ახლობლები არიან. ჩვენ არავინ დაგვიჯერებს. ამიტომ, ყველაფერი ტრაგიკულ შემთხვევას უნდა მიეწეროს. მიმიხვდი?

— კი, კი, — წამოიძახა აღელვებულმა ლუიზამ. — შენ ისეთი ჭკვიანი ხარ!.. ალბათ, ვინმე მაინც შენიშნავს ცეცხლს და მეხანძრეებს შეატყობინებს, ასე არაა?

— კი, ცეცხლს ვიღაც მაინც შენიშნავს. არ იყო სხვა საშუალება, რომ ჩვენს დასახმარებლად ვინმე მოგვეხმო. ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, საშუალება მოგვეცა, ჩვენს ძველ სახლში დავბრუნდეთ.

ისინი უხმოდ აკვირდებოდნენ, თუ როგორ გამოდიოდა ცეცხლი სახლის ფანჯრებიდან და როგორ ემსგავსებოდა ვეებერთელა მაშხალას... მალე მათ განგაშის ხმაც შემოესმათ. მეხანძრეები უახლოვდებოდნენ.

— როგორ თბილა, — დაიჩურჩულა ლუიზამ და ხელები ცეცხლს მიუშვირა. — რა სასიამოვნოა!

სახლის ჭერი ჩამოიქცა, გარშემო ნაპერწკლები ცვიოდა. მალე სახანძრო მანქანაც გამოჩნდა, მაგრამ სახლი მთლიანად ცეცხლის ალში იყო გახვეული და მეხანძრეებმა ვეღარაფერი იღონეს...

მოსამართლე ბეკის ოთახში ბუხარი მხიარულად გიზგიზებდა. მართა და ლუიზა ისხდნენ და ცეცხლის თამაშის ცქერით ტკბებოდნენ.

— მალე ჩვენს სახლში ვიქნებით, — ჩაიჩურჩულა ლუიზამ, — კატის კნუტებთან ერთად, რომლებიც ხალიჩაზე თამაშობენ. მერი ტომპსონიც შემოგვიერთდება. ჩვენს მეზობელს ქალიშვილი ჰყავს, რომელიც თანახმაა, კვირაში 25 დოლარად მოგვემსახუროს.

— ჩვენი ფული ნამდვილად იძლევა ამის საშუალებას, — დაეთანხმა მართა, — მე მგონი, მოსამართლე ბრუნდება.

კარი გაიღო, მაგრამ მოსამართლის ნაცვლად, ოთახში დიდი სიამის კატა შემოვიდა, რომელიც მართას კალთაში ჩაუხტა და ტკბილად აკრუტუნდა.

— ტობი! — დაიჩურჩულა ლუიზამ.

— ტობი! — გაიმეორა მართამ. — აქ საიდან გაჩნდი?

— მეგონა, ეს თქვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იქნებოდა, — ყრუდ წარმოთქვა მოსამართლე ბეკმა ოთახში შემოსვლისას. ის ხმელ-ხმელი, მაღალი, 60 წელს მიღწეული მამაკაცი იყო.

— ერთი სასიხარულო ამბავი მაინც გვაქვს, ასეთი სამწუხარო მოვლენების დროს... მეხანძრემ ის გუშინ საღამოს ღელეში იპოვა, — განაგრძო მან და ცხვირსახოცით ცხვირი მოიხოცა.

— მაპატიეთ, — თქვა მან, — ბოსტონში ყოფნისას, ორპირ ქარში მოვხვდი და ძლიერ გავცივდი. საშინელი ქალაქია, ხმაური-ანი, ჩქარი...

— თქვენ... ბოსტონში იყავით? — შეეკითხა მართა, რომელსაც ყელში ბურთი მოაწვა.

— სამი დღით. უნდათ გითხრათ, რომ ძალზე უფერული დღეები იყო. — ის დაჯდა და განაგრძო:

— ძალიან სამწუხარო ამბავია. ასეთი ძველი სახლები ნაფოტივით იწვის. თუმცა, თქვენ არაფერს მიყვებით ამის შესახებ. კეთილი, ჯობს, მართლაც დაივიწყოთ. ახლა, როცა როჯერი და ელენი აღარ არიან, მინდა, თქვენ შესახებ ვილაპარაკოთ.

— მართლაც, დროულია, — წამოიწყო ლუიზამ, — გვინდა, ჩვენს ძველ სახლში დავბრუნდეთ და მერი ტომპსონიც ჩვენთან გადმოვიყვანოთ. არ გვსურს, აქ დიდხანს შევყოვნდეთ.

მოსამართლე ბეკმა ისევ მოიხოცა ცხვირი. ის თავის მასონურ ემბლემას ატრიალებდა, რომელიც ოქროს ძეწკვზე ეკიდა, და ძალზე დამწუხრებული ჩანდა.

— მე ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ჩემი ბოსტონში ყოფნა, თქვენს საკითხთან იყო დაკავშირებული.

— ჩვენს საკითხთან? — იკითხა ორივემ ერთდროულად.

— დიახ, მამათქვენის მემკვიდრეობის საკითხთან. როგორც იცით, მან ცოტაოდენი ფული დატოვა, რომელიც მალევე დაიხარჯა; გარდა ამისა, სარკინიგზო კომპანიის — „ნიუ ინგლენდ ტორონტო“ — რამდენიმე აქცია.

— დიახ, — უპასუხა მართამ. დებმა ერთმანეთს გადახედეს.

— სარკინიგზო კომპანიას საქმე არცთუ ისე კარგად ჰქონდა, ამ ზაფხულს კი, საბოლოოდ გაკოტრდა. აი, რატომ სურდათ ელენსა და როჯერს, რომ მათთან გადასულიყავით საცხოვრებლად: ასე მათ საშუალება ჰქონდათ, თქვენთვის მოეხედათ. ელენს მემკვიდრეობის უფლების მიღება იმის გამო სურდა, რომ მომხდარის შესახებ თქვენ არაფერი გცოდნოდათ. მე მინდოდა, სიმართლე გამემხილა თქვენთვის, მაგრამ მათ ამის უფლება არ მომცეს. ამიტომ ჩვენ, ყველანი თქვენ წინაშე ვთამაშობდით — საიდუმლოს ვინახავდით... სამწუხაროა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა... ახლა თქვენ ყველაფერი იცით, ძვირფასებო. მაპატიეთ, მაგრამ თქვენი ძველი სახლი საცხოვრებლად აღარ გამოდგება. ჩვენ მყიდველის მოძებნაც კი ვერ შევძელით. მის აღდგენას დიდი ფული სჭირდება, ფული კი არ არის: მამათქვენის მემკვიდრეობიდან აღარაფერი დარჩა.

მოსამართლე ბეკი დადუმდა.

— ახლა თქვენ იცით, თუ რატომ გამოიყურებოდნენ ელენი და როჯერი ზოგჯერ შეფიქრიანებულნი და შეწუხებულნი. დამიჯერეთ, თქვენ მათ ძალიან უყვარდით.

დებს ხმა ჩავარდნოდათ და ერთმანეთს შეძრწუნებულნი მისჩერებოდნენ.

— თავშესაფარში... — აკანკალებული ხმით ჩაიჩურჩულა ლუიზამ.

მართას ხმა არ ამოუღია.

*თარგმნა თამაზ მეტრეველმა*



M K

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 6

# „რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ იქცა"

## აცხადებს საბჭოთა „კაგებეს" ყოფილი პოლკოვნიკი

1920-30-იან წლებში და მსოფლიო ომის შემდეგაც, „კაგებე" და მისი წინამორბედი — „ვეჩეკა" ადამიანებს საზღვარგარეთაც სისტემატურად ანადგურებდნენ. 1957-59 წლებში, მოწინააღმდეგის მხარეზე დაქირავებული მკვლელების მასობრივი გადასვლის შემდეგ, ასეთი საქმიანობა შეაჩერეს. ნიკიტა ხრუშჩოვი, ლეონიდ ბრეჟნევი და მოგვიანებით, იური ანდროპოვი, საბჭოთა კავშირის სათავეში ყოფნისას, პოლიტიკურ მკვლელობას თავს ყველანაირად არიდებდნენ (თუმცა, ამას 1978 წელს, ლონდონში გიორგი მარკოვის მკვლელებისთვის ხელი ნამდვილად არ შეუშლია; მაშინ, ბულგარელმა დიქტატორმა ტოდორ ჟივკოვმა იური ანდროპოვი ამ მკვლელობის აუცილებლობაში დაარწმუნა).

მიხაილ გორბაჩოვის და ბორის ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში, საიდუმლო მკვლელობებს ადგილი არ ჰქონია. მაგრამ ვლადიმირ პუტინის დროს, „კაგებეს" (ამჟამინდელი „ეფესბეს" — უსაფრთხოების ფედერალური სამსახური) ზოგიერთმა ჩინოსანმა ასეთი მკვლელობების აუცილებლობაში ხელმძღვანელობა თანდათან დაარწმუნა. „ძალიან ბევრი მტერი გვყავს", — დღენიადაგ იმეორებდნენ ისინი. თუმცა, „ეფესბეს" ამ წარმომადგენელთა მუშაობის სტილი მათი წინამორბედებისგან საგრძნობლად განსხვავდება. კომუნისტური პარტია დაუნდობელი კი იყო, მაგრამ მას მაინც გარკვეული კანონები ჰქონდა. ახლა კი, მხოლოდ ის მობანდიტო ადამიანებილა მოქმედებენ, ვისთვისაც არც რაიმე წესი არსებობს, არც კოდექსი და ვისი მაფიისგან გამორჩევაც პრაქტიკულად, შეუძლებელია.

მსგავსი მენტალიტეტის დამკვიდრება რუსეთში 2000 წლიდან დაიწყო და შესაბამისად, ქვეყანაში რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მკვლელობაც გახშირდა. პუტინის მმართველობის პერიოდში კი, შეკვეთილმა მკვლელობებმა იმდენად მკვეთრად იმატა, რომ უკვე ისიც კი ძნელი გასარჩევი გახდა, თუ სად „მუშაობდა" „ეფესბე" და სად — არა. ცხადია, ასეთ ატმოსფეროში დანაშაულის დაფარვაც ძალზე გაადვილდა. ამის კვალდაკვალ, „ეფესბე" ჩვეულებრივი რეკეტიორების ჯგუფადაც კი იქცა. დღეს ბიზნესმენთა ერთი ნაწილი „ეფესბესთან" კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ყველანაირად ცდილობს, ამიტომ სპეცსამსახურის ოპერმუშაკებს ნებისმიერ ინფორმაციას ანდობს და დაცვის სანაცვლოდ, საკუთარი შემოსავლის 10%-საც უხდის. ამის შედეგად, ყველა კმაყოფილია. ერთი სიტყვით, რუსეთი გარკვეულწილად, უზარმაზარ კრიმინალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, „ეფესბე" კი, მისი მიზნებისა და მოქმედების მეთოდებიდან გამომდინარე, მაფიას დაემსგავსა.

2003 წელს რუსეთში პოლიტიკური რეფორმების მომხრე ჟურნალისტი, იური შეკოჩიხინი გარდაიცვალა. მისი „ავადმყოფობის" განვითარებით თუ ვიმსჯელებთ, ცხადი გახდება, რომ ის მოწამლეს. 2006 წელს, გაბედული ჟურნალისტი, პატიოსანი და ჭკვიანი ქალი, ანა პოლიტკოვსკაია საკუთარი სახლის ლიფტში მოკლეს. მანამდე კი, 2004 წელს, კავკასიაში მოგზაურობისას, ჟურნალისტი სერიოზულად მოწამლეს, რაშიც ჩემი ღრმა რწმენით, „ეფესბეს" ხელი ერია.

2006 წლის ივლისში, რუსეთის პარლამენტმა მიიღო პუტინის მიერ შემოთავაზებული კანონი, რომელიც რუსეთის რეჟიმის საზღვარგარეთ მყოფი მტრების მოკვლის ნებას იძლევა. ამან ცხადია, ხელ-ფეხი გაუხსნა თვით „ეფესბეს" შიგნით მოქმედ შოვინისტურ ჯგუფებს, რომელთაც ვინმეს მოკვლის წინადადების დაყენებაც უკვე სულ თავისუფლად შეეძლოთ. თუმცა ამჯერად, ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ არსებობს. საქმე ის გახლავთ, რომ დღევანდელი „ეფესბესთვის" იოსებ სტალინის მმართველობის პერიოდი სერიოზულ ჭკუის სასწავლებელ მაგალითად იქცა: სტალინის რეჟიმის დროს, სიმხეცის დამადასტურებელი დოკუმენტები ხომ დღემდე ხან სად და ხან სად ამოყოფს ხოლმე თავს. ამიტომ, მსგავსი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად, მკვლელობების თაობაზე გაცემულ ბრძანებებს ხელმოწერები და სახელები უკვე აღარ დაერთვის. ასე რომ: ვთქვათ, ლიტვინენკოს მკვლელობის მსგავსი მითითებები შეიძლება, ასე გამოიყურებოდეს: „საზღვარგარეთ გამოძიების ჩატარების მოთხოვნა", სადაც „გამოძიების ობიექტი" საერთოდ არ იქნება მოხსენიებული. მოგვიანებით, ასეთი დოკუმენტი




არქივში ხვდება და მათთან, ვინც დანაშაულს უშუალოდ ჩაიდენს, აღარაფერი დააკავშირებს.

პირველი ასეთი მკვლელობა კატარში განხორციელდა. ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი იქ, როგორც პენსიონერი, ისე ცხოვრობდა. აფეთქების მომენტში, ის მანქანაში შვილთან და პირად მცველთან ერთად იმყოფებოდა. მკვლელობის ჩამდენი ორი რუსი აგენტი მალევე შეიპყრეს, გაასამართლეს და ციხეშიც ჩასვეს. მაგრამ რადგანაც კატარს რუსეთთან ურთიერთობის გართულება არ სურდა, მალე რუსი აგენტები სასჯელის მოსახდელად, სამშობლოში გაგზავნეს. როგორც კი იანდარბიევის მკვლელები რუსეთში მოხვდნენ, პატიმრებიდან მაშინვე გმირებად გადაიქცნენ.

რაც შეეხება ლიტვინენკოს, — რუსულმა სპეცსამსახურებმა მისი სახით, უკვე დიდი ბრიტანეთის მოქალაქე და თანაც, ბრიტანეთის მიწაზევე მოკლეს. იანდარბიევი, პოლიტკოვსკაია, ლიტვინენკო — რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ იქცა!..

*ოლეგ გორდიევსკი,*
*1985 წლიდან დიდი ბრიტანეთის*
*მხარეს გადასული, საბჭოთა „კაგებეს"*
*ყოფილი პოლკოვნიკი*
*Washington Post, აშშ*

■

# რამზან კადიროვი სილამაზის დედოფლის „გაბედნიერებას" აპირებს

როგორც ინგლისური Daily Telegraph იუწყება, სოჭში დაგეგმილ „მისის მსოფლიო 2007"-ის ფინალურ კონკურსზე მიმავალი, სხვადასხვა ქვეყნის სილამაზის დედოფლების, ჩეჩნეთში უჩვეულო მოხვედრის ფაქტი დღემდე სერიოზულ კამათს იწვევს. თავად სილამაზის დედოფალთა უმეტესობის მტკიცებით, მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ჩარტერული რეისით, ჯერ ინგუშეთში, შემდეგ კი სულაც, „აგრერიგად საშიშ" ჩეჩნეთში ამოყოფდნენ თავს. ასე იყო თუ ისე, ჩეჩნებმა „მისის მსოფლიო 2007"-ის ტიტულის მაძიებელ არაერთ ლამაზმანს უმასპინძლა, მათმა თავქეიფა პრეზიდენტმა რამზან



კადიროვმა კი, ერთ-ერთ მათგანს — კენიის სილამაზის დედოფალს თავისი მეორე ცოლის „სტატუსიც" შესთავაზა. მეტიც, კადიროვმა საკუთარი წინადადება საქორწინო საჩუქრების ჩამოთვლითაც „გაამყარა" და მომავალი ცოლის ხელისა და გულის მოსანადირებლად, არც მეტი, არც ნაკლები, ორი ცხენის, ორი წიწილისა და ერთი თხის გაღებაც კი არ დაინანა. ისე, კენიელი ლამაზმანის — კეროლაინ ვერკეიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არა მარტო არაფერი შეიმჩნია, არამედ „გულანთებულ" კადიროვს ღიმილითაც გადაეხვია და პასუხის გაცემას ერთი წლის შემდეგ შეჰპირდა... ■



M K



**„ჯეობარელ“ კოსტა არველაძეს ბევრი გოგონა გამოეხმაურა. მათი უმეტესობა მირეკავდა და „სასიძოს“ პირად ნომერს მთხოვდა, რისი უფლებაც კოსტას თანხმობის გარეშე, ნამდვილად არ მაქვს. ერთადერთი, რაც შემიძლია თამამად გითხრათ, ის არის, რომ კოსტა რომელიმე თქვენგანს აუცილებლად დაუკავშირდება. ახლა კი მის სახელზე მოსულ „ესემესებს“ და თქვენ მიერ გამოგზავნილ კითხვებზე პასუხებს გაგაცნობთ.**

# „ჰიპნოზისთვალებიანო, შენს კოცნას მაბრალიანო!..“

სოფო ჭონიშვილი

„მე შენკენ მომავალ ბილიკებს ვეძებ/ ჩემთვის სხვა კარი დაკეტილია/ მე სხვას არ ვეძებ, ჩემო ლამაზო/ შენი დაკარგვა არ შემიძლია. თამუნა“.

„შენ არც კი იცი, ჩემთვის ვინა ხარ/ შენს დიდ სიყვარულს გულში ვინახავ/ დაუვიწყარი ოცნება მყავხარ/ და უსასრულოდ, ძლიერ მიყვარხარ“.

„კოსტაააა... ძალიან საყვარელი ხარ. მინდა, კოცნით დაგახრჩო. თუ ჩემით დაინტერესდები, უფრო კარგი ბიჭი იქნები“.

„დღეს ორმა შენი ნომერი მთხოვა, თანაც, დაჟინებით, ამიტომ მათ უარი ვერ ვუთხარი. მათ ვკითხე: რა გქვიათ-მეთქი? — ერთს სიხარული, მეორეს კი — ბედნიერება ერქვა. ორივე მათგანს სამუდამოდ შენთან დარჩენა სურს“.

„ჰიპნოზისთვალებიანო, შენს კოცნას მაბრალიანო! 10-წლიან სროკზე მიშვებენ/ ციმბირში მაგზავნიანო/ თუ ერთხელ დამიმესიჯებ/ ამ სასჯელს მომიხსნიანო“.

„თავიდან არ მომწონდი, მაგრამ ინტერვიუების წაკითხვის შემდეგ, შენ მიმართ თბილი დამოკიდებულება გამიჩნდა. 3 თვის წინ, რადიო „ახალ ტალღაში“ გნახე (იმ დროს იქ ვმუშაობდი) და ძალიან მომეწონე. მივხვდი, რომ შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი. სოფო“.

„პატარა ანგელოზმა ჩემი გული ნამსხვრევებად აქცია და მითხრა: ნამსხვრევები მათ მიეცი, ვისთვისაც სიკეთე გინდაო. აჰა, დაიჭირე, ერთი შენი იყოს“...

„ერთი უშენო ღამე მოვიდა/ მე შენთან ყოფნა ისევ მომინდა/ უთვალავ კოცნას გიგზავნი შორიდან/ მომწერე, როცა შენამდე მოვა“.

„გავქრე ისე, როგორც ნისლი/ როგორც ღამის მოჩვენება/ არ მეღირსოს კვალარეულს/ სიმშვიდე და მოსვენება/ შენი სახე გულს კაწრავდეს/ როგორც ვიყო, სადაც ვიყო/ თუ ოდესმე არ მახსოვდე/ თუ ოდესმე დაგივიწყო“.

„კოსტა, მაგარი ადამიანი ხარ. გკოცნი ჯერ გადარევამდე, მერე კი — დახრჩობამდე. თუ არ გამომეხმაურები, მართლა გაგგუდავ. თათია“.

„29 დეკემბერს „მაკდონალდსში“ რომ გვეპრანჭებოდი, ის გოგოები გახლავართ. დაგვიკავშირდი და დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს კარგად გავუგებთ. ციო და თამარა“.

„მთვარიან ღამეს სევდა მატარებს/ ცრემლების მიზეზს ვერავინ იგებს/ სევდა იზრდება, გული მძიმდება/ და ელოდება შენგან მესიჯებს“.

„თუ ამ ცხოვრებამ მახე დაგიგო/ და მეგობარმა ველარ გაგიგო/ თუ სიყვარულით სულ მთლად გარეკე/ შენნაირი ვარ, ჩემთან დარეკე“.

„სოფო, გთხოვ, კოსტას ჩემი დიდი სიყვარული და სიმპათია გადაეცი: ვოცნებობ შენნაირ ადამიანზე. დამიკავშირდი, არ ინანებ. ანი, თბილისი“.

„შენნაირ მეუღლეზე მართლა ბევრი გოგო ოცნებობს, გამონაკლისი არც მე ვარ. ბედნიერი ვიქნები, თუ დამიკავშირდები“.

„კოტიკ, კარგი ტიპი ხარ. ერთმანეთს ძალიან ვგავართ. გაკოცე. ტატა“.

„იცი, ოცნებას ძალიან ჰგავხარ/ შენ ერთადერთი იმედი მყავხარ/ დანახვის დღიდან გულში მიზიხარ/ ეს საოცარი, ნეტავ, ვისი ხარ?.. ციო“.

„ძალიან მშვიდი და კეთილი ხარ. ჩემი მშობლებიც გაცილებულნი არიან, მეც დედისერთა ვარ, რასაც ძალიან განვიცდი. უბედურება კი ის არის, რომ როცა ერთი წლის წინ დედა გარდამეცვალა, მეგონა, ჩემთვის ცხოვრება დამთავრდა, რადან ის ადამიანი დავკარგე, ვინც ჩემთვის ყველაფერი იყო. კოსტა, რაც ამქვეყნად სიკეთე და ბედნიერება არსებობს, ყველა შენთვის და შენი ლამაზი დედიკოსთვის ყოფილიყოს“.

„ეჰ, კოსტა, კოსტა... ვინ მომცა იმის ბედი, რომ ამდენ გოგოში მე ამარჩიო?! შენნაირი ტიპები ძალიან მომწონს. თუ დამიკავშირდები, გამახარებ, თუ არადა, ბედნიერებას და წარმატებას მაინც გისურვებ! ტატა“.

„მე შენ „ჯეობარში“ გამოჩენამდე გიცნობდი და ძალიან მიყვარხარ. შენთან დაკავშირების ილუზია ნამდვილად არ მაქვს. ჩემს გამოგზავნილ მესიჯს თუ წაიკითხავ, ისიც გამახარებს. თუში“.

*ახლა კი, თქვენ მიერ გამოგზავნილ კითხვებზე, თავად კოსტა გიპასუხებთ.*

**მაიკო,** *14 წლის:*

„მაინტერესებს, ირაკლი მარხულიაზე რა აზრის ხარ?“

— **ერთი ჩვეულებრივი ბიჭია, რომელიც „ჯეობარის“ საშუალებით პოპულარული გახდა.**

**ნელკა:**

„საყვარელი ადამიანი ხარ. ეთოსთან ისევ მეგობრობ?“

— **დიახ, ვმეგობრობთ.**

**ანი:**

„კოსტა, იქნებ მითხრა, რამდენად იღბლიანი ადამიანი ხარ?“

— **ვერ ვიტყვი, რომ უიღბლო ვარ, ვერც იმას გეტყვი, რომ იღბლიანი გახლავარ და ყოველთვის ყველაფერში მიმართლებს.**

**უცნობი:**

„გარდა პოპულარობისა, „ჯეობარმა“ კიდევ, რა მოგიტანა?“

— **საზოგადოება „ჯეობარში“ შესვლამდე მიცნობდა. ამ პროექტს ჩემს ცხოვრებაში არანაირი ცვლილებები არ მოუხდენია.**

**ნატუშკა:**

„ვიცი, რომ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ, შენთან მეგობრობაზე ვოცნებობ. თეთრი, ცისფერთვალება და კეთილი გოგო ვარ. დართე სოფოს ნება, რომ შენი ნომერი მომცეს. იცოდე, იმედი არ გამიცრუო. გთხოვ“.

— **კარგი, ჩემო კარგო. მოკლედ, სოფოს დაუკავშირდი და ჩემს ნომერს მოგცემს.**

**დანი:**

„ჯიგრულად შეაფასე შენი „ჯეობარში“ ყოფნა“.

— **„ჯიგრულად“ ვაფასებ — სხვას ვერაფერს გეტყვი.**

**ქეთუშა:**

„რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ „ჯეობარში“ გაიმარჯვებდი, მაგრამ წააგე... შენი აზრით, ირაკლიმ სამართლიანად მოიგო?“

— ***(ფიქრობს).*** **კი, სამართლიანად მოიგო.**

**უცნობი:**

„შენს ერთ-ერთ ინტერვიუში წავიკითხე, რომ გული გაწუხებს. მართალია?“

— **კი, მართალია.**

**ორი გოგო:**

„ყური რატომ გაიხვრიტე? არ იცი, ქართველ კაცს საყურე რომ არ უხდება?“

— **კაცი კაცია, ქართველიც და ესპანელიც. სულ ახლახან გავიგე, რომ თურმე, საყურე ჯერ კაცს ეკეთა, მაგრამ რომელ საუკუნეში, ეს არ ვიცი. გავიგებ და გეტყვი. მთავარია, ის სამკაული, რომელსაც ატარებ, გიხდებოდეს“.**

**თამთა:**

„დაბადების დღე როდის გაქვს?“

— **31 იანვარს.**

**უცნობი:**

„წელს ბაკურიანში თუ იყავი?“

— **არა, გუდაურში ვიყავი. ბაკურიანში მეგობარი მყავს. მეგონა, რომ ის დამპატიჟებდა თავისთან, მაგრამ „გადამაგდო“. გავბრაზდი და გუდაურში წავედი.**

*P.S. შემდეგ ნომერში, რუბრიკა „საპატარძლოში“ მომხიბვლელი რეპერი გოგო — ბაბე გვეყოლება. მაშ ასე, იაქტიურეთ სასიძოებო! დაუსვით კითხვები მშვენიერ „საპატარძლოს“ და გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე:* **8.98.23.09.21.**

*დასაწყისი იხ. გვ. 27*

ეს დასავლეთში კარგად აპრობირებული პრაქტიკაა, რომელიც მოზარდებში დანაშაულებრივი რისკის შემცირებას უწყობს ხელს. და კიდევ: ძნელად აღსაზრდელი ბავშვებისთვის არსებობს სპეციალური სკოლები, სადაც მათთან სპეციალური მუშაკები, პედაგოგები, ფსიქოლოგები მუშაობენ. ასეთ სკოლაში შესვლამდე, ყველას მეტალოდეტექტორით ამოწმებენ და თუ დანას ატარებ, ჩამოგართმევენ. ამგვარად, სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას, რომ კონკრეტული ღონისძიება უნდა გაატაროს და სისტემატურად შეახსენოს ბავშვებს: თუ შენ დანას ატარებ, იცოდე, რომ ეს საშიშია და ამის შემდეგ, შესაძლოა, შენს წინააღმდეგ სხვა ღონისძიებები გატარდეს. თქვენს სისხლის სამართლის კოდექსში არის მთელი რიგი დებულებები, რომლებსაც სამწუხაროდ, ყურადღებას არ აქცევენ ანუ არ იყენებენ... ამ კვირას ჩვენ ვიყავით ერთ-ერთ ციხეში, სადაც მხოლოდ ერთი შენობა დგას, მაგრამ იქაურობა ბავშვებითაა სავსე. დარწმუნებული ვარ, არც ერთი მათგანი იქიდან იმაზე უკეთესი არ გამოვა, ვიდრე შესვლისას იყო, პირიქით — შეიძლება, უფრო საშიშნი გახდნენ საზოგადოებისთვის. საერთოდაც, მსოფლიო სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ციხიდან გამოსული მოზარდების უმეტესობა ხელმეორედ სჩადის დანაშაულს და უკანვე ბრუნდება, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ცუდები არიან, უბრალოდ, მათ იქ არავინ ასწავლის, თუ როგორ უნდა იცხოვრონ გათავისუფლების შემდგომ. სამწუხაროა, რომ თქვენს ქვეყანაში ბავშვების მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვმა იმატა, ციხეებში ბავშვების რაოდენობა თითქმის გასამმაგდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ისინი სერიოზულ დანაშაულში ამხილეს, არამედ იმიტომ, რომ მოზარდებს 2 ბოთლი ლიმონათის, პურის მოპარვისთვის იჭერენ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ თქვენი სახელმწიფო ფულს ბლომად ხარჯავს, მაგრამ — არამიზნობრივად: არ ხდება დანაშაულის პრევენცია ბავშვებში და არ უმჯობესდება მათი პირობები ციხეში. სანამ აქაურ სიტუაციაში გავერკვეოდი, ბევრს მელაპარაკებოდნენ იმის შესახებ, რომ თითქმის ყველა ქართველი ბავშვი ნარკოტიკის აქტიური მომხმარებელია. საბედნიეროდ, ეს მცდარი ინფორმაცია აღმოჩნდა. მაგალითისთვის, ვგონებ, ისიც საკმარისია, რომ ავჭალის კოლონიაში 150 ბავშვიდან მხოლოდ 2 ზის ამ ბრალდებით...

**გიორგი ჯაჯანიძე**, *ფსიქოლოგი:*

— ინტერესი ქუჩური მენტალიტეტის მიმართ ყველა თაობის მოზარდებში შეინიშნებოდა. ნებისმიერ უბანში ყოველთვის იყვნენ ისეთი ტიპები, რომლებიც რაღაცით სხვებზე ძლიერები იყვნენ, ამიტომ მათ ჰყავდათ თავიანთი „პეშკები“. გოგონებს ასეთი ბიჭები, „ნაგლები“ იზიდავთ, რადგან მოსწონთ ძლიერი მამაკაცები, მათ გვერდით თავს კომფორტულად გრძნობენ. ადრე „დედიკოს ბიჭებს“ ეძახდნენ მათ, ვინც კარგად სწავლობდა, მოწესრიგებული იყო, დღეს კი ასეთ ტიპებს უფრო დიდი ავტორიტეტი აქვთ, ვიდრე ქუჩის მენტალიტეტის მქონე მოზარდებს... ამას წინათ ქუჩაში მივდიოდი და დავინახე 3 თინეიჯერი ბიჭი, რომელთაც ისე ეცვათ, რომ ქუჩის „მოხულიგნო ელემენტებს“ ჰგავდნენ. ისინი კედელზე გაკრულ აფიშასთან იდგნენ და რაღაცაზე კამათობდნენ. დავინტერესდი, მათ მივუახლოვდი და აღმოჩნდა, რომ ბიჭები „ერისიონის“ კონცერტზე ლაპარაკობდნენ. გამეღიმა... რაც შეეხება იმას, რომ ისინი დანას ატარებენ, — მათზე ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს პოტენციური მკვლელები იყვნენ. ძალიან ბევრი, შიშით, თავდაცვის მიზნით ატარებს დანას. ამის მომხრე არ ვარ, მაგრამ როცა ადამიანი დაცული იქნება სახელმწიფოსგან, 100 თინეიჯერიდან შესაძლოა, ის 50-მა აღარ ატაროს.



**— რას იტყვით იმაზე, რომ ძნელად აღსაზრდელ ბავშვებზე უნდა დაწესდეს მეთვალყურეობა? როგორ ფიქრობთ, მათი კონტროლი რა შედეგს გამოიღებს?**

— „აკრძალული ხილი უფრო გემრიელია“ ანუ მეთვალყურე ბოლომდე ვერ გამოასწორებს ბავშვს, უბრალოდ, ზოგიერთ მათგანს გაუჩნდება შიშის გრძნობა, ზოგს კი შესაძლოა, დანაშაულის ჩადენის სურვილი გაუმძაფრდეს, ყველაფერი ინდივიდუალურია. ბავშვი, მშობელმაც, მასწავლებელმაც და იმ მეთვალყურემაც (არ ვიცი, ვინ იქნება ის, პოლიციელი თუ სხვა ვინმე), ისე უნდა აკონტროლოს, რომ მან ეს ვერ შენიშნოს. სანამ ასე არ ვიმოქმედებთ, მანამ არაფერი გვეშველება. უფროსებს ისიც კი ვერ გაგვიცნობიერებია, მართლა ირღვევა თუ არა ბავშვის უფლებები, როცა მას მშობელი ჩანთას უჩხრეკს და მასწავლებელი შენიშვნას აძლევს. სწორედ ამ გაურკვევლობის ბრალია, რომ მათზე კონტროლი დავკარგეთ.

*დაბოლოს, ჩვენი საზოგადოების წინაშე მწვავედ წამოჭრილი პრობლემის შესახებ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლის შეხედულებას გთავაზობთ.*

**მამა მიქაელი:**

— ასეთი პრობლემები ადრეც იყო, მაგრამ ახლა განსაკუთრებით ხდება ამ თემის აჟიტირება. არსებობს საკითხები, რომლებზეც ასეთი საჯარო მსჯელობა საჭირო არ არის და რომლებიც ბავშვებისთვის გარკვეულ დრომდე დაფარული უნდა იყოს. ეკლესია ყოველთვის წინააღმდეგი იყო ამგვარი საკითხების წინა პლანზე წამოწევისა. მაგალითად, ავიღოთ სექსუალური საკითხების სკოლაში შესწავლა. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და დღესაც ვამბობთ, რომ მსგავსი რამ წინათ არ ხდებოდა, მაგრამ ამით ხალხის გამრავლების პროცესი არ შეჩერებულა და ამას გაუნათლებლობა არ გამოუწვევია. დღეს თითქოს ძალით უნდათ, რომ ბავშვებს ცნობიერებაში ასეთი რამ ჩასჩარონ, ამით ვიღებთ ასეთ არასასურველ შედეგებს. ბავშვებზე განსაკუთრებულად უარყოფითად მოქმედებს ტელევიზია. მხედველობაში ის გადაცემები მაქვს, რომლებითაც ჩვენი შვილები „იკვებებიან“ და უარყოფით კვალს ტოვებენ მათ ცნობიერებაში. გადაჭრით ვერ ვიტყვი — ბავშვის ცუდი საქციელი ოჯახის ან მხოლოდ სკოლის ბრალია-მეთქი. ეს ყველაფერი ერთიანობაში უნდა განვიხილოთ. ამ ყველაფრის მიზეზი კი, ალბათ ის არის, რომ ხალხი არაეკლესიურად აზროვნებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს დადებითი დინამიკაა ადამიანების ეკლესიასთან ურთიერთობაში, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკლესიურობით არ გამოირჩევა. ბავშვი ოჯახიდან ვერ იღებს სულიერ საზრდოს; ჩვენდა სამწუხაროდ, არც სკოლაში ასწავლიან. განათლების სამინისტროს მესვეურები აქტიურად ეწინააღმდეგებიან სკოლებში რელიგიის, როგორც საგნის შეტანას, თითქოსდა იმ ნიშნით, რომ ეს რელიგიური გრძნობების ვილაცისთვის თავზე მოხვევა იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეთნიკური სიჭრელე ქალაქის მხოლოდ რამდენიმე სკოლაშია, დანარჩენებში სულ ქართველი მართლმადიდებლები სწავლობენ. სამწუხაროდ, ამ ყველაფრის გამო მივიღეთ ასეთი შედეგები. თუ ბავშვი ოჯახში რელიგიურს ვერაფერს ხედავს, ძნელია, მას ამაღლებულ ღირებულებებზე ელაპარაკო. ოჯახი, ეკლესია და ის საზოგადოება, რომელშიც მას ყოფნა უხდება, — აი, ამ სამი ინსტიტუტის მეშვეობით უნდა ხდებოდეს ბავშვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ჩვენთან გაღარიბებულია. ამას რამენაირად უნდა მივხედოთ. იმაზე მეტს ვერაფერს გავაკეთებთ, ვიდრე ბავშვებზე ზრუნვაა. სამწუხაროდ, სახელმწიფო დონეზე, ეს მხოლოდ გარკვეული დირექტივებით ხორციელდება და რაიმე პრევენციული ზომები არ ტარდება. ახლა ახალი კანონები რომ შემოიღეს, სკოლაში ვიდეოთვალის დაყენება და ბავშვის აღრიცხვაზე აყვანა, ამას, რა თქმა უნდა, რაღაც შედეგი ექნება, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ბავშვის ცნობიერებამდე უნდა მიიყვანო, დაშინებით ბავშვში რაღაც კი შეიცვლება, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, ცნობიერებაზე გავლენის მოხდენა მოვახერხოთ.

P.S. *როგორც ხედავთ, ბევრი რესპონდენტი პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, პრევენციულ ზომებს მიიჩნევს. მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ წერილის მომზადებისას, ვერა და ვერ მოვახერხეთ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელთა კომენტარის მიღება, თუმცა მინისტრის მოადგილის, ქალბატონი ბელა წიფურიასგან ამის არაერთი დაპირება მივიღეთ. არ გვინდა, ეს გარემოება საქმისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულებით ავხსნათ და ვიმედოვნებთ, რომ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებისას მაინც იჩენენ მეტ გულისხმიერებას, ხოლო წერილს, რომელშიც მათი პოზიციაც უნდა დაფიქსირებულიყო, პოსტფაქტუმ მაინც გამოეხმაურებიან.*

■



# ანრი ჯოხაძის „იუმორესკით" მოხიბლული ლაიმა ვაიკულე

## და „ლომის ხახიდან" ამოღებული წარმატება

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან, როგორც მომღერალმა, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე აიდგა ფეხი. რამდენიმე დღის წინ ისრაელიდან, ქალაქ ეილატიდან დაბრუნდა, სადაც ახალგაზრდა შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსში — „ეილატ-2007" მონაწილეობდა. ანრი ჯოხაძემ იქ I ადგილი დაიკავა. ჯილდოდ დიპლომი, მოოქრული „უდაბნოს აქლემი" და 5.000 დოლარი ერგო. ეს მისი რიგით მე-11 საერთაშორისო ფესტივალი იყო. ანრი ამაზე გაჩერებას არ აპირებს და 2007 წელს მინიმუმ, კიდევ ორ კონკურსზე აპირებს საქართველოს სახელით გამოსვლას.**

— **ანრი, გილოცავ გამარჯვებას!**

— დიდი მადლობა!

— **როგორ მოხვდი ისრაელში, კონკურსზე — „ეილატ-2007"?**

— 2005 წელს გავიმარჯვე კონკურსზე — „იალტა-კიევი-ტრანზიტი", რომელსაც უკრაინის ტელევიზიის სახელმწიფო არხი აშუქებდა. სწორედ ამ არხიდან დამიკავშირდნენ, რადგან იცოდნენ ჩემი შესაძლებლობები და აღნიშნულ კონკურსზე მიმიწვიეს.

— **რომელი ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კონკურსში?**

— იტალიის, აშშ-ის, ბულგარეთის, უკრაინის, რუსეთის, ბელორუსიის, შვედეთის, სომხეთისა და საქართველოსი.

— **ახლა საპროგრამო პირობების შესახებ მოგვიყევი.**

— პირველ დღეს ანუ ტურზე, ჩვენივე რეპერტუარიდან, მშობლიურ ენაზე ერთ-ერთი სიმღერა უნდა შეგვესრულებინა. ტური მსოფლიოში ცნობილი შლაგერებისთვის იყო განკუთვნილი. პირველ დღეს ვიმღერე კომპოზიტორ რუსუდან ჩხაიძის (დედაჩემის) „იუმორესკა", რამაც მსმენელში აბსოლუტური შოკი გამოიწვია. მაგრამ ამას ვერ ვიტყვი ჟიურის რამდენიმე წევრზე, არ ვიცი — რატომ: შეშურდათ, დაიბოღმნენ თუ რა დაემართათ. ისინი ისრაელელები გახლდნენ და ჩემი დაკვირვებით, თავიანთი ქვეყნის წარმომადგენელს „ქაჩავდნენ", რომელმაც საბოლოოდ, გრან-პრი მოიპოვა.

— **მათ დაბალი შეფასება მოგცეს?**

— ჟიურის 7-კაციანი შემადგენლობიდან 3-მა უდაბლესი შეფასება დამიწერა (პირველ დღეს ხმის მიცემა ღია იყო). ისეთი ქულები მარგუნეს, როგორც ყველაზე ცუდ მომღერალს — 6-იანები და 7-იანები. დანარჩენმა 4-მა: ლაიმა ვაიკულემ, ტელეკომპანია „ისრაელ"-ის (ეს კომპანია პირდაპირ ეთერში აშუქებდა კონკურსს) გენერალურმა დირექტორმა, უკრაინის სახალხო არტისტმა იან ტაბაჩნიკმა (ის ჟიურის თავმჯდომარე იყო), უკრაინის კულტურის მინისტრმა — უმაღლესი შეფასება მომცეს. ამრიგად, პირველი დღის შედეგებით, V ადგილზე გავედი. წინა ადგილებზე მხოლოდ ისრაელელები იყვნენ. შემდეგ, კონკურსის წამყვანებმა სცენიდან ჟიურის წევრებს (ამ დროს ყველანი სცენაზე ვიდექით) კონკურსანტების შეფასება სთხოვეს. ზემფირას პროდიუსერმა, რომელმაც დაბალი ქულა დამიწერა, თქვა, რომ აღფრთოვანებული იყო ჩემი ვოკალური მონაცემებით და დასძინა — გენიალურად იმღერა, მაგრამ არ ვიცოდი, მისთვის რა ქულა დამეწერა — 0 თუ 10, ამიტომაც შუალედური ავირჩიე და 6-იანი დავუწერეო. ეს მისგან ცინიკურ ნათქვამად ჩავთვალე.

— **ლაიმა ვაიკულემ რა თქვა?**

— ლაიმამ ცაში ამიყვანა. ისე მაქო, რომ შემრცხვა კიდეც. თქვა — კონკურსანტებს შორის, ასეთი პერსონა სცენაზე მხოლოდ ერთი ვნახე და ეს ანრი ჯოხაძეა — თავისი ტემპერამენტით, ვოკალური მონაცემებითა და საშემსრულებლო მანერით; მას პირველობას დაუფიქრებლად მივანიჭებდიო. ბოლოს, კონკურსანტებს მიმართა — მიჰბაძეთ ანრი ჯოხაძესო! ეს ჩემთვის აბსოლუტური შოკი იყო. ჟიურის თავმჯდომარემაც ფანტასტიკური შეფასება მომცა. თურმე, მას ვახსოვდი კონკურსიდან — „იალტა-კიევი-ტრანზიტი-2005", მაშინაც კონკურსის ჟიურიში იჯდა და გაიხსენა — ეს მომღერალი მაშინაც არაჩვეულებრივი იყო, მან განუმეორებელი სოფია როტარუს სიმღერა „ჩერვონა რუტა" შეასრულა და მისი გამოსვლა მთელმა ჟიურიმ უმაღლესი ქულებით შევაფასეთო.

— **გამოდის, რომ ისრაელელმა ჟიურის წევრებმა დაგჩაგრეს?**

— მიუხედავად ჩემი კეთილგანწყობილებისა იქაურების მიმართ, ცოტათი გულნატკენი ვარ. ისინი თავიდანვე მფარველობდნენ გოგონას, რომელიც გრან-პრის მფლობელი გახდა. ეს რეპეტიციებზეც იგრძნობოდა. სულ თავს ევლებოდნენ. აშკარაა — რადგან ეს კონკურსი პირველად ტარდებოდა, მიზნად ჰქონდათ დასახული, რომ გრან-პრი ისრაელში დარჩენილიყო...

— **კონკურსანტებს შორის, როგორი ურთიერთობა იყო?**

— რომ გითხრა, მეგობრულიმეთქი, ტყუილი იქნება. პირველი დღიდანვე შევამჩნიე, რომ ჟიური მიკერძოებულ დამოკიდებულებას იჩენდა და ამან გამაღიზიანა. მაგრამ ამავე დროს, ბედნიერიც ვიყავი იმით, რომ ისეთი დონის მომღერალმა, როგორიც ლაიმა ვაიკულეა, უმაღლესი შეფასება მომცა. ის სერიოზულად გაბრაზდა ჟიურის წევრებზე, მათი არაობიექტურობის გამო, და გამოსვლისას, ეს ლაპარაკის ტონზეც შეეტყო.

— **რა მოხდა მეორე ტურზე?**

— შევასრულე ინგლისურენოვანი სიმღერა — „ფილინგს". იმ დღეს უკვე ფარული კენჭისყრა იყო და არ ვიცი, ვინ რა ქულა მარგუნა. ამასთან, ლაიმა ვაიკულე ჟიურიში უკვე აღარ იჯდა: მას საგასტროლო ტურნე ჰქონდა დაგეგმილი და იმავე ღამეს გაფრინდა ეილატიდან. აღარც ცვეკაპიკი დასწრებია მეორე ტურს (ეს გახლავთ ლეგენდარული კომპოზიტორი, რომელმაც დაწერა „ევროვიზია 98"-ზე საუკეთესოდ დასახელებული სიმღერა). მეორე ტურზე ჟიურიში იყვნენ: რუსლანა, „მის უკრაინა 2001", ვალერი ლეონტიევისა და ირინა ალეგროვას თითქმის ყველა ჰიტის ტექსტის ავტორი (მანაც თბილი სიტყვები მითხრა, რამაც გამამხნევა, დაძაბულობა მომიხსნა).

— **რა განიცადე, როდესაც შეიტყვე, რომ ყველაფრის მიუხედავად, მაინც I ადგილზე გახვედი?**

— პირველი დღის შემდეგ, ჩემთვის უკვე აბსოლუტურად უმნიშვნელო იყო ყველაფერი — იმდენად იმოქმედა დიდი პროფესიონალებისგან მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, რაც ჩემთვის მთავარი იყო. უბრალ-




ლაიმამ ცაში ამიყვანა. ისე მაქო, რომ შემრცხვა კიდეც

ოდ, ფორმალურად ვიმყოფებოდი დაჯილდოების ცერემონიაზე და როცა სულ არ ველოდი, სწორედ მაშინ, უეცრად პრიზი გადმომცეს...

**— ანრი, გიყვარს ფესტივალებსა და კონკურსებზე გამოსვლა?**

— როდესაც კონკურსზე ვარ, მგონია, რომ ომში ვიმყოფები: საოცარი, ადრენალინის გამოყოფა ხდება... ამჯერად, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ლომის ხახიდან ამოვიღე ეს წარმატება... ბევრი ჩემი კოლეგა თავს არიდებს საერთაშორისო კონკურსებზე გამოსვლას, ფიქრობს — ვაიდა, ვერ ავიღო პრიზი და ვერ გავხდე ლაურეატი?!. მე ეს სამარცხვინოდ არ მიმაჩნია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი მომღერალი ხარ. თანაც, მნიშვნელოვანია, რომ შენი ქვეყნის სახელით გადიხარ საერთაშორისო ასპარეზზე.

**— ეს შენთვის უკვე მეთერთმეტე კონკურსი იყო. მეთორმეტე ალბათ, „იურმალა" იქნება, არა?**

— შეიძლება. არ არის გამორიცხული. ერთ-ერთი მორიგი კი, ვფიქრობ, რომ „იალტა-მოსკვა-ტრანზიტ-2007," იქნება, რომელსაც ტელეკომპანია OPT გააშუქებს (ეს კონკურსი წელს განახლდა). უკვე მივიღე ორგანიზატორებისგან პერსონალური მიწვევა. მიხარია, რომ განახლებიდან პირველსავე წელს წავალ და იქ საქართველოს წარმოვადგენ. უკვე ვიცი, რომ ჟიურის წევრებს შორის, იტალიელი მომღერალი ტოტო კუტუნიო იქნება. აქვე ექსკლუზიურად მინდა გითხრა — ისრაელში



ამჯერად, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ლომის ხახიდან ამოვიღე ეს წარმატება...

პირველი გამოსვლის შემდეგ, ლაიმა ვაიკულემ გამომიგზავნა თავისი პროდიუსერი, რომელმაც მითხრა: იმის გამო, რომ ლაიმას ძალიან მოეწონე, მას დიდი სურვილი აქვს, რომ წელს საქართველო „იურმალაზე" შენ წარმოადგინოო. ეს რომ მოვისმინე, კიდევ ერთი შოკი მაშინ განვიცადე. მერე, თვითონ ლაიმასთან კონფიდენციალური საუბარიც მქონდა. სხვათა შორის, მკითხა — ვინ არის იმ კომპოზიციის ავტორი, რომელიც შეასრულეო? ვუპასუხე — დედა მყავს კომპოზიტორი და მან დამიწერა-მეთქი. Передай маме от меня привет. У неё очень хороший вкус.

**— ეი. წელს „იურმალაზე" გაემგზავრები?**

— არ ვიცი. ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ნატო დუმბაძის მეშვეობით, უკვე გაგზავნილი მაქვს „იურმალის" შესარჩევ ტურზე ჩემი ჩანაწერები. იმედი მაქვს, რომ ნატო კარგად გაართმევს თავს ამ ყველაფრის პროდიუსერობას... ■

# ლელა, კახაბერი და „ვერნისაჟი" ელადის უძველეს მიწაზე...



მოხარული ვარ, რომ მოგვეცა საშუალება, ამ ადამიანებთან ჩავსულიყავით და ჩავხუტებოდით

**საბერძნეთში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორისთვის ნამდვილი ზეიმია სამშობლოდან იქ ჩასულ, თუნდაც, ერთ შემოქმედთან შეხვედრა. ამიტომაც ცდილობენ, ნებისმიერი შესაძლებლობა გამოიყენონ, ქართველი მომღერლების „შესატყუებლად" და პერიოდულად, ფოლკლორის ოსტატებსა თუ შოუბიზნესის წარმომადგენლებს გულუხვად მასპინძლობენ. მორიგი სიხარული იქ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს მარტის შუა პერიოდში ეწვია, როდესაც მათ, ლელა წურწუმიას, კახაბერ ცისკარიძისა და შოუბალეტ „ვერნისაჟის" კონცერტზე მოიყარეს თავი.**

**ჩვენი ნებაყოფლობითი კორესპონდენტი, ლიგია მუშკუდიანი ათენიდან გვატყობინებს:**

*„კიდევ ერთი ლამაზი საღამოს მომსწრენი გახდნენ ათენელი და არა მარტო ათენელი ქართველები. ამჯერად, ელადის უძველეს მიწას ქართული შოუბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლები სტუმრობდნენ: ლელა წურწუმია, კახა ცისკარიძე და შოუბალეტი „ვერნისაჟი". უნდა აღვნიშნო, რომ ლელას შარშანაც ჰქონდა სალონიკში კონცერტები, რომლებიც ანშლაგით ჩატარდა. როდესაც ამჯერად, ამ ქალაქში მცხოვრები ჩემი მეგობრები დამიკავშირდნენ და ახალი კონცერტის ორგანიზება შემომთავაზეს, ცოტა არ იყოს, შევცბი, რადგან საამისოდ ძალზე მცირე დრო იყო დარჩენილი — სულ რაღაც ორ კვირაში უამრავი საორგანიზაციო საკითხი უნდა მომეგვარებინა. მაგრამ მეგობრებიც მხარში ამომიდგნენ და ყველაფერი საუცხოოდ წარიმართა.*

*ზუსტად ერთ კვირაში ყველა ბილეთი გაიყიდა. ქართული შოუ, „ილისია დენისის" სახელობის თეატრში გაიმართა. 580-კაციან დარბაზში 700 კაცზე მეტი მაყურებელი მოთავსდა, ხოლო თუ რა ხდებოდა კონცერტზე, ამას ალბათ ენით ვერ აღვწერ: ლელას სულგანაბული უსმენდნენ, კახაბერთან ერთად კი, მაყურებელი ცეკვავდა... სულ ბოლოს, ლელამ დარბაზში მსხდომ ქართველ ემიგრანტებს ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და სულ ცოტა ხანში საქართველოში დაბრუნება უსურვა და მათთან ერთად რევაზ ლაღიძის „თბილისო" შეასრულა...*

*წერილის დასასრულს, ყველა ქართველი ემიგრანტის სახელით ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო: ლელა წურწუმიას, კახაბერ ცისკარიძეს, ჯგუფ „ვერნისაჟს" და ჩემს სალონიკელ მეგობრებს — ვალერი და ნატო დუგაროვებს, რომელთა ინიციატივითაც კიდევ ერთი ლამაზი ქართული საღამოს მოწყობა გახდა შესაძლებელი".*

**ამ კორესპონდენციის მიღების შემდეგ, ლელა წურწუმიას პროდიუსერს, კახა მამულაშვილს (მამულიჩას) დავუკავშირდი და კომენტარი ვთხოვე.**

**მამულიჩა:**

— სალონიკში უკვე მესამედ გახლდით, ათენში — პირველად. რაც ამ კონცერტზე მოხდა — ამან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვნახეთ, თუ როგორი მონატრებულები არიან იქაური ქართველები ქართულ სიმღერას, ხელოვნებას. მოხარული ვარ, რომ მოგვეცა საშუალება, ამ ადამიანებთან ჩავსულიყავით და ჩავხუტებოდით. კიდევ გვაქვს სურვილი მათთვის სითბოს განაწილების, რაც უკვე მომავლის საქმეა. ■

ინტიმური ტელეფონი
822-006-008
822-006-088
822-006-108
(ზარი ფასიანია)
18 წლიდან





# DBX ალუმინის შასიზე



Aston Martin ახალი მოდელის დამზადებას აპირებს, რომელსაც DBX ერქმევა. ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ, კომპანიის თავკაცმა, ულრიჰ ბეცმა განაცხადა. ბეცის თქმით, ავტომობილი ალუმინის შასიზე აიგება. სიახლე 6-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი ძრავათი აღიჭურვება. მისი სიმძლავრე, რომელიც ექვსსაფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფით იმუშავებს, 700 ცხ.ძ-ს მიაღწევს. უკანახიდიანი DBX 100კმ/სთ სიჩქარეს 3,7 წმ-ში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 330 კმ/სთ იქნება. როგორც ვარაუდობენ, Aston Martin DBX დიდ ბრიტანეთში 350 ათასი გირვანქა სტერლინგი ეღირება. მოდელის სერიულ წარმოებაში ჩაშვების ვადის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ■



# Ford-ის კროსოვერი

ნიუ-იორკის ავტოსალონზე კომპანია Ford ახალ კროსოვერს წარმოადგენს, რომელსაც Flex ერქმევა. Ford Motor-ის წარმომადგენელთა თქმით, ახალი ავტომობილი ზოგიერთ ელემენტს კონცეპტუალურ მოდელს — Fairlane — დაესესხება, რომელიც პირველად, 2 წლის წინ, დეტროიტის ავტოსალონზე წარმოადგინეს. როგორც მოსალოდნელია, ახალი კროსოვერი „ფორდის" სამოდელო რიგში Mercury Monterey-სა და Ford Freestar-ს შეცვლის. სიახლის ტექნიკური მაჩვენებლების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. Ford Flex-ის სერიული წარმოება 2008 წლიდან დაიწყება. ამერიკული კონცერნის წარმომადგენელთა თქმით, წარმოების წლიური მოცულობა 100 ათას ავტომობილს მიაღწევს. ახალ მანქანას ოუკვილის ქარხანაში ააგებენ, რომელიც კანადის პროვინცია ონტარიოში მდებარეობს. ■



# ჰიბრიდულძრავიანი სამთვალა

ამერიკული კომპანია Robert Q. Riley Enterprises, რომელიც სხვადასხვა ნაწარმის დიზაინის შემუშავებას მისდევს, ჰიბრიდული ძრავათი აღჭურვილ ახალ სამთვლიან ავტომობილს — XR-3-ს ამზადებს. სიახლის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი Kit-kar მანქანაა, რომელიც ცალკეულ ნაწილებად დაშლილ მდგომარეობაში გაიყიდება და მფლობელის ნება-სურვილისამებრ ასაწყობად იქნება განკუთვნილი. XR-3 სამცილინდრიანი დიზელის ძრავათი აღიჭურვება, ის ავტომობილის წინა ნაწილში იქნება განთავსებული და წინა ბორბლებს, აგრეთვე ძარას უკანა ნაწილში დაყენებულ ელექტროძრავას ამუშავებს, რომელიც უკანა ბორბალთან იქნება დაკავშირებული. ამასთან, მანქანას ორივე ძრავას მეშვეობით, ელექტროწევით ან მხოლოდ დიზელის აგრეგატით მოძრაობა შეეძლება. ახალი მოდელის შემქმნელები დარწმუნებული არიან, რომ ორადგილიანი ავტომობილი, აკუმულატორების დამუხტვიდან დამუხტვამდე, 100 კმ-ის გასავლელად, მხოლოდ 1 ლ საწვავს, ხოლო მარტო დიზელის ძრავათი მოძრაობისას, 2 ლ-ზე ნაკლებს დახარჯავს. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 136 კმ/სთ-ია. ■


- მომსახურების მაღალი ხარისხი
- ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
- ყველაზე დაბალი ფასები

გამოიწერეთ!

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. Авторевю | 3,50 | 42,00 |
| 2 Автомир | 2,50 | 65,00 |
| 3 Клаксон | 3,50 | 42,00 |
| 4 Автомобильный транспорт | 37,00 | 222,00 |
| 5 Автопилот (комерсант) | 10,00 | 60,00 |
| 6 Автоспорт | 3,50 | 21,00 |
| 7 За рулем | 7,00 | 42,00 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო

ქ. თბილისი
ორბელიანის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

## (29 მარტი – 4 აპრილი)

**ვერძი 21.03-20.04**

დროა განაახლოთ თქვენი გარდერობი და ახალი ნივთები შეიძინოთ. სამსახურში წარმატება გელით, თუმცა, თუ ზედმეტად თავდაჯერებული იქნებით და ძალებს არ დაზოგავთ, ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევთ.

**კურო 21.04-20.05**

ამ კვირას კონფლიქტური სიტუაციისგან თავის არიდების მიზნით, შეეცადეთ უცხო ადამიანების გარემოცვაში ნაკლები დრო გაატაროთ. უქმე დღეები ოჯახის წევრებს დაუთმეთ.

**ტყუპი 21.05-21.06**

ამ პერიოდში შეიძლება, ფარულმა სასიყვარულო ურთიერთობამ გაგიტაცოთ. თუმცა, ძალზე ემოციური იქნებით და მოვლენებს მეტისმეტად დრამატულად აღიქვამთ, რის გამოც, ყველაზე ხელსაყრელ სიტუაციაშიც კი, შესაძლოა ხელი მოგეცაროთ. სანამ რაიმეს მოიმოქმედებთ, შედეგებზე წინასწარ იფიქრეთ.

**კიბო 22.06-22.07**

თქვენი კარიერა დამოკიდებული იქნება თქვენს მიმზიდველობაზე. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული დრამატურგები მატერიალურ დახმარებას მიიღებენ, მსახიობები — პროდიუსერების კეთილგანწყობილებას დაიმსახურებენ, პოლიტიკოსები კი — საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად სახსრებს მოიპოვებენ.

**ლომი 23.07-23.08**

ძალზე დიდსულოვანი და ხელგაშლილი იქნებით საყვარელი ადამიანების მიმართ. თქვენი ერუდიცია, მახვილგონიერება და მომაჯადოებელი ხმა ადამიანებზე მაგიურ ზეგავლენას მოახდენს. ამის გამო, გავლენიანი ადამიანების მფარველობის ქვეშ მოექცევით. თუმცა, გახსოვდეთ, თქვენს სითამამეს შეიძლება, სავალალო შედეგი მოჰყვეს.

**ქალწული 24.08-23.09**

შეეცადეთ, ამ პერიოდში მჭრელი ნივთებისა და ცხელი, თხევადი ნივთიერებების გამოყენებისას სიფრთხილე გამოიჩინოთ. უქმე დღეები მეგობრების ვიწრო წრეში გაატარეთ. შესაძლოა, კვირა დღეს წვეულებაზე მიგიწვიონ და დროს სასიამოვნოდ გაატარებთ.

**სასწორი 24.09-23.10**

თქვენი ურთიერთობა პარტნიორებთან საკმაოდ პრობლემატური იქნება. ამ პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია, რომ თქვენი ცხოვრების თანამგზავრს თავისუფალი არჩევნის საშუალება მისცეთ. თქვენი მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეგწევთ უნარი ითანამშრომლოთ უცხო ადამიანებთან.

**მორიელი 24.10-22.11**

საყოფაცხოვრებო პრობლემები და ყოველდღიური წვრილმანები სერიოზული საკითხების გადაწყვეტაში შეგიშლით ხელს. ზოგიერთი თქვენგანი ბინის კეთილმოწყობით იქნება დაკავებული, რაც თავისთავად, დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს თქვენს ჯანმრთელობაზეც აისახება.

**მშვილდოსანი 23.11-21.12**

ამ კვირას უამრავი ახალი ჩანაფიქრი გაგიჩნდებათ და სავსებით წარმატებულად შეძლებთ მათ განხორციელებას. მონაწილეობას მიიღებთ გამოფენებსა თუ სპორტულ შეჯიბრებებში. ამავე დროს, თქვენს ცხოვრებაში შეიძლება დიდი სიყვარული შემოიჭრას.

**თხის რქა 22.12-20.01**

წარმატებით ჩაატარებთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, უამრავ ფულს დახარჯავთ ბინის კეთილმოწყობაზე. ამავე დროს, მოგიწევთ მატერიალური დახმარება გაუწიოთ თქვენს ნათესავებს, თუმცა, მათთან ურთიერთობა ძალას შეგმატებთ და სულიერ სიმშვიდეს მოგიტანთ.

**მერწყული 21.01-19.02**

დიდ ყურადღებას დაუთმობთ ოჯახურ პრობლემებს, შეეცდებით მოაგვაროთ ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და თქვენი ბინა უფრო კომფორტული და მყუდრო გახადოთ. თქვენი გემოვნებისამებრ შეღებავთ კედლებს, შეიძენთ ლამაზ საოჯახო ნივთებს ან ხელოვნების ნიმუშებს.

**თევზები 20.02-20.03**

სრულიად დარწმუნებულები იქნებით თქვენი მოსაზრებების სისწორეში, თუმცა იმდენად დიპლომატიურად შეძლებთ მათ გადმოცემას, რომ თქვენი შემოსავალი უთუოდ გაიზრდება. თქვენი შარმითა და გულკეთილობით ადვილად მიიპყრობთ საპირისპირო სქესის ყურადღებას.

მალე!

აპრილის

ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი

მკითხველი ბრძანდებით...



**თავს არ შეგაწყენთ ბევრი ლაპარაკით, რადგან ისედაც უამრავი მესიჯი გაქვთ წასაკითხი. უბრალოდ, შეგახსენებთ, იმისათვის, რომ „მესიჯომანიაში“ თქვენი მესიჯი მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA, გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოაგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**

## vipove!

### ეკა კახაძე, მამა გელის!..

*„გზის“ მე-11 ნომერში, რუბრიკით — „ვეძებ“ გამოქვეყნდა განცხადება: „ვეძებ წალკაში აჭარიდან ჩასახლებულ მამას, ტარიელ გიორგის ძე კახაძეს. იქნებ, ვინმე დამეხმაროს? ეკა კახაძე“. იქვე, მობილური ტელეფონის ნომერიც იყო მითითებული. ჟურნალის გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონმა დამირეკა. ის წალკის გაზეთის რედაქტორი, ქალბატონი ნაზი მეშველიანი აღმოჩნდა. ქალბატონ ნაზის წაუკითხავს განცხადება, საპასპორტო განყოფილებაში მისულა და „ძებნილის“ ვინაობა ძალზე იოლად დაუდგენია. ბატონი ტარიელ კახაძე წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი აღმოჩნდა. ქალბატონ ნაზის მისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ეძებს. მამის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია. მათ ჟურნალში მითითებულ ნომერზე დაურეკავთ და ეკასთან დაკავშირება უცდიათ, მაგრამ ამ ნომერზე მასთან დაკონტაქტება ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა (მეც უამრავჯერ ვცადე, მაგრამ ამაოდ. — ავტ.). ამის შემდეგ, ქალბატონი ნაზი მე დამიკავშირდა და მთხოვა, მამა-შვილს შეხვედრაში დავხმარებოდი. ბატონი ტარიელიც იქვე გახლდათ. ის ძალზე ღელავდა და ჩემთან საუბრის დროს აშკარად ვგრძნობდი, როგორ ეჩხირებოდა ცრემლის ბურთი ყელში. ჩვენ შორის ასეთი საუბარი შედგა:*

— წლების წინ, 1992-93 წლებში საქმის გამო მომიწია ვანში ყოფნამ. იქ დავქორწინდი და 1993 წლის 6 აგვისტოს დაიბადა ჩემი გოგონა, ეკა. მე და ჩემი ყოფილი ცოლი ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს და როდესაც ეკა 2 წლის იყო, ერთმანეთს გავშორდით. ამის შემდეგ შვილთან ურთიერთობა ამიკრძალეს. ვერაფრით მივაღწიე იმას, რომ ბავშვი მენახა. ის ვანის რაიონში ცხოვრობს, მაგრამ ყოველთვის საგულდაგულოდ მალავდნენ, რომ არ მენახა.

— **თქვენ სხვა ოჯახი შექმენით?**

— დიახ, ოჯახი მყავს, ცოლი, შვილები...

— **მათ თუ იცოდნენ ეკას არსებობის შესახებ?**

— რას ჰქვია, არ იცოდნენ? რა თქმა უნდა, იცოდნენ და ყოველთვის ცდილობდნენ, რომ მის მოძებნაში დამხმარებოდნენ. დღეს კი, ქალბატონი ნაზი სამსახურში მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ თურმე, ჟურნალში წაუკითხავს, რომ შვილი მეძებს. ეს ჩემთვის მოულოდნელი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო დარტყმა იყო. ვტიროდი მე, ტიროდა ქალბატონი ნაზი, ტიროდნენ ჩემი თანამშრომლები. ეკას ვერ ვუკავშირდები და იქნებ, ისევ თქვენი დახმარებით შევძლო მისი პოვნა? უკვე ბედნიერი ვარ. ჩემს შვილს ალბათ, მალე შევხვდები.

— **ეკა რომ თბილისში ჩამოვიდეს, თქვენც ჩამობრძანდებით?**

— რა თქმა უნდა, ქალბატონო მარი, ნებისმიერ წუთს ჩამოვალ, შვილთან შესახვედრად. თქვენი უზომოდ მადლიერი ვარ, რომ ასეთ კეთილ საქმეს აკეთებთ.

*იმედს ვიტოვებ, რომ ამას ეკა წაიკითხავს და მამას შეეხმიანება. ჩვენ კი მათი შეხვედრის მოწმენიც გავხდებით.*

## qalebi

1. პირველად გწერთ. ძალიან მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემმა დეიდაშვილმა, რომელიც 43 წლისაა, ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნოს სერიოზული მამაკაცი.

2. გავიცნობ ჭკვიან და კარგი გარეგნობის ბიჭს. პრიმიტიულმა ბიჭებმა თავი შეიკავონ. 23 წლის ბებე.

3. ვეხმაურები 32-ე მესიჯის ავტორს. ვარ 26 წლის, ნორმალური გარეგნობის გოგო. თუ სურვილი გექნება, გავიცნოთ ერთმანეთი. კუსა.

4. მე ვარ ლელა, 16 წლის, რაჭიდან. თუ გსურთ ჩემთან მეგობრობა, დამიმესიჯეთ. წინასწარ გიხდით მადლობას. მარი.

5. „გზა“ №12, 32-ე მესიჯის ავტორს. არც მე მიცდია მსგავსი რამ და თუ მართლა ასეთი კარგი ხარ, ჩემი ნომერი მარის გამოართვი. მარი, შოთას გარდა ნომერი არავის მისცე. პაკა.

6. გამარჯობა, მე ვარ ლიზი. დიდი სიამოვნებით გავიცნობდი 25-30 წლის, კარგი გარეგნობის მამაკაცს (აუცილებლად განათლებული უნდა იყოს), ოჯახის შექმნის მიზნით. ლიზი.

7. პატრიოტს გავიცნობდი, დიდი სიამოვნებით, ოღონდ იმ პირობით, თუ მართლა სულიერ მეგობარს ეძებს. ჩემი ნომერი მარისთანაა. ზაზუნა-22.

8. გამარჯობა, ხალხო, მეც მოვედიიი... მე წიკო ვარ, ახალი ვარ, მიმიღებთ? მომწერეთ, ვისაც გინდათ.

9. ვარ 39 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, ტრადიციული, პატიოსანი, მარტოსული ქვრივი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სიმპათიურ, შეძლებულ, 45 წლამდე ასაკის, თბილისელ ქვრივს. ნინო.

10. მე-12 ნომრის, 38-ე მესიჯის ავტორის ნომერი მომეცით, თუ შეიძლება ან ჩემი ნომერი გადაეცით და დამიმესიჯოს. გმადლობთ. მარი, იმედია, დამეხმარები. მარი.

11. ვარ 24 წლის. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, სერიოზულ ბიჭს. არასერიოზულები ნუ შეწუხდებით. მაინტერესებს, რა შეგრძნებაა, როცა შენს მესიჯს „გზაში“ კითხულობ. მარი, იმედია, დამიმესიჯებთ.

12. მაღალიც ვარ, ფერხორციანიც და სიმპათიურიც, მაგრამ საშინელი უიღბლო გახლავართ. არავის უნდა, გამაბედნიეროს? დაბალი მამაკაცები ნუ გამომეხმაურებიან. 36 წლის შინაბერა.

13. ვარ 27 წლის, მწვანეთვალება, ქერა მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 30 წლამდე ასაკის, სერიოზულ, სიმპათიურ მამაკაცს, რომელიც ფიქრობს ოჯახის შექმნაზე.

14. 21 წლის ვარ. არც გარეგნობას ვუჩივი, არც „პაკლონიკების“ რაოდენობას და არც მდიდარ კაცებზე ვნადირობ. უბრალოდ, მაინტერესებს, ვინ დაინტერესდება ჩემით. ჭკვიანი გოგო.

15. ვეძებ სათნოს, თანაც, მარტოს, განათლებულს, თანაც, სანდოს... იქნებ, ბედშიც გაგიმართლოს, თან, ოჯახმაც არ იდარდოს... ინტელექტუალი გოგო-33.

16. პრივეტ, ვარ 17/172/59, უკომპლექსო გოგო. გავიცნობ საინტერესო, სპორტული აღნაგობის 25 წლამდე ასაკის ბიჭს. გაფრთხილებთ: ვარ ქალწული :( „მაზოხისტკა“. „კლიჩკამ“ არ დაგაფრთხოთ.

17. ვეხმაურები „გზა“ №12, მე-19 მესიჯის ავტორს. შენ მართლაც დიდი მატყუარა ხარ. ჩემი გაცნობა გინდა? მაშინ იაქტიურე! ნი.

18. მარი, საბერძნეთიდან გწერ. ვმუშაობ ქალაქ პატრაში. ჩემი პრობლემა ისაა, რომ მთელი წლის მანძილზე ქართველები ვერ გავიცანი. თუ ვინმე ცხოვრობს პატრაში, გამომეხმაუროს. მარტო ყოფნით დავიღალე. არადა, ათენში წასვლა არ მინდა, იქ მაგარი რიარიაა. მარი, ჩემი ნომერი ყველას მიეცი, ვინც დაგირეკავს. ნათია, 20 წლის.

19. მე იტალიიდან გიმესიჯებთ. გავიცნობ 32-38 წლის, სიმპათიურ, მაღალ და სანდო კაცს. წავიყვან ჩემთან, ფლორენციაში. აქ ქართველი მამაკაცები არ არიან.

20. მინდა, ინტიმური ურთიერთობისთვის გავიცნო 20-30 წლის მამაკაცი. ოღონდ, სიმპათიური. 18 წლის მორიელი.

21. ვარ 36 წლის. 175 სმ სიმაღლის, ტანსრული, შავგვრემანი ქალბატონი. თუ მოგწონთ ასეთი ქალები, გამომეხმაურეთ სერიოზული ურთიერთობებისთვის, 40 წლამდე ასაკის მამაკაცები.

22. კაცებს ჭკვიანი ქალები არ უყვართო, მაგრამ მაინც ვცდი :-) იქნებ, კარგი ადამიანი გავიცნო. ჩემი ნომერი მარისთანაა. არ მიყვარს ლაწირაკები და არასერიოზულები. სათუთი.

23. გამარჯობა. მინდა, გავიცნო 16 წლის ბიჭი. ბა.

24. არც ფულის ტომარას ვეძებ და არც მოდის ჟურნალიდან გადმომხტარს (თუმცა, არ მაწყენს). ვარ კარგი გარეგნობის, ღირსეული, გაუთხოვარი ქალი. გავიცნობ 38-50 წლის მამაკაცს. ნომერი მარისთანაა.

25. ვარ 32 წლის, გასათხოვარი, სიმპათიური. ვეძებ მოსიყვარულე მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.

26. ვარ 30/172, დედისერთა გოგო. მყავს გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ზრდილობიან და კულტურულ, 35-40 წლის ნამდვილ მამაკაცს. თუ კიდევ არსებობენ ასეთები, შემეხმიანონ. ახლა ვცხოვრობ კახეთში, ჩემს გოგონასთან ერთად. შემეხმიანოს თბილისელი მამაკაცი, ვინც იცის ოჯახის ერთგულებისა და სიყვარულის ფასი. ნომერი მარისთანაა. თეა-30.

27. ვეხმაურები „გზა“ №12, 54-ე მესიჯის ავტორს. მე ის 16 წლის მარი ვარ, ვისი გაცნობაც გინდოდა (იგივე, ბუბუ). ჩემი ნომერი მარის გამოართვი და დამიკავშირდი.

28. იტალიაში ვარ. დამიმესიჯეთ, კარგო ბიჭებო. ძალიან მენატრება საქართველო. იდა. 393.886.088.089.

29. ვეხმაურები „გზა“ №12, 49-ე მესიჯის ავტორს, გოგას. მარი, გთხოვ, გამოაქვეყნო ეს მესიჯი. მე ელისო ვარ, რომელსაც მეგობარი ეძებს. ქეთი, ძალიან მიყვარხარ და მენატრები.

30. ვარ 33/167, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი, მხიარული ხასიათით, ბათუმე-



M K

ლი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის მამაკაცს, კარგი ხასიათით. ნანა.

31. მე ნატა ვარ, 21 წლის. ცოტა ბუტია, ცოტა ეშმაკუნა, ცოტა ჯიუტი, ცოტა მავნე და ცოტაც „მწვალებელი". ყველაფერი ლამაზი მომწონს... ნეტავ, ვინ გამეცნობა?

32. გამარჯობა, ხალხო. ყველა ამბობთ, რომ ყველაზე კარგები ხართ და გამწარებული ეძებთ ზოგი ვის და ზოგი — რას. მეც ვცდი, რა იქნება? სანთლით ვეძებ ნამდვილ ქართველ მამაკაცს, 25 წლის ზემოთ. ვიცი, რომ საქართველოში ამ მხრივ შავ დღეში ვართ, მაგრამ მაინც :) ნიტა.

33. მარი, 32-ე მესიჯის ავტორს, შოთას მიეცი ჩემი ნომერი. ხატია.

34. ვარ 33/175, კარგი წარსულის მქონე, მარტოხელა დედა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს, რომელსაც ცხოვრების დარჩენილი წლების გალამაზება სურს.

35. გამარჯობა, მარი. ვარ 38 წლის, დასაქმებული. მსურს გავიცნო „გზა" №12, მამაკაცების „რიადში" 55-ე ნომერი და თუ შეიძლება, მომეცით იმ პიროვნების ტელეფონის ნომერი.

36. ვეხმაურები „გზა" №12, 49-ე მესიჯის ავტორს, „სამხედრო" გოგას. ნომერი მარისთანაა. კახელუშკა.

37. გავიცნობ 30 წლამდე ვაჟკაცს, რომელსაც „ევასება" ხაში და ყოველ კვირას კომპანიონობას გამიწევს. დაბლები და მსუქნები არ გამომეხმაურონ *(ნომერი არ არის დაფიქსირებული, ამიტომ მხოლოდ ჟურნალის საშუალებით თუ შეძლებთ მასთან დაკონტაქტებას. — ავტ.)*

38. ვარ 22 წლის. სამეგობროდ გავიცნობდი გაგებულ ადამიანს. ნაკო.

39. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 90 წლამდე ასაკის ბიჭს :) სასურველია იყოს მელოტი, ღიპიანი და უკბილო. იმედია, ასეთს სექსის თავი არ ექნება. ვარ 110 წლის, დაბალი და უშნო.

## mamakacebi

1. ვეხმაურები მე-11 ნომრის, 42-ე მესიჯის ავტორს. ვარ 21 წლის გია. ნომერი მარის გამოართვი.

2. ვეხმაურები 42-ე ნომერს. მე მზად ვარ შენთან ურთიერთობისთვის. ვარ 25 წლის, სიმპათიური მამაკაცი. თუ გადაწყვეტ, დამიკავშირდი. ნომერი მარისთან დატოვე და დაგირეკავ. ნიკა.

3. გავიცნობ 30-35 წლის პუტკუნა გოგოს, სამეგობროდ. ვარ უბრალო, უცოლშვილო, თბილისელი კაცი. დანარჩენი პირადად. დამირეკეთ ან დამიმესიჯეთ. გიორგი.

4. ვეხმაურები მაკა-23-ს. თუ სურვილი გექნება, გავიცნოთ ერთმანეთი.

5. მარი, სალამი! დედას გაფიცებ, მე-11 ნომერში დაბეჭდილი, 42-ე მესიჯის ავტორთან დამაკავშირე ან ნომერი მომწერე, ან იმას მისწერე ჩემი ნომერი და იმავე ნომერში, 31-ე ან 36-ე მესიჯის ავტორის ნომერი მომეცი. თუ ყველას ნომერს მომცემ, უკეთესია. ველოდები პასუხს. შენი იმედი მაქვს. თუ გინდა, შენც მომწერე. :))

6. ვარ მაგარი ბიჭი. ვგავარ „ფარული ვნების" ხუანს. მინდა, კეტრინ ზეტა-ჯონსის გაცნობა და ვთხოვ, შემეხმიანოს. მაგრად მიყვარს, ოღონდ, მალულად და მან არ იცის. ლევანი-ჯეი.

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლამდე ასაკის, გაგებულ, ზრდილობიან ქალს. ჰქონდეს კარგი სამსახური, იყოს თხელი აღნაგობის, თუ გინდ, განათხოვარი. ნომერს მარი მოგცემთ და დამიმესიჯეთ.

8. მსურს გავიცნო გოგონა. იყოს განათხოვარი. თუ ვინმეს დავაინტერესებ, მიეცი ჩემი ნომერი. კარგი და პატიოსანი ადამიანი ვარ, სასიამოვნო გარეგნობით. წვიმის კაცი.

9. გავიცნობ 18-22 წლის, კარგ გოგონას (ყველანაირი ურთიერთობისთვის). თუ გსურთ ჩემი გაცნობა, აი, ჩემი ნომერიც: 8.93.49.91.78. დათო.

10. ვეხმაურები „გზა" №12, 36-ე მესიჯის ავტორს, ქუთაისელ ლოლას, სამეგობროდ. როგორ დავუკავშირდე?

11. მარი, გთხოვ, მომეცი მე-11 ნომრიდან, 21-ე მესიჯის ავტორის, თამუნას ნომერი. მინდა, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო. თუ გინდათ, ჩემი ნომერი გადაეცით მას. იმედი მაქვს, დამიკავშირდება.

12. მყავს ძმაკაცი, ძალიან მაგარი ადამიანია — მაღალი, სიმპათიური. გოგონებო, შეეხმიანეთ და არ ინანებთ. ბადრი, 22 წლის.

13. „გზა" №11, 26-ე მესიჯის ავტორს ვეხმაურები. როგორც ჩანს, ძალიან მხიარული გოგოა. როგორ დავითრიო ნომერი? პირველად გწერთ... აბა, შენ იცი, მარი. :)

14. ვარ 26/178/78 ბიჭი. მაქვს პატარა ბიზნესი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, სერიოზულ გოგოს, 26 წლამდე. გართობისთვის ნუ შეწუხდებით. პაკო-26. გელით.

15. ვეხმაურები კეტრინ ზეტა-ჯონსს. გთხოვ, დამიკავშირდი. თუ თიკო გქვია, ე.ი. შენ ხარ. მაგრად მინდა შენი გაცნობა და გაგაბედნიერებ, დამიჯერე. ბრედ პიტი.

16. ვეხმაურები „გზა" №11, მე-8 მესიჯის ავტორს, მაკა-23-ს. ძალიან დამაინტერესეთ და მინდა გაგიცნოთ.

17. კეტრინ ზეტა-ჯონს, შენ „ოზონუშკასაც" გეძახიან, მგონი. არ დამიმალო, მე შენი ფანი ვარ და მაგრად მიყვარხარ. ნუთუ, არ გახსოვს, კახეთში გატარებული ზაფხული? ტირე-გიო.

18. ვარ 22 წლის, სიმპათიური ბიჭი. ახლა ძმაკაცის ნომრიდან ვგზავნი მესიჯს და არ იცის. ძალიან მინდა, კარგი გოგოს გაცნობა. დამირეკეთ. რამაზი.

19. ვარ 30 წლის და მქვია ზაზა. დიდი სურვილი მაქვს, გავიცნო 25-30 წლის გოგო, სერიოზული ურთიერთობისთვის. დამიმესიჯონ ამ ნომერზე: 8.55.62.33.19.

20. ვარ მაგარი ლამაზი ბიჭი, 16 წლის. სიმაღლით 180 სმ, ცისფერი თვალებით. ბანძებმა და დაბლებმა არ იაქტიურონ. გოგონებო, აბა, გელოდებით. ბათუმელი ბიჭი.

21. ძალიან მინდა გავიცნო მარტოხელა გოგო, 20 წლამდე. ვარ სერიოზული ბიჭი. თუ ვინმეს დაგაინტერესეთ, მომძებნეთ.

22. მინდა, შემხვდეს ერთი გოგო, რომელთანაც ვიმეგობრებ და სიყვარულით მივუდგები, თუ კი აქ შევხვდები.

23. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგოს. ვარ 25 წლის, 171 სმ სიმაღლის, სიმპათიური მამაკაცი. თუ გსურთ ჩემი გაცნობა, ნომერი მარისთანაა. გიო-25.

24. ვეხმაურები „გზა" №12, მე-19 მესიჯის ავტორს, 34 წლის გოგოს. მეც სიმპათიური ვარ, 37 წლის. სიყვარული და ერთგულება მინდა. მეც იგივეს გავაკეთებ. მყუდრო ოჯახი მჭირდება.

25. ვეხმაურები „გზა" №11, მე-13 მესიჯის ავტორს. სიამოვნებით გაგიცნობდი, ნატო... რას იტყვი?

26. ვარ 32 წლის, მაგარი სექსუალური მამაკაცი. მყავს მანქანა და ვარ დასაქმებული. ცოლად შერთვის მიზნით ვეძებ ქალს, რომელსაც ექნება ბინა და კარგი შემოსავალი (წარსულს არ აქვს მნიშვნელობა). დაბლები და მსუქნები ნუ გამომეხმაურებიან. გელოდებით სულმოუთქმელად. დამირეკეთ: 8.99.14.60.96. ლაშა.

27. ვარ 32 წლის, რუსთაველი მამაკაცი, ყველაფრით უზრუნველყოფილი. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგონას. გამომეხმურეთ. ოცნების პრინცი ყველანაირ სურვილს აგისრულებთ.

28. ვარ სიმპათიური მამაკაცი, 25 წლის. გავიცნობ კარგ, ლამაზ გოგონას, სამეგობროდ.

29. ვარ 25 წლის, მომხიბვლელი მამაკაცი. გავიცნობდი ჩემივე ასაკის სიმპათიურ გოგონას. დამიმესიჯეთ.

30. მარი, გთხოვ, ეს მესიჯი გამოაქვეყნო. ვეხმაურები „გზა" №12, 21-ე მესიჯის ავტორს, ქერა, მწვანეთვალება გოგოს. მე შავგვრემანი, თაფლისფერთვალება ბიჭი ვარ. მიშკა.

31. ვარ 27 წლის, ცისფერთვალება, ქერა, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ ლამაზ, სერიოზულ გოგოს. ცანცარები არ გამომეხმაურონ, რააა! ჩემი ნომერი მარისთან იქნება. „სოფლელი". გელით.

32. ვარ 26 წლის, სიმპათიური და მომხიბლავი მამაკაცი. გამომეხმაუროს მხოლოდ ლამაზი მანდილოსანი. ჯ. ბონდ.

33. პირველად ვამესიჯებ და გთხოვთ, 17 წლის გვანცას ნომერი მომეცით, მოდელის პარამეტრები რომ აქვს და სიყვარულს რომ ეძებს. იმედია, ნომერს მივიღებ.

34. ვარ მაღალი, სიმპათიური, 25 წლის მამაკაცი. გავიცნობდი თბილ, უბრალო, შეძლებულ ქალს, თბილი ურთიერთობისთვის. გიგა.

35. ვარ 26 წლის, 174/85, შავგვრემანი ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობდი სასიამოვნო გარეგნობის, 19-25 წლის გოგოს. ბესო.

36. გთხოვ, მარი, მე-10 ნომრის, 24-ე მესიჯის ავტორის, თამრიკოს ნომერი მომცე. მე გია ვარ. წინასწარ გიხდი მადლობას.

**37. Познакомлюсь с русскоязычной девушкой, со славянской внешностью, до 30 лет, из Тбилиси. Желательно – худощавая, высокая блондинка. Для серьезных отношений. Отзовитесь.**

38. ვარ 34/176/85 კაცი. ვეძებ შესაფერისი ასაკის, უზრუნველყოფილ ქალს. გინდა, ბედნიერი იყო? იჩქარე!

39. მარი, ძალიან გთხოვ, გამაგებინე მე-12 მესიჯის ავტორის, ევა-28-ის და მე-14 მესიჯის ავტორის, ლიკას ნომერი.

40. ვეძებ სადედამთილოს. მყავს ქვრივი მამამთილი, 53 წლის. გამოგვეხმაუროს ქალი, ვისაც ტკბილი სიბერე უნდა. შვილები ყველაფერში ხელს შევუწყობთ. რძალი.

41. ვარ სიმპათიური ახალგაზრდა. სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ გოგონას. დამირეკე ან დამიმესიჯე. ველი გამოხმაურებას.

42. გავიცნობ კარგი გარეგნობის გოგოს. მე ვარ 18 წლის, ქერა. ბაჩო.

43. ვარ შავგვრემანი ბიჭი, 28/180/85, მახინჯი და ღარიბი. მანდილოსანში ყველაზე მეტად ერთგულებას ვაფასებ. ტყუილსა და აფერისტობას ვერ ვიტან. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის მანდილოსანს. მერწყული-28.

44. მინდა, გავიცნო ისეთი გოგო, რომელიც სიმპათიურიც იქნება და პატიოსანიც. აქვს ბინა ან სამოსახლო ადგილი თბილისში. ვარ მაღალი, თეთრი, ოდნავ ქერა თმით.

45. ვეხმაურები „მორიელი-19"-ს. მარი, გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი „გზა" №12, 25-ე მესიჯის ავტორს. გიორგი-25. გელოდები, მორიელო.

46. გთხოვთ, დამაკავშიროთ მაკა-23-ს, მე-8 მესიჯის ავტორს. რამდენ ხანში მივიღებ პასუხს?

48. გამარჯობა, მარი. გთხოვ, დამიბეჭდე ეს გზავნილი. ვარ 26 წლის, სამსახურით უზრუნველყოფილი. ვცხოვრობ ურეკში. გავიცნობ 23-28 წლის გოგონას, სერიოზული ურთიერთობისთვის.

49. გამარჯობა. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე. სამეგობროდ გავიცნობდი 20-25 წლის, მხ-

იარულ, ლამაზ გოგონას. ვახუნა. ნომერი მარისთან იქნება. აბა, თქვენ იცით!

50. გამარჯობა, მარი. ვარ 22 წლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ 18-22 წლის ლამაზ გოგონას, სერიოზული ურთიერთობისთვის. ლუკა.

51. ვარ 26 წლის, თბილისელი ბიჭი. გავიცნობ თამამ და თავისუფალ გოგოს.

52. გამარჯობა, მარი. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, განათხოვარ გოგოს. გთხოვ, დამეხმარე. ამ ნომერზე დამიკავშირდეს. გოჩა ვარ.

## „usqeso"

• მარი, ვეხმაურები მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ, 23-ე მესიჯის ავტორს. დამიმესიჯე მისი ნომერი, გთხოვ.

• მარი, გთხოვ, მომწერე „გზა" №12, 55-ე და 62-ე მესიჯების ავტორების ნომრები. მგონი, ვაკმაყოფილებ მათ მოთხოვნებს.

• დიდი სიამოვნებით გავიცნობდი 22-24 წლის ახალგაზრდას. გოიმებმა თავი შეიკავეთ, ნუ შემაწუხებთ. დამიმესიჯეთ: 8.93.48.99.53.

• გავიცნობ მე-12-ს და თუ შეიძლება, მისი ნომერი გამომიგზავნეთ.

• მარი, თუ შეიძლება, მე-12-ს დამაკავშირე.

• მარი, გთხოვ, მომცე „გზა" №12, 33-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

• მარი, მომეცი „გზა" №12, მე-12 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

## sxvadasxva

• მე ფშაველი ვარ იცოდე, არ მხიბლავს შენი თვალები, მე მთის ბუნებამ გამზარდა, იქა ჰყვაოდნენ ვარდები, გული დედის რძით სავსე მაქვს, შიგ ძნელად ჩამივარდები! ფშაველი დიაცი.

• გაუმარჯოს. მე სულ ცინცხალი ვარ, პირველად ვგზავნი მესიჯს. იმედია, გულთბილად მიმიღებთ. მე ილურა ვარ :) მარი, იმედია, ჩემს მესიჯს ვიხილავ.

• აუ, მოგისწარიიიით? თუ უნდა ველოდო მომავალ ხუთშაბათს? ცუდად ვარ და შეიძლება, იმ ხუთშაბათამდე ვერ მივაღწიო. როგორ ხართ? სიო ვარ, სიო... მის სიო.

• წინა კვირაში შევაქე შენი რითმა „სტიქია", ახლა კი არ მომეწონა, რომ წერ: ძაღლი ქალზე ერთგულიაო. კაცები თუ ხართ ერთგულები? „ბოლმა".

• ვაი, „სტიქიას" ვინ აწყენინა? ყველა მანდილოსანი მოღალატე არაა. ყველას ერთ ქვაბში ნუ ყრით! კაკუ.

• „სტიქიავ", მგონი, ახურებ, „დაბოლება" ლანძღვა არის? ის ტაქსი, თხები, „ვირის წიხლი", ყველა შენი სიტყვა არის. ნუთუ, მე ვარ ახლა ხამი? არ მცხია პოეტობის გრამი და სიტყვა მაქვს ნუთუ, სამი? მგონი თავში აგივარდა, თვალები კი დაგიბრმავდა. გიჟი პოეტი.

• მარი, დიდი მადლობა ჩემი საიდუმლო რომ გამომიქვეყნე. თუ ვინმეს ისურვა ამ უბედური გოგოს გაცნობა, ჩემი ნომერი არავის მისცე. არავის ვენდობი. უცნობი.

• ჰმ! „ცელუიუ", არა? „ცელუი" „ეტო ჟე... მპუაა, ვროდე, ნუუ"... :)) ისე კი გიო ვარ. ნიკი თუ გაინტერესებს, „ზმიზმი", კაკულიკოოო :) და ეგრეა, ნუუუ :) თან, „ცვეტში", რა თქმა უნდა. :) . „ცელუიუ". :)

• „მაიცათ"! ყველა სვანები და რამეო? :) რაჭველებმა და „პახოდუ", ქუთაისელებმა რა დავაშავეთ? :) ყველა რაჭველს გაუმაჯოოოოოოს! ქუთაისზე კი ერთად ვიმღეროთ. :) „ზმიზმი". „ცელუიუ".

• ჰო, მეტი კიდევ, რაო? უიმე, ჰო! :) პუპსიკუნა, „ია ტებია უზნალ". :) ჩემი „საკალელი" ბავშვი ხარ, „ვსიორავნოოოოოო"! „ცელუიუ", „ზმიზმი".

• ვაიმე, ხალხო, მიშველეთ! ბიჭები, დამანებეთ თავი, რა! ნეტავ, ჩემს ნომერს საიდანღა „ჩითავენ"? უუუფ. კაკუ.

• „სტიქია" ძალიან მიყვარხარ და გთხოვ, თუ არ დაგეზარება, ჩემი ნიკიც გარითმე. ძალიან გამახარებ. „პაწო".

• მენატრები... ციდან ცამდე... ჩურჩულიდან ტკივილამდე... სიცილიდან ტირილამდე... სიცოცხლიდან ტკივილამდე... შენ მიყვარხარ, გენაცვალე, წარსულიდან მომავლამდე... მაიმუნი.

• არ მაიშლება არასდროს, არაგველების ხსენება, მთიულეთს ფშავ-ხევსურეთში, სალოცავების მშვენება. ხევსური გოგო, ჯიგარი ხარ! მზევინარი.

• შედით ჩემს მისამართზე და მოითხოვეთ, რაც გინდათ. ყველანაირ სურვილს ვასრულებთ. მიყვარხართ. პაწო.

• მის სიო, ძალიან საყვარელი ხარ! კაკუ.

• ფშაველი ავად გამხდარა, საწყალი თქვენი ფანია, ვირუს შაჰყრია ბეჩავსა, რალაც „ესემესმანია" ხუთშაბათობით „გზას" ეძებს, პირი ვერ დაუბანია.

• „ტემბოოლ", კვირია გენაცვალოს, შენ ჩემი დარდის ზიარო, მანავს რა გინდა, არა სჯობს, ფშავისკენ შამაიარო? როცა გავიცნობთ ერთმანეთს, მერე მეც მოგეწონები, ერთად გავკიცხოთ მდიდრები და შავიბრალოთ მონები. ისე ვუბეროთ მე და შენ, ავ თვალს არ ენახვებისა, ღვინო მაქვს როგორც მირონი, ჭოპორტის ვენახებისა. ფშაველი.

• აუუუ... ჩემმა დაქალმა რა გამიჩალიჩააა... ჩუმად დაუმესიჯებია აქ და ხუთშაბათს ჩემი ტელეფონი „გადაიწვა". მაგრები ხართ ყველა. თქვენ გაიხარეთ. ციკო.

• „უზნეო ანგელოზო", ეგ კი მართალი თქვი, სრულყოფილი ბედნიერება არ არსებობს. ამიტომ დაკმაყოფილდი იმით, რაც გაქვს. როცა ცუდად ხარ, ყოველთვის იმაზე იფიქრე, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც შენზე ცუდად არიან. დატკბი ცხოვრებით. ზაზუნა-22.

• შენც გაიხარე უცნობო, ვცდილობ, როგორც შემიძლია. :) შენც ბევრი მპუებიიი... :)) ჰო, მართლა, კაკუ ვინ გამიბრაზა? კაკუ, პატარავ, ვიზე ბრაზობ, სიხარულო? :) ზაზუნა-22.

• მარი, მაგარი ხარ, მაგრად მიყვარხარ. „სტიქიას" მოკითხვა და კოცნები. ნიჭიერო „სტიქია", მაგარი ხარ. თქვენი ახალი მეგობარი, მიმინო.

• 30 წლის დათვივით ბიჭო, სულელები იმიტომ გიყვარს, რომ ჭკვიანი ადამიანი შენნაირი სულის პატრონს მაგ განცხადების მერე, არა მგონია, შეეხმიანოს. საწყენად არ ვამბობ. ზაზუნა-22.

• 22 მარტს, აკაკი ხორავას სახელობის თეატრში 2 ბიჭს ჩემი გაცნობა უნდოდა. მე დავიბენი და უარი ვუთხარი, რასაც ძალიან ვნანობ. ერთს მგონი, რატი ერქვა. იქნებ, წაიკითხონ და შემეხმიანონ?

• მარი, პრივეტ. ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად ვმესიჯებ და იმედია, დამიბეჭდავ. მე ლულუ ვარ და ყველანი მიყვარხართ.

• ერთი გოგო გადამეკიდა, დღეგამოშვებით მირეკავს და ვითომ სხვათა შორის, სიყვარულს მიხსნის. რა ვქნა, არ ვიცი. ვერ გაიგო, რომ არ მიყვარს? ვინმემ გააგებინეთ! მატყუარა.

• აუ, ლიკუნები, შენს მესიჯზე ვიხარხარე. :) შენნაირად სახალხოდ სიყვარულს არ ვმათხოვრობ, შეყვარებული კი ვარ, ოღონდ, შენს ალექსაზე არა. მარი, ნომერი არ მისცე ლიკუნებს.

• ჩემო ბათუმო, შენ გეკითხები: მე ამ სიშორეს როგორ გავუძლო, მითხარ, ზღვაო, ლიცლიცავ, ჩემო ოცნებავ, შენ მოგაბარე ხოფაც და ხალაც. ქუთაისიდან, თქვენზე მონატრებული მალუ.

• რა კარგია, შეყვარებული რომ არ მყავს! მართლა კარგია. მე მიხარია და ხალხს უკვირს, „ლოვე" რატომ არ მყავს. მე რატომ უნდა ვიჭყლიტო ტვინი? იქით იჭყლიტონ! ვოტ! კაკუ.

• მინდოდა გამეგო, როგორ გეძინა და შენთან ანგელოზები გამოვგზავნე, მაგრამ უკან დამიბრუნდნენ, რადგან ანგელოზები ერთმანეთს თვალებში არასოდეს უყურებენ! კაკუ.

• გამახსენდები და ისე ძლიერ მომენატრები, რომ დედამიწას შეაშფოთებს ეს მონატრება, გამახსენდები და ისე ძლიერ მომენატრები, რომ გაგიჟება შეუძლია ამ მონატრებას! კაკუ.

• ნამგალა მთვარის ჭირიმე, რა საკაიფო რამ არის, თურმე, მის შუქზე რუსთველი წერილებს სწერდა თამარს, შენ რატომ არ მწერ მესიჯებს? თუ შენთან მთვარე არ არის? კაკუ.

• „ეხა" გაკვეთილზე ვარ, მაგრამ „მასწი" ნიშნებს წერს... ჰოოოოდა, დაჭამეს ერთმანეთი ერთმა გოგომ და სამმა ბიჭმა. მე კი, მაგრად ვხალისობ. :-) :-) :-) კაკუ.

• გაუმარჯოს! მარი, რა არის, რატომ არ „გაშიფრე" მესიჯებში? არ გაგიტყდეს, ვლადაობ. კაი, აბა, გავედი. დიფსო.

• გამარჯობა, როგორ ხართ? მე პირველად ვამესიჯებ და გთხოვ, გამომიქვეყნო. ხევსურებო, მაგრები ვართ. თქვენი მკითხველი, გიგაური.

• ტუტანა, გმადლობთ, გაიხარე. კიდევ ერთხელ გმადლობთ. კაკუ.

• სალამი და ჰაი-ჰუი... აუ, „სტიქიას" ვთხოვ, ჩემზეც გარითმოს, რააა... თორემ, გავსვანდები და... სვანი კისკისა...

• მდა... „სტიქია" სულ შეახრამუნეთ? ძვლები დარჩა? ჰარი პოტერი. :-)

• მიყვარს და ამას ვერავინ დამიშლის, რადგან ჩუმად ვარ, არავინ იცის, სიყვარულს ბევრი არ უნდა ფიცი, სიყვარულს ჩემსას მოსწონს დუმილი, ღიმილი ჩუმი, მხოლოდ დუმილი. მალუ.

• მარი, ჩემი ნომერი არავის მისცე. ჰარი პოტერი. :-)

• დამითმეთ გზა, ისევ მოვედი, არავის ვერჩი, ლექსებს ჩუმად ვქმნი. დამითმეთ ერთი პატარა გვერდი, არავის ვეძებ, ვეხმიანები, უბრალოდ, გავხდი ჟურნალ „გზის" წევრი. მალუ.

• საგარეჯოელები ძალიან მაგრები ვართ. მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლეებო, ყველანი მაგრად მიყვარხართ. თეო და იზა, ჩემი პატარა სიხარულები ხართ! თაკო 555.

• ქალო, კოლგოტგახეულო, ბიკინგახსნილო, შიშველა... აღარ ვარ შენზე დარდითა, ნუთუ, არავინ გიშველა? ფშაველი.

• ვზივარ და ვფიქრობ ჩემს ცხოვრებაზე... 39 წლის ვარ... ქმარს გავშორდი, 10 წლის წინ. ნარკომანი იყო და ვერ ავაწყვეთ ცხოვრება. ნანგრევებში კი გინდ გიცხოვრია და გინდ — არა.

• ბევრი ყოფილა შენებრ ლამაზი, ბევრს სილამაზეც გადმოსდენია, არავინაა შენზე ლამაზი, ჩემი ოცნების თეთრო ფერიავ. იმედია, დღეს ჩვენები „სკოტებს" წესს აუგებენ. რონი-24.

• ოეეე, ბერძენის ქალო, დედამენს შენნაირი მალაკა კიდევ ბევრი ჰყავს? შე მართლა „მალაკა", წესიერად მაინც იცოდე ბერძნული... მის სატანა.

• მინდა, ჩემი საყვარელი მეუღლე, ლევან აფრასიძე მოვიკითხო და ვუსურვო, მალე დაალწიოს თავი პატიმრობას. ღმერთი გფარავდეს, სიცოცხლევ. ლიკუ.

• პრივეტ, მარი. როგორ ხარ? მე თქვენს „სასტავში" შემოსვლა მინდა. მიმიღებთ? კაკუ, შენი ფანი ვარ! დათო.

• იმედგამქრალი უიმედო იმედით ვცოცხლობ, უსიტყვო სიტყვით ვსაუბრობ და ჩუმად გიხმობ. ყველასთან ვცრუობ, რომ არ გეძებ, არ გელოდები, მაგრამ იცოდე, სიკვდილამდე დაგელოდები.



M K

• „სტიქია“, ძალიან საყვარელი ხარ. მომწონს შენი ლექსები, მაგრამ ჩემს ნიკს მაინც ვერ გარითმავ. „დედასგიჟი“.

• იმ გოგოს ვეხმაურები, ვინც „ლახანკას“ ჩააბარა თავისი ქალწულობა. მინდა, გითხრა: „სალოლ“, „ლახანკა“!

